

# სხანი შოკოლადი

ოქტომბერი 2009 №53  
ფასი 5 ლარი

ისტორია

## ერეკლე დეისაძე

ენო ლომაძე

საუბარი

## შალვა რამიშვილი

ქეთევან სადლოვალაშვილი

კომენტარები

## ინტელექტუალები ბილიოგინაზე

დავით ბუსრიქიძე

## პროფილი ანფასში

სანდრო ნავერიანი

## „იანვანაო“ რა ქნას?

გიორგი ხასიაი

ესაუბი

## რელიგია და კორუპცია

ზურა ჯიშარიანი

## ფის ამოსვლამდე

ბექა მიდიაშვილი

მეზა

ლევან ბერძენიშვილი

ანალიზი

## „დიხ – ანისტიას, არა – ამნოიას“

ანა დოლიძე

ფოტოგრაფიები

## პარკური

ლევან კაკაბაძე

## ლიტერატურა

ლალა საგინაშვილი

ბაკა მიქელაძე

მამუკა ლაქიაშვილი

ალექო სვიციშვილი

ჯონ ფაულზი

ISSN 1512-2220



მუტი დამ  
ცხოვრებისათვის



ჯანდაცვა

# BlackBerry®



BlackBerry® BOLD™ 9000 smartphone

BlackBerry, RIM, Research In Motion, SureType, SurePress და სხვა დაცემული საყაჩაღ ნიშნები, სახელები და ლოგოები ნაშრომდენს Research In Motion Limited - ის სააქციონას და ხელისაწილებელიდან გამოიყენებს აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გამოიყენებს Research In Motion Limited - ის ლიცენზიით.



გარეკანზე: ერეკლე დეისაძე  
ფოტო: დავით მესხი

**მთავარი რედაქტორი:**  
ნინო ლომაძე

**აღმასრულებელი რედაქტორი:**  
ნინო ჯაფარიძე, სალომე კიკალაძე

**არტ-რედაქტორი:** გიორგი ნადირაძე  
**რედაქტორ-სტილისტი:** ნინო სვანიძე  
**კორექტორი:** ნინო საითიძე

**ნომერზე მუშაობდნენ:** სალომე კიკალაძე, დავით ბუხრიკიძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, სანდრო ნავერიანი, რეზო გეთიაშვილი, ანა დოლიძე, ნინო ლომაძე, ბექა მინდიაშვილი, ქეთევან სადღობელაშვილი, ანა მაყაშვილი, ზურა ჯიშკარიანი, გიორგი ხასაია, რუსუდან მირზიკაშვილი.

**ფოტო:** დავით მესხი, ლევან კაკაბაძე, ლევან ხერხეულიძე, ქეთო ცაავა

**ილუსტრაცია:** მარიამ ზაღდასტანიშვილი, ანა ტაბატაძე

**დიზაინი:** თორნიკე ლორთქიფანიძე

**საზომგაფორმების ურთიერთობა:**  
ლელა შუბითიძე

**სარეკლამო განყოფილება:** შალვა ჩუბინიძე  
**დისტრიბუცია:** ზვიად შენგელია

---

**გამომცემელი:** შორენა შავერდაშვილი  
**გამომცემლობა:**  
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326  
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

**სხვა გამომცემები:** ლიბერალი, ბიზნეს-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელეტი.

**სტამბა:** შპს „სეზანი“, თბილისი, ნერეთლის გამზ. 140, ტელ.: 357002

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან © "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

- 6 რედაქტორის წერილი
- 8 ჩვენი ავტორები
- მიმოხილვა** 10 პლაჟის ისტებლიშმენტი *დავით ჩიხლაძე*
- 14 ცხინვალელი მხატვრის დაბრუნება
- გორჩევთ** 14 „მ ე - ა დ ა მ ი ა ნ ი“
- აქცენტი** 16 ცხრა მთას იქით, შორეულ წარსულში *ანა კორძაია-სამადაშვილი*
- რეცენზია** 18 უბინძურესი სადარბაზოები, უსუფთავესი ფურცლები *დავით ბუხრიკიძე*
- კომენტარები** 20 მუშათა კლასი „სამოთხეში“, ინტელექტუალები – გილიოტინაზე *დავით ბუხრიკიძე*
- 23 პროფილი ანფასში *სანდრო ნავერიანი*
- 24 „იავნანამ“ რა ქნას? *გიორგი ხასაია*
- იმოგზაურე საქართველოში** 26 ლეოზავრების ოჯახი *რეზო გეთიაშვილი*
- წერილი** 28 თეთრი სპილო forever *ანა კორძაია-სამადაშვილი*
- ისტორია** 32 პროვოკატორები *ნინო ლომაძე*
- საუბარი** 38 „იმანენტურად მონოლითური“ *ქეთევან სადღობელაშვილი*
- თარგმანი** 42 ტვინის მონაპოვარი *მარგარეტ ტალბო თარგმნა ანა მაყაშვილმა*
- ფოტოპორექტი** 48 პარკური *ლევან კაკაბაძე*
- ისაქართველო** 60 ზედაპირს მიღმა *Urban Reactor*
- ანალიზი** 62 „დიახ – ამნისტიას, არა – ამნეზიას“ *ანა დოლიძე*
- ესეები** 66 მზის ამოსვლამდე *ბექა მინდიაშვილი*
- 70 რელიგია და კორპორაცია *ზურა ჯიშკარიანი*
- 74 მიშა *ლევან ბერძენიშვილი*



# საზომნი ფანდებანი ყვანი მედიკამენტები

ზღუბი ბიჯიტი ყვანი მედიკამენტი!



მედიკამენტი მედიკამენტი:  
დაზომი მედიკამენტი და მედიკამენტი მედიკამენტი!



ცოტა ხნის წინ, ქუთაისში ახალგაზრდა პოეტებმა პერფორმანსი – „ფული და ლოცვა“ მოაწვეეს. მოსაწვევეზე ეწერა „ვლოცულობთ რომ მეტი ფული გვექონდეს, ვილოცოთ, რომ რეალობამ იცეკვოს სტრიპტიზი. ლარიებიც ლოცულობენ, მაგრამ მათ ფული არა აქვთ“. ისინი თავიანთ ლექსებს კითხულობდნენ. სცენის დეკორაციად ეკიდა გაზეთები და კინოფირები, როგორც მედიის მეტაფორა. ეკრანზე გადიოდა კადრები, ზუსტად იგივე ხალხის მონაწილეობით, ვინც გაზეთებში ფოტოებზე იყო აღბეჭდილი, მაგრამ როგორც კი ეს პიროვნებები ეკრანზე ჩნდებოდნენ, გამოსახულება იცვლებოდა, მახინჯდებოდა. პერფორმანსის იდეა რეალობის კრიტიკა იყო. ისინი ამბობდნენ, რომ რეალობას თავისი დამტაცებლები ჰყავს, მას ინანილებენ და მისი ყველაზე დიდი წილი მედიას მიაქვს, დიდი წილი მიაქვს ეკლესიასაც, ე.წ. ორგანიზებულ რელიგიებს და თავისი წილი მიაქვს სახელმწიფოს, თავისი პროპაგანდისტული აპარატით. ახალგაზრდებს იმის თქმა უნდოდათ, რომ რეალობა აღარ არსებობს; რომ დღეს ხელოვნება გაცილებით რეალისტურია, ვიდრე ის რეალობა, რომელსაც სხვადასხვა „დამტაცებლები“ გვთავაზობენ და რომელშიც ვცხოვრობთ.

ბოლო დროს, მედიაში ახალი „გმირი“ გამოჩნდა. ისე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე შოუში. წარმატებული შოუს მთავარი პრინციპი მოულოდნელობის ეფექტია, სადაც გუშინდელი მხედართმთავარი შეიძლება დღეს თავგადაკლულ ანტიმილიტარისტად გამოგვეცხადოს, პაციფისტი კი ყველაზე სასტიკი ჯალათად. და ეს აღარავის უკვირს. უკვე ყველამ იცის, რომ მთავარი ამ შოუში მოხვედრაა.

თამამი და გაბედული ადამიანები ძალიან უყვარს მედიას. განსაკუთრებით ისინი, ვინც საკუთარ შეცდომებს პირდაპირ ეთერში აღიარებენ და ნაკლებ თითქოს სხვებთან შედარებით გულწრფელად საუბრობენ. მათი სახელები ყველაზე ხშირად გვხვდება გაზეთებში, ისინი ტელეგადაცემებსაც ყველაზე ხშირად სტუმრობენ. შოუს პრინციპს კარგად იცნობს ჩვენი ახალი „ავტოგმირიც“ (როგორც მას ქეთევან სადღობელაშვილმა უწოდა). ის პირდაპირ ეთერში ამბობს, რომ თავადაც „პერფორმანსებს“ აწყობს და შოუში თავისი ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძვის, ცხადია, საერთო საქმისთვის.

ჟურნალის ამ ნომერში სხვა გმირებიც გვყავს. „პროვოკატორების“ ისტორიაში ბევრგან შეხვდებით არტისტულ და ეპატაჟურ აქციებს, რითიც ისინი საერთო რეალობაში შემოღწევის ცდილობენ. ისინიც თამამები არიან, და აღიარებულ, პოპულარულ წარმოდგენებს უპირისპირდებიან. მაგრამ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სხვადასხვა გმირების მიზნებია და იმის გარკვევა, თუ რას არქმევენ საბოლოოდ ისინი წარმატებას.

ნინო ლომაძე  
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

გახსენი ანაბარი...

მოიგა ყოველთვა ბინა... და...

წლის ბოლოს 1.000.000



მინიმალური შენატანი

500 ლარი

☎ 27 27 27 | 📠 • 27 27 | [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)



თიბისი ბანკი  
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს





### ანა კორქია-სამადაშვილი

ეს ჰამლეტია. თავისი საამაყო, გრძელი თმა შეკრული აქვს ხოლმე, რომ არ გაეჩქროს და ნახერხით არ გაევისოს. ჩანაფიქრის თანახმად, ჰამლეტი ზღვის გოჭია, მე თუ მკითხავთ – სრული გაუგებრობა. ერთი კვირა ვუყურე და ვერაფერი გავეუგე. ჰამლეტი ჩიტივით ფლურტულებს და მოფერება მხოლოდ ცხვირთან მოსწონს. ის დაახლოებით ორ კილოს იწონის და რბილი, თბილი მუცელი აქვს. ძალიან მოსწონს ბანაობა – ვის არ გაუხარდება თბილი წყალი და მაღლიანი მასაჟი...  
 გაგეცინებათ და ჰამლეტი მენატრება ხოლმე. კი არ მივტირი, უბრალოდ, მისი ნახვა ძალიან გამიხარდებოდა. სინამდვილეში, ის არაჩვეულებრივი დღეები მენატრება, რომლებიც მის პატრონთან ერთად ევროპის გულში გავატარე. ეგ მახსოვს ტკბილად, კიდეც – ტეხურის ხეობა, კიდეც – ლოპოტა, კიდეც... მორჩა.  
 ...კაცი უცხო ქალაქში მოხვდა. სასაფლაოზე გაიყვანეს, სადაც ქვებზე ეწერა: ესა და ეს, იცხოვრა ხუთი წელი. ესა და ეს, იცხოვრა თოთხმეტი დღე. ვაი?  
 კაცს აუხსნეს, ამ ქალაქში წესია ასეთი, ადამიანს იმდენ დღეს უთვლიან ცხოვრებად, რამდენიც ბედნიერი იყო.  
 მაშინ კაცმა თქვა: რომ მოვკვდები, დამანერეთ: „დაიბადა მკვდარი“.  
 ძალიან მიხარია, რომ ასეთ ნარწერას უკვე გადარჩენილი ვარ.



### სანდრო ნავერიანი

გიფიქრიათ თუ არა ოდესმე, როგორი იქნებოდა სამყარო, ევა ლესბოსელი რომ ყოფილიყო, კენი არ გაჩენილიყო, მაკედონელს ცხენზე ჯდომა არ სცოდნოდა, ჰიტლერი ბალერონი ყოფილიყო, ფრანგები მონღოლები ყოფილიყვნენ, ნილ არმსტრონგისთვის მთვარეზე საზეიმო დახვედრა მოეწყო მთვარის მერს, ერეკლე მეორეს გეორგიევსკის ტრაქტატზე და რუსულ დელეგაციაზე მიეფსა, ფიდელ კასტროს წვერი არ ჰქონოდა და etc.  
 გიფიქრიათ თუ არა, როგორი იქნებოდა სამყარო, სომხეთი ვენესუელასა და კოლუმბიას შორის რომ ყოფილიყო, რუსეთი – კოსმოსში, ტრაექტორია არეული, დედამინა მარიანის ღრმულში ჩაძირული, საქართველო (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე) – ნეიტრალური სახელმწიფო, თბილისი კი – შიგ ჩასმული ბადახში.  
 დარწმუნებული ვარ არც ერთზე არ გიფიქრიათ. ჰა, ჰა, შეიძლება რუსეთის და სომხეთის საკითხში ჩვენი აზრები ემთხვეოდეს. აი, მე კი, უკვე ოთხი თვეა რაც ალტერნატიულ თბილისზე ვფიქრობ. როგორი იქნებოდა თბილისი...  
 მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი მაქვს ნაფიქრი და ბევრიც ჩამოყრილი, დახმარებაც საკმაოდ მასშტაბური მიღებული, მაინც დიდი სიამოვნებით გავეცნობოდი თქვენს სურვილებს – თუ როგორი გინდათ და როგორ ნარმოგიდგენიათ თბილისი. ეს ხომ ყველას ქალაქია.  
 ამასობაში აღმოცენდა თბილისის მეტსახელი – „ყველას ქალაქი“. მშვენიერია. როგორი კარგია როცა იცი, რომ სადღაც სამყაროში, ამ უმოწყალო სამყაროში, იმ სამყაროში, სადაც ყველა ყველაფერს იჩემებს, არსებობს „ყველას ქალაქი“, ქალაქი, რომელიც ყველასია – ბუვარის და პეკუმესი, ხუან რამონ ხოსესი და იდრის ამორებიეტასი, ვასიკო კორკოტამვილისა და შურა იზმაილოვის...  
 ასე რომ, მომწერეთ, გამანდეთ თქვენი ფანტაზიები, როგორი გინდათ იყოს ალტერნატიული თბილისი.  
 sandro.naveriani@shokoladi.ge





## ... და ერთი ჭიქა ღვინო

თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან

დააგემოვნეთ არაჩვეულებრივი ღვინო  
თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან  
და გაიხანგრძლივეთ ურთიერთობით  
მიღებული სიამოვნება.



**TBILVINO**



# კლავის ისტაბლიშმენტი

ავტორი: დავით ჩიხლაძე

ფოტო: ქეთო საავა

აგვისტო, ჩვეულებისამებრ, ყველა ქვეყანაში სრული გარინდების და უქმად ყოფნის სეზონია. როგორც წესი, ეს კულტურული ტრადიცია საქართველოში მკაცრად არის დაცული. მაგრამ შეუძლებელია, არდადეგების კულტურა ერთადერთი ისტაბლიშმენტი იყოს ცივილიზებული ქვეყნისთვის, თუ ის მაინცდამაინც საკურორტო ქვეყანა არ არის. თბილისი კი, ინდუსტრიის მშენებელი თუ არა, ინფრასტრუქტურაზე მეოცნებე ქალაქი მაინც არის და, სულ მცირე, უკვე მართლაც შესანიშნავი სკვერები და გარე განათებებიც აქვს. როდესაც ქალაქს საზოგადოებრივი კომფორტის ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა ასე მკაფიოდ ეტყობა, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ მცირე მენარმეობასთან ერთად აქ ახალი პრივილეგიაც უნდა არსებობდეს – კულტურული ინფრასტრუქტურისა და გარემოს პრივილეგია.

თუ მხოლოდ ისე იმაზე ვიზრუნებთ, რომ მოცარტის, ვივალდის ან შეუმდგარი ქართული პოპ მუსიკის კონცერტები ჩატარდეს ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ადამიანებს კულტურასთან შეხების სურვილი გაუჩნდებათ, საბოლოოდ ეს მხოლოდ სნობური სალონურობის ან უხარისხო მასკულტურის არეალში დაგვტოვებს. მოცარტი ახალგაზრდა გარდაიცვალა და სულის ხელოვნებისკენ მიმავალი გზა გვასწავლა. დღეს მასზე მხოლოდ კარიერის, ფულისა და ფორმალური საზოგადოებრივი მოვალეობის დაშენება, უბრალოდ, ადამიანების მოტყუებაა. არა იმიტომ, რომ მოცარტი მუსიკის ღმერთი აღარ არის, არამედ იმიტომ, რომ

ის ახლა კონსერვატორიის და ოლიმპის ღმერთია – და არა დღევანდელი, მინაზე არსებული, ცოცხალი კულტურის და მიმდინარე პროცესების.

ცხადია, მუზეუმი კარგია და ის სახელმწიფოს, როგორც სტრუქტურის, მთავარი იდეოლოგიური ბაზისია. მასობრივი გართობის ამოცანის მქონე ხელოვნებაც, პირველ რიგში, ბიზნესი უფროა, ვიდრე კათარზისი, მაგრამ კულტურა გაცილებით მეტია, ვიდრე ისტორია, რადგან ის ისტორიის კვლავნარმოების და მასზე რეფლექსიის პროცესს წარმოადგენს.

კულტურა არის ის, რასაც სუპერსტრუქტურას უწოდებენ, ანუ ეთიკურ-ესთეტიკურ პარადიგმათა მოდელს, რომლის გარეშეც ქვეყნისა თუ ქალაქის განახლებულ საზოგადოებრივ ტერიტორიებზე ვანდალიზმის შემთხვევები არ აღმოიფხვრება. რა თქმა უნდა, პოლიცია და ხელიგნური დანაშაულის პრევენცია ძლიერი და აუცილებელი ბერკეტია, და არა მხოლოდ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მხრივ, ისეთ დაუდგენელ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, არამედ ბევრ განვითარებულ სახელმწიფოშიც. მაგრამ სახელმწიფომ, ყველა იმ ადამიანმა, ვისაც კი ამაზე ხელი მიუწვდება, აუცილებლად უნდა იზრუნონ ქვეყნის მენტალური დონის ამაღლებაზე და აზროვნების ლიაობაზე. სხვაგვარად, ადამიანები დაშინებულ და დროდადრო იძულებით თავდაჭერილ ვანდალებად გადაიქცევიან და ეს არავის მოუტანს ხეირს.

რუსთაველის გამზირზე გავლისას ამ ბოლო პერიოდში მარტოობაში გაგახალისებდათ, მიძიმე და სტრესულ დღეს





შეგმსუბუქებათ მომცრო პედესტალებზე ჩამწკრივებული ის პატარა რკინის კაცუნები, რომლებიც ყოველ 5-10 მეტრში გვხვდებიან, როგორც ტროტუარის, ასევე პროსპექტის ორივე მხარეს. მათი ავტორია ახალგაზრდა სკულპტორი ლევან ბუჯიაშვილი, რომელმაც თბილისის ისტორიაში არამონუმენტური, სერიული ლირიკული სკულპტურის პრეცედენტი შექმნა. ასეთი კრეატიული ქანდაკებები მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქს ამშვენებს და ისინი ყოველთვის გამოჩენილ ფიგურებს და თარიღებს როდი ასახავენ, არამედ ქალაქის ერთგვარ დეკორაციას წარმოადგენენ.

რუსთაველის გამზირზე რკინაში შესრულებული და ასეთივე მინიატურულ კვარცხლბეკებზე მყარად მდგომი თოჯინა-ქანდაკებები თბილისის ქალაქურ კოლორიტსაც ეხმიანება, როგორც სტილით, ასევე პერსონალებითაც. მათ შორის არის პოეტი, მოქანდაკის მეგობრები, სხვადასხვა თბილისური ტიპური სახეები, თვით მათხოვარიც კი, რაც შეგვახსენებს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ გასული საუკუნეებიდან მემკვიდრეობით მიღებული მითი და გამონაგონი არ არის, არამედ დღევანდელი თბილისის ყოფითი რეალობაა, რომ ასეთი ადამიანები ცხოვრობდნენ თბილისში, მეოცნებე, დაუძაბავი, გულღია და ბავშვურად მხიარული. და, როგორც ჩანს, ყოველთვის იცხოვრებენ, სხვანაირად ქალაქი ამ ქანდაკებებს ასეთ საპატიო ადგილს, როგორც რუსთაველის პროსპექტია, არ მიუჩენდა.

დეკორატიული განათების, კეთილმოწყობილი სკვერებისა და შადრევნების გარდა, ქალაქს ასეთი ლირიკული სერიულობაც ალამაზებს.

ლევან ბუჯიაშვილს მრავალი სხვა სკულპტურაც ეკუთვნის, რომლებიც ბოლო დროს დაიდგა თბილისში. ძალზე კოლორიტულია თუნუქში შესრულებული ანსამბლი „მაგდანას ლურჯას“ პერსონაჟებით, რომელიც კოვზისკენ მიმავალ გზაზე გვხვდება, ძველ წყაროსთან, სოლოლაკს რომ გასცდებით. მეორე ქანდაკება, უკვე დიდი ხანია, დგას ერეკლე მეორეს ქუჩაზე, კაფეების უბნის დასაწყისში.

ლევან ბუჯიაშვილის სალონური ნამუშევრები იქვე, რუსთაველის გამზირზე, „პროსპეროს ბუკის“ ეზოში არსებულ მაღალბინაში შეგიძლიათ იხილოთ და შეიძინოთ. მაგრამ როდესაც ასეთი მხიარული სკულპტურები ქუჩაში გამოდის, ეს უკვე ინფრასტრუქტურა ნამდვილად აღარ არის, ეს ქალაქის სააზროვნო განწყობას უწყობს ხელს, რადგან, როგორც სინათლე, ხელოვნებაც ამაღლებულ და ხალისიან ატმოსფეროს უქმნის ადამიანებს. თუ დეკორატიულობას სხვა კუთხით შევხედავთ, დავინახავთ რომ სახელმწიფო კურსი ამ მხრივ ბერძნულ აქსიომას – ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია, ნამდვილად ეხმიანება, რადგან გარემო მართლაც მოქმედებს ადამიანზე და საზოგადოებაზე, მეტ ცხოვრებისეულ, შემოქმედებით პოტენციას სძენს მას.

შეიძლება ჩვენი ქალაქი ჯერ კიდევ არ არის მზად, შეეგუოს მოდერნისტულ ან აბსტრაქციონისტულ გადწყვეტებს ქუჩის დეკორაციაში, და თუ ამ მხრივ რამდენიმე უზარისხო ნიმუში მოიპოვება, ისინი მხოლოდ დროებით ლაფსუსებად უნდა ჩაითვალოს. ქალაქში აქა-იქ დადგმული ასეთი აბსტრაქტული და ფსევდომინიმალისტური სკულპტურები მხატვრის უუნარობას კი არა უსვამს ხაზს, არამედ იმას, რომ ჩვენთან თანამედროვე ხელოვნება ჯერ კიდევ არ არის საზოგადოებრივი მენტალიტეტის ნაწილი და სახელმწიფოს არ შეუძლია ასეთი დეკორაციის სწორი მენეჯმენტი და ორგანიზება.

ნესით, ჩვენს პოსტმოდერნისტულ დროში ლევან ბუჯიაშვილის ტიპის თბილი, სალონური ქანდაკებები მხოლოდ ფუფუნებაა, ბაზისი კი მხოლოდ დროის ეკვივალენტური პოსტმოდერნისტული ხელოვნება შეიძლება იყოს. სწორედ ეს ბაზისი და ამ მხრივ განსახორციელებული სამუშაო აკლია ქალაქს, ქვეყანაზე აღარაფერს ვამბობთ. პლაჟზე შესრულებული მოცარტი კი მეცხრე ცას ნამდვილად ვერ სწვდება, რადგან მეცხრე ცის დანიშნულება ინსპირაცია და განახლებაა და არა განცხრომა.

კულტურის მეორე კერა, რომელიც ასევე სერიულობით მეორდება, არის ნიგნის მაღაზია „პარნასი“. ამიერიდან ის უკვე



ურბანულ სახეს იღებს და სამსართულიანი სახით წარდგება მომხმარებლების წინაშე. სწორედ ასეთი მაღაზია გაიხსნა პუშკინის ქუჩის 10 ნომერში. ეს მაღაზია დიდი პოპულარობით სარგებლობს თბილისში და იქ შევლა ყოველთვის რაღაც საინტერესოს და საჭიროს აღმოჩენით მთავრდება. აქ მყიდველს შეუძლია შეიძინოს მხატვრული ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე, შესანიშნავად გამოცემული საბავშვო წიგნები და ალბომები, ისტორიული და ფილოსოფიური წიგნები და მრავალი სხვ.

ახალ, სამსართულიან მაღაზიას კი ბუკინისტური სექციაც დაემატა, რაც წიგნის მოყვარულთათვის ისეთივე შტრიხია, როგორც ქალაქში მაცხოვრებელთათვის მყუდრო კაფე თუ სკვერი. უნდა ვაღიაროთ, რომ გარდა წმინდა მომხმარებლური დანიშნულებისა, რამდენიმე ათეული წლის წინ გამოცემული იშვიათი წიგნების დახლი უშუალობას და კოლორიტს შემატებს ქალაქის გარემოს.

ქიაჩელის ქუჩაზე, იქ, სადაც ღამის ბარების, ცოცხალი ჯაზისა თუ როკენროლის ცნობილი უბანია, ახალმა ბარმა დაიწყო ფუნქციონირება, რომელიც კუთხეში, ლურჯ მონასტერთან ახლოს მდებარეობს და „ქორნერს ბარი“ ჰქვია. მოუხედავად იმისა, რომ ასეთი სახელის მქონე ბარი ამავე ადგილზე ადრე უკვე არსებობდა, ეს ახალი კერძო ინიციატივა საკმაოდ რისკიანია, რადგან კომერციულ პირობებში დედაქალაქს ისეთ პროდუქციას სთავაზობს, რომელიც აქაურ ისტებლიშმენტთან შეხებაში არ არის. ქართული ისტებლიშმენტი, რაც დრო გადის, მით უფრო ეთნიკური ხდება და შემოიფარგლება პომპეზური კლასიკით, სალონური, ე.წ. „ჩვენთვის გასაგები“ მოდერნიზმით ან საქეიფო ესტრადით. და არავის რცხვენია ამის გამო, არც მწარმოებელს და, მით უფრო, არც მის მხარდამჭერს – თანამედროვე მომხმარებელს. ასეთ ფონზე ბარი, სადაც ყოველდღიურად იმუშავებს ავანგარდული და ექსპერიმენტული კინო და ვიდეო ვიზუალის სექცია, სხვადასხვა ჟანრის ელექტრონულ მიქსებთან შეზავებული, უდავოდ სარისკოა.

ბარს ორი ახალგაზრდა მენეჯერი ჰყავს – გოგა ფრანგიშვილი, მოდელი, რომელსაც ჯერ კიდევ თითქმის თინეიჯერულ ასაკში, 1998 წელს ცნობილი იაპონელი არტისტის შოხო შიმამოტოს, თუ ცნობილი რუსი დიზაინერის ანდრეი ბარტენე-

ვის გრანდიოზულ ავანგარდისტულ მოდის პერფორმანსებში აქვს მიღებული მონაწილეობა. შემდეგ მან დიდი ხანი იცხოვრა ესპანეთში, ახლა კი ჩამოვიდა საქართველოში და ალბათ მოუწევს აღიარება, რომ მისი ეს ნამოწყება მართლაც ფინანსურად სახიფათოა. მეორე მენეჯერი, ვახო მამულაშვილი, დიზაინერი, ალფროთოვანებული ელოდება, რომ ასევე ალფროთოვანდება მისი მომავალი პუბლიკა მან რეის, ჟან ეპსტეინის, მარი მენკენის, ჯოზეფ კორნელის, იონას მეკასის ფილმებით, რომლებიც პირდაპირ ბარის კედელზე გადის, მხიარულად მოლაყებ მომხმარებლებსა და მოფუსფუსე მიმტანს მიღმა, შიდა თუ გარედან შემოსული ხმაურისა და მუსიკის ფონზე. ყოველივე გვარწმუნებს, რომ ეს სულაც არ არის ჩვეულებრივი კინოთეატრი. ვნახოთ, იმედი დავიტოვოთ.

სექტემბრის ბოლოსთვის „ქორნერს ბარში“ „ლილა ლენდი“ და ვოკალისტი თეა სანებლიძე წარდგებიან მაცურებლის წინაშე გოთიკური, დარკვერის და ელექტრო პროგრამით. სოფო ასლანიშვილის ამასწინდელი სოლო კონცერტის შემდეგ, რომელიც, უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ შედგა ცუდი მენეჯმენტი-სა და მაცურებლის არყოლის გამო, ეს ახალი, შემოდგომის ტალღა ალბათ მაინც გამოასწორებს.

მერე კი, ოქტომბერი გაცილებით საინტერესო იქნება თბილისელი ხელოვნების მოყვარულთათვის. 2, 3 და 4 ოქტომბერს პოლონელი კურატორი იონა ვარშა თბილისის ისტორიულ ბეთლემის უბანში საინტერესო საზოგადოებრივ სამხატვრო პროექტს შემოგვთავაზებს სახელწოდებით „მიკრო რაიონი“, სადაც მაცურებლებს საშუალება მიეცემათ, შეიხედონ ადგილობრივი მოსახლეობის ბინებში და იქ ქართველი თანამედროვე მხატვრების ინსტალაციები ან გამოფენები იხილონ. 9 ოქტომბერს ქარვასლაში უკვე მეორედ გაიხსნება თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა „არტისტერიუმი“ სამუშაო დევიზით „ცვლილების მანიფესტი და შინაგანი გამოცდილება“, რომელიც შარშანდელივით დატვირთული იქნება მრავალფეროვანი პროგრამით და ერთ კვირას გასტანს. ოქტომბერში თბილისში ასევე იხსნება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი.

იმედს ვიტოვებთ, რომ ამ დროისთვის პლაჟის ისტებლიშმენტის რუბიკონი, უკვე საბოლოოდ თუ არა, დროებით მაინც გადალახული იქნება.





# ბაზანიჭვიბუდი საქანიტვიდოლს ბანკი

ბანსადნოთ ანაბანი,  
ჩადიოთ ბათანაშვიბანი,  
აოიბოთ ფადანეი ვიიოი  
და ბიბანი



საქანიტვიდოლს ბანკი  
BANK OF GEORGIA





### სხინვალილი მხატვრის დაბრუნება

თბილისის საგამოფენო დარბაზებზე ახალი სივრცე შეემატა: ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“ უკვე საკუთარი გალერეით წარსდგა დამთავალიერებლების წინაშე, რომელსაც მისი საქმიანობის პრიორიტეტების შესაბამისად ასეთივე მომხიბვლელი დასახელება აქვს – „ლია გალერეა“.

17 სექტემბერს აქ ცხინვალილი მხატვრის ნოდარ გიუნაშვილის ფერწერის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ეს მხატვრის პირველი გამოფენაა სამშობლოში მისი მოღვაწეობის ბოლო 18 წლის მანძილზე. ნოდარ გიუნაშვილი 1991 წლიდან მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე იფინება. მისი ნამუშევრები წარმოდგენილი იყო რუსეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის და ბელგიის სხვადასხვა გალერეების მიერ. საქართველოსთვის მან წარმოადგინა სერია „მე და შენ“.

1975-78 წლებში ნოდარ გიუნაშვილი ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისის სამხატვრო აკადემიაში გააგრძელა სწავლა ფერწერის განხრით. თბილისში პირველი გამოფენა ნოდარ გიუნაშვილს 80-იანი წლების ბოლოს ჰქონდა. მას შემდეგ მხოლოდ კოლექტიურ გამოფენებში თუ იღებდა მონაწილეობას.

ნოდარ გიუნაშვილი არის იუნესკოს მხატვართა საერთაშორისო ფედერაციისა და საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

ის, რომ ასეთი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნოდარ გიუნაშვილმა საკუთარი პერსონალური გამოფენის მოწყობა კვლავ მოახერხა თბილისში, ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ დამსახურებაა. „ლია გალერეა“ საკუთარი სამოქმედო პროგრამით მიზნად ისახავს უცნობი, რაიონებში მცხოვრები, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების შემოქმედების გამოტანას მნახველის წინაშე და ამით მათი მოღვაწეობის წარმოჩენასა და ხელშეწყობას.

### ბირეპიტი

#### „მე – აღამიანი“

„მშვიდობა იქნება, თუ არ არის ომი“; „ომი იქნება, თუ არ არის მშვიდობა“.

ასეთია სათაური იმ ორი სტატიისა, რომლებსაც თავიანთ ბაღში უშფოთველად მჯდომი მეზობლები კითხულობენ ნორმან მაკლარენის გახმაურებულ, 8-წუთიან ფილმში „მეზობლები“, ვიდრე იგივე მეზობლები, მათი ეზოების საზღვარზე ამოსული ყვავილის გამო, ფილმის ბოლოს ერთმანეთს დახოცავენ. ამ ფილმისათვის მაკლარენმა 1952 წელს ამერიკული კინოაკადემიის პრიზი „ოსკარი“ მიიღო.

„მეზობლები“ ერთ-ერთი იმ თორმეტ ფილმთაგანია, რომელთაც ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის სამხრეთ

კავკასიური კინოფესტივალი „მე – ადამიანი“ 2009 წელს წარუდგენს თავის მაცურებელს მთელ სამხრეთ კავკასიაში. ეს დოკუმენტური ფილმები არის ომსა და მშვიდობაზე, ადამიანის უფლებების შელახვასა და მათ დაცვაზე, კონფლიქტებსა და შერიგებაზე. ფილმების დასრულების შემდეგ მაცურებელს საშუალება მიეცემა, მოწვეულ სტუმრებთან ერთად ისაუბროს ფილმზე და მის მიერ შემოთავაზებულ პრობლემატიკაზე.

„მე – ადამიანი“ სამხრეთ კავკასიაში წელს უკვე მესამედ ტარდება; ფესტივალის იდეა 2005 წელს დაიბადა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოსა“ და ჰაინრიჰ ბილიის ფონდში. ფესტივალის თანამოაზრე და პარტნიორია, აგრეთვე, ადამიანის უფლებების დაცვის პრალის კინოფესტივალი „ერთიანი სამყარო“.

ქ. თბილისში კინოფესტივალი 22-24 ოქტომბერს გაიმართება. წელს თბილისური ფესტივალის ორგანიზატორია „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი“.

ინფორმაცია წლევანდელ საფესტივალო ფილმებზე შეგიძლიათ მიიღოთ: [www.ya-chelovek.caucasus.net](http://www.ya-chelovek.caucasus.net)



ნორმან მაკლარენი





მაქსიმალი

# მე-4 თაობის უკაბელო ინტერნეტი



ყოველი მე-4 თვე უფასოდ!

მომსახურების პაკეტი	სტარტი	პრო	ტურბო
სიჩქარე	1000 კბ/წმ-მდე	2000 კბ/წმ-მდე	4000 კბ/წმ-მდე
სააბონენტო გადასახადი	30 ლარი	40 ლარი	50 ლარი
ტრაფიკი	ულიმიტო	ულიმიტო	ულიმიტო
მოდემი	ნებისმიერი	ნებისმიერი	ნებისმიერი
დომენის ჰოსტინგი	1	1	1
ვებსივრცე	20 მგბ	50 მგბ	100 მგბ
საფოსტო ყუთების რაოდენობა	4	4	4
საფოსტო ყუთების საერთო მოცულობა	40 მგბ	100 მგბ	200 მგბ



ესელში ჩართვა რამდენიმე წუთში

8 800 41 41 41

\* ზარი უფასოა



www.maximali.ge

# სხრა მთას იქით, ზოგჯერ წარსულში

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი  
ფოტო: დენის სავინოვი

ამბობენ, ირკუტსკი ციმბირის ქალაქთა ქალაქიაო. ამბობენ, ვინც ირკუტსკში არ ყოფილა, იმას ციმბირი არ უნახავსო.

გიორგი ნაკაშიძე კი ნახა. ახლა ის ამბებს ჰყვება, სასაცილოს, სევდიანს, ჯადოსნურს – ათასნაირს, და მისი მსმენელი და შემყურე კარგად ვუგებდი ციმბირულ ქალბატონს, რომელმაც თავის სტატიაში მას "лучезарный бродяга" უწოდა – „მზიური მანანალა“.

2009 წლის 13 ივლისს ეგვენი გრიშკოვეცის პრესმდივანმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მწერალი მთავარ როლს შეასრულებს მხატვრულ ფილმში „სატისფაქცია“, რომლის გადაღებებიც ირკუტსკშია დაგეგმილი. „მკითხველსა და მყურებელს, რომელიც გრიშკოვეცის შემოქმედებას იცნობს, ირონიული, ცხოვრებისეული სურათი ელის, ქალბატონის გულისგამგმირავი ყვირილის, კუბოებისა და სისხლისღვრის გარეშე. გადაღებებისთვის უარესად საინტერესო შემოქმედებითი ჯგუფი შეიკრიბა: ირკუტსკელი რეჟისორები ანა მატისონი და იური დოროხინი, მსახიობები დენის ბურგაზლივი (პაველ ლენინის „ლუნა პარკი“, მურზენკოს „აპრილი“) და ცნობილი ქართველი მსახიობი გიო ნაკაშიძე (ფილმით „მედიატორი“, რომელშიც ის მთავარ როლს ასრულებს, წელს მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის საკონკურსო პროგრამა გაიხსნა).

გიორგი ნაკაშიძე შორს, ურალს მიღმა გაემგზავრა. 36 საათი გზაში გაატარა: თბილისი – კიევი, კიევი – მოსკოვი, მოსკოვი – ციმბირი. ამას დაუმატეთ გადაჯდომა-გადმოჯდომა, ლოდინი და კიდევ ბევრი სიხარული... „რადაცნაირად, დამძიმებული ვიყავი, – გვიამბო გიომ, – ამდენი დროის სარტყელი, მძიმე ჰავა. აკლიმატიზაციაც გამიჭირდა. თითქოს მთელ სხეულში ტყვია ჩამასხეს...“

ცხადია, ციმბირია. იქ ბევრი რამ ისეთია, როგორც ან უკვე შორეულ საბჭოთა დროს იყო: ლენინის ძეგლები; მილიცია და ავტონისპექცია; სასტუმრო „ინტურისტი“, რომლის სააბაზანოშიც ისევ, როგორც მაშინ, ოთხკუთხედი საპონი დევს, თეთრეული გახამებულია, ლიფტებში ABBA და BeeGees ისმის, რესტორანში – На теплоходе музыка играет. კინოთეატრებში ლამის სენსები არსებობს – „ჯონი დი“ 00.00 საათზე! დაღამებისას – 100 გრამი არაყი, „მოსადუნებლად“, მერე – ტეკილა, სულ ბოლოს კი – სტრიპ-ბარი „იაგუარი“, სადაც ალიონზე დახლზე პირისპირ განოლილი, ამჯერად უკვე არა მოცეკვავე, არამედ ჭიქის სადგამის როლის შემსრულებელი ორი ქალი, გაოფლილი და ნელსაცხებლების სურნელის მფრქვევი, მუშტრებთან ერთად აგრძელებს სმას.

გზად – წარწერა: **Поэты по-байкальски.** პოზები ერთგვარი ხინკალი ყოფილა, დაკეპილი ხორციით. ამბობენ, გემრიელიაო, ოღონდ გიორგის არ გაუსინჯავს. სამაგიეროდ...

„გუშინ ბაიკალისკენ გავმუხურეთ და ლისტივანკამდე არმისული, პატარა დასახლებაში, აბანო გველოდა. ერთი ციდა, მაგრამ ძალიან კარგი აბანო. მთავარია, მასპინძელი გვიცდიდა. ნამდვილი სპეცია-



ლისტია, აბანოს ჩინებული მცოდნე და, რაც მთავარია, ადამიანების ჩინებული მცოდნე. მაგალითად, მე აბანოს დიდი მოყვარული არა ვარ, ექსტრემალური ტემპერატურები და აბანოს ნაირგვარი გამოცდები არ მიყვარს... ჩვენი მასპინძელი უმაღლეს ყველაფერს მიხვდა და ყველაფერი სწორად გააკეთა. გიორგი ნაკაშიძე საერთოდ პირველად იყო რუსულ აბანოში. რა დასაძალია და, შიში და ეჭვიც შეეპარა. მაგრამ აბანოს მეპატრონემ შთააგონა, რომ ის ჭეშმარიტი ციმბირელია, რომ ფოლადის დნობის ტემპერატურის ატანა შეუძლია, რომ ის ორთქლისთვისაა გაჩენილი. გიორგი ამაყი და საკუთარი თავით კმაყოფილი დაგვიჩა. მერე თევზი ჩვენ თვითონ შევბოლეთ და კარტოფილთან ერთად მივირთვიეთ. გიჟურად გემრიელი იყო!“

ეს ეგვენი გრიშკოვეცის ნამბობია, ნანყვეტი მისი დღიურიდან.

კვლავ გრიშკოვეცი: „ხვალ ძალიან ბევრი საქმე გვაქვს. უნდა დავამთავროთ, იმიტომ რომ ზეგ დილით ჩვენი ძვირფასი გიორგი ნაკაშიძე საქართველოში გაფრინდება. ყველაფერი უნდა მოვასწროთ, იმიტომ რომ ის სრულიად შეუცვლელია. ხვალ საღამოს წვეულება გვექნება და დავემშვიდობებით, შვიდ საათზე კი თვითმფრინავი შორს, შორს წაიყვანს. ჩვენ კი გადაღებებს განვაგრძობთ. Show must go on (სევდიანი ლიმოლი). პრემიერ-მინისტრიც ხვალ მიფრინავს, მაგრამ ეგ სხვებმა იდარდონ“.

რაც პრემიერს შეეხება: ბატისკავით ბაიკალის ტბაში ჩაყვინთვა ჰქონია გამიზნული, „ვითომ სხვა საქმე არაფერი ჰქონდეს“, – ეს გადაღებები ჯგუფის ერთ-ერთი წევრის კომენტარი გახლავთ. მისმა ჩასვლამ გიორგის გეგმები აურია. საქმე ისაა, რომ მსახიობს გადაღებების დასრულების შემდეგ სამი თვისუფალი დღე რჩებოდა, ბაიკალზე ნასასვლელად და თავგადასავლების საძიებლად. მაგრამ არა! აღმოჩნდა, რომ სცენას, რომელიც მიზანში სროლას ასახავდა, პრემიერის ქალაქში ყოფნის დროს ვერ გადაიღებდნენ, არ შეიძლებოდა. გადაღებები გადაიდო, ამიტომ სამ დღეს ორი დააკლდა. რალა გამოდიოდა?

„ბაიკალი ვნახე. ზღვაა. წარმოიდგინე, 25 მილიონი წლისააო. მილიონობით წელია, მდინარეები ავსებს, ბაიკალიდან კი მხოლოდ ერთი გამოედინება – ანგარა. დრო ცოტა მქონდა, სიღრმეში ვერ შევადინე. მხოლოდ ლისტივანკაში ვიყავი. ტურისტული ადგილია. იქ ვნახე шаман-камень.“



ხალხი ამბობს, რომ თუ კაცობრიობა ძალიან გააჯავრებს, ბაიკალი შამანის ქვასაც დაფარავს და მთელს დედამიწასაც წალეკავს. იმასაც ამბობენ, თუ კლდეს კარგად დააკვირდები, ზედ ბებერი შამანების სახეებს დაინახავ – სინამდვილეში, აქ არიან, არსადაც არ წასულან. და კიდევ ის თქვეს, რომ ბოლო წლებია, კლდე ინგრევა და არ არის ეს კარგი ამბავიო...“





### **გამოცა:**

**ვეფხისტყაოსნის პროზაული ვერსიები, ახალგაზრდებისთვის**



**ვეფხისტყაოსანს მოგიტხოვრებთ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია**

**შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს მოგიტხოვრებთ ლევან გველესიანი და მამუკა ცეცხლაძე**

**მხატვრის ალბომი ვეფხისტყაოსნის მოტივებზე: „ვეფხისტყაოსანს წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი“**

**ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფიული კატალოგი 1732 წლიდან 2009 წლამდე**

### **მოგიტხოვრებთ ვეფხისტყაოსნის შესახებ**

წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ  
ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანი“  
და სტამბა „სეზანი“.


**ღაზვიკავშირდით:**  
არტ კაფე „ქარავანი“  
მისამართი: ფურცელაძის ქ. 10  
ტელეფონი: +995 32 99 66 91  
899 67 77 56 ირინა შავერდაშვილი

სტამბა „სეზანი“  
მისამართი: წერეთლის გამზ. 140  
ტელეფონი: +995 32 35 70 02 ქეთი ბოჭორიშვილი  
893 35 14 64 დათო კარაჯაევი

# უბინძურესი სადარბაზოები, უსუფთავესი ფურცლები

ავტორი: დავით ბუხრიქიძე

„აი, თქვენ უკვე შორს ხართ სანაპიროსგან. დიდი ხნის განმავლობაში გვეუბნებოდით, რომ მეორე ნაპირიც არსებობს, მაგრამ ახლა არ გვეუბრათ. თითქმის არაფრის. და მაინც ვჯიუტად აგრძელებთ ცურვას, თუმცა ყოველი თქვენი მოძრაობა სიკვდილთან გაახლოვებთ. თქვენ დაიღალეთ, სუნთქვა სულ უფრო გიჭირთ და ფილტვები გტკივთ. წყალი სულ უფრო ცივი გეჩვენებათ და, რაც მთავარია, სულ უფრო მარილიანი. თქვენ უკვე ახალგაზრდა აღარ ხართ და საკუთარი არარაობის განცდა უფრო ცხადად გეუფლებათ – სწორედ ახლა, მარტოს, ღია ზღვაში. არაცნობიერი თითქოს გამხნეებთ, რომ სადაც, ძალიან შორს მეორე ნაპირი მაინც არსებობს – ყვითელი ქვიშით და სანაპიროზე მდებარე ბარში კონიაკით, რომელსაც სტუდენტობაში წრუპავდით. მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო, როცა ჯაზი მაგნიტით გიზიდავდათ და როცა სიცოცხლე უსასრულო გეჩვენებოდათ“...



მიშელ უელბეკის დრამატული ირონიით გაჯერებული ეს ტექსტი კარგად ერთმება რეჟისორ ალექსანდრე ქვირიას 48-წუთიან დოკუმენტურ ფილმს, რომლის პრემიერაც კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართა. ფილოსოფოსისა და პოეტის, მამუკა ლეკიაშვილის პოეტური კრებულის სათაური – „უბინძურესი სადარბაზოები“ კონკრეტულად და პირდაპირაა გაცხადებული ფილმის სათაურშიც, მთავარი და ლამის ერთადერთი პერსონაჟი თავად პოეტია, რომელიც დემიურგიცაა და მთხრობელიც. რეჟისორის შუერა მაქსიმალურად განტვირთულია. იგი არ თხზავს ნაწვლებს ან მიზანმიმართულად კინემატოგრაფიულ მეტაფორებს და კონცენტრირებულია მხოლოდ გმირზე: მის სახეზე, მეტყველებაზე, რეფლექსაზე, მოძრაობაზე, ყესტებზე, სიტყვებზე...

ფილმის დასაწყისი გაცილებით უფრო მრავალმნიშვნელოვანი და დამინტრიგებელი შეიძლება მოგვეჩვენათ: თბილისის რომელიღაც რიგით და არცთუ „უბინძურეს“ სადარბაზოში შედის მამაკაცი, რომელიც კარის წინ დაფენილ, არცთუ „უსუფთავეს“ ჯინსებზე ფეხს იწმენდს. კარზე წარწერა – „ლეკიაშვილი 35“. მაგრამ კარსა და კადრს მიღმა არანაირი „ექმენ-ჰორორი“ არ იმალება. იქ პოეტი და ფილოსოფოსი ლამის განდევნილივით ცხოვრობს. ძველი ნიგნები და 70-იანი წლებიდან შემორჩენილი ავეჯი, ისევე, როგორც თხრობის უბრალოება, კადრში მოხვედრილი საგნების შერჩევითი სიზუსტე და ასკეტურობა მიგანიშნებთ, რომ ინტელექტუალები ჯერ არ გადაშენებულან. ემოციას შეგნებულად მოკლებული, მშვიდი და მსხვილი ხედვები ნივთებს, ნახატებს და ნიგნებს ისეთსავე ტონალობაში ასახავს, რა ტონალობაშიც პოეტი ლექსებს კითხულობს: „არა მარტო მარტი მარტობს, მარტოს მარტო მარტი მართობს...“

ლექსებში ლიტერატორისთვის საამო და კარგად მიგნებულ სხვა მრავალ შედარებას, მეტაფორას თუ ალიტერაციას მოისმენთ. პოეტი კადრში თითქმის არ იყურება და თითქოს პროზას უფრო კითხულო-

ბს. მისთვის მისაღებ აუღელვებელ რიტმში, რომელიც ვიდეოკამერის ოდნავ დამღვლედი „მზერის“ სინქრონულია. ყოფითი დეტალებისაგან ოთახი სრულიად განტვირთულია. აქ თითქოს კი არ ცხოვრობენ, არამედ ლიტერატურულ სადამოებს აწყობენ. კითხულობენ (სხვებისთვის თუ საკუთარი თავისთვის), ალბათ ვაგენერსაც უსმენენ და ხატავენ (მაყურებლის თვალწინ მამუკა ლეკიაშვილი თეფშზე ქალის პორტრეტს ხატავს). მაგრამ, ამავე დროს, აშკარად იგრძნობა რაღაც უსასოობისა და წარმავალი კულტურის სევდიანი განწყობა.

ლეკიაშვილის პოეტური სამყარო ახლოა ფილოსოფიურ ლირიკასთან და კერძოდ, რილკესთან. ეს არცაა გასაკვირი. მამუკა ლეკიაშვილი 80-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა და შესანიშნავი ნაშრომები და მოხსენებ-

ებზეც ჰქონდა თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიაში. თუმცა ეს უკვე სხვა „ჟანრის“ ოპერედაა.

პოეტური ტექსტისა და გამოსახულების პროპორცია თანაბრად მნიშვნელოვანია და ეს ფილმის ესთეტიკაზეც აისახება. ლექსებს პოეტი ისე კითხულობს, თითქოს კამერას არც ამჩნევს. დოკუმენტური ფილმი-პორტრეტისთვის დამახასიათებელი სიცხადე და მაქსიმალური უბრალოება რეჟისორს საშუალებას აძლევს, გარემოს უკეთ დააკვირდეს და ნახატები კედლებზე, ნიგნები თაროებზე, ყავა თეთრ ფინჯანში თუ ცხელი უთოს ორთქლი ერთ მხატვრულ განზომილებაში მოაქციოს. ამიტომ იდუმალი პოეზია და ხელშეხახები საგნები ერთიანდება. და ბოლოს, „უბინძურესი სადარბაზოების“ კიდევ ერთი უსუფთავესი ფურცლის შესახებ: „ღამის შაშვი მიიძხრო შავმა ვეშაპმა, ადრე თუ გვიან ჩემამდე მოვა, ის ბნელი ღამე“, – ეს ვითომ გაურითმავ-გაურანდავი სტრიქონები სინამდვილეში უფრო პოეტური და მეტაფორულია, ვიდრე სწორად დანერვილი და სწორად ნაკითხული მეორეხარისხოვანი რეამარცვლიანი ლექსი. თუმცა, როგორც პოეტი იტყოდა, „ყველას რაიმე აქვს სასოვარი“.

ახალგაზრდა რეჟისორს, ალექსანდრე ქვირიას ჯერ განსაკუთრებული ან ხმაურიანი წარმატება არ ჰქონია. თუმცა უკვე აქვს ამ ჟანრში მუშაობის დიდი გამოცდილება. კინოოპერატორობას სწავლობდა თეატრისა და კინოს ინსტიტუტში კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე (დავით ჯანელიძის ჯგუფი). შემდეგ მოსკოვში, სადაც დაამთავრა სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის დოკუმენტური ფილმების სტუდია. მუშაობდა რეჟისორ ინეკ სმიტის ასისტენტად (ფილმი „მაგონია“). გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „ფანჯრები“, „აკრძალული ზონა“, „სასიყვარულო ისტორიები“, „სტივენინ“, „ქამე რუხი, შეინახე ნითელი“. „უბინძურესი სადარბაზოები“ ალექსანდრე ქვირიას ბოლო, ყველაზე „მსხვილმეტრაჟიანი“ ნამუშევარია.

25.09.2009  
04.10.2009

# არტ ზონა

# თბილისი

პოლონეთი/თბილისი  
strefa artystyczna polska/tbilisi  
art zone poland/tbilisi



**25 სექტემბერი**  
ვაჰის პარკი.  
კლუბი 33ა

18.00 - იუსტინა გელნიკევიჩის ფოტოგამოფანა

კინოფესტივალი  
20.00 - „რეისი“

**26 სექტემბერი**  
ვაჰის პარკი.  
კლუბი 33ა

კინოფესტივალი  
18.00 - „ვიღროგამოცანა“  
20.00 - „სემსინია“

**27 სექტემბერი**  
ვაჰის პარკი.  
კლუბი 33ა

კინოფესტივალი  
18.00 - „დათუნია“  
20.00 - „გაკონტროლებული ზარები“

**2 ოქტომბერი**

პარდების  
რევოლუციის  
მოედანი

17.00 - თეატრების ერთობლივი აქცია: მოძრაობის თეატრი,  
AKADEMIA RUCHU, KOMUNA OTWOCK, KLINIKA LALEK

20.00 - „კილოზანი“, TEATR ÓSMEGO DNIA

**3 ოქტომბერი**  
ბეთლემის უბანი  
ლაგუნა ვერე

13.00 - ხელოვნება და ყოველდღიური ცხოვრება ბეთლემში  
18.00 - FATA MORGANA

პარდების  
რევოლუციის  
მოედანი

20.00 - „კილოზანი“, TEATR ÓSMEGO DNIA

**4 ოქტომბერი**  
ბეთლემის უბანი

ვაჰის პარკი.  
კლუბი 33ა

13.00 - ხელოვნება და ყოველდღიური ცხოვრება ბეთლემში  
კინოფესტივალი  
18.00 - „სემსინია“

კონცერტები

20.00 - მაგადუ დიუფი + 33ა  
21.00 - PSIO CREW + ჩვენებურები

[www.artzona.pl](http://www.artzona.pl)





# მუხათა კლასი „სამოთხეში“, ინტელექტუალები – გილიოტინაზე

ავტორი: ღაბოძე ბუხრაქიძე

იმის უარყოფა, რომ XX საუკუნის საბჭოეთის სივრცეში, ისევე, როგორც საქართველოში, მარქსიზმი უდიდესი საცდური და პრივილეგია იყო, შეუძლებელია. მაგრამ ვინც დღეს ამტკიცებს, რომ ამ მეინსტრიმად ქცეული ფილოსოფიური სისტემის მიღმა დარჩენილებმა – მეცნიერებმა, ინტელექტუალებმა, დისიდენტებმა ან უბრალოდ ახალი დროის პოლიტიკოსებმა დიამეტრალურად შეცვალეს საქართველო, ან იტყუება ან ყველაფერს ივიწყებს. იმიტომ, რომ მეხსიერების გარეშე უფრო ადვილია მითების შექმნაც და გავრცელება, ხალხის დიდ ნაწილს თუ არა, ვიღაცებს მაინც ახსოვთ, რა იყო სინამდვილეში 30-იან წლებში. რა შეიცვალა განვითარებული სოციალიზმის ხანაში და რა მოხდა 1990 წლის შემდეგ, ანუ დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბების შემდეგ?

ყველაზე არსებითია იმის გაანალიზება, თუ როგორ მოხდა სოციალური და კულტურული ღირებულებების გაუფასურება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და ამ კონტექსტში რა გახდა 80-იან წლებში ნგრევისა და პოლიტიკური სისტემის ხელახალი „ნაკითხვის“ მიზეზები. ჯერ კიდევ ცოცხალი ბოლშევიზმის ხანაში (30-იან წლებში და შემდეგაც) გაფილტრული და რეპრესირებული ინტელიგენცია რეალურად იმყოფებოდა საბჭოთა პარტოკრატის მკაცრი და ფხიზელი კონტროლის ქვეშ. იმ ეპოქის მოაზროვნე ნაწილს პრაქტიკულად არასოდეს ჰქონია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება. მათ ზემოდან უყურებდნენ, უხეშად ექცეოდნენ ან პრიმიტიულად ქრთამავდნენ. მათ დილიდან საღამომდე მუშაობა უწევდათ, რისთვისაც მცირე ანაზღაურებას იღებდნენ; ექსპლუატაციას უწევდნენ და ამცირებდნენ, აიძულებდნენ გაუნათლებელთა და ბრიყვთა იდიოტური ბრძანებების შესრულებას...

30-იანი წლები რადიკალური ცვლილებების დრო იყო. პრივილეგირებულმა ახალმა კლასმა (ანუ მუშ-გლეხებმა) არ იცოდა ახალი ტექნოლოგიები, მანქანების ამუშავება, სახლების შენება, ბავშვთა აღზრდა, ავადმყოფთა მკურნალობა, დანე-

სებულებათა ხელმძღვანელობა. მათ არ შეეძლოთ მრენველობის განვითარება და აგრარული რეფორმის გატარება. ისინი იძულებულნი იყვნენ, ესარგებლათ იმ განათლებული ადამიანების მომსახურებით, რომლებიც შიმშილობდნენ, მაგრამ აღსავსე იყვნენ სამოქალაქო თავგანწირვისა და ქვეყნის ერთგულების სულისკვეთებით.

მაგრამ გავიდა დრო და ათწლეულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ ხალხმა, „მორჯულებულმა ინტელიგენტებმა“ გარდაქმნეს ქვეყანა ნეობოლშევიკურ ყაიდაზე. შესაბამისად, ისინი არიან პასუხისმგებელი ეპოქის ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ დრამატულ მოვლენაზე. მუშებისა და გლეხების ფენა, რომელსაც თავის დროზე „სამშობლოს სიყვარული“ ასწავლეს, იქცა რბილი და ცბიერი კომუნისტური რეჟიმის დამცველად. თუ დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ, ანუ „ოტტეპელის“ ხანაში ინტელიგენციის „ელიტა“ ჯამბაზის სასახელო ჩაჩს საზეიმოდ მაინც ატარებდა, რევოლუციის შემდეგ იგი (ასევე საზეიმოდ) გილიოტინაზე აიყვანეს.

თავის დროზე ახალი, ანუ „საბჭოთა ინტელიგენცია“ მთელი თავისი წარსულითა და კომპლექსებით, ყალიბდებოდა რევოლუციური შეშლილობის, მგლოვიარე პათოსისა და სასონარკვეთილი სულიერების პირობებში. უკვე წესად, ცხოვრების ნორმად, იქცა, რომ კარიერისტი და ოპორტუნისტი, დილეტანტი და თაღლითი პირველები ესწრაფოდნენ აეღოთ სიტყვა, გადაეფარათ სხვების ხმა, ისინი წარმოაჩენდნენ უმაგალითო თვითდაჯერებულობას, მათ უსმენდნენ შიშითა და მორჩილებით, რადგანაც იმ სახელმწიფოში ძალა ახალი კლასის მხარეს იყო. მართლაც, ახალმა ძალამ თუ პოლიტიკურმა კლასმა, პირველად ისტორიაში, იგრძნო საკუთარი უპირატესობა, საკუთარი მნიშვნელობა და ძალაუფლება. ამ პროცესში შურისძიების აქტი უფრო იგრძნობოდა – საუკუნოვან უსამართლობაზე, დამცირებასა და ჩაგვრაზე. სწორედ ამაში მდგომარეობდა საბჭოთა რევოლუციის არსი. უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რომ რევოლუცია ხიმტებითა და ძალადობით



მოაწყვეს, არამედ რა მოუვიდა ხალხს და რატომ შეიცვალნენ ადამიანები. მაგრამ საბჭოურ ცვლილებებში თავად ინტელიგენციის კაპიტულაციისა თუ დათმობის აშკარა კვალიც ჩანს. ის, ვინც ამტკიცებს, რომ ხალხი სასოწარკვეთილი იყო მომხდარი კატასტროფის გამო და ბოლშევიკების შემოსვლის მიუხედავად, თავს არიდებდა მათთან თანამშრომლობას, შეიძლება ამარტივებს სიტუაციას, მაგრამ ვერ ხსნის რეალურ მიზეზს – რატომ აღმოჩნდა ინტელიგენცია განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში უპრინციპო და უხერხემლო. მით უმეტეს, როცა საქართველო სულიერად დასავლეთის სამყაროს ანუ ადამიანის დემოკრატიის კულტურისგან ბოლომდე მოწყვეტილი არ ყოფილა.

ფაქტია, რომ ძირულმა ცვლილებებმა მეოცე საუკუნის ბოლოს არა მხოლოდ პოლიტიკური სისტემა შეცვალა, არამედ ინტელიგენციაც. მაშინ საბჭოთა საქართველოში ადამიანის უფლებებს არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ იმდროინდელი და გასაგები პოლიტიკური აპათიის გამო. უკვე პოსტკომუნისტურმა გარემომ ადამიანის უფლებების სფერო, საზოგადოებრივი ინტერესები ხელოვნებისა და ფილოსოფიის სფეროდან პოლიტიკურ სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს გადაულოცა. შეიცვალა დისკურსიც – უარმყოფელი აპათიიდან აქტიურ პოლიტიკურ პოზიციამდე.

დღეს აუცილებელია და საჭიროც, გავიხსენოთ სოციალური თუ პოლიტიკური ცნობიერების ცვლილების მიზეზები, რადგან ისინი გვეხმარებიან ამოვხსნათ ამოცანა – რატომ დაგვიტოვა ასეთი უცნაური და ღრმა შედეგები 1990 და 2003 წლების შემდეგ ჩვენი მენტალტეტის ანტიბოლშევიზაციამ. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ განათლებული ადამიანების დეკლასირება თითქოს დაგვემილიც კი იყო. 1989 წლის პოლიტიკური მოვლენების შემდეგ პოლიტიკურ ისტაბლიშმენტს (ყოფილი დისიდენტისა და შემდეგ პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით) არ შეეძლო არ დაენახა რით დასრულდებოდა განათლებული წრეების კონფლიქტი პოლიტიკურ მიზანშეწონილობასთან. იყვნენ ისეთი რადიკალებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ პირველ რიგში არა განათლება, არამედ მხოლოდ გულწრფელი სურვილი და პატრიოტიზმი საჭირო ახალი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ასაშენებლად. გამსახურდიას ხელისუფლებას სურდა ყველაფრის კომპრომეტირება, რაზეც თავის დროზე პრეტენზიას კომუნიზმის ეპოქის განათლებული წრეები აცხადებდნენ, აკეთებდნენ და ავრცელებდნენ ქვეყანაში. მაგრამ „კომპრომატების ხელოვნებას“ ახალი დროის შვილები სრული გულწრფელობითა და დახვეწილობით ვერ ფლობდნენ. ხოლო დემოკრატიისა და ტოლერანტობის იდეალები ფართო მასების საყოველთაო მონაწილეობის გარეშე არ და ვერ განხორციელდებოდა.

თამაშგარე დარჩენილი ინტელიგენციის კლასი მსგავსი პრობლემის წინაშე კვლავ აღმოჩნდა უკვე 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომელიც თავის მხრივ წყალგამყოფი აღმოჩნდა 1991 წელს დამხობილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და 1992 წელს საქართველოში დაბრუნებულ, ყოფილი საბჭოეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებას შორის. გასაგები იყო, რომ ძველი კულტურულ-პოლიტიკური სივრცის დანგრევის საპასუხოდ,

რევანში და სოციალურ კიბეზე ხელახლა ასვლა ისევ იმ კლასს სურდა, ვინც ეს ყველაფერი 1989 წელს დაკარგა; ანუ პარტიულ და კულტურულ ნომენკლატურას, რათა ხარისხობრივად გაეუმჯობესებინა თავისი უნიდელი მორალური და მატერიალური მდგომარეობა. თუმცა მსოფლიოში მომხდარი ცვლილებების გამო, კომუნისტებისა და ნომენკლატურის ხელახალი აღზევება-ძალისხმევა მოსალოდნელ შედეგებს ვერ მოიტანდა.

ოცდამეერთე საუკუნეში ჩვენ თითქოსდა უცოდველი, ვოლტერისეული ცინიზმით და დიდროსეული გულუბრყვილობით დავუბრუნდით ახალი, პოსტსაბჭოთა დროების ცოდვისა და რევანშის რითმას, რომელიც სრულიად ბუნებრივად ბადებდა ექვანარევი კითხვას: იქნებ, უმჯობესია ვაპატიოთ, რადგან არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ? არადა, გასაგებია კომუნისტები რასაც სჩადიოდნენ. გაავსეს დაწესებულებები ბიუროკრატით, ციხეები – ყველაზე განწირული, დაუცველი დამნაშავეებით, სანარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები – მექრთამეებით. ამავე დროს, საოცარი მოხერხებულობითა

**ქველი კულტურულ-პოლიტიკური სივრცის  
დანგრევის საპასუხოდ, რევანში და  
სოციალურ კიბეზე ხელახლა ასვლა ისევ  
იმ კლასს სურდა, ვინც ეს ყველაფერი 1989  
წელს დაკარგა; ანუ პარტიულ და კულტურულ  
ნომენკლატურას, რათა ხარისხობრივად  
გაეუმჯობესებინა თავისი უნიდელი  
მორალური და მატერიალური მდგომარეობა.**

და მიზანმიმართულობით მოიპოვეს თავისთვის რეალური ძალაუფლების სივრცე, მოახდინეს კომპეტენტური და დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანების მარგინალიზაცია.

მოარული შეხედულება, რომ პოსტსოციალიტარულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, კომუნიზმმა გაანადგურა კულტურული თუ სასამართლო სივრცე, ადამიანის უფლებები და ეკონომიკური სისტემა, სამართლიანია, მაგრამ მხოლოდ ცარიელ ფრაზეზად დარჩება, თუ არ გამოვარკვევთ, ვინ ახორციელებდა, რატომ და რა მიზეზებით ამ ყველაფერს. ან ვისთვის მოჰქონდა „კომუნიზმის აჩრდილს“ მაქსიმალური სარგებელი, რომელიც დაახლოებით 70 წელი დამამიმედებელ ილუზიად დაქროდა აღმოსავლეთი ევროპის ბანაკში. საინტერესოა, რომ ისევე, როგორც ნახევარი საუკუნის წინ, განათლება დღესაც ხშირად რელიგიურ ცოდვას უპირისპირდება, უვიცობა კი სულის სინმინდისა და ეროვნული იდეისადმი ერთგულების საბუთად მიიჩნევა. როგორც მაშინ, ასევე დღეს, პრიმიტიული ევალიტარიზმი თავისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ თვლის განათლებულ ლიბერალურ დასავლეთს. მიუხედავად იმისა, რომ ინტელიგენციის, როგორც კულტურულ-პოლიტიკური კლასის დასასრული გარდუვალია, ხოლო კომუნისტური მითოლოგია წარსულს ჩაბარდა, დღეს უკვე საბაზრო ეკონომიკისა

## კომენტარი

და მორალური რელატივიზმის მომხრეები ზღაპრებს ჰყვებიან ნეოკომუნისტებზე, რომლებიც თითქოს საქართველოს საფრთხეს უქმნიან. არადა, მმართველი კლასი სწორედ კომკავშირის წიაღის, პარტიული ელიტების, სამრეწველო სტრუქტურებიდან გამდიდრებული და კორუმპირებული სასამართლო სისტემის წარმომადგენლები არიან. მათ ძველი და მტაცებლური ჩვევები უბრალოდ კარგად დახვეწეს და წარმატებად, ძალაუფლებად, სიმდიდრედ აქციეს...

რამდენიმე წლის განმავლობაში, ეროვნულმა მოძრაობამ ქვეყნის განახლების, ადამიანის თავისუფლების, დაკარგული ღირებულებების აღდგენის იმედი გააღვიძა. ამის გარეშე 80-იანი წლების მშფოთვარე მინურული წარმოდგენელიცაა. მაგრამ ეს ნაციონალურ-რომანტიკული პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდება. ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ XX საუკუნის ბოლოს და დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხელისუფლებაში უნდა იყვნენ კულტურული და მაღალი კვალიფიკაციის ჩინოვნიკები და ისინი პრინციპებით ხელმძღ-

**როლდასა ინფორმაციითა და  
თანამედროვე პიარით შენდული  
უვისობა დაბრკოლებად იქცევა  
სინამდვილის განსაზღვრად, ჩიხში  
მოქცეული აზროვნება გააღმავლით  
ეძებს იდეოლოგიურ პარალელსა  
და არბუნებებს.**

ვანელობდნენ, მაინც მიუღებელი აღმოჩნდა ფართო მასებისათვის. ათწლეულების განმავლობაში ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ძალაუფლებას ის ფლობს, ვისაც იგი საკუთარ თავზე მეტად უყვარს და სჭირდება, ვინც იმდენად მოხერხებულია, რომ სადაც საჭიროა, აღმოჩნდება. და რომ, ცოდნა, განათლება, კულტურა მეორეხარისხოვანია. არადა, განათლებულ და დახვეწილ ადამიანებსაც კი ხშირად უკვირთ, როცა ჩვენი მემარჯვენე თუ მემარცხენე პოლიტიკოსები ამდენ ტყუილს მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით ქადაგებენ.

როდესაც ინფორმაციითა და თანამედროვე პიარით შენდული უვიცობა დაბრკოლებად იქცევა სინამდვილის გასაგებად, ჩიხში მოქცეული აზროვნება გამაღებით ეძებს იდეოლოგიურ პარალელსა და არგუმენტებს. ფაქტობრივად, დამოუკიდებლად მოაზროვნე და პოლიტიკურად აქტიური ადამიანი არასასურველიცაა, რადგან ის აღარ არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე, იდეოლოგიაზე, კარგად ორგანიზებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ კვლევით ცენტრებზე. ესაა მთავარი პრობლემა, რომელმაც მრავალი წლის განმავლობაში კომუნისტებს სწორად მართვის საშუალება არ მისცა. დღეს კი მმართველი და მეტ-ნაკლებად მოძლიერებული პოლიტიკური კლასი იგივე მითებსა და მარწუხებში იმყოფება – ვინც მიღმაა, ის სხვაა და უცხოა. ამიტომაც გან-

დეენილი სოციალური, სააზროვნო, პოლიტიკური თუ კულტურული სივრცეებიდან.

თითქმის ყველა ეთანხმება პლებურის სუბკულტურის, გასაშუალოებული, უსახური ადამიანების თუ დილუტანტების არსებობას საშუალო რგოლში. ყველა ან თითქმის ყველა ფარულ, ღია, დამცინავ და ლამის რიტუალურ ომს წარმართავს ინტელიგენტურ ეთოსთან, რისი მიზეზებიც, რასაკვირველია, თავად ინტელიგენციის მითის დასასრულში უნდა ვეძიოთ. ყველა ან თითქმის ყველა, როგორც 50 წლის წინ, თვლის, რომ ინტელიგენციის ადგილი სოციალურ სივრცეში აღარ არსებობს, რადგან ერთ დროს ის ხელს უშლიდა ბნელი და სტალინისტური სიმძიმის მქონე სოციალიზმის მშენებლობას, ახლა ხელს უშლის გამჭვირვალე შუშებით ნაგები კაპიტალიზმის აშენებას. ალბათ იქ უნდა დასახლდეს ჩვენი აბსტრაქტული საშუალო ფენა, რომელიც ომებითა და კრიზისით დაღლილმა ქვეყანამ ვერა და ვერ გააჩინა, ისევე როგორც თავის დროზე მუშათა კლასი ვერ გაემგზავრა ბოლშევიკების აგებულ „სამოთხეში“.

ჩვენ ვიცით, რომ სინამდვილეში საქართველოში არანაირი საშუალო კლასი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ახალი სამოსელი, ახალი კოსტუმები და შეღებილი დეკორაციები. ფსკენილით მორთული შავ-თეთრი ფანატიკოსები, გაქსუებული ბანკირები და მენარმეები, ცრუ-მემარცხენეები და მყვირალა ანტიკლერიკალები, ლუმპენები და უმუშევრები... და ყველანი საერთო მტერს – გამყიდველ ინტელიგენციას ეძებენ. ამასობაში სასოწარკვეთილი და ცუდად ტრანსფორმირებული ინტელიგენცია სამღვდელოებას ელოლიავება და თავს ინონებს. გუშინდელი ჩინოვნიკი და დღევანდელი მოსყიდული ობივატელი ერთ მწკრივში დგანან, ერთობლივ გამოსვლებსაც აწყობენ გუშინდელი „მტრების“ – ინტელიგენციის წინააღმდეგ. იმეორებენ მაღალფარდოვან უმსგავსობას დემოკრატიის, მამულისა და მართლმადიდებლური წმინდისადმი ერთგულების შესახებ. ერთხმად გაიძახიან, რომ ინტელიგენტი აუცილებლად ვიღაცას მარიონეტია. ხოლო თუ პოლიტიკური პროტესტი აქვს, აუცილებლად მოლაღატებთან ან რუსეთის სპეცსამსახურებთან არის შეკრული.

კომუნისტების დაისის ეპოქა, რომელიც თავის დროზე ეგზალტირებულმა, ეზოთერიკოსმა ზვიად გამსახურდიამ რიტუალური მიტინგებით „შეაჩვენა“, ასევე ედუარდ შევარდნაძის დაჭაობებული სტაბილურობის, „განათლებული წრებისა“ და „წითელი პროფესურის“ ეპოქა 90-იან წლებში, ძალიან შორს იყო სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა და მათ შესახებ რეალური წარმოდგენებისაგან. თუმცა ცუდად შეღებილი იმედების ნანგრევებზე მდგარი დღევანდელი ხელისუფლება ძალაუფლებაზე თითქმის იგივე წარმოდგენას ქმნის, ანუ იგივე მითოლოგიას მისდევს.

მერე რა, რომ მთავარი პრიორიტეტი ლურჯ დროშაზე მოციმციმე ყვითელი ევროვარსკვლავებია და მკრთალად მოციმციმე იმედი, რომ ოდესმე ნატო-ში მიგვიღებენ. უცვლელი რჩება (როგორც ნახევარი საუკუნის წინ, განვითარებული სოციალიზმის ხანაში) კარგად შენდული უვიცობა და შეღებილი პიარი. როგორც იტყვიან, საქმე – ლაპარაკის ნაცვლად.



# პროფილი ანფასში

ავტორი: სანდრო ნავარიანი

„ბიძია, დამეხმარეთ!!!“ – ერთ-ერთი „პროფილი“ მათა ასათიანმა სწორედ ასე, უსახლკარო ბავშვების სიტყვების ციტირებით დაიწყო. და მერე: „ამ სიტყვების შემდეგ ჩვენი მოქმედება მექანიკურია – ვყოფთ ჩანთაში ხელს, ვიღებთ ხურდას, ვაგდებთ გამოწვდილ ხელში, ვაგრძელებთ გზას და გვგონია, რომ ვალი მოხდლია“... ასე დაიწყო უსახლკარო ბავშვებისთვის მიძღვნილი „პროფილი“.

თავისთავად, როდესაც ეს პრობლემა – უსახლკარო ადამიანები – განუხებს და განუხებს არა როგორც გარემოს, არამედ შინაგანად არ გაძლევს მოსვენებას, ძალიან კარგია. ეს ნიშნავს, რომ შენ ცხოველი არ ხარ. და თუ ამ პრობლემის გადასაჭრელად რაიმე ზომებს მიიღებ, ხომ საერთოდ, შენ ადამიანი ყოფილხარ. მაგრამ როდესაც ამ ადამიანების უბედურ არსებობაზე შოუს გააკეთებ ანუ მათი უბედურებით მანიპულირებ, მაშინ უკვე ღმერთმაც არ იცის, რა ხარ.

ჩვენს რეალობაში სამივე ტიპს ნახავ. ადამიანს, რომელიც ცხოველი არ არის; ადამიანს, რომელიც ადამიანი, და ადამიანი, რომელსაც სახელს თვით მაღალი ღმერთიც ვერ არქმევს. ამ რეალობის ზედაპირზე კი ყოველდღიურად მხოლოდ ამ უკანასკნელი ტიპის ადამიანები ტივტივებენ. მათ საკუთარი გადაცემები აქვთ და მათ ამ გადაცემებში პატიჟებენ. რაც ყველაზე უკეთ გამოსდით, საკუთარი გულმონყალების გასაპიარებლად საჭირო მანიპულაციაა.

ტივტივებად ცემამი მანიპულირება ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს, ამ შემთხვევაში ისევ და ისევ სოციალურად დაუცველ ადამიანებს, შოუს სპეცეფექტებად იყენებენ. ეს ადამიანები (რომლებიც ადამიანები არიან) გადაცემის პროდიუსერების თვალში კარგავენ სულიერებას და იძენენ ეფექტური დეკორაციისთვის დამახასია-

თებელ ნიშან-თვისებებს. ამ ადამიანების პირადი განცდები, გარეგნობა, უბადრუკი გამომეტყველება თუ სასონარკვეთის მომგვრელი ისტორიები გადაცემის წამყვანისთვის მნიშვნელოვანია, როგორც სერი, რომელიც საზოგადოებას შოკში ჩააგდებს, დაზაფრავს, გულს აუჩუყებს. ასეთი გადაცემის წამყვანები და ავტორები ისეთი უნივერსალური პოზიტივებით სპეკულირებენ, როგორც არის „სიკეთე“, „კეთილშობილება“, „მონყალება“, „დიდსულოვნება“... სოციალურად დაუცველი ადამიანების გადაცემაში მიწვევაც მათი მხრიდან სწორედ ამ თვისებების ხმაურიანი დემონსტრაციაა: აი, როგორი კეთილი ვარ მე! მე თქვენ მოგეცით ასპარეზი, ტრიბუნა, ხედავთ, როგორ ვზრუნავ თქვენზე, როგორ განვიციდი თქვენს გაჭირვებას?! გააგონეთ თქვენი ხმა ხალხს... ჩვენ ხომ ყოველდღე ვხედავთ და გვესმის მსგავსი ისტორიები, უკვე რამდენი წელია. ეს არ არის ქართველებისთვის ახალი ამბავი და მათ უკვე, დიდი ხანია, აღარ აქვთ არც ნერვები და არც ინტერესი სერიოზულად აღიქვან მსგავსი ისტორიების დრამატულობა.

ავტორებს რომ ვკითხოთ, რას ემსახურება „პროფილი“, ალბათ გვიპასუხებენ, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას და მათი პრობლემებით იმ პირების დაინტერესებას, რომელთაც სოციალურად დაუცველების დახმარება პირდაპირ ევალებათ, ანდა ამის საშუალებას ფული და გავლენა აძლევთ. თუმცა, ეს პასუხი ცალსახად არასწორია, რადგან მედიის ისტორიას არ ახსოვს, მსგავსი ერთჯერადი დადგმებითა და შოუებით რომელიმე პრობლემა ძირფესვიანად აღმოფხვრილიყოს. მიუხედავად იმისა, რომ „პროფილის“ ვალდებულება არ არის ანალიზების კეთება, ის, უბრალოდ, ზედაპირულადაც კი არ ინტერესდება არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზებით. ერთადერთი, რასაც ქალბატონი მათა ასათიანი აკეთებს, არის ფამილარული ტონით დასმული კითხვა: „როგორ დაიწყო შენი/თქვენი ამბავი?“ ესეც მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ გადაცემას ერთგვარი სიმძაფრე შეემატოს. ეჭვი მეპარება, ქალბატონმა მათამ იცოდეს (და არც არავინ ეუბნება), რომ ერთჯერად გადაცემას ერთადერთი, რაც შეიძლება მოჰყვეს, ამ ადამიანების ერთჯერადი დახმარებაა, რომელიც ისევ და ისევ სანახაობად იქცევა, შოუს ჰეიფენდად, იმ ერთი გადაცემის კვანძის გახსნად. ეგაა, მეტი არაფერი. გავიხსენოთ შოკოლადივით ოპრა უინფრი და მისი შოუ შვეიცარიული საათივით მომართულ ამერიკაში.

„პროფილის“ მაცურებელი თავს იქცევს საზარელი ისტორიებით, იმიტომ, რომ ნებისმიერი საზარელი ისტორია ადამიანებში ცხოველურ ინტერესს იწვევს, მაგრამ ის არ სცდება ინტერესს – სრულდება ამბავი, გადაცემა და სრულდება – განცდაც და ინტერესიც, მერე მაცურებელი თავის ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება, ცხოვრებას, რომელშიც არ არის კიდევ ერთი გაჭირვებულის ადგილი. „პროფილის“ ამბები მძიმე რომანივით არის – კითხულობ და გითრევს, სენსორებს გიძაბავს, გაინტერესებს ფინალი და აი, დაამთავრე, შემოდე თაროზე და თუ არ დაგჭირდა, არასდროს გაიხსენებ.

ერთ-ერთ გადაცემაში მათა ასათიანს სტუმრად ჰყავდა ქალბატონი, რომელიც ახალი გათავისუფლებული იყო ქალთა კოლონიიდან. ამ ქალბატონის კოლონიიდან გათავისუფლება მაშინდელი იუსტიციის მინისტრის ნიკა გვარამიას ინიციატივით მოხდა. ეს ქალბატონი სამაჩაბლოდან ყოფილა. კოლონიიდან გათავისუფლების შემდეგ ბატონმა ნიკამ თავად, თავისივე მანქანით ჩაიყვანა ქალბა-



ტონი აგვისტოს ომის შემდეგ შვილების სანახავად. ქალბატონმა, თუ არ ვცდები, იქ გაიგო, რომ რუსების მიერ გორის ერთ-ერთი დაბომბვისას ერთი შვილი დაეღუპა. ეს ყველაფერი „პროფილის“ სიუჟეტში იყო ასახული. ამის შემდეგ იყო ქალბატონის ემოციური ისტორია რის მერეც წამყვანმა სტუდიაში ვახტანგ ბუცხრიკიძე მიიწვია. ამ უკანასკნელმა ყოფილ პატიმარ ქალბატონს ბინა აჩუქა. ქალს ცრემლები წასკდა (თუმცა იმ წუთას არავის ადარდებდა, ეს სიხარულის ცრემლები იყო, მადლიერების, თუ სიმწრის). ბუცხრიკიძემ დამსახურებული აპლოდისმენტები მიიღო, მაია ასათიანმა კი კარგად გაზეპირებული საეკრანო ღიმილით ქალბატონი დაამშვიდა, რომ ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება.

არადა, ამ დამატებითა „აქსესუარებმა“ – ტაშმა, მაია ასათიანის ბედნიერებამ, ჰეფი-ენდის ილუზიამ და საერთოდ იმ სტუდიაში შექმნილმა ზოგადმა პათოსმა ყველაფერს დაუკარგა ფასი. იმ ყალბი ზეიმისა და ერთჯერადი სიხარულის ფონზე ამ ქალის ტრაგედიაც გაუფასურდა, და ბუცხრიკიძის, ვინ იცის, მართლა კეთილშობილური გადაწყვეტილებაც. ამ სპეცეფექტებმა მაყურებელი დააეჭვა და გააღიზიანა – ეს ყველაფერი რეკლამისთვის ხომ არ გაკეთდა? რეკლამისთვის, რომლის პათოსიც იყო – აი, შემოგვხედეთ, ჩვენ თანაფერძნობთ, განვიცდით და შესაბამისად ვმოქმედებთ.

როგორც წესი, რეკლამის ასეთ ფორმას მაყურებელი მარტივად შიფრავს ხოლმე და ვინც ვერ შიფრავს და იჯერებს ამ ფარისევლობას, ღიზიანდება. ღიზიანდება იმიტომ, რომ ფიქრობს, რატომ ის და მე – არა? არც მე მაქვს სახლი და შვილი მეც დაკარგული მყავს. ეს აჩენს ტენდენციას – თუ სახლი არ გაქვს, პავლე გიციდის, ციხიდან გამოგვიშვებს – სავლე, ტრიბუნას დავითობს – მაია ასათიანი, თავის ერთ-ერთ დიდ ხუთშაბათს. ეს საშუალო ტენდენციაა, განსაკუთრებით კი გაზარმაცებული, უპასუხისმგებლო და გაზულუქებული „ქართველი ხალხისთვის“.

ასეა, მთავარი აქ ის კი არ არის რამდენი ადამიანი შეინყალა ოუსტიციის მინისტრმა და რამდენს გადასცა ბინა ამა თუ იმ „ქველ-

მოქმედმა“, აქ მნიშვნელოვანია „ელიტა“, ადამიანები, რომლებიც „ენერგიულად არიან ჩართულნი“ საგარეო პოლიტიკის სწორად მართვაშიც და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებშიც. ისინი იმდენად უნივერსალური არიან, რომ თვალთახედვის მიღმა არც ერთ პრობლემას არ ტოვებენ. სუპერმენის მანტია-მოსხმულები ყველაფერზე რეაგირებენ, მსხვილ საზოგადოებრივ პრობლემებზეც და ერთი კონკრეტული ადამიანის პირად ტრაგედიაზეც. აქ მნიშვნელოვანია „ახალი ქართული ელიტა“ (!), სახეები, რომლებიც ყოველდღე ჩანან ეკრანებზე და მათი პიარი, პიარი, რომელიც საწყალი ადამიანების ხარჯზე კეთდება.

უამრავი ადამიანი ვიცი პირადად მე, რომლებიც ყოველდღე იმაზე მეტს აკეთებენ სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის, ვიდრე ამ ორმა ერთად გააკეთა და კიდევ მესამე – მაია ასათიანმა. როდემდე შეიძლება „ქართული ელიტა“ მანიპულირებდეს ამ ადამიანებით, მათი ისტორიებით და გაჭირვებით. როდემდე უნდა გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენს მოქალაქეებზე მხოლოდ „ელიტა“ „ზრუნავს“!

სხვათა შორის, ზემოთ აღნიშნული გადაცემა, პატიმარი ქალის ისტორია, და ის, თუ როგორ გააშუქა ყველაფერი მაია ასათიანმა, ამ მანიპულირების ერთ-ერთი ყველაზე მახინჯი მაგალითია. მაგრამ მერე რა, არც არაფერი მომხდარა, მაია ასათიანმა რეკლამაზე ღიმილით და ჩვეული გულწრფელობით გაგვიშვა – ყველაფერი ხომ კარგად დამთავრდა და ჭირსაც წაუღია ადამიანები, მათი ბედიც, მათი ღირსებაც და მათი უფლებებიც.

აი, ასეა, კეთილშობილი მედიატორის როლს თამაშობენ. როგორი საამურია ცხოვრება მაია ასათიანთან ერთად.

რაც უნდა დავგემართოს, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთან არის „პროფილი“ და არაფერი გაგვიჭირდება, ის გვიხსნის ყოველთვის. ყოველ შემთხვევაში, მომავალ ხუთშაბათამდე მაინც.

P.S. ახლა კი მაია ასათიანს ნამდვილად ჰგონია, რომ ვალი მოხდოდა.

# „იანვანამ“ რა ქნას?

ავტორი: გიორგი ხსანია



არსებობს სიკეთის ძალადობა – როცა ვილაცას აძლევ იმას, რასაც ვერასდროს დააბრუნებს, აუცილებლად გაბოროტდება. კი არ ართმევ, აძლევ, მაგრამ ბოროტი ხდება. იმის შეგრძნება აბოროტებს, რომ ვერასდროს გადაიხდის სამაგიეროს. ბოდრი-

რი ამბობს ერთგან ამას, თუ რალაც ასეთს. ირინა ხიზანიშვილი იმ ოჯახებიდან რომელიმეს ნევერი რომ იყოს, რომლებსაც პაატა ბურჭულაძის ფონდმა ბინები გადასცა, შეიძლებოდა სიკეთის ძალადობაზე ლაპარაკი, მაგრამ ასე არ მომხდარა. მაშ, რა მოხდა ზოოპარკში? უფრო სწორად, რამ გააბოროტა ირინა?

## ბ) ხუი ტაბე (დ.ა. პრიბოვი)

ირინა ხიზანიშვილი ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტიკა. პაატა ბურჭულაძის მოსკოვურ კონცერტთან დაკავშირებით სწორედ მან მოამზადა სიუჟეტი. როგორც ცნობილია, კრემლი, დიდი ხანია, ეძებს ქართველ ხელოვანებს, რომლებიც მის სა-მსახურში ჩადგებიან – დაახლოებით ასეთმა ფრაზამაც გაი-ჟღერა. მთელი სიუჟეტი ისე იყო აგებული, რომ სასონარკვე-თილ მაყურებელს უნდა აღმოხედნოდა, – ეს როგორ იკადრა ბურჭულაძემ, ბლინ, არაფერი წმინდა არ დარჩაო. როგორც ფონდ „იანვანაში“ თქვეს, პაატა ბურჭულაძე იქ საქველმოქ-

მელო კონცერტში იღებდა მონაწილეობას. მისი ფონდიც სწორედ ამ საქმიანობით არის დაკავებული. ბურჭულაძე ბადრი პატარკაციშვილი ხომ არ არის, ისედაც ნათელია, რომ მისი საქველმოქმედო საქმიანობა არ უკავშირდება მომავალში მის პოლიტიკურ მიზნებსა და ამბიციებს. რაში სჭირდებათ მისი ლამის მოლაღატედ გამოცხადება?

არც ისე დიდი ხნის წინ ხელისუფლება რუსეთთან დისტანცირების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. ლაპარაკობს დღესაც, მათ შორის – კულტურული დისტანცირების აუცილებლობაზე. ამ მხრივ სასაუბრო მართლაც ბევრია. ამაჲ რუსი კულტურის მაღალჩინოსნის შვიდკოისა და კომპანიის თბილისში ომის შემდგომი სტუმრობაც მონიშნავს და ის რიტორიკაც, რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობის მართლმადიდებლურ საფუძველზე აღორძინებას ქადაგებს. ეს ძველია. აღარავის აღარ სჯერა ამის. ტყუილია ეს და იმიტომ. არა, ფაქტია, რომ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას რაღაცნაირი მორცხვი პოზიცია უკავია რუსული ეკლესიისა თუ პოლიტიკის ქმედებებთან მიმართებაში, მაგრამ იმედია, მთლად კალთაში არ ჩაუვდება თავს, თუ აქ ძველმა „კაგებეშნიკებმა“ არ იმძლავრეს. კულტურული დისტანცირება, ცხადია, შესაძლებელია, და იქნებ აუცილებელიც იყოს, მაგრამ არ ჯობდა ეთქვათ, კონკრეტულად რას გულისხმობდნენ, რა ჰქონდათ უზურში? ლუჟკოვი და კობზონი პაატა ბურჭულაძემ ჩამოიყვანა აქ შარშან? ჩემი აზრით, კულტურული დისტანცირება კობზონისგან და ალა პუგაჩოვასგან გარიდებას უნდა გულისხმობდეს და არა გრებენშიკოვისგან ანდა პრიგოვისგან დისტანცირებას, ან ვ. ეროფეევისგან, რომელიც, როგორც წესი, ცუდად იხსენიებს ქართველებს და საქართველოს თავის რომანებში, იმიტომ, რომ ისინი კრემლის ფინიები არ არიან (პრიგოვი შარშანის გარდაიცვალა) და საქართველო მათთვის მოსასვენებელი ადგილი არაა. მაგ. ვ. ეროფეევისთვის საქართველო ჭამა-სმის ქვეყანაა, სადაც ლობითი გამძლარი ადამიანები ღამით შემანუბნებლად აკუებენ და სადაც, დარღვეული საქალწულე აპკის გამო, საყვარელ ქალზე უარის თქმა შეუძლიათ. ეს დამოკიდებულება, რომელიც გარკვეულ კულტურულ გამოწვევას გულისხმობს, სავსებით მისაღებია ჩემთვის, და არა ის, რომელიც ძმობაზე, მეზობლობაზე და ერთმონაწილეთაზე აკეთებს აქცენტს, სინამდვილეში კი მოხრჩობის სურვილი ამოძრავებს.

ქართველ კულტურის მოღვაწეთა მნიშვნელოვან ნაწილს რუსეთთან შეხება ჰქონია და აქვს. განათლების მიღებას, საქმიანობას, მეგობრებს და აღიარებას ვგულისხმობ. ეს აღიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ბევრ მათგანს სწორედ რუსულმა აუდიტორიამ შეუქმნა ილუზია, რომ ისინი დიდი ხელოვანები არიან, რომ მათი ნამოღვაწარი მსოფლიო მნიშვნელობისაა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი ამ ტყუილის პირისპირ დარჩა, ბევრმა მოახერხა იმ წიაღში კვლავდაბრუნება, მაგრამ მთავარი იყო განცდა, რომ არც ისე მაგრები ყოფილან. მაგრამ ძნელია, შეელო ტაშსა და პრივილეგიებს. ბევრს სწორედ ეს ექაჩება რუსეთისკენ დღესაც. იციან, რომ იქ ჯერ კიდევ ელიან, ტაშს დაუკრავენ. მერე დაბრუნებულები ან დარჩენილები ამაყად იტყვიან, რომ საქართველოს ასახელებენ და ა.შ. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ხომ ისიც ვიცით, რომ პაატა ბურჭულაძე არაა რუსულ აუდიტორიაზე ჩამოკიდებული ხელო-

ვანი. ის მსოფლიო მასშტაბის არტისტია და არ სჭირდება იქაური პატივი საკუთარ შესაძლებლობებში დასარწმუნებლად. ამიტომ ადვილია იმის დაჯერება, რომ ის მართლაც შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების დასახმარებლად, საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობისთვის ჩავიდა მოსკოვში და იმღერა ანა ნეტრებკოსთან ერთად, რომელიც თავის მხრივ აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე მღეროდა თბილისში. ეს იციან „იმედშიც“ („იმედი“ იმიტომ ამოვიჩიქე, რომ ამ არხზე გასული სიუჟეტი ვნახე), მაგრამ მაინც მიაბეს ერთმანეთს 6 სექტემბრის კადრები კონცერტიდან პაატა ბურჭულაძის მონაწილეობით და 5 სექტემბრისა მედვედევის მონაწილეობით. აქაოდა, – ბურჭულაძისა და მედვედევის გვერდიგვერდ ხილვა უფრო იმუშავებსო. რეზო ჩხეიძე და ნიკიტა მიხალკოვი მართლა იდგნენ ჩახუტებულები მოსკოვის კინოფესტივალზე, ქართველმა რეჟისორმა ისიც თქვა, – სანამ მზე ამოვა და შეხედავს ადამიანი, ჯერ მეზობელს ხედავსო, – მაგრამ ამაზე არ გაგიჟებულან ქართველი ჟურნალისტები, თითქოს, ამაყებიც კი იყვნენ ჩხეიძისთვის გადაცემულ ჯილდოზე საუბრისას.

**ეს აღიარება განსაკუთრებით**

**მნიშვნელოვანია. ბევრ მათგანს სწორედ**

**რუსულმა აუდიტორიამ შეუქმნა ილუზია,**

**რომ ისინი დიდი ხელოვანები არიან,**

**რომ მათი ნამოღვაწარი მსოფლიო**

**მნიშვნელოვანია. საბჭოთა კავშირის დაშლის**

**შემდეგ ბევრი ამ ტყუილის პირისპირ დარჩა.**

სულ უფრო აქტუალური ხდება ჩვენში რეკვიემი მასმედიაზე. მათი ანტიკომუნიკაციურობის გამო, შეუძლებელი ხდება გაცვლა, როგორც ბოდრიარი იტყვის. ისინი თანდათან იცლებიან მორალური და ფსიქოლოგიური პასუხისმგებლობებისაგან. რატომ ჰგონიათ საშუალოზე დაბალი დონის ჟურნალისტებს „იმედთან“ და სხვა ქართული ტელეარხებიდან, რომ თავიანთი გენერალური დირექტორებისა თუ რედაქტორების ტვინებიდან გამონოვლი აზრები მორალური ავტორიტეტების პოზიციიდან უნდა იქადაგონ?

ლამის მოლაღატედ გამოაცხადეს პაატა ბურჭულაძე. ლაღატეზეც შეიძლება რაღაცის თქმა – კამიუს თანახმად, ქრისტიანობაში ღალატი არა იუდადან ან პეტრედან, არამედ ლუკადან იწყება. პირველმა სწორედ მან დამალა ქრისტეს სიტყვები – „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანია (ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე)“, რომლებიც, კამიუს აზრით, აშკარა ამბოხი იყო. ანუ, მისი აზრით, ლუკა მატყუარა-მემონტაჟე გამოდის. ახლა ერთი პატიოსანი შეკითხვა დავსვათ – ვინ უფროა მოლაღატე, ბურჭულაძე თუ ის ჟურნალისტები, ვინც 5 და 6 სექტემბრის კადრები ერთმანეთს გადააბეს და ამით სიმართლე დამალეს? დავუშვათ, მათ ეს რაღაც იდეის გამო გააკეთეს, რისიც ძალიან სჯერათ, მაგრამ მე მათთვის არ მცხელა და, ჯანდაბაში წასულან ყველანი.



# ლეოზავრების ოჯახი

ანუ სათაფლიანი ჭაბუკიანები, ძონინიქაი და კანდელაკი 135 მილიონი წლის წინ

ავტორი: რეზო ბათიაშვილი

სათაფლიას მთა – დინოზავრების „ციხეური ლაგუნა“ (ადრეული ცარცის ხანაში ხმელეთის საზღვარი დაახლოებით დღევანდელი ქუთაისის ადგილას გადის). ზღვის წყნარი უბე, ტროპიკული სანაპიროები და კირქვის შლამით დაფარული პლაჟები.

ეს ზღვა, ეს მთები, მთელი ეს დედამიწა, მათი უდიდებულესობა – დინოზავრების საკუთრებაა. კონკრეტულად ამ მიდამოებს კი ლეოზავრების ოჯახის სამი გვარი: სათაფლიაზურუს-ჭაბუკიანები, სათაფლიაზურუს-ძონინიქები და სათაფლიაზურუს-კანდელაკები აკონტროლებენ.

ჩვეულებრივი, ცხელი, ტროპიკული შუადღე: ხე-გვიმრების, ციკადოვნების და გინკოვანების ტყიდან ორფეხა მტაცებელი დინოზავრების ოჯახი გამოვიდა და შუადღის მზის გულზე, ზღვის გრილ ტალღებში გაგრილების მიზნით, სანაპიროს დაქანებულ კალთაზე დაეშვა. სათაფლიელი დინოზავრების ეს ჯგუფი ოცდაათიოდე წევრისაგან შედგება, ტანით საშუალო ზომისები არიან და მათ შორის ყველაზე ზორბა დინოზავრის სიგრძე 2 მეტრს ბევრად არ აღემატება. ოჯახში, რა თქმა უნდა, „ბავშვებიც“ ჰყავთ.

იურული პერიოდის მბრძანებლებს დედამიწით ტკობაში ხელს ვერაინ

შეუშლის – იბანავებენ და გაბრუნდებიან. ეს მათი ყოველდღიური ცხოვრებაა.

ეს დღე კი განსაკუთრებულია, მათი „ოჯახური იდილიდან“ კვალი რჩება: ნაფეხურები – კირქვის შლამში, ის, რასაც გეოლოგია „ბედნიერ შემთხვევას“ ეძახის (გეოლოგიური მასალების უმეტესობა ასეთი შემთხვევების წყალობაა).

დინოზავრების ნასვლის შემდეგ ზღვისა და მზის ერთობლივი პროექტით ნაკვალევის საკონსერვაციო სამუშაოები მიმდინარეობს. არაფერი არ უნდა დაიკარგოს, ნაფეხურები – ზღვისკენ და ნაფეხურები – ზღვიდან.

მაშ ასე, სათაფლიაზურუს-ჭაბუკიანი: ნატერფალის სიგრძე – 25 სმ, სიგანე – 16 სმ, ნაბიჯის სიგრძე – 70 სმ.

სათაფლიაზურუს-ძონინიქი: ნატერფალის სიგრძე – 22 სმ, სიგანე – 15,5 სმ, ნაბიჯის სიგრძე – 60 სმ.

სათაფლიაზურუს-კანდელაკი: ნატერფალის სიგრძე – 23 სმ, სიგანე – 21 სმ, ნაბიჯის სიგრძე – 65 სმ.

კონსერვაცია რამდენიმე სტადიას მოიცავს: მზე ნაფეხურებს აშრობს, ხოლო ზღვა, თავისი ნელი ტალღებით (ისე, რომ ნაკვალევის გამშრალი ზედაპირი არ წაირეცხოს) ნატერფალს კირქვის შლამის თხელ ფენას აფარებს, რომელიც ტალღების მეორე მოქცევამდე გაშრება. მერე ისევ ზღვა, ისევ მზე და დინოზავრების

კვალს უკვე თავისი კალაპოტი აქვს. რაც დრო გადის, რბილი და ელასტიური კირი ძალას იკრებს, მაგრდება და ქვად იქცევა.

მაღე ხმელეთი უკან დაიხევს, ვაკეს ზღვა დაეპატრონება და დინოზავრების განმანარხებულ ნაკვალევს ფსკერზე შეინახავს.

გადის დრო, პერიოდები პერიოდებს ცვლიან, ათასეულ წლებს მიაქვთ ყოველივე. დინოზავრებმა უკვე ჭირი მოგჭამეს (გადაშენდნენ), მაგრამ მათი ბანაობის განწირულ სულისკვეთებას ცუდად არ ჩაუვლია: ზღვამ უკან დაიხია, დაქანებული ფერდობი გადაირეცხა და ხმელეთზე დაბრუნებული დაკონსერვებული ნაფეხურები მინის ზედაპირზე „ამოტივტივდნენ“.

ეს 1933 წელს მოხდა. წყალტუბოელი პედაგოგი და მხარეთმცოდნე, პეტრე ჭაბუკიანი უცნაურ ნაკვალევს ნააწყდა. მაშინვე მიხვდა, რომ განსაკუთრებული შემთხვევა იყო და გეოლოგებს აცნობა.

## საიდან ბარნა სათაფლიაში აღამიანი

დედამიწის ახალ მბრძანებელს (ადამიანს) წინამორბედების მიერ გაკვალული ფერდობი ზღვის ტალღებში გაგრილების მიზნით აღარ ჩაუვლია. ამ უნიკალური აღმოჩენის ავტორი ფართო ინტერესების მქონე ადამიანი იყო, „ამ ადგილების ჭეშ-



მარიტი მეუფე“, ვისაც ყველაფერი აინტერესებდა – კლდეში, ღრეში, მღვიმეში, გამოქვაბულებში...

„როდესაც ნაკვალევებიან შრეს თავს დავადექით, მზე ჩადიოდა და მისი ალმაცერი სხივების შუქზე ზღაპრული სანახაობა გადამეშალა: ჩალრმავებულ კვლებში ჩრდილი ჩანოლილიყო და ნაფეხურები ისე მკაფიოდ გამოეკვეთა, რომ ახალ დატოვებულს ჰგავდა; იფიქრებდი, – აქ ეს-ესაა დინოზავრების ჯოგმა გაიარაო“, – იხსენებს დინოზავრების უკანასკნელი ქართველი სპეციალისტი ლეო გაბუნია წიგნში „ძველი ხერხემლიანების სამყაროში“.

1938 წელს გეოლოგებმა გიორგი ძონენიძემ და ნიკო კანდელაკმა გამოაქვეყნეს მცირე ზომის სტატია სათაფლიას დინოზავრების შესახებ. გასაგები მიზეზების გამო, 1950-იან წლებამდე დინოზავრებით აღარავინ დაინტერესებულა, ვიდრე ლეო გაბუნია ნაკვალევი დეტალურად არ შეისწავლა და მოსკოვში რამდენიმე შრომა გამოაქვეყნა. კვლევები გამოქვეყნდა უცხოურ ჟურნალებში, პალეონტოლოგიის სახელმძღვანელოებსა და ცნობარებში. სათაფლიას ნაკვალევი „გეოლოგიურ სასწაულად შეფასდა. ერთ-ერთი ნაკვალევი ტერფის 27 ანაბეჭდისგან შედგებოდა.

სამწუხაროდ, 135 მილიონი წლის მანძილზე შემონახული ეს უნიკალური ძეგლი რამდენიმე ათეულ წელიწადში თითქმის განადგურდა.

**სათაფლიანი დინოზავრების დახასიათება**

სათაფლიას მადამოებში დინოზავრების ნაკვალევის ორი შრეა, ორივე – ქვედა ცარცული პერიოდის. ქვედა ნაკვალევიან შრეზე ორფეხა დინოზავრების 150-ზე მეტი სამითა ნატერფალია. ჩანს, ამ ფართობზე 30-მდე დინოზავრს გაუვლია. ქვედა შრის მომცრო ნაფეხურები ახალგაზრდა ინდივიდებს ეკუთვნით.

ნატერფალთა ნაწილი მტაცებელი თეროპოდებისაა. აქ აშკარად გამოიჩინება შედარებით ვიწრო სამითა ტერფის ანაბეჭდები, რომელზეც ზოგიერთ შემთხვევაში შემორჩენილია კარგად გამოსახული ბრჭყალებისა და უკან გაშვერილი ცერის კვალიც. ასევე ხშირია უფრო ფართო და

უცერო ნატერფალები ბრჭყალების ანაბეჭდის სუსტი გამოსახულებით. ესენი ბალახისმჭამელი დინოზავრებისაა.

ზედა ნაკვალევიანი შრის ნატერფალები დიდ, კამბოზავრისმაგვარ ბალახისმჭამელ ორნითოპოდებს ეკუთვნით. მათი სხეულის სიგრძე 5-6 მეტრს აღწევდა და, წინამორბედების მსგავსად, ორ ფეხზე დადიოდნენ.

რას წარმოადგენდა მათი საცხოვრებელი გარემო? უთუოდ ზღვის სანაპირო ზოლს, რადგან ნაკვალევიანი შრეები მეჩხერი ზღვის ნალექებია. სათაფლიას დინოზავრებს საზრდოს მოსაპოვებლად ისეთი „მყუდრო“ ადგილების სჭირდებოდათ, სადაც ზღვის ტალღები ნაპირს გამუდმებით არ ეხეთქებოდა. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ზღვის უბე იყო.

**მილიონი – ბანადგურებისთვის**

აკადემიკოსმა ლეო გაბუნია ქვედა შრის ნაკვალევებში გამოყო გვარი, რომელსაც სათაფლიაზავრუსი დაარქვა. ამ გვარში სამი სახეობა გაერთიანდა და პეტრე ჭაბუკიანის, გიორგი ძონენიძისა და ნიკო კანდელაკის სახელები ეწოდა.

1970 წელს ინგლისელმა მეცნიერმა სერჯენტმა 150 მილიონი წლის წინანდელ ნალექებში აღმოჩენილი ნაკვალევი სათაფლიაზავრს მიაკუთვნა.

ცარცული პერიოდის კვალი „განუკითხაობის პერიოდში“ ამოჭრეს და სუვენირებად წაიღეს. დარჩენილებიც საგრძნობლად შეილახა.


1960-იანი წლების ბოლოს სათაფლიის ნაკვალევის გადასახურად დიდი თანხა გამოიყო (სავარაუდოდ, 1 მილიონი მანეთი), თუმცა, ნაკვალევის პავილიონის ნაცვლად, ორსართულიანი უსახური ადმინისტრაციული შენობა და გამაგრილებელი სასმელების ფარდულები აშენდა. სათაფლია, როგორც უნიკალური ბუნებრივი მუზეუმი, ამ მშენებლობამ საგრძნობლად დაზარალა.

მზისგან, წვიმისგან და დამთავალიერებლისგან დინოზავრების ნაკვალევი თანდათან წაიშალა. ბოლოს ძეგლთა დაცვის სამმართველომ ნაკვალევიანი შრის დიდი ნაწილის ქვიშნარით დაფარვა გადაწყვიტა. ყველაზე უკეთ დაცულ ნაფეხურებზე სპეციალური სანახები დაიდგა, ქვიშის ნაცვლად კი ტერიტორია წიადაგის

ფენით დაფარეს, რამაც კვალი წყლის დაგუბება გამოიწვია და წაშლის პროცესი დააჩქარა.

წყალტუბოს სანატორიუმის სტუმრებს სრული უფლება ჰქონდათ, მილიონი წლებისთვის გადაებიჯებინათ და პიკნიკები სათაფლიელი ლეოზავრების ბანაობის პიკნეტურ სცენაზე მოეწყოთ. მსოფლიო სპალეოლოგიის უნიკალურ ძეგლს გაქრობა დაემუქრა.

საუკუნის ბოლოს ერთ-ერთმა საერთაშორისო ფონდმა ძეგლის კონსერვაციისთვის 9 ათასი დოლარი გამოყო. ნაკვალევის ცემენტის ჯებირი გაუკეთეს, ფერდობზე ჩამოსული წყალი შემოღობილში ჩაღვა, გაიყინა და კირქვამ სკდომამ დაიწყო. ჯებირი მონაგრეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო: რაც დინოზავრებს გამყინვარებამ დააკლო, ადამიანმა მოუშთავრა. „ცისფერ ლაგუნაზე“ დინოზავრების კვალს ადამიანის კიდევ უფრო მძიმე კვალი ეტყობა.





# თეთრი სკილო FOREVER კიკი

ავტორი: ანა კორძია-საგადაშვილი

წინასწარმეტყველი ლიბუშა ლამაზი და ბრძენი იყო. როგორ გაუბედეს, „დიაცს ჭკუა თმაზე მოკლე აქვსო“?

ლიბუშა მთაზე ავიდა, ხელი გაიწოდა და თქვა: „მე ვხედავ ქალაქს, რომლის დიდებაც ვარსკვლავებს სწვდება“.

...ჩამავალი მზის სხივებში უამრავი გუმბათი და კოშკი ციალებს. ოქროს პრალა! წყალზე ძველისძველი სახლები ირეკლება, და ჩერტოვკადან ეშმაკები ამოდიან – ცუდი სიზმრები, ფუჭი ვნებები. ძველი რატუშის სარკმელებიდან მოციქულები გამოდიან და საათის ყოველი ჩამოკვრა გვახსენებს: ცხოვრება წარმავალია, მეგობარო, სანამ სიხარული შეგიძლია, გიხაროდეს!

უკვე ექვსასი წელია, კარლოსის ხიდს ვერავინ ვერაფერს აკლებს – ვერც დრო, ვერც მდინარე, ვერც ადამიანები. დღეს კარლოსის ხიდზე კიკიც

მიაბიჯებს: – „...და წინ, და უკან, და მარჯვნივ, და მარცხნივ!“ ამ ხიდზე ჩაუთქვა პირველად, რომ პრალაში უნდა ცხოვრება – და აუხდა. „...და ცხრა, და ათი, და პური, და მარილი...“ აჰოი! სალამი, კიკი!

## ქოშუნა

კიკი, ოფიციალურად – იუზა ბერაძე, ჩეხეთში ერთი წლის წინ გადასახლდა. კიკი წავიდა, თბილისში კი დარჩა მისი ოჯახი, ვაჟი, მრავალი მეგობარი, ძალი ლულუ და სტუმართმოყვარე სახლი. გულდასაწყვეტი ამბავია, მაგრამ, დღევანდელი გადმოსახედიდან სავსებით კანონზომიერი, რადგან ევროპის შუაგულში მცხოვრებ კიკის ყველაფერი უფრო იოლად გამოსდის – საქმეც და ადამიანებთან ურთიერთობაც.

„კარგად ვარ, – მიყვება კიკი, – მხო-

ლოდ ხალხი მენატრება, კიდევ – გურია. ბოლის სუნი როცა მცემს, მაშინ მახსენდება, ბებიას ზღვაზე რომ გავყავდით ხოლმე და წყალში არ გვიშვებდა, დაიხრჩობიან ბავშვებიო. ოთხივენი მაგრად ვცურავდით, მაგრამ მაინც. თუ აქ რამეზე ნერვებს ვიშლი, სულ საქართველოს ამბავია. ისე ძალიან კარგად ვარ“.

მართალია, თავიდან ცოტა გაუჭირდა – მარტო იყო. მაშინ გაიჩინა პირველი მეგობარი – წინილა, იადონი, რომელსაც ფეხზე საიდენტიფიკაციო ნომერი აქვს შებმული. ძალიან სახალისოა: აკრეფთ კოდს და ზუსტ ინფორმაციას მიიღებთ იმის თაობაზე, რა კაცია წინილა, ვისი შვილია, რა უხარია და ბებიამისს როგორი იადონები მოსწონდა. წინილა კიკის სახლის პირველი მკვიდრი გახდა და უმაღვე



მე და კიკი

თავზე წააჯდა. მან გადაჭამა ოთახის ყვევილები, სულ ქოჩრით ითრია თავისი პოტენციური მეუღლე, და ისე გასუქდა და გაზულუქდა, რომ აღარც კი მღერის. „ხმას არ იღებს, – შემომჩვილა კიკიმ, – რა ბედი მაქვს, ჩიტიც რომ „ნაგლი“ შემხვდა“...

დანარჩენი ცხოველები ასე არ თავხედობენ, მაგრამ არც თავმდაბლობით გამოირჩევიან. მათი სახელი ლეგიონია: დიდ გალიაში ოთხი დეგუ დარბის, ხოლო მისაღები ოთახის დიდი ნაწილი ზღვის გოჭების განკარგულებაშია.

ზღვის გოჭიცაა და ზღვის გოჭიც! თავი ვუდსტოკზე მეგონა. ისინი არიან გრძელთმიანები, ხუჭუჭები, ქოჩორები, თმაგადავარცხნილები და გაჩეჩილები, ისინი ჩიტებივით ჟღერტულუბენ და არავის აღიარებენ, კიკის გარდა.

„ერთი სკუნსიც და მორჩა, – ამბობს კიკი; მე მგონი, ცოტა თავს იტყუებს. – ძაღლები მერე, ბალიანი სახლი როცა მექნება“.

სკუნსიო? სკუნსი ხომ ყარს?

თურმე, აღარა. ადამიანებმა გამოსავალი მოახსენეს: სკუნსს იმ ჯირკვლებს აჭრიან, რომელთა გამოისობითაც პატარა მხეცი მტერს თავზარდამცემი სუნით აფრთხობს, და ის უნაზეს და უსიმიპათიურეს შინაურ ცხოველად აქციეს.

„წარმოიდგინე, როგორ ირბენს ოთახებში, – ოცნებობს კიკი, – სქელი სკუნსი, დიდი ტაკოთი“...

კიკის მთელი ცხოვრება ცხოველები ჰყავდა და მათ გარეშე ცხოვრება არ წარმოუდგენია. სახლის სიახლოვეს, ტყე-პარკში, ალიონზე ის თავისი კომუნისთვის ბალახს აგროვებს ხოლმე, ლუქსემბურგიდან ზღვის გოჭების დასაბანად საგანგებო შამპუნი ჩამოაქვს – გონს არაა... მომღერალი კიკი განათლებით ბიოლოგია, მოწოდებით – კინოლოგი, ძაღლების ყველა ჯიშის ექსპერტი და ზოგადად – ჩემ ნაცნობ-თაგან ყველაზე კეთილი კაცი.

დიდი გული, აგრესია – ნოლი.  
„გამაგიჟებს ეს კაცი, – შემომჩვილა კიკის თანაშემწე ოლდამ, – ყველა-

ფერს განიცდის, ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს, არაა ნორმალური. ყველა ქართველი ასეთია?“

ოლდა კიკიზე დიდი ზრუნვით ზრუნავს და მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ის სულ ტყუილად იშლის ხოლმე ნერვებს. ოლდასთვის ყველაფერი მარტივია: თეთრია ან შავი.

„ვერ ვხვდები, რატომ უნდა წახვიდე მატარებლით? რა ძალაა? გამოგივლით მარტინა და წახვალთ. იქ სულ ნაღები საზოგადოება იქნება, საშინლად გაპრანჭულები მოვლენ, და შენ რატომ უნდა მიხვიდე ფეხით? ტანსაცმელიც ამ პარკებით წაიღე, ნახონ, რომ შენ გარდერობზე „ჰილტონი“ ზრუნავს. შენ რა, გგონია, ვერ შეამჩნევენ?“

მე არ ვიცოდი, რომ ასეთ ამბავში გავყავი თავი.

„აბა? – გაცოცდა ოლდა, – წლის მამაკაცის ამბავია, ბოლოს და ბოლოს!“

**ყველაზე მახარო ბიჭები**

უკვე ათი წელია, რაც ჩხეთში ეს კონკურსი იმართება. წელს სლოვაკი





დანიელ ნოვოტნი, სლოვაკ და ჩინ ბაგაროვიუბოლომან ერთად



ბარტინი

„ნარმოიღბინე, – თვალიაბათეზული მიყვებოდა, – კარიზის ქუჩაზე ბუტიკიდან გამოვლივარ, ლუის ვიტონის ახალი ჩანთა საყიდლაბით მაქვს გამოტანილი. ყველა მიხნოვს!“  
 კი, ყველა იხნოვდა, სხვა თუ არაფერი, სარაკლამო მიხნაბით მარტინა დელითოზილა დარბოლა მთავარ ქუჩაზე.

ბიჭების ნახვაც შეიძლებოდა. 800 მამაკაციდან 16 ყველაზე კარგი კაცი! ეუჰ! რაო, მკითხველო? გეხამუშა? თუ ქალების სილამაზის კონკურსი ნორმალურ ამბად მიგაჩნია, მამაკაცებმა რა დააშავეს? უფრო სწორად, ქალებმა? თქვით, დებო, რა სასიამოვნოა კარგი კაცების ყურება!

შესაბამისად, „წლის მამაკაცი 2009“ ძალიან მეხალისებოდა, მით უმეტეს, რომ

ა) მსგავსი არაფერი მინახავს;  
 ბ) მოქმედება ხდებოდა ძველ, პატარა ქალაქ ნახოდში, რომელშიც სხვანაირად ვერ მოეხვედებოდა;

გ) სასახლეში არასოდეს მიცხოვრია და ნახოდში სწორედ სასახლეში უნდა გაგვეთენებინა ღამე;

დ) რაც მთავარია: მოსანვევში, აფიშაზე და ინტერნეტში ამოვიკითხე, რომ (სიტყვასიტყვით ვთარგმნე, სტილზე პასუხს არ ვაგებ) „სამოცუკაციანი ჟიური ჩეხეთისა და სლოვაკეთის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნარმომადგენლებისგან შედგება. კონკურსის მსვლელობის დროს იმღერებენ (აქ კიდევ

უფრო ცუდად მაქვს საქმე, ლათინურ შრიფტს უნდა მივმართო) Balogova Martin, Hank Cross, Helena Zet'ova, Ondrej Ruml, Georgien SupersStar Kiki, Ali Amiri“ ... დანარჩენების ჩამოთვლით თავს აღარ შეგანყენთ, მთავარია, რომ კიკის უნდა ემღერას!

ამოვიკითხე ისიც, რომ კონკურსის მონაწილეების ჩაცმულობაზე იზრუნებდნენ C-IN2 - New York, D&G - Dolce & Gabbana, Rufskin - San Diego, N2N - Los Angeles, SAVUAGE - San Diego, CLEVER - Miami. ანუ, კაცები სულ ჯღანებიც რომ ყოფილიყვნენ, თვალი მაინც დაისვენებდა.

„მაგ ჭინჭების გარეშე კიდევ უკეთესი სანახავეები იქნებიან, – დამამედა ოლღამ, – აი, ნახავ!“

შესაბამისად, სულმოუთქმელად ველოდი მეორე დღეს, როცა კიკი, მე და ვინმე მარტინა ნახოდში უნდა გავმგზავრებულებოდა.

### პარსკვლავიჭუნა

ახალგაღვიძებული ავი ვარ ხოლმე. მე მგონი, ყველა ასეა, უბრალოდ, ზოგი იმჩნევს, ზოგი – არა.

იმ დილას ძალიან ვეცაღე, არ შემეძინია, რომ გაცვოფდი – ბოლოს და ბოლოს, რა ჩემი გადასანყვეტი იყო, რომელ საათზე ააყვირებდა მასპინძელი პატი ლაბელს...

მაგრამ კიკი არ დამხვდა. მის ნაცვლად მისაღებში იდგა მარტინა, ძალიან ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი. ერიჰა! გამიღიმა და იმდენად შესაშური კბილები გამოაჩინა, რომ ჩემი გაჩეჩილობისა და დასიებული თვალების გამო ძალიან შევწუხდი.

ბოდიში-მეთქი, – ჩავილულულე.

აბაზანაში სულ მისი მოძახილი მესმოდა – არ ჩერდებოდა. მკითხა, ჩაი მინდა თუ ყავა, მერე მკითხა, – ჭიქები სადააო, – მერე შემომძახა, – ყავა არ ყოფილა და ჩავალ, ვიყიდო, – და ბოლოს გამახარა, – ფული არა მაქვს და რა ვქნაო? დახურულ კარს მიღმა იმდენხანს ველაპარაკე, რომ გამოსულს მარტინა ძველი მეგობარი მეგონა.

„ძვირფასო, – ჭიკჭიკებდა მარტინა, – გინდა, ჩემი საყვარელი მუსიკა მოგასმენინო? კი, ხომ? მოგწონს? – ჯერ მხოლოდ ორი აკორდი მქონდა გაგონილი, – რა მაგარია, ძვირფასო, რომ ერთად



კიკი

მივდივართ! საზიზღარი მანქანა მყავს. ჩემი არაა, აი, გაიხედე, ის წითელი „შკოდა“. მათხოვეს. რას ჰგავს, არა?“

მერე თავადაც გამეცნო და მითხრა, რომ ოდესღაც ნამდვილი ვარსკვლავი იყო, მაგრამ ახლა მკვდარი ვარსკვლავია, ანუ რეალითი-შოუს ყველაზე პოპულარული გმირი ბრძანდებოდა და ბრიტნი სპირსსაც მღეროდა და აი, სულ გარეკანებზე იბეჭდებოდა. ახლა კი – ეჰ! მარტინამ თეატრალურად მოიწმინდა სახიდან არარსებული ცრემლები.

„ახლა რას აკეთებ?“ – ვკითხე მე.

„ახლა? წასასვლელად ვემზადები! მზად ხარ? აი, ნახავ, რა მაგარი დღე გვექნება! ყველაფერს მოგიყვები! იქ ყველა იქნება – პოლიტიკოსები, შოუბიზნესი, იმათი ცოლები, საყვარლები – ყველა! მე ყველაზე ყველაფერს გაიმბობს!“

„რამდენი წლის ხარ?“ – ვკითხე მე, სანამ მარტინა დანგრეულ „ფელიციას“ მტვერსასრუტს უქლასუნებდა – სულ ტყუილად.

„ეგ საშინელი საიდუმლოა, – მიპასუხა მარტინამ, – ოცდამეცხრამეტი“.

ოლონდ ვამბობ, რომ ოცდასამის. თუ ძალიან ვთვრები, ცხრამეტსაც ვიბრალებ ხოლმე“.

გზად მანქანა, ცხადია, გაფუჭდა. ბევრი ვიცინეთ. მარტინა კი წახდა, მაგრამ არ გაჩუმებულა. მან ყველა მარცხი სატანის ბიბლიას მიაწერა, რომელიც, ნუ იტყვი, ჩვენი იძულებითი გაჩერების სიახლოვეს 200 წლის განმავლობაში ინახებოდა.

„რას იზამ. სანამ მოგვაკითხავენ, შეგიძლია, ფანჯრიდან იყურო, – ხელი გადახნული ველებსკენ გაიშვირა, – აი, ესაა ჩემი სამშობლო! არადა, რაებს ვგეგმავდი“...

„დავიჯერო, ასეთ სისულელეებზე დარდობ ხოლმე?“

„არა, ძვირფასო, – ფართოდ გამიღიმა, – სეიქ შოუა!“

ყველაფერი შოუა. მარტინა, ადამიანი-ატრაქციონი.

სამაშველო სამსახურის მანქანაში მე წინ დამსვეს, ქართველი სუპერსტარი და ექს-ვარსკვლავი კი უკან მითავსდნენ, აკუმულატორებზე. მარტინა მიხვდა, რომ უვარგისი მანქანის გამო კიკი არ მოკლავდა და გამოცოცხლდა.

„წარმოიდგინე, – თვალბანთებულად მიყვებოდა, – პარიზის ქუჩაზე ბუტიკიდან გამოვდივარ, ლუის ვიტონის ახალი ჩანთა საყიდლებით მაქვს გამოტენილი. ყველა მიცნობს!“

კი, ყველა იცნობდა, სხვა თუ არაფერი, სარეკლამო მიზნებით მარტინა დედიშობილა დარბოდა მთავარ ქუჩაზე.

„კი, ოლონდ ხელები აფარებული მქონდა! მაგრამ მისმინე, გამოვდივარ პარიზის ქუჩაზე, ქუჩა მომაქვს! და მხედება ოლლა, ისიც ბუტიკიდან გამოდის, ჩანთა იმასაც გავსებული აქვს. და ნავედით, – მარტინას გაშლილი ხელი ჩემს ცხვირთან მოაქვს, – ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ტერასაზე ყავის დასალევად და ერთმანეთს ვაჩვენეთ, რაები ვიყიდეთ“.

მარტინა უცებ დასერიოზულდა.

„გავიდა ერთი წელი! – დრამატული პაუზა. – მე და ოლლა კვლავ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროში ვისხედით, ოლონდ სამრეცხაოში, ოლლამ იქ სამსახური იშოვა.“

>>> ბაბრქილია ბვ. 78



# პროვოკატორები

ავტორი: ნინო ლომაძე

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე ერეკლე დგას. დარბაზი საესეა. მალე ხმაური წყდება და ისმის:

**„მოდით ჩემთან, ჩემო პრეზიდენტო, მაკოცე ლოყაზე, ხომ იცი, რომ მე არ ვფიქრობ დღეს შენს მოკვლაზე. მამაო ჩვენო, მამაო ჩვენო, მამაო ჩვენო შე დედამინის გამჩენო, მამაო ჩვენო. მინდა ჩემი პრეზიდენტი გაჩვენო“.**

„რა არის ეს, როკი?“ ესმის დარბაზიდან ვიღაცის ხმა. „რა უცნაური ვინმეა... მე მომწონს“, ეს კეკლუცი კომენტარი კიდეც უფრო ახალისებს და აგრძელებს. ჯერ კანტი-კუნტად ისმის ტაშის ხმა, მერე უფრო გაბედულებს სხვებიც ჰყვებიან. ერეკლე მეორე სიმღერას იწყებს:

**„დამლოცე პატრიარქო, დამლოცე, მე შენს ანაფორას უკვე ვაკოცე, დამლოცე პატრიარქო დამლოცე, შენ ვიცი ვინც გააოცე. შენ პოპვარსკვლავზე დიდი ხარ, პატრიარქო, რადგან შენ წირვას მეტი ხალხი ესწრება, ვიდრე ნებისმიერ შოუს, შენს დანახვაზე პრეზიდენტსაც მრისხანება ეცვლება. მე შენთვის ვილოცებ პატრიარქო, ეს ტექსტიც შენს დიდებას ეძღვნება. შენ პოპვარსკვლავზე დიდი...“**

ხალხი დაბნეულია, „ვის უბედავს? ვინ არის ეს საერთოდ?“ – ესმის ისევე პირველი რიგიდან. ეს აღშფოთებული წამოდახილიც სასიამოვნოდ ხვდება გულზე. მერე ფეხზე დგება და ამბობს: „მოვითხოვ და ყველას მოვუწოდებ, რომ ბინ ლადენს ვაპატიოთ. მთელმა მსოფლიომ შევეუნდოთ. და დავივინყოთ. მე მინდა ქრისტიანობის ეს უმთავრესი პრინციპი დავიცვა – მე მიყვარს მტერი ჩემი და ამიტომ მე მიყვარს ბინ ლადენი. მე მას შევეუნდე. ამიტომ მე უფრო ახლოს ვარ ღმერთთან, ვიდრე მსოფლიო“.







„მძულა ყველაფერი – ეს გაუთავებელი სიყალბე, გაფიქსებული ავტორიტეტები და მათი დამაჯახი, რიტუალური უმინარსო საღამოები, პირფარი-ლაქუსა იუზილიაზი. მინდოდა ეს ყველაფერი ერთ დღეს სხვანაირად დამთავრებულიყო. არ ყოფილიყო ისევ ძიფი და ბამოტრობა, ტყუილი სიყვარულით სავსე საღმრთოებოები. ამიტომ ყოფა გავხსიარულდი და მგონი, სხვების „გავხსიარულდი.“

„შენ გაბრაზებული ხარ, – ეუბნება კონცერტის მერე „ცნობილი“ მსახიობი, – და ეს კარგია. ბევრი გაბრაზებული სჭირდება ჩვენს ქვეყანას“. მსახიობის მეგობარი, ერთი რეჟისორი პატრიარქთან შეხვედრას ჰპირდება. „ალბათ იმიტომ, რომ მომაქციოს“, – ერეკლეს ეცინება. პატრიარქთან შეხვედრისთვის დიდხანს ემზადება, სპეციალურად ადრე ჩამოდის თბილისში, მაგრამ შეხვედრა არ შედგება. სამაგიეროდ, მოულოდნელად იგებს, რომ მისი სიმღერა „პატრიარქი“ „რუსთავი 2“-ის დილის პროგრამაში „უსმინე ცოცხალს“ მეოთხე ადგილას ხვდება. ერეკლესგან შეტყობინებას ვიღებ: „რალაც კონკურსივითაა, ნახე და თუ მოგეწონება, მომეცი ხმა :)“.

მაგრამ მეორე დღეს სიმღერა საიტზე აღარ დევს. კიდევ ერთი შეტყობინება მომდის: „ასე ამბობენ, საპატრიარქოს რეკომენდაციით მოვხსენითო :(. მოგვიანებით მხვდება და მეუბნება: „სამწუხაროა, რომ კერძო ტელევიზია რომელიმე, თუნდაც უზარმაზარი ავტორიტეტის მქონე „ინსტიტუტის“ რეკომენდაციით საკუთარ გადანყვეტილებას იცვლის. არადა, არაფერი იმ სიმღერაში მიუღებელი და მით უფრო შეურაცხყოფელი არ ყოფილა. ეს „ტოტალური“ მორჩილება საშინლად მიშლის ნერვებს“.

ერეკლე დეისაძის შესახებ პირველად ჯავახეთში გავიგე. ჩვენს ფოტოგრაფს, დათო მესხს ჰქონდა მისი ჯერაც გამოუქვეყნებელი რომანი ნამოღებული და რამდენიმე გვერდი ნამაკითხა. ფოტოები უნდა გადაეღო მისი წიგნისთვის. მეორედ გადაცემა „ექსპრესში“ ერეკლეზე მომზადებული სიუჟეტი ვნახე და მისი სიმღერები მოვისმინე. ოდიოზური ვინმე ჩანდა, მაშინ ვიფიქრე, – ეს ყველაფერი ეპატაჟისთვის სჭირდება თუ რალაც მიზნისთვის აკეთებს-მეთქი. ერთი სიტყვით, ქუთაისში რომ ჩავდიოდი, ვიცოდი, პირველ რიგში მას შევხვდებოდი.

ერეკლე დეისაძეს და გიორგი უგრეხელიძეს ქუთაისის ახლად განახლებულ სკვერში ვხვდები. უმონყალოდ აჭერს მზე. ქუჩები თითქმის სულ ცარიელია. ირგვლივ ყველაფერი მოყვითალო ბურუსშია გახვეული. გიორგი 28 წლისაა. დინჯი, მძიმე მიმოხვრა და დაკვირვებულ მზერა აქვს. გაცნობისას სულ უმნიშვნელოდ ეცვლება მიმიკა, ვერ ვხვდები, ილიმება თუ არა, ძალიან ჩუმად – სასიამოვნოა, – ამბობს და ისევ მძიმე ნაბიჯით მოგვეყვება უკან. თავიდან საუბარში არ ერთვება, გვისმენს და შიგადაშიგ ისევ ისე, შეუმჩნეველად ელიმება.

ერეკლეს უხეში ნაკვთები და გამომწვევი მზერა აქვს. ის უფრო თავისუფლად გრძნობს თავს და ბევრს ლაპარაკობს, ერთი თემიდან მეორეზე გადადის, მერე ისევ პირველს უბრუნდება. „მოდი ისტორიას ქრონოლოგიურად მოვყვები“, – უცებ ამბობს და სამ ეპიზოდს იხსენებს:

ქუთაისი. ზასტავა. ბუხაიძის ქუჩა. ლამდება. აქა-იქ ანთია ლამპიონები, ქალაქის დიდი ნაწილი ჩაბნელებულია. ბნელა ეზოშიც. ბიჭები ეზოში დგანან და ერეკლეს ელოდებიან. „საქმეზე“ მიდიან. მაინც, კიდევ ერთხელ ყველაფერი თავიდან ბოლომდე უნდა გაიარონ, რომ არაფერი გამოეპაროთ. ვერავინ ვერ უნდა შეამჩნიოს, თორემ თუ რომელიმე ამოიცნეს, მორჩა, ვიღაც ჩავარდება. ვიღაც ან ყველა ერთად. ამ ქალაქში „ხომ, ყველა ყველას იცნობს და ყველამ ყველაფერი იცის“. ამიტომ სიფრთხილე მართებთ. ხულიგნობაზე ჩავარდნა არაა სახუმარო საქმე.

მეორე დღეს სკოლიდან სახლში ადრე მოდის. უნდა გამოიცვალოს და ლექსებიც უნდა შეარჩიოს. ლამიდან გამოყოლილი ჭარბი ადრენალინი ისევ სისხლში აქვს და ახლაც უგუბებს ყურებს. ბენჯე გადარჩნენ. მეზობლებმა მაღაზიის გატეხილი საკეტის დანახვაზე ხმაური მაშინ ატეხეს, როცა ბიჭები უკვე კარგა შორს

იყვნენ. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის. „მოსწავლე-ახალგაზრდების სასახლეში“ დღეს „ყველასათვის საყვარელი პოეტის“ 80 წლის იუბილეა. ერეკლე თავის ორ ლექსს კითხულობს. სააქტო დარბაზი გადაჭედლია, საზეიმოდაა მორთული სცენა. მოზრდილი სავარძელი სცენის ცენტრში დგას. გარშემო ყვავილები ლარნაკებში, ან ყვავილების გვირგვინები აწყვია. სცენის ფარდაზე დაფნის გვირგვინები კიდეა. ერეკლეს შავი კოსტუმი და თეთრი პერანგი აცვია. მშობლების გვერდით ზის და ფურცლიდან რალაცას კითხულობს. ეს ლექსი, საყვარელ სამშობლოზე საგანგებოდ ამ დღისთვის დაწერა. პირველად უნდა წაიკითხოს.

დარბაზი ქუხს. ერეკლეს წარმატებას ულოცავენ, „რა ახალგაზრდა და როგორი ნიჭიერი. ნამდვილი კოლორიტი იზრდება. დიდი მომავალი აქვს“, – ისმის საუბრები დერეფანში.

ლიტერატურულ კლუბში „მწერალთა სახლის“ თავმჯდომარის იუბილეს აღნიშნავენ. ერეკლე მის ლექსებს კითხულობს. რამდენიმე სტროფის შემდეგ უცრად ჩერდება და პოეტს ეკითხება: „ეს რა დაგინერიათ, ბატონო? ან თუ დანერეთ, რამ გამოგაცემინათ? არ გეკადრებათ“. კითხვას აგრძელებს, დარბაზში ჯერ უხერხული სიჩუმეა. მერე თავმჯდომარე ფეხზე დგება და აღშფოთებული რალაცას ამბობს. „გაეცანით მსოფლიო პოეზიას, ბატონო. დროა, გაიგოთ ბოლოს და ბოლოს, რა არის ნამდვილი პოეზია. აბა, რალა დროს ეს მაიმუნობაა“. დარბაზი მთლიანად ნამოშლილია, თავმჯდომარის ქომაგები ხმაურობენ. ერეკლე სცენიდან ჩამოდის. მომღიმარი სახით გასასვლელისკენ მიდის და თავისთვის ფიქრობს, – „აი, ეს ვარ მე, ეკო. მე მუტანტი ვარ. მე მშვა ქუთაისმა“.

ეს მისი დებიუტი იყო. პირველი „აქცია“, პირველი პროტესტი იმის მიმართ,



ფოტო: დავით მისი

გიორგი შერაბელიძე და აკაკი დიმიტაძე



**Do Not Fuck With Cthulhu.**



„აღბათ არაფერია იმაზე სასიამოვნო, როცა ჩემად იხრნები, იშლება შენი პიროვნება, მიკრობების ღონედა მარტივდება მისი აზროვნება. მიკრობები კი დასოფნდნენ, სისოფნე უხარიათ და როგორც ჩვილ ბავშვებს – საყარო მთელი თავისი შიშველი სხეულით უყვართ. გათ ზამოთ კი აღამიანები ყვავილებით ხელში დალიან“.

რაც მის გარშემო ხდებოდა. „მძულდა ყველაფერი – ეს გაუთავებელი სიყალბე, გაფეტიშებული ავტორიტეტები და მათი დამქაშები, რიტუალური უმინარსო საღამოები, პირფერი-ლაქუცა იუბილეები. მინდოდა ეს ყველაფერი ერთ დღეს სხვანაირად დამთავრებულიყო. არ ყოფილიყო ისევე ქეიფი და გამოთრობა, ტყუილი სიყვარულით სავსე სადღეგრძელოები. ამიტომ ცოტა გავმზიარულდი და მგონი, სხვებიც „გავამზიარულე“, – ამბობს ღიმილით და ხელში სიგარეტს ათამაშებს. პიკასოს სარდაფში, იგივე სახელოსნოში, იგივე მისაღებში ვსხედვართ – ერეკლე, პიკასო, გიორგი უგრეხელიძე (საზოგადოებიდან) და მე. ათასი ფოტოთი, ნახატით და აქსესუარადქცეული ნივთით სავსე ოთახში, რომელიც ერეკლემ სამი წლის წინ აღმოაჩინა. ერთი კედლიდან ელტონ ჯონი გვიცქერს პირმისატყუარაგაჩრილი, იქით უჩვეულოდ დიდი ზომის ბიუსტპალტერმინებებული მამაკაცის მოზრდილი ფოტო ჰკიდია (ჩემი მხედველობის წყალობით ვერაფრით ვარჩევ, ვინ არის), ქერზე შავი, მზინავი ტყავის ფესხაცმელია მიკრული, ირგვლივ ყველგან წარწერები, ბარათები...

ერეკლე თავდახრილი ზის და მაგიდას აკვირდება. ღიმილი კარგა ხანს არ სცილდება სახიდან. მერე ოთახს თვალს მოავლებს, სერიოზულ გამომეტყველებას იბრუნებს და თხრობას განაგრძობს. „ეს ყველაფერი სინამდვილეში ერთი სამყარო იყო. ქუჩა, ჯიბეგრობა, „პიონერთა სასახლე“ და თავისმოსაწონებლად დაწერილი იდიოტური ლექსები. მაშინ ჯერ არ ვიცოდი, ვინ ვიყავი და რა მინდოდა. უბრალოდ ვცდილობდი, გამეგო, სად ვცხოვრობ და რა ხდება ჩემ გარშემო. ამიტომ მივდიოდი ყველგან, სადაც რაღაც ხდებოდა. და ყველგან ძალიან ძველის, უკვე დამპალის და ძალიან მახინჯის ნარჩენები მხედებოდა. არ ვიცი,

სხვები ამას რატომ ვერ ხედავენ. აღბათ ასე უფრო ადვილია, მიჰყევი დინებას. მე ამ ხალხში გავიზარდე, მხოლოდ ასეთი „ქურდული გაგების“ მეგობრები მყავდა და ბევრთან დღესაც ვმეგობრობ (მათგან რამდენიმე დღეს ხულიგნობაზე იხდის სასჯელს). ამიტომ არჩევანის გაკეთებას დრო და ცოტა მსხვერპლი დასჭირდა, – მწარედ ელიძება. ჰო, ერთხელ მაგრა გავილახე. არც ამ წყენის დავინყება იყო ადვილი. მაგრამ ბოლოს ძალიან მომწყინდა და მივხვდი, რომ ყველაფერი ღირს სცადო, თან ყველაფრის ფასად“. გამომეტყველება თითქოს არ ეცვლება, მაგრამ კმაყოფილება აშკარად ეტყობა. რამდენჯერმე უსვამს ხაზს, რომ არასდროს შეშინებია, ამაყობს ამით. „მშობლებთანაც მქონდა კონფლიქტი. ძალიან გამიჭირდა დამერწმუნებინა ისინი, რომ რასაც მე ვაკეთებ, რასაც ვწერ, ის არავის ეხება, რომ ის ჩემია. მარტო ჩემი. მე მინდა, პორნოტექსტებს დავწერ, მინდა ჯანსუღ ჩარკვიანისნაირ ლექსებს. და ისინი ამაში არ უნდა ჩაერიონ. ძალიან გაუჭირდათ ამის გააზრება. ნათესავები, მეზობლები, ახლობლები ჩემს ნაწერს თუ წაიკითხავდნენ, დედაჩემს ეუბნებოდნენ, – მიხედუ ბავშვს, რაღაც ჭირს, ეტყობა პრობლემები აქვსო. მე კიდე ძალიან მომწონდა პორნოლიტერატურა და მინდოდა, ამ ჟანრში მეც მეცადა ბედი“.

პირველ გიმნაზიაში სწავლობდა, რაც პირველ რიგში პრესტიჟს ნიშნავდა, გამორჩეულობას, „არახალხურობას“. ამ სკოლაში ქუთაისის „ელიტის“ შვილები სწავლობდნენ. ცხადია, ეამაყებოდნენ აკაკი წერეთლის სკოლაში სიარული. „ეს მასწავლებლების საყვარელი ფრაზა იყო, – „როგორ იქცევი, დაგავინყდა ამ სკოლაში აკაკი წერეთელი რომ სწავლობდა?“ მე ვპასუხობდი, – თქვენ კიდე დაიმახსოვრეთ, ამ სკოლაში ერეკლე დეისაძე სწავლობს-თქო. ვერაფერს მპასუხობდნენ, ცივად მეცლებოდნენ“. გუ-

ლიანად იცინის. გიორგის და პიკასოსაც ეცივნებათ. ასეთი ეპიზოდების გახსენების დროს პატარა ბავშვივით ცქმუტავს, თითქოს ერთ ადგილას ველარ ჩერდება, და თან ჩემი სახის გამომეტყველებას ყურადღებით აკვირდება. „მოკლედ, ვისთანაც საერთო ვერაფერი ვნახე, მათ უბრალოდ დავცილდი. მაგრამ მალე ახალი მეგობრები გავიჩინე“.

ვაკო და ორი გიო სამი წლის წინ გაიცნო, როდესაც „მწერალთა სახლიდან“ რამდენიმე ახალგაზრდა პოეტი თბილისში ლიტერატურულ შეხვედრა-კონფერენციაზე მიიწვიეს. ქუთაისში დაბრუნების მერე მათთან ერთად პერფორმანსების კეთება დაიწყო. თავიდან უბრალოდ დადიოდნენ ქუჩებში, სარდაფებში, სახურავებზე, ბაზარში, სკვერებში და საკუთარ ლექსებს კითხულობდნენ. „გაგანია ზაფხული იყო. ჯარისკაცის ფორმა მეცვა, ხელში დიდი დროშა მეჭირა. დავდიოდი ქუჩაში და ლექსებს ვკითხულობდი. ეს რაღაც ძალიან ახალი იყო, თვალში ხვდებოდათ, და ყურშიც – პორნოპოეზიას ვკითხულობდი. აი, მაშინ მცემეს მაგრად“.

ამ „პერფორმატიული აქტების“ უკან ყოველთვის რაღაც იდეა იდგა. პერფორმანსები პრობლემას გამოხატავდნენ, რომელიც, მათი აზრით, დღესაა აქტუალური. ისინი მათი გადაჭრის გზებს არასდროს უთითებდნენ. მიზანი საკითხების, აქცენტების დასმა იყო და არა პრობლემების გადაწყვეტა.

„დღში არ არის“ ასე ერქვა ერთ-ერთ პერფორმანსს. სულ შემთხვევით, უცნაურ კვლევას გადაწყდნენ და იდეაც იქიდან გაჩნდა. კვლევის თანახმად, საქართველოში ადამიანები საშუალოდ ორ კვირაში ერთხელ ბანაობენ. პერფორმანსი ქუთაისის „მწერალთა სახლის“ პირდაპირ, ინგლისურის ენის ცენტრის დარბაზში გააკეთეს.





# „იმანენტურად მონოლითური“

## საუბარი შალვა რამიშვილთან

ავტორი: ქეთევან საღლოზაშვილი  
ფოტო: ლევან ხარხაულიძე

■ მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოხვედით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საზოგადოებას საკუთარ თავს სთავაზობთ როგორც „სხვა“ შალვა რამიშვილს. გასაოცარია თქვენი ზედმეტი ამბიციურობაც იმასთან დაკავშირებით, რომ ცოცხალი სენსაცია ხართ და ყოველი გამოჩენისას ხალხს აალაპარაკებთ. რა ხდება, ახალ ავტოგმირს სთავაზობთ საზოგადოებას?

□ რაკილა ასეთი კარგი ჟურნალი გაქვთ, მოდი, კარგი ინტერვიუ გავაკეთოთ და ზედაპირული შეფასებების სფეროსა და მახეს გავცდეთ.

■ რას ნიშნავს ზედაპირული შეფასებები, ჯერ ხომ არაფერი გვითქვამს.

□ ზედაპირული შეფასება ისაა, როცა ნათქვამის ქვეტექსტსა და კონტექსტს არ ვითვალისწინებთ. როდესაც ადამიანი ამბობს, რომ მიხნდა შეეცვალო რეალობა, მას იაფფასიანი, ყვითელი ყაიდის პოპულარობა კი არ სურს, არამედ სურს სწორედამ ამ ცნობადობით, იმ გავლენით, რომელსაც მისი ფიგურა და მოღვაწეობა ახდენს, მოახდინოს ცვლილებები.

■ ბარემ თქვით, რა გავლენას ახდენთ, ამისთანა რა ფიგურა ხართ. თუ გინდათ, გარკვეული უხერხულობა რომ მოვხსნათ, გარედან შევხედოთ და მესამე პირში ვილაპარაკოთ შალვა რამიშვილზე – ვინ არის ის საერთოდ?

□ ეს არის ადამიანი, რომელიც, ჩემი აზრით, მუდმივად აშფოთებს საზოგადოებას.

■ რატომ ხართ ასე დარწმუნებული საკუთარ თავში?

□ ეს არ არის ინტუიტიური, ემოციური შეფასება. აშფოთებ თუ არა საზოგადოებას – ამის მექანიციკურად დათვლა შეიძლება.

■ ვისარგებლოთ ამ „მექანიციკით“, მივყვეთ თქვენ ბიოგრაფიას და როცა ეტაპებს გავივლით, თავისთავად გამოჩნდება საზოგადოების შფოთის პიკები თქვენ მიმართ.

□ მთავარი და ჩემი ერთ-ერთი პირველი გარღვევა იყო „რადიო 105“, პირველი FM რადიო, რომელიც ძალიან პოპულარული გახლდათ, რაც თავისთავად მოწმობდა იმას, რომ ჩვენ ორიგინალური გზა ვიპოვეთ მსმენელამდე.

■ ისიც ვთქვით, რომ იმ დროის საქართველოში სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. კონკურენტული ბაზრის პირობებში, შესაძლოა, სხვაგვარი სურათი ყოფილიყო. მოკლედ, რეალობა გავითვალისწინოთ ნებისმიერი შეფასებისას, თორემ ისე გამოგვივა – პირველად, საქართველოში!

□ ჩვენ ხომ იმაზე არ ვლაპარაკობთ, რა შეიძლება ყოფილიყო. ობიექტურად, მართლა პირველი რადიო იყო, იმიტომ რომ FM-ზე შიშინებდნენ და ჩვენ და „რადიო 106“ გაჩნდით ერთდროულად. იმას კი არ ვამბობ, რომ საქართველოს ისტორია მაშინ დაიწყო, როცა „რადიო 105“ გავიდა ეთერში, უბრალოდ, პირველები ვიყავით ქრონოლოგიურად, თუმცა პირველი რომ ხარ, არ ნიშნავს, რომ საუკეთესოც ხარ. პირიქით, დიალექტიკა იმას მეტყველებს, რომ უნდა განვითარდეთ და პირველი ჩამორჩებოდეს მეორეს და მესამეს. „რადიო 105“-მა ნამდვილად მოახერხა შფოთის შეტანა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, ძირითადად თბილისელებში და მისი არტები დღესაც აქტუალურია. მაშინ ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით, მოხუციგნო ელემენტები, ვებძოდით სტერეოტიპებს, ეს იყო გარეუბნული, გარიყული, ნახევრად მარგინალიზებული, სანინალმდეგო სქესთან ნარუმბა-



ტებელი, ცოტა ფულის მქონე ტიპების ქვეცნობიერი პროტესტი, რომელიც სუბლიმაციას განიცდიდა იუმორში, გონებაშეზღვევისა და ორიგინალობაში – ამას ახლა ვაანალიზებ, თორემ მაშინ, 25 წლის ასაკში ეს გაუგებარი იყო. სადაც კი ვმუშაობდი, ყველგან ვიყავი დამფუძნებელი, გადაწყვეტილების მიმღები და რასაც მინდოდა, იმას ვაკეთებდი, შესაბამისად, სისტემატიზებული და რაღაც ალგორითმი წარმატებისა არ მქონია და როგორც ბიზნესს ისე არ ვუდგებოდი. „105“-ის შემდეგ იყო ჯგუფი „სახე“, რომელიც ასევე გარეუბნული ახალგაზრდების მიერ გაკეთდა.

■ რატომ უსვამთ ხაზს ამ გარეუბანს?

□ მნიშვნელოვანია. თბილისი ისეთი ქალაქია, რომელსაც უბნური კონცეპტუალური მიდგომები ახასიათებს, ცენტრალურ უბნური მსოფლალქმა ერთია, მასივების და სოფლიდან ახლად ჩამოსული სოციალისტების – სხვა. შესაბამისად, მოტივაციებიც სხვადასხვაგვარია, როცა შენი კორპუსის წინ რუხ კედელს უყურებ, სიდუხჭირეში ცხოვრობ და გვახსოვს ყველას, რა ხდებოდა 90-იანი წლების შემდეგ გარეუბნებში, ძალაუფლებურად ან დეპრესიისკენ მიდიხარ ან გიჩნდება მწვავე, ხშირად გაუცნობიერებელი პროტესტი, რომელიც შემოქმედებაში გამოიხატება. მაშინდელი ქართუ-



ლი შოუ ბიზნესის ძირითადი ნაწილი – მომღერლები, გიტარისტები, როკერები ვარკეთილში ცხოვრობდნენ, ამიტომაც ვახსენებ გარეუბანს. ჩვენ გვქონდა ბოიბენდის გაკეთების მცდელობა და როგორც ამბობდნენ – ეს იყო რევოლუცია მაშინდელ შოუ ბიზნესში. სნობიზმისაგან აბსოლუტურად უნდა დაცლილიყავი და გამოგყენებინა ის ხერხები, რომელსაც

■ ფორმებს და ხერხებს არა აქვს მნიშვნელობა?

□ ამ ასაკში უკვე ხერხებსაც ვაქცევ ყურადღებას, მაგრამ 25 წლისას ამაზე რომ სერიოზულად მეფიქრა, იდიოტურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. ყველაფერს თავისი დრო აქვს. „სახე“ დაიშალა, „რადიო 105“-იც აღარ იყო და გავაკეთეთ „დარდუბალა“, რომელიც

აკეთებ, შეიძლება გემოვნებამ გილაღატოს კიდევ.

■ გემოვნება არც მქონდა მხედველობაში. ამ შემთხვევაში, მიდგომისა და გამოხატვის ფორმას ვგულისხმობ. როცა ამბობენ, რომ „დარდუბალამ“ დაამხო შევარდნაძე, მეჩვენება, რომ ეს აზრი საკმაოდ გაზვიადებულია.



იყენებდნენ უცხოეთში. მართლაც გავაკეთეთ კლასიკური ბოიბენდი „სახე“, რომელიც უაღრესად პოპულარული იყო 98-99 წლებში – ორჯერ გავავსეთ სპორტის სასახლე, რამდენჯერმე ჩავატარეთ კონცერტი, ერთხელ უცხოელ რეპერებთან ერთად, ეს იყო სახალე, თინეიჯერები დაპყრობილი გვყავდა.

■ ამ შემთხვევაშიც გარეუბნის აუდიტორიაზე გქონდათ გავლენილი ყველაფერი თუ ნელ-ნელა „სვეტსკიც“ გაინტერესებდათ.

□ მოგვიანებით მოხდა სინთეზი, როცა მაკა ასათიანი გამოჩნდა, გახსოვს ალბათ, მაკა ასათიანი მეგობრებთან ერთად იყო კვინტესენცია ცენტრალურ უბნური მოძრაობისა.

■ ანუ, რბილად რომ ვთქვათ, მეორე უკიდურესობა.

□ იყო შემთხვევები, ბევრჯერ დიდი სიყვარული გამოუხატავს, დაბადების დღეზე გვიმღერია და ა.შ. მოკლედ, ხომ გახსოვთ 98 წლის შოუ ბიზნესი? ეს იყო რუსული ესტრადის ქართული კალკი და ჩვენ რაღაც ახალი გავაკეთეთ. „შენ რა სექსი ხარ“ იყო ასეთი სიმღერა, ხარისხზე დავა შეიძლება.

■ მაგრამ მთავარი იყო მსმენელის აგდება, არა?

□ ჩემი მიზანია ყოველთვის ავალეღვო საზოგადოება.

ამ ორი ნაბიჯის შემდეგ ყველაზე სერიოზული ნაბიჯი იყო საზოგადოების შეშფოთებისაკენ. „დარდუბალა“ არ გაკეთებულა პოლიტიკური დაკვეთით, პოლიტიკოსები მოგვიანებით გავიცანი. ჩემმა მეგობარმა ვაჟა კილაძემ ჩადო მცირედი თანხები, მულტსერიალის გაკეთების იდეა გააჩნდებოდა იყო, ან გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ ჩანერა ის ცნობილი სიმღერა და გავაკეთეთ მულტსერიალი, რომელზეც შევარდნაძემ თქვა, რომ მის დამხობაში „დარდუბალამ“ ძალიან სერიოზული როლი ითამაშა, ინტერვიუშიც განაცხადა და პირადადაც დამიდასტურა, რომ ისეთი განცდა ჰქონდა - ან თავი უნდა მოეკლა, ან მე მოვეკალი, მაგრამ იქვე ახსნა, რომ რაკილა აქ დემოკრატიის ასაშენებლად ჩამოვიდა, ესეც უნდა აიტანოს, რაც საოცრად თანმიმდევრული და მართებული მიდგომაა.

■ ჩემი აზრით, „დარდუბალაში“ შევარდნაძე სულაც არ იყო არასიმპათიური გმირი, პირიქით, უმეტესობას სიმპათიაც კი უჩნდებოდა მის მიმართ, ანუ იყო რაღაც ჩარჩოები, რომლის მიღმაც თქვენ არ თუ ვერ გადიოდით.

□ კი, იყო, მაგრამ ზოგიერთი სერია, ყველა სერია არ იყო ეგეთი.

■ ეტყობა, ზუსტად ეგ სერიები არ მინახავს.

□ როცა ასეთ სახიფათო რაღაცას

□ გეთანხმებით, რომ უტრირებაა, მაგრამ არცთუ ისე ბოლო როლი შეასრულა ამ სერიალმა. თუმცაღა, მსიაშინებდა, რომ ამ საქმის ხელმძღვანელი ვიყავი, რადგან ხელისუფლებაზე ზემოქმედება თვალნათელი ხდებოდა.

■ და პოლიტიკოსებთან არშიყობა მოგეწონათ?

□ ცხადია, მომეწონა, 29 წლის ვიყავი და ეს უკვე ახალ სამყაროში შესვლას ნიშნავდა.

■ ალბათ იცოდით, როგორ სამყაროში შედიოდით.

□ ყველა სამყარო ერთნაირია. საერთოდ, ადამიანები ყველგან ერთნაირები არიან. არ არსებობს ადგილი და სფერო, გარდა მონასტრისა და იქაც საკამათოა, სადაც არაფერი ადამიანური არავისთვის უცხო არ არის. შესაბამისად, ინტრიგებისა და ამორალური რაღაც-რულაქებისგან ადამიანური მოღვაწეობის არც ერთი სფერო დაცლილი არ არის და ილუზიაა, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, ასე, თეატრიც ბინძური საქმეა, კინოც, რედაქციაც და ყველაფერი.

■ რატომაა, ვთქვათ, თეატრი ბინძური საქმე?

□ ის ინტრიგები, კონფორმიზმი თუ სხვა რამ, რაც ჩვენ გვალეღვებს, თეატრშიც არის.

## საუბარი

■ კი, მაგრამ ის ლოკალურ სივრცეში ხდება და ფართო საზოგადოებაზე ნაკლებად ზემოქმედებს, პოლიტიკა სხვა მასშტაბია, სახელმწიფოს ეხება. თეატრი და კინო სხვაა.

შეიძლება მოქმედებისა და საზოგადოებაზე ზეგავლენის დოზით იყოს განსხვავება, მაგრამ დიდი პრინციპული განსხვავება არაა. თუ ჩვენ ახლა კეთილისა და ბოროტის რელიგიურ გაგებას დაუბრუნდებით...

არ გინდათ ისტორია მოგიყვებოდნენ? ამას წინ უძღვის ის ამბავი, რომ გერმანელებმა ადენაუერის ფონდიდან მიმიპატიეს ლექციების წასაკითხად, როგორც ჟურნალისტური გამოძიების მეტრი.

■ ჟურნალისტური გამოძიების მეტრი რატომ ხართ, არ ჰკითხეთ?

ვკითხე – გამომძიველი არა ვარმეთქი? და არაო, თქვენ ხაფანგში მოხვდით, პროვოკაციის მსხვერპლი ხართ

■ ახლაც განსაკუთრებულობის შეგრძნება რომ დაჰყვება მაგ ისტორიას? სხვათა შორის, ჯერ კიდევ „202“-ის თოქ-შოუდან გამაღიზიანებელი იყო თქვენი აგდებული დამოკიდებულება მაყურებლის მიმართ. ისე ელაპარაკებოდით, როგორც მომხმარებელს, თითქოს რალაცით იყავით აღმატებული მასზე.

ეს თქვენი აზრია და თქვენი სწობიზმია ამაში დამნაშავე.

**ბანგბა ისაა მოწყობილი, რომ დამიჭირეს და სიხშირე მოვხვდი, მაშინ საკუთარ თავს ვუთხარი – აი, შენ, შალვა, „ღაიბრალსია“, პროვოკატორი იყავი, მიიშინებდი, ხელისუფლებას დასცილდი, ქუჩაში ხალხს კამერის წინ ურტყამდი, ახლა ხარ სიხშირე და უნდა გამოჩნდეს, ეს კოზა იყო თუ მართლა ასეთი ხარ.**

■ საშიშ თემას მივადექით, მაგრამ რადგან დაინყეთ, ვთქვით – ვარსკვლავებიან ცას რომ თავი დავანებოთ – რა არის ზნეობრივი ადამიანი?

ძალიან რელატიური ცნებაა, მე არ ვიცი, რა არის ზნეობრივი ადამიანი.

■ მაშინ სხვაგვარად ავხსნათ, რა არის შემაკავებული ადამიანი?

შემიძლია მოგიხსნათ ძალიან ბევრი თეორია, მაგალითად, ფროიდის მიხედვით...

■ არ გვინდა რა, ეს თეორიები. მე მაინტერესებს თქვენი უშუალო განცდები და შთაბეჭდილებები, არ მინდა ციტატები.

მაშინ მაგარ სენსაციურ რამეს გეტყვით.

■ შეფასებით რატომ იწყებთ, თუ რამე სენსაციური იქნება, თვითონ გეტყვით, რომ სენსაციურია.

ამის დედაც ვატირე, უნდა ვთქვა. „იმედის“ ხელმძღვანელობამ შემომთავაზა ბენდუქიძესთან ერთად თოქ-შოუს წაყვანა.

■ სულ მგონია, რომ არაგულწრფელი ხართ და ვილაცის წამოსაკიდებლად აგდებთ რალაც მესიჯებს. თუნდაც, ბენდუქიძესთან ერთად გადაცემის გაკეთება რატომაა სენსაციური, არ მესმის.

და მოგიყვებით, რა მოხდაო. დამხვდნენ „დოიჩე ველეს“ აკადემიის პროექტ-მენეჯერი, მათი ბავშვები და ჟურნალისტები. მოკლედ, ჩავატარე შოუ და რატომ არის ცუდი მდგომარეობა საქართველოში, გაჩვენებთ – მეთქი. ერთი კარგი გოგონა იყო „იმედიდან“, 20 წლის და ვკითხე, – როგორ მუშაობ „მარადიონების“ მიერ მიტაცებულ ტელევიზიაში, რომლის მეპატრონეც მოკლეს-მეთქი. თავის მართლება დაიწყო, – კულტურაში ვმუშაობო. სადისტური არა, მაგრამ ისეთი სიამოვნება განვიცადე, რომ აი, ხედავთ, რა მოსდით ერთი შეხედვით პატიოსან ადამიანებს. ის გოგო პატიოსანი ჩანდა იმ მხრივაც, რომ აღიარა, სახელისუფლებო ტელევიზიაში ვმუშაობო, „რუსთავი 2“-ის თანამშრომელმა ესეც არ აღიარა, და უკვე მათ შორის მოხდა კამათი, საინტერესო პროვოკაცია იყო. გუშინ, ამ წინადადებას რომ ვისმენდი – „იმედის“ შემოთავაზებას, ეს გოგონა გამახსენდა, არ მეტყვის, – ჭკუას რომ მარიგებ, 40 წლის კაცი, თავი კიტრი რომ გგონია და ასეთ თოქ-შოუს თანხმდები, ეგ როგორ იქნებაო? არ მინდა, იმ ბავშვმა ეგეთი რამ მითხრას.

■ ეგ ზნეობრივი აქტია თქვენი მხრიდან, თუ...

რაციონალიზაციას ნუ ახდენ. მე მოგიყვები მართალი ისტორია და შენ გინდ დაიჯერე, გინდ არა.

■ რატომ ეკიფებით მაყურებელს?

იმიტომ რომ გამოვაცოცხლო და ვაგრძნობინო – შენ რომ კარგად მოკალათდი, უნდა შეგაშფოთო.

■ იმას არ გეუბნებით, მაყურებლის განცხრომაზე იზრუნოთ, უბრალოდ, თავი არ უნდა დაამადლოთ და არ უნდა აგრძნობინოთ, რომ ის თქვენი ტოლი არ არის.

არ მოგწონდათ ეს? აბა, რა მოგწონდათ?

■ რალაცები მომწონდა, რალაცები არა. ეს დამოკიდებულება ნამდვილად არ მომწონდა და, სამწუხაროა, რომ არაფერი შეცვლილა. არადა, მეგონა, ციხიდან სხვანაირი გამოხედვით.

მერე, ვარ კიდევ სხვანაირი.

■ ეს დამოკიდებულება ისეც შენარჩუნებული გაქვთ.

ცხადია, ადამიანები პრინციპულად არ იცვლებიან. შოპენჰაუერს აქვს თეორია – ადამიანი ექვს წლამდე რომ ყალიბდება, ის არ იცვლება სიკვდილამდე.

■ არ გვინდა რა, ვიცით ეს თეორიები, ამით დაბოლებაც, ცოტა არ იყოს, სასაცილოა და გეტყვით, რატომაც. ციხეში პირველ დღეს რომ შედის კაცი, რომელიც გაოგნებისგან ჯერ არ გამოფხიზლებულა, და თან შოპენჰაუერის

სამი ტომი მიაქვს, რომელსაც თურმე აზერი პატიმრები ეცემიან და კითხულობენ, სიყალბეა.

ეს ისტორია იყო სასაცილო.

არ არის ეს სასაცილო ისტორია.

ზოგს გაეცინა.

**?** აი, ახლაც, ისეთივე დამოკიდებულება გაქვთ. არადა, რა იცით, რამდენი „არაცნობადი“ ადამიანია თქვენზე უფრო აღმატებული და, რაც მთავარია, თავმდაბალი.

თუ ასეთი დამოკიდებულება არ მოგწონდათ, რატომ არ გადართეთ სხვა არხზე.

**■** ასეთი განცხადება პასუხისმგებლობისგან გაქცევა და იოლი გამოსავალია. თუ გაქვთ იმის პრეტენზია, რომ ეკრანის მეშვეობით მილიონ ოჯახში შეხვდით, კეთილი ინებეთ და გარკვეული პასუხისმგებლობაც გქონდეთ აუდიტორიის მიმართ.

ნუ ჩამრთავს საერთოდ, ამოიღოს ის არხი, რადგან მე ვერავის დავეხმარები. თქვენ რა გინდათ რომ მკითხოთ – ასეთი ვარ მაშინაც, როცა საკუთარ თავთან ვრჩები, თუ ეს არის ეპატაჟი?

**■** თუ ეს არის პოზა? ეპატაჟზე უფრო დიდი წარმოდგენისა ვარ, მაგრამ, როცა ეპატაჟი თვითმიზანი ხდება, მარაზში გადადის.

ეს არის პოზა 15 წელი, ციხემდე, ციხეში, ციხის მერე თუ ხარ ასეთი? ეს როგორი შეკითხვაა იცი? შენ, შალვა რამიშვილო, გულახდილად მითხარი ერთი, როგორი ადამიანი ხარ საერთოდ.

ჩემი კონცეპტუალური მიდგომა ამ საკითხისადმი არის ასეთი – მე მუდმივად ვაშფოთებდი საზოგადოებრივ წესრიგს.

**■** გულწრფელი როდის ხართ?

ხანდახან ვარ, ხანდახან არა.

**■** ახლა თუ ხართ გულწრფელი?

ხანდახან ვარ, ხანდახან არა.

**■** მგონი, უფრო აღშფოთებული ხართ.

არა. მოდი, კონცეპტუალურად მივუდგეთ ამ საკითხს – როცა მე რალაცას ვატრაკებ, საზოგადოებრივ წესრიგს ვაშფოთებ, ანუ ადამიანები მიყურებდნენ ეთერში და ამბობდნენ – ეს ვინ არის, ვინ ჩემი ფეხებია, ახლა უკვე გამიცნეს და მიხვდნენ, რატომ ვაკეთებდი ამას.

**■** ადამიანები ერთგვაროვანი მასა არ არის.

არა, რა თქმა უნდა. აი, მაგალითად, არტი რომ იყო „სტაბილურობა“, ხომ გახსოვს, ზოგი აღშფოთდა, ზოგს ძალიან მოენონა, მაგრამ საბოლოო ჯამში ამან გამოიწვია შეშფოთება, რადგან ეს იყო მოვლენა. მოვლენაში იმას კი არ ვგულისხმობ, ცის კაბადონი გაიხსნათქო, მაგრამ ვიდეონაკეთობის ამბავში გაამართლა, ასეთ რალაცებს რომ ვაკეთებდი, განგება ისეა მონყობილი, რომ დამიჭირეს და ციხეში მოვხვდი, მაშინ საკუთარ თავს ვუთხარი – აი, შენ შალვა, „დაიგრაღისია“, პროვოკატორი იყავი, მაიმუნობდი, ხელისუფლებას დასცინოდი, ქუჩაში ხალხს კამერის წინ ურტყამდი, ახლა ხარ ციხეში და უნდა გამოჩნდეს, ეს პოზა იყო თუ მართლა ასეთი ხარ. მე ოთხი წელი გავიღე ამისთვის. შეწყალება რომ დამენერა და გამოვსულიყავი, არანაირი უფლება არ მექნებოდა ამ ინტერვიუზე მოვსულიყავი. შესაბამისად, ჩემ თავს დავემტკიცე, რომ ეს პოზა არ არის. ანდა, ისე ორგანულად მაქვს გამჯდარი, რომ პოზისგან ვეღარ ვასხვავებ საკუთარ თავს. ის ფაქტი, რომ ციხეში ვიყავი, ყველაზე მეტად ამტკიცებს იმას, რომ ეს პოზა არ იყო.

**■** გეტყვით, რატომაც გკითხეთ პოზაზე და არაგულწრფელობაზე. ნავიკითხე ციხიდან გამოგზავნილი წერილი მეუღლისადმი და მომეჩვენა, რომ ყველაზე ნაკლებად სწორედ მეუღლეს წერთ ამ წერილს, უფრო მეტად სხვებზე გაქვთ გათვლილი, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ კაცი, რომელსაც 4 წელი საყვარელი ქალი არ უნახავს და თანაც მთელი შინაგანი განცდები უმძაფრდება ციხეში, ასეთ კოკეტურ და ფსევდოინტელექტუალურ ფრაზებს წერდეს საყვარელ ადამიანს.

>>> ბაბრქილება გვ. 83





# ტვინის მონაპოვარი


„ნეიროგამაქლიერებელი“ ნაშრომის ანდერბრაუნდ-სამყარო

ავტორი: მარბარტ ტალო

თარგმნა ანა მაყაშვილიმა

ილუსტრაცია: ანა ტაბატაძე

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ნიუ იორკერში“, აპრილი 2009





ყველა ეპოქა გამოირჩევა თავისი დამახასიათებელი ნა-  
მლით. ნეიროგამაძლიერებლები მშვენივრად მოერგო ეფე-  
ქტურობაზე ფოკუსირებულ, BlackBerry-ით აღჭურვილ,  
ჩვენს ოფისურ კულტურას.

ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც წერილში ალექსს ვუწო-  
დებ, ახლახან დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. ის-  
ტორიის კურსდამთავრებულმა ალექსმა ათეულობით  
მოხსენება დანერგა სემესტრის განმავლობაში. ხელმძღვანე-  
ლობდა სტუდენტურ ორგანიზაციასაც, რის გამოც ხანდა-  
ხან კვირაში 40 საათზე მეტხანს უწევდა მუშაობა. როცა  
არ მუშაობდა, გაკვეთილებით იყო დაკავებული. სამუშაო  
დღეებში ლამდამობით მეცადინეობდა, შაბათ-კვირას კი მე-  
გობრებთან ერთად ატარებდა დროს წვეულებებზე სმასა  
და ცეკვაში. „რაც უნდა ბანალურად ჟღერდეს, – მითხრა

ალექსმა, – მინდოდა ბოლომდე ახალგაზრდული ცხოვრე-  
ბით მეცხოვრა“. ასეთი ცხოვრება შეუძლებელი იყო, ამი-  
ტომ ალექსმა ადერალის მიღება დაიწყო – ცხოვრება შესა-  
ძლებელი რომ გაეხადა.

ადერალი ამფიტამინის მარილების ნაერთისგან შემდგარი  
სტიმულატორია და მას, როგორც წესი, ყურადღების დეფი-  
ციტის ჰიპერაშლილობით დიაგნოსტირებულ ბავშვებსა და  
მოზრდილებს უნიშნავენ. მაგრამ ბოლო წლებში, ადერალი  
და რიტალინი – კიდევ ერთი სტიმულატორი, კოგნიტურ  
გამაძლიერებლებადაა მიჩნეული: ნამლები, რომლებსაც  
აქტიური და ვალდებულებებით სავსე ადამიანები მოიხ-  
მარენ, იმისთვის, რომ კიდევ უფრო აქტიურები გახდნენ  
და მეტი ვალდებულება აიღონ საკუთარ თავზე (ეს „და-  
ნიშნულების გარეშე“ მოხმარებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ  
ნამლის მწარმოებლები და „საკვებისა და ნამლის ადმინის-  
ტრაცია“ ნებას რთავენ ექიმებს, გამოუწერონ პაციენტებს  
სანქცირებული ნამლები სხვა და არა მხოლოდ მითითებუ-  
ლი დანიშნულების მიზნით). კოლეჯის კამპუსები ნეირო-  
გამაძლიერებლებზე ექსპერიმენტების ლაბორატორიებად  
იქცნენ, ალექსი კი ნამდვილ გამოგონებელ-ექსპერიმენ-  
ტატორად მოგვევლინა. მის ძმას ყურადღების დეფიციტის  
ჰიპერაშლილობის დიაგნოზი დაუსვეს და პირველკურსელმა  
ალექსმაც მალევე ჩაიგდო ხელში ადერალის რეცეპტი: მი-  
ვიდა ექიმთან და ჩამოუთვალა ის სიმპტომები, რაც იცო-  
და, რომ ტიპურია ამ აშლილობის დროს. კოლეჯში სწავლის  
პერიოდში ალექსი თითქმის ყოველ საღამოს 15 მილიგრამ  
ადერალს იღებდა, უმეტესად სადილის შემდეგ, რაც მას  
საქმეზე ინტენსიურად კონცენტრირებულობის გარანტიას  
აძლევდა, სადაც 8-დან 10 საათამდე. მეორე კურსზე მან  
შედლო ექიმის დარწმუნება, რომ ნელა-ხსნადი კაფსულების  
დღიური დოზა 30 მილიგრამამდე გაეზარდა.

ალექსმა პირველი კურსი გაიხსენა, როცა ერთ-ერთი კვი-  
რის მანძილზე მას ოთხი სემესტრული ნაშრომი ჰქონდა და-  
საწერი. ორშაბათ დილას, გაღვიძებიდან რამდენიმე წუთის  
შემდეგ, სადაც რვის ნახევარზე მან სწრაფად-ხსნადი ადე-  
რალი გადაყლაპა. ნამალი, საკმაო რაოდენობის კოფეინთან  
ერთად, ბიჭს გაკვეთილებსა და შეხვედრებზე კონცენტრი-  
რებაში დაეხმარა, მაგრამ რაღაც უცნაურობებიც შეამჩნია;  
დილის ლექციაზე, როგორც იმეილით ამიხსნა, მან ცვლი-  
ლებები შენიშნა: „სწრაფად და დაბეჯითებით ვსაუბრობ-  
დი გარკვეულ საკითხებზე და, მეორე მხრივ, უხერხულად  
ჩუმად ვიყავი დისკუსიის სხვა თემების განხილვისას“. ლან-  
ჩმა ბუნდოვნად ჩაიარა: „ყოველთვის გიჭირს ჭამა, როცა  
ადერალი გაქვს მიღებული“. შუადღეზე ბიბლიოთეკაში წა-  
ვიდა, სადაც „ძალიან დიდი დრო“ გაატარა „ნაშრომის კვ-  
ლევაში და არა რეალურად წერაში – პრობლემა, რაც, და-  
მიჯერეთ, ხშირია ყველა ინტელექტუალი, ცნობისმოყვარე  
სტუდენტისთვის, ვინც სტიმულატორებს იღებს“. რვაზე ის  
ორსაათიან შეხვედრას დაესწრო „სტუდენტების მენტალუ-  
რი ჯანმრთელობის საკითხებით დაინტერესებულ ჯგუფთან  
ერთად“. მერე ალექსმა ადერალი დალია და მთელი ღამის  
განმავლობაში ნაყოფიერად იმუშავა მოხსენებაზე. მეორე  
დღეს, დილის რვა საათზე თავისი ორგანიზაციის შეხვე-



დრას დაესწრო; თავს „ზომბივით“ გრძნობდა, მაგრამ იქ იმისთვის მივიდა, რომ დარწმუნებულიყო – „სემესტრული სამუშაოები ნყალში არ იყო ჩაყრილი“. ამის შემდეგ, ალექს-მა მიაბო: „ჩემს ოთახში შევედი, დაღლილი სხეულისთვის რომ მიმეხედა“. შუადღემდე ეძინა და გამოეღვიძა „დროულად – ჩემი ნაშრომის გადათეთრებისა და ჩაბარებისთვის“.

ალექსს გასული ზაფხულის ერთ-ერთ საღამოს შეეხვდა, ნიუ ინგლანდში, ქალაქში, სადაც ახლა ცხოვრობს, ერთ მომხიბვლელად უნესრიგო ბარში. გამხდარი და წვერებიანი, გახუნებული ჰიპური შარვლით, ინდი-ჯგუფის ნამყვან მომღერალს ჰგავდა. თავმოწმონე და კარგი მოსაუბრე, ოდნავ გამომწვევი ირონიულობით ენოდა სიგარეტს. ალექსი თავისუფლად საუბრობდა ადერალის ხშირ მოხმარებაზე, მაგრამ არ ისურვა, მისი სახელი დაბეჭდილიყო, – ინტერნეტ-ბიზნესის წამოწყებაშია ჩართული და ღელავს, პოტენციურ ინვესტორებს მისი ეს ჩვევა არ მოეწონებათ.

მას შემდეგ, რაც ლუდი შეეუკვეთეთ, ალექსმა მითხრა: „სტუდენტობის ყველაზე შთამბეჭდავი თავისებურება ისაა, რომ აცნობიერებ სამუშაო ციკლის 24-საათიანობას. ხვდები, რომ ეს არაა ხუთიდან ცხრამდე საქმე, ესაა, რასაც ფიზიკურად შეძლებ ერთი კვირის მანძილზე და თან სხვადასხვა მიზნებსაც უნდა მიაღწიო სხვადასხვა სფეროში – სოციალურ, რომანტიკულ, სექსუალურ, კარიერისათვის საჭირო, აკადემიურ სფეროებში“. ალექსი ცდილობდა იმ მოსაზრების უარყოფას, რომ სტუდენტები, ვინც ადერალს იღებენ, არიან „აკადემიური რობოტები, რომლებიც წამალს იმისთვის მოიხმარენ, რომ პირველები იყვნენ ჯგუფში, ან ყველაზე პრესტიჟულ – იურიდიულ სასწავლებელში მიღების გარანტია რომ მოიპოვონ, ან კიდევ პირველები აიყვანონ საკონსულტაციო ფირმებში“. მან ამიხსნა: „ჰარვარდში, ყოველ შემთხვევაში, რაღაც დონემდე, რეალისტურად აფასებენ ამას... არ მგონია, რომ ადამიანებს, რომლებიც ადერალს იღებენ, გამიზნული ჰქონდეთ პირველობა ჯგუფში. ჩემი აზრით, საუკეთესოთა შორის მოხვედრა სურთ, ან შეიძლება არც საუკეთესოთა შორის; მიზნად აქვთ, უკეთ სწავლის ყველაზე მაღალ დონეს მიაღწიონ“; და გააგრძელა: „ყველა აცნობიერებს, რომ თუ მოხსენებას დილის სამ საათზე წერ, ისეთი კარგი არ გამოგივა, როგორც შეიძლება გამოგსვლოდა, ანდა თუ წვეულებებზე გაატარე მთელი შაბათ-კვირა, თან მონიე და Lost-ს უყურებდი, სავალალო შედეგი არ აცდებოდა“.

სტიმულანტების მოხმარებას ე.წ. „არასამედიცინო“ მიზნებით, მხარს უჭერს დაახლოებით ოცდაათამდე სამეცნიერო კვლევა. 2005 წელს ჯგუფმა, რომელსაც შონ ესტებან მაკქეიბი, მიჩიგანის უნივერსიტეტის „წამალზე დამოკიდებულების კვლევის ცენტრის“ პროფესორი ხელმძღვანელობდა, გამოავლინა, რომ ამერიკული სკოლის გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა 4.1-მა პროცენტმა მიიღო რეცეპტი სტიმულანტორების დანიშნულების გარეშე მოხმარებისთვის. ერთ-ერთ სკოლაში მაჩვენებელი 25 პროცენტს აღწევდა. სხვა მკვლევარებმა უფრო მაღალი მაჩვენებლებიც გამოავლინეს: პატარა კოლეჯში 2002 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ წინა წელს მოსწავლეთა 35 პროცენტზე

მეტე მოიხმარდა გამოწერილ სტიმულანტებს არასამედიცინო მიზნებით.

ისეთ წამლებს, როგორცაა ადერალი, სხვა გვერდით ეფექტებთან ერთად, ახასიათებთ ნევროტულობა, თავის ტკივილი, უძილობა, უმადობა. გაფრთხილება, რომელიც ადერალის დანიშნულებას ახლავს, იუნყება: „საკვებისა და წამლის ადმინისტრაცია“ გაცნობებთ, რომ „ამფიტამინებს პოტენციურად ახასიათებთ მათი ბოროტად გამოყენების ტენდენცია და შეუძლიათ დამოკიდებულნი გაგხადოთ“. (დანიშნულებაში ასევე აღნიშნულია, რომ მოზრდილებს, რომლებიც ადერალს მოიხმარენ, შეუძნევიან გულის პრობლემებიც.) და მაინც, კოლეჯის სტუდენტები ადერალსა და რიტალინს კეთილისმყოფელ წამლებად მიიჩნევენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ იცნობენ თანატოლებს, რომლებიც ამ წამლებს ბავშვობიდან იღებდნენ ყურადღების დეფიციტის ჰიპერაქტიულობის გამო. მართლაც, მაკქეიბი აცხადებს, რომ სტუდენტთა უმეტესობა, ვინც სტიმულანტორებს კოგნიტურ გამაძლიერებლებად მოიხმარს, წამალს სწორედ რეცეპტთან გაცნობის შემდეგ ყიდულობს. როგორც წესი, აბებს ერთმანეთს ჩუქნიან, მაგრამ ზოგი სტუდენტი ყიდის კიდევ მათ.

მაკქეიბის მკვლევართა ჯგუფის თანახმად, ნეიროგამაძლიერებლების ყველაზე ხშირი მოხმარებლები დამამთავრებელი კლასების თეთრი, მამრობითი სქესის სტუდენტები არიან, ძირითადად, ძლიერ კონკურენტული სკოლებიდან, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთში. მოხმარებლები უმეტეს შემთხვევებში რაღაც ამხანაგურ წრეებს, ან ვინრო სტუდენტურ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან და მათი საშუალო ნიშანი 3.0 ან ნაკლებია. ისინი, როგორც თავად აცხადებენ, სხვებთან შედარებით ათჯერ მეტად მოიხმარენ მარიხუანას და ოცჯერ მეტად – კოკაინს. სხვა სიტყვებით, ისინი ჩვეულებრივი სტუდენტები არიან ისეთ სკოლებში, სადაც იმისათვის, რომ მაგარი იყო, იმაზე ნაკლებად უნდა გაერთო, ვიდრე გსურს.

BoredAt („თუ იქ მოგწყინდა“) ვებ-გვერდები – რომლებიც კოლეჯის სტუდენტებს საშუალებას აძლევს ერთმანეთს უსაქმოდ ეჩეთავონ და თან მასწავლებლებს თავი მოაჩვენონ, რომ სწავლობენ – საესეა მესიჯებით ადერალზე. აი, ტიპური პოსტები BoredAtPenn საიტთან: „ადერალი მაქვს ცოტა – 101.10 ოთახთან ვზივარ ნაცრისფერი პერანგით და ყურსასმენებით“; „გასაყიდად მაქვს ადერალი, 20 მილიგრამი 15 დოლარად“; „ადერალი მივიღე 8-ზე საღამოს, ახლა დილის 6:30-ა და, როგორც იქნა, ოდნავ მეხუჭება თვალები“. კოლუმბიის უნივერსიტეტის საიტზე ერთ-ერთ იმეილის მისამართდართულ პოსტში ავტორი – CUNY – ჩივის, რომ მისი მეგობრები ადერალს „კამფეტებივით“ სვამენ და ამატებს: „არ მინდა, რომ დანარჩენებს ჩამოვრჩე. მართლა ეგეთი საშიშია? დამენძრევა? ისეთი კარგი ნიშნები არ მქონია წელს და ეგრე წინ წავინევდი“. კოლუმბიის სტუდენტი პასუხობს: „არ მგონია, კარგი აზრი იყოს, თუ რეცეპტი არ გაქვს“, მაგრამ პრაქტიკულ რჩევასაც სთავაზობს: „ნორმალური დოზით მიიღე, არ დაღეჭო და არ შეიყნოსო“.

იშვიათ აზრთა სხვაობას („ჩემი აზრით, ყველა გამოცდა-





ზე სხვადასხვა წამალს უნდა ვსინჯავდეთ შემთხვევითი პრინციპით“) ამგვარი სახის რეკომენდაციები ახშობენ: „არ მინდა, რომ ვინმეს რამეზე მივუთითო ან რაიმე ცუდის კეთება დავანყებინო, მაგრამ ადერალი სასწაულია“.

ალექსი ადერალის მოხმარებას ამართლებს, მაგრამ ოდნავ ეჭვნარევ კრიტიკასაც გამოთქვამს: „როგორც კოგნიტური გამაძლიერებელი ისე მოქმედებს, ვიდრე ამოცანის ბოლომდე შესრულებაზე ხარ მომართული, – მითხრა მან, – რამოდენიმეჯერ ადერალი გვიან ღამით მიმიღია და გადამიწყვეტია, რომ აი, ახლა დავალეხის წერას კი არ დავინყებ, მთელ მუსიკალურ ბიბლიოთეკას დავალაგებ! მინახავს, როგორ გამალებით ალაგებენ ადერალიმდებულები ოთახებს“. ალექსი ფიქრობდა, რომ წამალი მას ზოგადად სამუშაოს შესრულების ძალას აძლევდა, მაგრამ სინამდვილეში წამლის ზემოქმედებით ნაწერი იბერებოდა უამრავი სიტყვის ხარჯზე. „ხშირად გადამიხედავს ადერალის ქვეშ დაწერილი მოხსენებებისთვის, და ისინი ზედმეტად სიტყვაუხვია. ამ ნაწერებში თითქოს დაჟინებული მტკიცება ჩანს, თითქოს უნაკლო მსჯელობის წარმოჩენაა, თუმცა უფრო პირდაპირ რომ მივსულიყავი ძირითად სათქმელამდე, უფრო გამართული მსჯელობა იქნებოდა. ეს ყველაფერი რამდენიმე წინადადებით შეიძლება მეთქვა“. მიუხედავად ამისა, ადერალის ქვეშ დაწერილ მოხსენებებში ხშირად B-ც მოუღია. თავის საქმეს აკეთებდნენ. როგორც ალექსმა თქვა, „პროდუქტიულობა კარგი რამეა“.

გასულ აპრილს, სამეცნიერო ჟურნალმა Nature არაფორმალური ონლაინ-გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. ამ გამოკითხვაში შეკითხვა ეხებოდა იმას, ცდილობდნენ, თუ არა მკითხველები თავიანთი „ფოკუსირებულობის, კონცენტრირებულობის ან მეხსიერების“ გაძლიერებას ისეთი წამლების მიღებით, როგორებიცაა რიტალინი და პროვიგილი – შედარებით ახალი სახის სტიმულატორი, რომელიც მოდაფინილის კლასში შედის და ნარკოლეფსიის სამკურნალოდ გამოიყენეს. ხუთი რესპონდენტიდან ერთმა თქვა, რომ ზუსტად ასე იქცეოდა. გამოკითხული 14 ათასი მკითხველის უმეტესობამ განაცხადა, რომ ჯანმრთელ მოზრდილებს ნება უნდა დართონ, მიიღონ ტვინის წამახალისებლები არასამედიცინო მიზნებით, 69 პროცენტმა კი თქვა, რომ ზომიერი გვერდითი ეფექტები სავსებით მისაღები რისკია. მართალია, უმეტესობამ განაცხადა, რომ ამგვარი წამლები არ უნდა იყოს მისაწვდომი ბავშვებისათვის, რომლებსაც სამედიცინო დანიშნულება არ აქვთ მიღებული, გამოკითხულთა მესამედმა მაინც აღიარა, რომ ალბათ ვალდებულად იგრძნობენ თავს, თავიანთ შვილებს „ჭკვიანი წამლები“ მისცენ, თუკი გაიგებენ, რომ სხვა მშობლები ასე იქცევიან.

სამუშაო ადგილებზე უკვე შეინიშნება ამ ტიპის კონკურენცია. ამას წინათ ჟურნალში Wired რჩევების სვეტი პასუხობდა მკითხველის მიერ დასმულ კითხვას „ფირმაში ამომავალი ვარსკვლავის“ თაობაზე; წერილის ავტორი ამბობდა, რომ ურეცეპტოდ მოიხმარდა მოდაფინილს – „გიჟური სამუშაო საათებისთვის“ ტემპი რომ აუნყო, რადგან ბოსი მას „არასაკმარისად პროდუქტიულ თანამშრომლად“ მიიჩნევდა.

ხოლო ისეთი ინტერნეტ-ფორუმების წევრებს, როგორი-

ცაა Immlinst, ჯიუტი ლტოლვა აქვთ, საკუთარი შემეცნებითი ფუნქციები წამლებითა და სხვა მსგავსი დამატებითი საშუალებებით გაიმძაფრონ, ნეიროგამაძლიერებლების დოზებსა და იმპროვიზირებულ კომბინაციებზე რჩევებით კი ვაჭრობენ („გავეჭერი ტაბლეტი ოთხად და ყოველ ოთხ საათში ერთხელ ვიღებდი – 25 მილიგრამს დღეში ოთხჯერ და ძალიან ნაყოფიერი დღე მქონდა, ყოველგვარი გვერდითი ეფექტების გარეშე“). ბოლო დროს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ პოსტში 52 წლის პირმა, რომელიც სრულ განაკვეთზე მუშაობდა, ღამლამობით მეცადინეობდა მაღალი ხარისხის მისაღებად და იყო „დაქორწინებული და ა.შ.“, დაწერა, რომ მოდაფინილი გასინჯა და ახლა ის უკვე დღეში ორ დოზას იღებდა – ას-ას მილიგრამს. მას სჯერა, რომ „ცოტა უკეთ ვართმევ თავს ყველაფერს“ და „ცოტა უფრო გამოცოცხლებულად ვგრძნობ თავს დისკუსიების დროს“.

ამას წინათ, ანთან ჩატერჯის შევხვედი მის ოფისში, ის პენსილვანიის უნივერსიტეტის ნევროლოგია. ჩატერჯის კვლევის ძირითადი ინტერესი სივრცითი ფუნქციების ნევროლოგიურ საფუძველს უკავშირდება, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ სულ მეტი სტუდენტი მოიხმარს კოგნიტურ გამაძლიერებლებს, მან ამგვარი ქცევის ეთიკურ მომენტებზე დაიწყო წერა. 2004 წელს გამოიგონა ტერმინი „კოსმეტიკური ნევროლოგია“, რათა აღწერა იმ წამლების მოხმარების პრაქტიკა, რომლებიც შემუშავებულია აღიარებული სამედიცინო დარღვევებისთვის ჩვეულებრივი შემეცნების გასაძლიერებლად. ჩატერჯი დარდობს კოსმეტიკურ ნევროლოგიაზე, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს საბოლოოდ ისეთივე მისაღები გახდება, როგორც კოსმეტიკური ქირურგია; ნეიროგამაძლიერებლების შემთხვევაში, მათ უმნიშვნელობაზე, პრაქტიკულად, ძნელია კამათი. „საზოგადოების ბევრმა სექტორმა შექმნა პირობები, სადაც „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“ და პატარა უპირატესობები არათანაბრად აჯილდოვებს ადამიანებს“, – ამბობს ჩატერჯი. სასწავლებლებსა და სამსახურებში ის უპირატესობა – „უფრო ჭკვიანი“ რომ იყო, ცოტა ძილი გჭირდებოდა და უფრო სწრაფად სწავლობდე, უდავოა. მოთხოვნა სწორედ აქაა: ასაკოვანი ადამიანებისგან, რომლებიც ცუდი მეხსიერებით საქმეს თავს ველარ გაართმევენ; გადაღლილი მშობლებისგან, რომლებსაც უნდათ, თავიანთ შვილებს ყველა არსებული შესაძლებლობა მისცენ; ნევროტული თანამშრომლებისგან, რომლებიც ეფექტურობაზე ფოკუსირებულ, BlackBerry-ით აღჭურვილ ოფისებში მუშაობენ, ოფისებში, სადაც სამუშაოს არასდროს უჩანს ბოლო.

ჩატერჯიმ მითხრა, რომ ბევრი ადამიანი, ვინც მის კლინიკაში მიდის, „კოგნიტურად შეუპრობილია“ – ეს იმის ერთ-ერთი ვერსიაა, რასაც ექიმები „კარგად შენუხებულს“ უწოდებენ. იმ დღეს, როცა ჩატერჯის ოფისს ვენევი, მასთან შეახნის ქალბატონი ყოფილა მისული, ფილადელფიის წარმატებული ადვოკატი, რომელსაც, ცოტა არ იყოს, უჭირდა კონკრეტული სახელების გახსენება. „აი, ეს არის მაგალითი ადამიანისა, რომელიც მშვენივრად ართმევს თავს საქმეს, – მითხრა ჩატერჯიმ, – არავითარი პრობლემები არ აქვს სამსახურში, მაგრამ ამჩნევს, რომ გარკვეულ პრობლემებს



მაინც აწყდება და აქ რთულია იმაზე საუბარი, რამდენადაა ეს უბრალოდ ასაკის ბრალი“. რა თქმა უნდა, ამ ქალბატონის მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი, რეგულარულად ივარჯიშონ და ინტელექტუალური სტიმულაციაც მიიღონ, მით უმეტეს, ორივე მათგანს, კოგნიტიური ფუნქციების განმტკიცება შეუძლია. მაგრამ ალბათ, ასე უკვე იქცეოდნენ და ახლა უფრო დიდი მენტალური აჩქარება სჭირდებათ, სჭირდებათ რამე უფრო მარტივი, ვიდრე ოფლიანი ვარჯიშები და რუსული ნოველებია: აბები.

ბოლო დროს ტელეფონით ბარბარა საჰაკიანს ვესაუბრე – კემბრიჯის უნივერსიტეტის ნეიროფსიქოლოგსა და

რამდენიმე ფარმაცევტული კომპანიის კონსულტანტს. მითხრა, რომ მისი კოლეგებიც მოიხმარდნენ ადერალისა და პროვიგილის ტიპის წამლებს. რამდენადაც წამლების ყიდვა ადვილია, წერდნენ ისინი, რთული იქნება მათი გავრცელების შეფერხება: „ადამიანებს ისევე ძლიერად უნდათ საკუთარი შემეცნების უნარი განავითარონ, როგორც უნდათ, რომ უფრო ლამაზები და სექსუალურები იყვნენ. (ყოველ შემთხვევაში, კემბრიჯისნაირ ადგილებში).

>>> ბაზრძელება გვ. 86

# ადერალი





# პარკური

ავტორი, ფოტო: ლევან კაკაბაძე

პარკური მოძრაობაა, თავისუფალი მოძრაობა. წინააღმდეგობების და დაბრკოლებების გადალახვის, ფორმებით აზროვნების ხელოვნებაა.

საქართველოში პარკური სულ რაღაც სამი წლის წინ გაჩნდა და დამკვიდრდა როგორც ურბანული ხელოვნება. ერთი შეხედვით, ის ექსტრემალური სპორტის ერთგვარი ნაირსახეობაა, თუმცა ტრეისერებთან (პარკურის მიმდევრები) ერთად გატარებული დროის შემდეგ მივხვდით, რომ ფიზიკურზე მეტად ის უფრო ექსტრემალურ სიტუაციაში აზროვნების უნარია.

პარკურის ისტორია ჯორჯეს შებერტის გმირული ისტორიით იწყება. ის ვულკანის ამოფრქვევის დროს სამაშველო ოპერაციას ხელმძღვანელობდა. შებერტმა ამ ოპერაციის დროს პირველად გამოიყენა ილეთები და მოძრაობები, რომელიც მოგვიანებით დევიდ ბელლემ პარკურის ხელოვნებას დაუდო საფუძვლად. ამიტომ პარკურის მთავარი იდეა დაბრკოლების გადალახვა და მოძრაობაში თავისუფლების შენარჩუნებაა.




































ცნობილია, რომ ყოველგვარი ესთეტიკა განსაზღვრული იდეოლოგიის გამომხატველია. შესაბამისად, ამა თუ იმ ესთეტიკის მატარებელი საშუალება: ფერი, შრიფტი, ფორმა, ფაქტურა, მთლიანად სივრცის ორგანიზება, ისევე, როგორც ტექსტი, მეტყველების მანერა, მუსიკა, თეატრალური ხელოვნება და ასე შემდეგ, მისი მაფორმირებელი იდეოლოგიის გზავნილს გადმოსცემს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში მოდერნისტ ხელოვანთა ავანგარდი თანამედროვე საზოგადოების შენების ერთ-ერთ პირობად ახალი ესთეტიკის შექმნას მიიჩნევდა და ყოველდღიური მოხმარების საგნების დიზაინსაც კი ამ სულისკვეთებით ქმნიდა. საკმარისია, გავიხსენოთ ბაუჰაუსის ავეჯი, ჭურჭელი და ტექსტილი, კორბუზიეს, გროპიუსის, გინსბურგის და სხვათა არქიტექტურა, გეგმარება და საქალაქო სივრცის ორგანიზების ხედეა. პირველად სწორედ ბაუჰაუსის სკოლამ უარყო ფასადი – როგორც მნახველზე მიმართული დომინანტური ელემენტი და არქიტექტურა, ინტერიერი და გარემო ერთ მთლიან გააზრებულ ორგანიზმად აქცია. საინტერესოა, რომ ფასადის დომინანტური როლი და სანახაობრივი დატვირთვა იგივე გერმანიაში მოგვიანებით უკვე ფაშისტური რეჟიმის იდეოლოგიამ ააღორძინა, რომელიც პომპეზურ ფასადებს, ისევე, როგორც ესთეტიკის სხვა ფორმებს, მესამე რაიხის ძლევამოსილების დასამტკიცებლად იყენებდა. ესთეტიკით მსგავს მანიპულაციას ბევრი სხვა რეჟიმიც საკმაოდ წარმატებით იყენებდა და იყენებს. ახლო წარსულიდან ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა საბჭოთა სოციალისტური ესთეტიკა იყო და არის ძლიერი მედიუმი საზოგადოების პოლიტიკური ღირებულებების ჩამოსაყალიბებლად. ეს განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, მასმედიისა და ინტერნეტის ეპოქაში, როცა ვიზუალური, ტექსტური და სხვა სახის ინფორმაციის უწყვეტ ნაკადში გაუაზრებლად ხდება სხვადასხვა არაპირდაპირი დატვირთვის იმპულსების ათვისება.

საქართველოში დღეს ესთეტიკურ რეჟიმს, ისევე, როგორც ყოველდღიური ცხოვრების ბევრ სხვა ასპექტს, უმეტესწილად ერთობლივად განსაზღვრავს თავისუფალი ბაზარი და პოლიტიკური იდეოლოგია. კონსერვატიულ-ნაციონალური ღირებულებები და საბაზრო ეკონომიკა შესანიშნავად ერწყმის ერთმანეთს და ფსევდოისტორიოულია და ულტრათანამედროვეს საინტერესო კოლაჟს ქმნის. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითების მოძიება არქიტექტურისა და გარემოს დიზაინიდან შეიძლება. მაგალითად, სარკისებური შეშინვა და ცათამბვჯენები დომინანტური კულტურის მიერ თანამედროვეობის აღმნიშვნელ აუცილებელ ელემენტად არის შერაცხული, ამავდროულად, ფსევდოისტორიული დიზაინი ურბანული სივრცისა და არქიტექტურის ასევე ლამის სავალდებულო კომპონენტია. აქ ცალკე აღნიშვნას იმსახურე-

ბს საკულტო ნაგებობების არქიტექტურა და დიზაინი, სადაც ტრადიციული ფორმების კოპირებამ, უკვე დიდი ხანია, მკაცრად რეგლამენტირებული კონვეიერული სახე მიიღო.

გიგანტურობისა და გამორჩეულობის კომპლექსით დაავადებული ეგრეთ წოდებული ულტრათანამედროვე პროექტები საზოგადოების არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პროექტები თავისი საბაზრო ესთეტიკით შესანიშნავად აკმაყოფილებს პოტენციური კლიენტების მცირე მაგრამ გავლენიან ფენას, რომელიც არქიტექტურულ „საოცრებებს“ გლობალურ კულტურულ და ეკონომიკურ სივრცეში განვერდიანების აუცილებელ ნიშნად მოიაზრებს.

სამაგიეროდ, ფსევდოისტორიულობა კარგად ერგება კონსერვატიული უმრავლესობის შეხედულებებს, თუნდაც ეს დიდი დოზით სიყალბეს მოითხოვდეს. ცოტას თუ აქვს დრო, ფული და მოთმინება, რომ ისტორიულ სიძველეებს ელოლიავოს. მეორე მხრივ, ისტორიული ნივთები, ისევე როგორც თავად ისტორიული გარემო იმდენად კარგად „იყიდება“ ქართველ თუ უცხოელ მომხმარებელზე, რომ დიდ მკრეხელობად არ მიიჩნევა სინამდვილის ყალბი მულაჟებით შელამაზება-ჩანაცვლება. ავთენტური სიძველეები – ელიტურ სალონებში, მასკულტურა კი უპრეტენზიოდ მოიხმარს ყველაფერ დანარჩენს: „გადაკარამიტებულ“ სიღნაღს, თბილისსა თუ მცხეთას, არქაულ და პომპეზურ მონუმენტებს, „გაჯაზებულ“ თუშურ მელოდებს და ა.შ.

საინტერესოა დაკვირვება, რომ ფსევდოისტორიციზმის ამ ტენდენციაში განსაკუთრებული აღფრთოვანება კონკრეტული პერიოდების მიმართ შეინიშნება. გავიხსენოთ თუნდაც მე-19 საუკუნის მინურულის ევროპა, ან რუსეთის იმპერიის დროინდელი საქართველო, სადაც თურმე პარიზული მოდა მხოლოდ ორი კვირის დაგვიანებით აღწევდა, კეთილშობილი არისტოკრატები ულამაზეს ბანოვანებს უძღვნიდნენ რომანსებს და სიმდიდრე და სალონური ცხოვრება ჩქეფდა. იმ ეპოქის სულისკვეთება დღეს მრავალი მოდური კაფესა თუ სალონის დიზაინში იგრძნობა. ასეთივე ისტორიაც, რომელსაც გვამცნობს, მაგალითად, წინანდალში ახალგაზრდობის მემორიალური ქავეჭავაძისეული სასახლე. აქ ინტერიერები თანამედროვე დიზაინის კატალოგიდან გადმოხატულს ჰგავს – გამიშვებული ქვის კედლების ფონზე გამოფენილი ძველებური ნივთები პრესტიჟული საგამოფენო სალონის (ინგლ. **Showroom**) შეგრძნებას ამძაფრებს. გიდი კი დაბეჯითებით გვიხსნის თითოეული ნივთის ევროპულ წარმოშობას, ნაკეთობის სინატიფესა და სიძვირფასეს. ყურადღების მიღმა რჩება საინტერესო ისტორიები პატივმოყვარე ქართველ არისტოკრატიაზე, იმპერიულ რეჟიმსა და იმდროინდელ მნიშვნელოვან მოვლენებზე. აქ, ისე როგორც არსად, ცხადად იგრძნობა საზოგადოების პოსტსაბჭოთა კომპლექსები და ნოსტალგია იმ ეპოქის მიმართ, როცა არისტოკრატთა ფუფუნება ღვთის მიერ დადგენილ ნორმად იყო მიჩნეული.

ცხადია, ნოსტალგია ცოტ-ცოტა ყველაფერს აზვიადებს და რომანტიკული საბურველით მოსავს, საჩოთირო ელემენტებს კი ზრდილობიანად ივინყებს. სხვაგვარად ვერ იმუშავებს წარსულით ტკობის დამატორბელი ეფექტი, რომელიც ანმყოთი გაბზრებულ ადამიანს დროებით მაინც წარმოსახვით კომფორტს უქმნის და ცვლილების სურვილს უკარგავს. ასეთი წარმოსახვითი კომფორტის შექმნას ანთროპოლოგი დევიდ შარვი „საზოგადოების კაპუჩინოთი დამშვიდებას“ (ინგლ. **pacification by Cappuccino**) უწოდებს.

არის თუ არა ქართული საზოგადოება კაპუჩინოს არომატით გაბრუებული, ძნელი სათქმელია. ის კი ცხადია, რომ როცა მისი ერთი ნაწილი მსუბუქი ჯაზის ფონზე კაპუჩინოს წრუპავს, მეორე ნაწილი სარსებო მინიმუმს დაეძებს. შედეგი ორივე შემთხვევაში ერთია – შემოქმედებითი და ინტელექტუალური მუხტი ნეიტრალიზებულია და გარემო ისევ რჩება როგორც მზა ესთეტიკური ფორმულების უსასრულო რეპროდუქცია.

სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა განსხვავებული ესთეტიკური რეჟიმის, როგორც ალტერნატიული ხმის შექმნა. ქართულ საზოგადოებაში არსებობს ის შემოქმედებითი და ინტელექტუალური რესურსი, რომელიც ესწრაფვის, დაინახოს შეულამაზებელი რეალობა, რათა მისი გაუმჯობესების გზები ეძებოს. დროა, მოიძებნოს ეს რესურსი, ვიდრე თვალი მიეჩვევა უსასრულოდ კოპირებულ ვიზუალურ-სივრცით მანიპულაციებს, ვიდრე „არისტოკრატულ-ელიტური“ უსაგნო ისტორიებით დამიმბებული გონება დაკარგავს კრიტიკული აქტის უნარს, ვიდრე წარმოსახვა მსუბუქი ჯაზისა და კაპუჩინოს არომატით გაიყვინთება...

20 სექტემბერი, 2009





## „დიას – ამნისტიას, არა – ამნეზიას“ საქართველოში ლუსტრაციის პერსპექტივების შესახებ

ავტორი: ანა დოლიძე

ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი

„ცუდი მსჯელობის ნამალი უკეთესი მსჯელობაა“, – ნერს ნობელის პრემიის ლაურეატი, ამარტია სენი თავის ახალ წიგნში „სამართლის იდეა“.

მას შემდეგ, რაც 1971 წელს ან გარდაცვლილმა ჰარვარდის პროფესორმა, ჯონ როლსმა „სამართლის თეორია“ გამოაქვეყნა, ყველა პატივსაცემი პოლიტიკური ფილოსოფოსი თავს ვალდებულია მიიჩნევს, ამ თემაზე საკუთარი აზრი გამოთქვას. „სამართლის იდეის“, რომელიც სულ ახლახან, 2009 წლის სექტემბერში გამოვიდა, ავტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ინდოელი პროფესორი, რომელმაც 1998 წელს ეკონომიკაში ნობელის პრემია მიიღო, სამართლის შესახებ საკუთარ შეხედულებას გვაცნობს, ხოლო ჯონ როლსს აკრიტიკებს.

სენი აკრიტიკებს სამართლის შესახებ ზედმეტად თეორიულ მსჯელობასა და აზროვნებას, რასაც, მისი აზრით, საფუძველი სწორედ როლსის ნაშრომმა ჩაუყარა. ნაშრომი უნდა „შეეხოს სამართლის განმტკიცებისა და უსამარ-

ტლობის აღმოფხვრის საკითხებს, და არ უნდა გვთავაზობდეს საკუთარ მოსაზრებებს სრულყოფილი სამართლის ბუნების შესახებ“. სენი თავის ნაშრომს იწყებს ციტატიტ ჩარლზ დიკენსის „დიდი იმედებიდან“. „იმ პატარა სამყაროში, სადაც ბავშვები არსებობენ, არაფერი არ შეიმჩნევა და იგრძნობა ისე ცხადად, როგორც უსამართლობა [...] იმ უსამართლობის გამოვლენა, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია, არა მხოლოდ გვიბძგებს, რომ სამართალსა და უსამართლობაზე ვიფიქროთ, არამედ ეს სამართლის თეორიის მთავარი საკითხია“.

ეს სტატია არის მსჯელობა იმ უახლეს ინიციატივაზე, რომელიც, სწორედ სენის მოწოდების მიხედვით, გამიზნულია, ჩვენს ცხოვრებისეულ სინამდვილეში პრაქტიკულად გამოასწოროს წარსულში, კომუნისტური რეჟიმის მიერ ჩადენილი უსამართლობანი. მკითხველისთვის ცნობილია, რომ დეპუტატმა გია თორთლაძემ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი „ლუსტრაციის შესახებ“,



რომლის მიზანია, პროექტის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „ქვეყნის შემდგომი დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება“. კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო თანამდებობების დაკავება ეკრძალებათ პირებს, ვინც გარკვეულ თანამდებობებზე იყო კომუნისტურ პარტიასა და კომკავშირში და თანამშრომლობდნენ სსრკ სპეცსამსახურებთან; ასევე ხდება ამ უკანასკნელთა გამოვლენის ხელშეწყობა და აღრიცხვა. ლუსტრაცია, როგორც ავტორიტარული რეჟიმის მემკვიდრეობისგან გათავისუფლების საშუალება, ავტორიტარული რეჟიმის შეცვლის შემდეგ მთელ რიგ ქვეყნებში დაინერგა სხვადასხვა სახითა და წარმატებით. სიმართლის და შერიგების კომისიების მსგავსად, ლუსტრაცია „სამართლის დადგენის გარდამავალი“ მექანიზმია, ვინაიდან შემოღებულია და ინერგება დემოკრატიული მისწრაფებების მქონე ხელისუფლების მიერ. ის მიზნად ისახავს ძველი, დანაშაულებრივი რეჟიმის მემკვიდრეობისგან გათავისუფლებას – დამნაშავე რეჟიმთან ასოცირებული პირების დასჯას ან გაკიცხვას, სამართლიანობის აღდგენისთვის და რეჟიმის მსხვერპლების დასაკმაყოფილებლად.

წარსულის დანაშაულებრივი რეჟიმის მემკვიდრეობასთან არასწორად გამკლავების ერთ-ერთი უახლესი შემთხვევა იყო დე-ბაათიფიკაცია ერაყში. ისტორიული უსამართლობისა და ახალი, სანდო და გამართული ადმინისტრაციის ჩამოყალიბებისათვის კოალიციის დროებითმა მმართვე-

დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში განიხილავს შემოთავაზებულ ინიციატივას;

ამიტომაც ვთვლი, რომ ამ თემაზე აზრის გამოთქმა მხოლოდ იურისტების პრეროგატივა არ არის, არამედ სოციოლოგების, ისტორიკოსების და ეთნოლოგების საზრუნავიცაა. ლუსტრაციის, ისევე, როგორც ყველა სხვა რეფორმის წარმატება იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად, დროულად იქნება არჩეული და მორგებული ესა თუ ის მექანიზმი ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებსა და მენტალიტეტს. უცხოური სამართლებრივი ინსტიტუტების ხელოვნური კოპირების დრო იურიდიულ მეცნიერებებში, დიდი ხანია, დამთავრებულია.

არ ვაპირებთ თავად კანონპროექტის ტექსტის კრიტიკას, ხარვეზების აღნიშვნასა და მათი დახვეწის რეკომენდაციების მოცემას. ეს სამუშაოს შემდეგი, შედარებით ტექნიკური ეტაპია, თუკი გადაწყდება ზოგადად ამ ინსტიტუტის საქართველოში დღეს დამკვიდრება; ხოლო იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ლუსტრაციის კომისია, რა წესით უნდა იმუშაოს მან და სხვა, აუცილებელია საზოგადოებრივი მსჯელობა, ისიც მაშინ, როდესაც პრინციპულად მისაღები იქნება ამ ინსტიტუტის შემოტანის იდეა.

ყოფით რეალობაში და წარმოდგენილ კანონპროექტში ერთმანეთში არეულია ორი სხვადასხვა ცნება: „ლუსტრაცია“ და „დეკომუნიზაცია“. დეკომუნიზაცია გულისხმობს სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ნაბიჯების გადადგმას

**ფრანკოს ავტორიტარული რეჟიმის მიერ ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე ოფისიალური ესკანდონის დუმილს ლიტერატურაში „იძულებითი სიჩუმე“ კი უწოდებენ. თუმცა, ასეთი განხილვების არარსებობას ესკანდონის დემოკრატიული განვითარებისათვის ხელი არ შეუშლია.**

ლობამ, 2003 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით, ბაათის პარტიის წევრებს აუკრძალა სახელმწიფო სამსახური. თუმცა პარტიზანული შეიარაღებული წინააღმდეგობის გაძლიერების შემდეგ კოალიციის მმართველმა ორგანომ საკუთარი გადაწყვეტილება შეარბილა და ბაათის პარტიისა და სამხედრო ძალების ზოგიერთ წევრს საჯარო სამსახურში დაბრუნების ნება დართო. მიუხედავად კეთილშობილური მიზნებისა, ბაათის პარტიის წევრებისთვის სახელმწიფო სამსახურის ერთმნიშვნელოვნად აკრძალვამ, რაც სამართლიანობის აღდგენას ემსახურებოდა, უკვე არსებული სამოქალაქო დაპირისპირება კიდევ უფრო გააღრმავა.

წინამდებარე სტატიის მიზანია, ხელი შეუწყოს გია თორთლაძის მიერ ინიცირებული „ლუსტრაციის შესახებ“ კანონპროექტის საზოგადოებაში ფართო განხილვის დაწყებას. სტატია ზოგადად კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს ლუსტრაციის (ამ ტერმინის სწორად გამოყენებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი) მნიშვნელობას, არამედ საქართველოს

სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საბჭოთა მემკვიდრეობისგან გასათავისუფლებლად, სხვა ნაბიჯებთან ერთად – მაგალითად, კომუნისტური პარტიის ყოფილი ჩინოვნიკებისათვის სახელმწიფო სამსახურის აკრძალვა; „ლუსტრაცია“ კი – სახელმწიფო თანამდებობებზე მომუშავე პირების შემონგებას საბჭოთა სპეც-სამსახურებთან თანამშრომლობის მხრივ, ანდა ასეთი პირების მონაცემების გამომჟღავნებას.

ეს ტერმინები გია თორთლაძის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტის სათაურშიც აღრეულია, ვინაიდან კანონპროექტი გულისხმობს სახელმწიფო თანამდებობის პირებს შორის სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლეთა გამორიცხვას, მათ გამომჟღავნებას, ასევე კომპარტიის თანამდებობის პირებისთვის სახელმწიფო სამსახურის აკრძალვას, ანუ დეკომუნიზაციას.

ლუსტრაცია და დეკომუნიზაცია ეხება რეჟიმის ცვლილების შემდეგ მოსული ხელისუფლების სურვილს,

ააშენოს ახალი სახელმწიფოებრივი წესრიგი, სადაც განმსაზღვრელი ადგილი და მნიშვნელოვანი როლი არ ექნებათ კომუნისტური რეჟიმის ხელშეწყობ პირებს. ამ ნაბიჯების მიზანია, ასევე წარსულის დანაშაულებისათვის და დანაშაულებრივი რეჟიმის მხარდაჭერისათვის გარკვეული საზღაურის დაწესება, მათი სახელების საზოგადოებისათვის, მათ შორის, რეჟიმის მსხვერპლთათვის გამჟღავნებით და სახელმწიფო სექტორში საქმიანობის აკრძალვით.

პირველი პოსტკომუნისტური ქვეყანა, სადაც ლუსტრაციის კანონი მიიღეს, ჩეხოსლოვაკეთი იყო 1991 წლის 4 ოქტომბერს. უნგრეთის პარლამენტმა ლუსტრაციის კანონი 1994 წლის 8 მარტს მიიღო, სადაც ცვლილებები 1996 წელს შევიდა. ლუსტრაციის კანონი პოლონეთში მიიღეს 1997 წლის 11 აპრილს, მთელი რიგი ყოფილი დისიდენტებისა და ხავერდოვანი რევოლუციის თანავეტორების წინააღმდეგობის ფონზე. ადამ მიხნიკმა, გავლენიანმა დისიდენტმა, და ყველაზე დიდტირაჟიანი გაზეთის „ვიბორჩას“ რედაქტორმა 1989 წელს, ლუსტრაციის პროცედურაზე დებატებისას განაცხადა, – „დიახ – ამნისტიას,

რომლებიც დღეს სრულუფლებიან დემოკრატებად ითვლებიან.

2006 წელს ევროპის პარლამენტის კომისიამ ერთხმად დაგმო ადამიანის უფლებათა დარღვევის „მრავალი და სერიოზული“ ფაქტი, რაც ფრანკოს რეჟიმმა ჩაიდინა ესპანეთში 1939-1975 წლებში. ეს რეზოლუცია ფრანკოს მმართველობის პირველი გაკიცხვაა საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან და მოუწოდებს ესპანეთის მთავრობას, მიიღოს მთელი რიგი ნაბიჯები რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაკვლევად. მხოლოდ 2004 წელს შეიქმნა ესპანეთში ფრანკოიზმის მსხვერპლთა ღირსებისა და ხსოვნის აღდგენის სამთავრობო კომისია.

ფრანკოს ავტორიტარული რეჟიმის მიერ ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე ოფიციალური ესპანეთის დუმილს ლიტერატურაში „იძულებით სიჩუმესაც“ კი უწოდებენ. თუმცა, ერთი რამ ცხადია – ასეთი განხილვების არარსებობას ესპანეთის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელი არ შეუშლია.

საინტერესო მაგალითია ასევე ტაივანი. ჩინეთში კო-

**როგორც ნებისმიერი, ჰიპოთეტიკურად საინტერესო და მისაღები ინსტიტუტის შემოღებისას, ამ შემთხვევაშიც უნდა დავსვათ კითხვა: მიზანშეწონილია თუ არა განხორციელდეს დღეს და ზუსტად რა ფორმით.**

არა – ამნისტიას!“ ამით მან გამოხატა ახალი ელიტების შემწყნარებლური დამოკიდებულება კომუნისტური რეჟიმის ფუნქციონერთა მიმართ, ხოლო მათი მხრიდან მონაწილების შემთხვევაში, ახალი სახელმწიფოს ერთად შენების სურვილი.

ბულგარეთში ლუსტრაციის ელემენტები შეტანილია 1998 წლის მაისში; ლიტვაში – 1998 წელს ორ ეტაპად. ყველაზე ბოლოს რუმინულმა პარლამენტმა მიიღო ე.წ დუმიტრესკუს კანონი 1999 წელს, რომელმაც ლუსტრაციის პროცესი მოანწესრიგა.

**ა) საჭიროა თუ არა ლუსტრაცია?**

მართალია, კანონის პროექტში თავიდანვე დევს, რომ მისი მიზანი „ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობაა“, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალი მცდელობისა, სამართლიანობის გარდამავალ მექანიზმებსა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის დადგენა ემპირიულად ვერ ხერხდება. ავტორიტარულ წარსულთან გამკლავებისათვის სხვადასხვა ქვეყანამ საკუთარი გზა აირჩია. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა საჭიროდ მიიჩნიეს ასეთი მექანიზმების შემოღება, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა ესპანეთსა და ტაივანში, ქვეყნებში,

მუნისტურ პარტიასთან დაპირისპირებისას დამარცხების შემდეგ ჩინეთის ნაციონალისტურმა პარტიამ ავტორიტარული მმართველობა დაამყარა ტაივანში 1950 წლიდან. საგანგებო მდგომარეობა ტაივანში 1987 წელს გაუქმდა. ამას დემოკრატიზაციის სხვა ნაბიჯები მოჰყვა – მოიხსნა აკრძალვა მასმედიაზე, პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე და დაუშვეს საყოველთაო საარჩევნო უფლება. დემოკრატიული რეფორმები გამტკიცდა და გაღრმავდა 2000 წელს, როდესაც პირველად ტაივანის ისტორიაში ხელისუფლება არჩევნების მეშვეობით, მშვიდობიანად გადაეცა ჩინეთის ნაციონალისტური მთავრობისგან დემოკრატიულ-პროგრესულ პარტიას. 1987 წლიდან ტაივანის საზოგადოებაში გაისმა მოთხოვნა ავტორიტარული მმართველობის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და მათთვის თვალის გასწორების შესახებ. ავტორიტარული მმართველობის დროის დანაშაულთა შორის სშირად ახსენებენ „228-ის შემთხვევას“, როდესაც 1947 წლის 28 თებერვალს, კონტრაბანდული სიგარეტის გამყიდველებთან პოლიციის შელაპარაკებების დროს რამდენიმე გამყიდველი დაიღუპა. ამას ფართომასშტაბიანი ანტისამთავრობო დემონსტრაციები მოჰყვა, რომელთა ჩასახშობად ხელისუფლებამ ჯარი გამოიყენა. დემონსტრაციების ჩახშობას დაახლოებით 10-დან 20 ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა.



მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიები ეცადნენ, სხვადასხვა საშუალებებით გამკლავებოდნენ წარსულის დანაშაულებს, ყველაფერი მხოლოდ მსხვერპლისთვის კომპენსაციის გაცემით შემოიფარგლა. ტაივანში „გარდამავალი“ ეტაპისათვის სამართლიანობის მექანიზმების შემოღებას ადგილი არ ჰქონია.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ავტორიტარული რეჟიმის მემკვიდრეობასთან გამკლავების სპეციალური გარდამავალი მექანიზმების არსებობა აუცილებელი სულაც არ არის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებისათვის. თუმცა, მთელი რიგი კვლევებით დასტურდება, რომ კეთილსინდისიერად და სწორად დანერგილ ასეთი მექანიზმებს მართლაც შეაქვთ მრავალმხრივი წვლილი დემოკრატიის განვითარებაში. სიმართლის დადგენით და დამნაშავეების დასჯა-გაკიცხვით ხელახალი ძალადობის თავიდან აცილება, მსხვერპლთა ვინდიკაცია და სამართლიანობის გრძნობის დაკმაყოფილება ხდება; ასევე – ისტორიული სიმართლის აღდგენა, რაც ხელს უწყობს მსგავსი შეცდომების განმეორების თავიდან აცილებას, დაპირისპირებულ მხარეებს შორის ეროვნული თანხმობის მიღწევას, სახელმწიფოს მომავალზე მათ რეორიენტაციას და ა.შ.

კომუნისტური მემკვიდრეობისაგან გათავისუფლებისა და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნის მისაღწევად, მიამჩ-

ნია, რომ დეკომუნიზაციის ფართომასშტაბიანი პროცესის საქართველოში ჩატარება აუცილებელია. როგორც დეკომუნიზაციის ერთ-ერთი ეტაპი, უნდა ჩატარდეს ლუსტრაცია – გამოირიცხოს სსრკ-ს სპეცსამსახურების თანამშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში, მოხდეს ამ ინსტიტუტის სიღრმისეული შესწავლა და ა.შ. თუმცა, როგორც ნებისმიერი, ჰიპოთეტიურად საინტერესო და მისაღები ინსტიტუტის შემოღებისას, ამ შემთხვევაშიც უნდა დავსვათ კითხვა: მიზანშეწონილია თუ არა განხორციელებს დღეს და ზუსტად რა ფორმით.

**ბ) ლუსტრაცია საჭიროა, მაგრამ როგორ?**

პოპულარულ საუბრებში აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიერ განვლილი ლუსტრაციის პროცესები ხშირად ერთნაირად ფასდება ხოლმე. არადა, თითოეულ ქვეყნის გამოცდილებას თუ შევისწავლით, დავინახავთ, რომ მათ მიერ მიღებული ზომები არსებითად განსხვავებულია და ამას მოსახლეობის მიერ საკუთარ წარსულთან ზოგადი დამოკიდებულება განსაზღვრავს. სამაგალითოდ ჩეხურ და უნგრულ მოდელს შორის სხვაობა გამოდგება.

>>> ბაბრქიძე ბვ. 93





ილია II და ალექსი II, მოსკოვი 2007

# მზის ამოსვლა

ავტორი: ზაქა მინდიაშვილი

აგვისტოს ომის შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების, საქართველოს საპატრიარქოსა და რუსეთის ოფიციალური პირების ურთიერთობა, რომლის ქოლგის ქვეშ რუსული და ქართული საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც თავად ამბობენ, „დიპლომაში“ ჩაებნენ და რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზაციაზე ზრუნავენ. ილია II თბილი იუმორით, ნოსტალგიით, მეგობრულად ესაუბრება ხოლმე რუსული დელეგაციების წევრებს და გულისტკივილის გამოხატვასაც არ აყოვნებს, როცა საქართველოში რუს ჟურნალისტებს არ უშვებენ.

თავის მხრივ, რუსეთის ეკლესია არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების ავტოკეფალიას და მათ ინკორპორაციასაც არ აპირებს. რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მსურველებს ეს ყველაზე მნიშ-

ვნელოვან არგუმენტად მიაჩნიათ და რუსეთის ეკლესიასა და ხელისუფლებას საქართველოსადმი დამოკიდებულების კუთხით ერთმანეთისგან მიჯნავენ.

ისიც არის, რომ, როგორც უნდა ვუტრიალოთ, რუსული ხელისუფლების განწყობის შეფასებაში, ერთი მხრივ, ხელისუფლების და საზოგადოების დიდი ნაწილის, ხოლო მეორე მხრივ, პატრიარქისა და მის ირგვლივ შემოკრებილი ინტელიგენციის აშკარა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. საქართველოსა და მისი პრეზიდენტისთვის რუსეთი თავის პრეზიდენტთანა და ოკუპანტია (რაც ფაქტის კონსტატაციაა), მეორე მხრივ, მედვედევი მიხეილ სააკაშვილს „პოლიტიკურ გვამს“ უწოდებს და მისი რეჟიმის შეცვლის აუცილებლობაზე ლაპარაკობს, ამ ფონზე კი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტი საქართველოსადმი კეთილგანწყობილია.

რა არის იმის მიზეზი, რომ საქართველოს საპატრიარქოს რუსეთის ხელმძღვანელობასთან, მოსკოვის საპატრიარქოსთან და რუს ექსპერტ-ინტელიგენტებთან საერთო ენის გამონახვა არ უჭირს? ეს ურთიერთობა ლოგიკურ ახსნას ექვემდებარება და მას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

რა თქმა უნდა, მათ შორის უმთავრესია ერთმორწმუნეობა. მაგრამ ასე დავსვათ საკითხი. ოსებიცა და აფხაზებიც მართლმადიდებლები არიან, მაგრამ საქართველოს საპატრიარქო სამშვიდობო მისიაზე ამ ასპექტით ნაკლებად საუბრობდა და არც რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაუდგამს ამ მიმართულებით. უფრო მეტიც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლმა 1990 წელს, საგანგებო ბრძანებით, ყველა ქართველის მკვლეელი „ერის მტრად“ გამოაცხადა, რაც აფხაზებმა და ოსებმა მეტისმეტად მტკიცებულად აღიქვეს. თანაც ეს იმ დროს მოხდა, როცა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ოსურ მოსახლეობას ავინრობდა და უკიდურესად ნაციონალისტური, აფხაზების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა იყო გაჩაღებული. ფაქტია, რომ მაშინ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ხმა არც მართლმადიდებელი ოსების დასაცავად აღუმაღლებია და არც მართლმადიდებელ აფხაზებთან დიალოგზე ზრუნავდა.

ეს იმას მიუთითებს, რომ ერთმორწმუნეობაში, თეოლოგიურის გარდა, სხვა შინაარსის ამოკითხვაც შეიძლება. ამ ჭრილში ერთმორწმუნეობას შეხედულებებისა და ისტორიული გამოცდილების მთელი კომპლექსი განსაზღვრავს, რაც საშუალებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ იმაზეც, რომ საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოები ერთ იდეოლოგიურ ველში არიან მოქცეულები და ერთი და იგივე ისტორიული მემკვიდრეობით საზრდოობენ.

**ისტორიიდან**

1943 წელს სტალინი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს შეხვდა და, პრივილეგიების სანაცვლოდ, საბჭოეთში „პატრიოტული სულის“ გაღვივების საქმეში მხარდაჭერა მოსთხოვა. ბელადმა მოსკოვის მიტროპოლიტ სერგის პატრიარქის ტიტულის დაბრუნების უფლება მისცა და ამასთანავე მიუთითა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც უნდა ელიარებინა. ამის შემდეგ ეს ეკლესიები საბჭოთა კავშირში მოქმედ ზოგიერთ რელიგიურ გაერთიანებასთან ერთად ანტიფაშისტურ კოალიციას შეუერთდნენ, რომელიც მოგვიანებით „მშვიდობის გავრცელების მისიაში“ გადაიზარდა. შედეგად ეკლესიებს, ერთი შეხედვით, მართლაც მეტი თავისუფლება მიეცათ: გაიხსნა ტაძრები, ამოქმედდა სემინარიები, გამოიცა საეკლესიო წიგნები, ეპისკოპოსებმა მანქანებით დაიწყეს სიარული, თუმცა, მეორე მხრივ, უფრო მეტად მოექცნენ ხელისუფლების კონტროლისა და იდეოლოგიური წნეხის ქვეშ, რამაც საბოლოოდ, ფაქტობრივად, ეკლესიის სახელმწიფო აპარატის ნაწილად გადაქცევა გამოიწვია. „ჩვენ წინაშე შემდეგი ამოცანა დგას: მღვდლის ახალი ტიპის

აღზრდა! მღვდლების შერჩევა და განაწილება პარტიის საქმეა“ – აცხადებდა კონსტანტინ ხარჩევი, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს რელიგიურ საქმეთა თავმჯდომარე.

1920-იან წლებში ამბროსი ხელაიასთან ერთად დევნილმა კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ 1949 წელს, ასეთი შინაარსის წერილიც კი გაუგზავნა ბელადს: „კაცთა შორის რჩეული! ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო, საკუთარი თვალთ მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება, ალბათ ამის ღირსი არ ვარ. მიიღეთ ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელი ეკლესიის საბჭოთა კავშირში არსებული სარწმუნოებრივ ორგანიზაციათა სიაში შეყვანისათვის, ჩემი კადნიერი მამაშვილური სიყვარულის გამომხატველად მოგართმევთ ქართულ კულას წარწერით: იოსებ ქართველს, მსოფლიოში უცალღალატო ადამიანს, მაშვრალთა წინამძღვარს, მადლობით გულსასვე საქართველოს მართლმადიდებელთა მწყემსის კალისტრატე კათალიკოს-პატრიარქისაგან“ (ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში. გვ. 188-189).

ომის დროს და ომის შემდეგ სტალინის ფორმალურად სოციალისტური იდეოლოგია შინაარსით სულ უფრო იმპერიულ-ნაციონალისტური გახდა. როგორც იდეოლოგიური სტრატეგია, იგი სამ ელემენტს აერთიანებდა: ნაციონალიზმის გაძლიერებას, ანტიდასავლური ფრონტის გაშლას და ბრძოლას კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. მისმა ტოტალიტარულმა ხასიათმა ბუნებრივად მოიცვა უკლებლივ ყველა სფერო, მათ შორის – რელიგიაც. საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოებიც სტალინის პროექტის ნაწილად იქცნენ, რაც სსრკ-ს პრივილეგირებულ ერებში ნაციონალიზმის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. 1947-1949 წლებში საბჭოეთში იწყება ბრძოლა „უჯიშო კოსმოპოლიტიზმის“ წინააღმდეგ, რომელიც საბ-

**ერთმორწმუნეობაში, თეოლოგიურის გარდა, სხვა შინაარსის ამოკითხვაც შეიძლება. ამ ჭრილში ერთმორწმუნეობას შეხედულებებისა და ისტორიული გამოცდილების მთელი კომპლექსი განსაზღვრავს, რაც საშუალებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ იმაზეც, რომ საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოები ერთ იდეოლოგიურ ველში არიან მოქცეულები და ერთი და იგივე ისტორიული მემკვიდრეობით საზრდოობენ**



ეკლესიისა და საზოგადოებას ხელისუფლების ურთიერთობის სტალინის მიერ განსაზღვრული, თავისი ფორმით ბიზანტიური მოღვაწე საზოგადოებას დაშლამდე უხვლადი დარჩა. ეს ტრადიციის რუსეთში დღესაც განაპირობებს ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას, ხოლო საქართველოში ის ნებისმიერი ხელისუფლებისადმი ზოგადი ლოიალობის, თანადგომის დეკლარირებაში ვლინდება.



ლევონტ ბრეჟნევი, მოსკოვის პატრიარქი არჩენ იზვეკოვი, ლენინგრადის მიტროპოლიტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი რაზმის



მოსკოვის მიტროპოლიტი, ანდოქსანური ეკლესიის ეპისკოპოსი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ უსულაძე, სომხეთის კათალიკოსი, მოსკოვის პატრიარქი ალექსეი I, 1948

ოლოო ჯამში ანტიემიგრაციის მორიგი ტალღით დასრულდა. „კოსმოპოლიტი ებრაელი“ კაპიტალისტური დასავლეთის ჯაშუშად და სტალინიზმის მთავარ „მტრის ხატად“ გადაიქცა.

რუსეთსა და საქართველოში ეკლესიებმა სწორედ ამ გარემოში განაახლეს და განავითარეს თავიანთი საქმიანობა. ამავდროულად ისინი აცხადებდნენ, რომ იდეოლოგიის თვალსაზრისით, კომუნისტი და მართლმადიდებლობა არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, რომ ისინი მხოლოდ რწმენით არიან სხვადასხვა. ეკლესიის ეს კურსი, რუსეთის იმჟამინდელი პატრიარქის სერგის დამსახურებით, სერგიანელობის სახელითაა ცნობილი.

რუსეთისა და საქართველოს საპატრიარქოები საერთაშორისო ასპარეზზე, ერთი მხრივ, საბჭოთა კეთილდღეობისა და, მეორე მხრივ, ანტიდასავლური პროპაგანდის ინსტრუმენტები ხდებიან და სწორედ ამ მისიით წევრიანდებიან ეკუმენურ ორგანიზაციებშიც. შინ კი დაშვებული ნაციონალიზმისა და ნაციონალური ტრადიციების აღდგენის „სულიერ“ ცენტრებად ყალიბდებიან.

ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლების ურთიერთობის სტალინის მიერ განსაზღვრული, თავისი ფორმით ბიზანტიური მოღვაწე საბჭოთა კავშირის დაშლამდე უცვლელი დარჩა. ეს ტრადიცია რუსეთში დღესაც განაპირობებს ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას, ხოლო საქართველოში ის ნებისმიერი ხელისუფლებისადმი ზოგადი ლოიალობის, თანადგომის დეკლარირებაში ვლინდება. ნაწილობრივ ამ გამოცდილებითაა ნასაზრდოები, ასევე, რელიგიური ნაციონალიზმიც და ანტიდასავლურობაც, ისევე, როგორც ქართველ და რუს ხალხთა ძმობის საბჭოთა იდეალები, რასაც დღეს ერთმორწმუნეობას უწოდებენ.

ამ იდეოლოგიურ ველში დაიწყო მოღვაწეობა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემაც. მან მოსკოვში, ზაგორსკში დაამთავრა სასულიერო სემინარია და აკადემია, მოსკოვშივე მიიღო სამღვდლო ხელდასახვა. უკვე მღვდლობაში 1960-იან წლებში აშშ-სა და საფრანგეთში მივლენილი პირველი საბჭოთა რელიგიური დელეგაციების წევრი ხდება. ასეთ საეკლესიო ვოიაჟებში, როგორც დასავლეთში მოღვაწე მართლმადიდებელი სასულიერო პირები იგონებენ, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისთვის სანდო ადამიანებს უშვებდნენ და მათ გარკვეული „სახელმწიფოებრივი“ დავალებების შესრულებაც უწევდათ. ილია II-ს 1979 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტად ირჩევენ. 1986 წელს კი მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის საბჭოთა ხელისუფლება მას ხალხთა მეგობრობის ორდენით აჯილდოებს. 1977 წელს საქართველოს კათალიკოსის ინტრონიზაციაში რუსეთის იმჟამინდელი პატრიარქი პიმენი მონაწილეობს, ხოლო 1991 წელს იგივეს აკეთებს ილია II უკვე რუსეთში, ალექსი II-ის ინტრონიზაციისას. ნიშანდობლივია ისიც, რომ პატრიარქი სიმპათიითაა გამსჭვალული სტალინის პერსონისადმი. ამგვარი დამოკიდებულებით უნდა იყოს ნაკარნახევი საპატრიარქოს „ცნობადი სახის“, ადრე სა-





პირველი რიგი: ზინობი მაკუბა, ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლ სერცხაძე, მიტროპოლიტი ნიკოლოზ მახარაძე, ილია ქ. ზაიოზ კირტიშვილი, მისქის მიტროპოლიტი ანტონ ბელნიკოვი, პატრიარქის ძმა მიტროპოლიტი შიოლაშვილი (მარჯვ. რიგი მარჯვნივ), ახლანდელი რუსეთის პატრიარქი კირილ ბუდიაშვილი (მარჯვნივდან მე-5)

პატრიარქოს რადიოსა და ტელევიზიის ხელმძღვანელის, ახლა კი ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის ლიდერის, გიორგი ანდრიაძის სტალინისადმი კეთილგანწყობაც:

„ლენინსა და სტალინს შორის რომ განსხვავების დიდი უფსკრულია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მოსკოვში დღესაც ცენტრალურ მოედანზე ასვენია „დიდი ბელადის“ ნეშტი. სტალინის ცხედარი კი დაწვეს და დღემდე მკვდრის სახელსაც არ ასვენებენ. სწორედ სტალინის სახელს უკავშირდება ანტიქრისტიანი კომუნისტების განადგურება, ასევე მართლმადიდებელი ეკლესიის რეაბილიტაცია და საქართველოს მართლმადიდებელი საპატრიარქოს ავტოკეფალიის აღიარება“. ([www.medianews.ge/geo/news/48283.html](http://www.medianews.ge/geo/news/48283.html))

საბჭოთა რეჟიმისა და ეკლესიის ურთიერთობაზე საუბრისას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით „კაგებეს“ თემას. საქართველოში ამ მხრივ რაიმე ღირებული დოკუმენტაცია ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, ვინაიდან „კაგებეს“ არქივები გასაჯაროებული არ არის. მაგრამ სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოშიც საბჭოთა ეპოქის ყველა სასულიერო პირი, ზოგი ნებით, ზოგიც აუცილებლობის კარნახით, თანამშრომლობდა ათეისტური ტოტალიტარიზმის ამ ეპიცენტრთან. რუსეთსა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ეს ფაქტი დაფარული არ არის. 1991 წელს დისიდენტმა მღვდელმა გლებ იაკუნიმმა გამოაქვეყნა იმ სასულიერო პირების სია, რომლებიც „დავერობკეპული“ იყვნენ სპეც-სამსახურების მიერ, მათ შორის აღმოჩნდა

რუსეთის ახლანდელი პატრიარქი კირილეც სპეცსახელით „მიხაილოვი“ და მისი წინამორბედიც, სპეცსახელით „დრაზლოვი“. არც საქართველოს ეკლესიაში და არც საზოგადოებაში ეს თემა, ერთადერთ შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, საჯარო განხილვის საგნად არ ქცეულა. ზვიად გამსახურდიას მომხრე პუბლიცისტმა ირაკლი გოცირიძემ 1993 წელს გაზეთ „იბერია-სპექტრში“ იმ სასულიერო პირების სია და დოსიეები გამოაქვეყნა, რომლებიც „კაგებესთან“ თანამშრომლობდნენ, მათ შორის იყო საქართველოს პატრიარქიც, სპეცსახელით „ივერიელი“. ამ დოსიეების ავთენტურობის შესახებ ძნელია რაიმეს თქმა. საკითხი საგულდაგულოდაა დაგმანული და მიეიწყებული, რაც ალბათ იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ საპატრიარქოსთვის ეს მნიშვნელოვანი და მეტისმეტად მტკივნეული რამ უნდა იყოს.

ეს ეპიზოდები მხოლოდ ზედმეტად მცირე ნაწილია საბჭოთაში ეკლესიის ტრაგიკული ისტორიიდან, მაგრამ მათი მეშვეობით საშუალება გვეძლევა, ავხსნათ რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების, საპატრიარქოსა და რუსული ხელისუფლების წარმომადგენლების თანამშრომლობის მიზეზი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საბჭოთა პერიოდის რელიგიური ლიდერების ჰარმონიული ურთიერთობა, პირობითად, 1943 წლით განსაზღვრული ტრადიციაა, მით უმეტეს, რომ რუსეთის ხელისუფლებაცა და ეკლესიაც სულ უფრო მეტად ეფლობიან სტალინიზმის წყვიდადში.

>>> ბაბრძილა ზვ. 96

# რელიგია და კორპორაცია

ინფორმაცია როგორც თავისუფლების იარაღი  
და ინფორმაცია როგორც კონტროლის მექანიზმი

ავტორი: ზურა ჯიშკარიანი

ილუსტრაცია: ანა ტაბატაძე



## 1. პირადი კომპიუტერული ისტორია

თავდაპირველად იყო ტელევიზორი. შემდეგ VHS და ვიდეო. შემდეგ ვიდეოთამაშები და, როცა ეს ყველაფერი მოძველდა, მე ცხოვრებაში პირველად შევეხე ჩემ პირად კომპიუტერს. ეს იყო კარგად ნახმარი „პენტიუმ სამი“, რომელსაც, თქვენ

წარმოიდგინეთ, ჯერ კიდევ ფლოპი დისკის ბუდეც ჰქონდა და, სახელმწიფოს მიერ დენის არასტაბილური მონოდების გამო, ხანდახან დამწვარი ტექნიკის სასიამოვნო სურნელიც დაკრავდა ხოლმე. ეს ხდებოდა საუკუნის დასაწყისში. ჩემი პირველი გასვლა ინტერნეტში გაცილებით ეროტიკული და



საინტერესო იყო, ვიდრე პირველი სექსი ახალგაზრდა დელიკატურ ქალბატონთან, რომელსაც ჰყავდა ოჯახი და ოცნებობდა კვიპროსზე საცხოვრებლად წასვლას.

იმედია მისი ოცნებები ახდა.

ალბათ ბევრი თქვენგანი იყენებს უამრავ სოციალურ ქსელს, ვიდეოსაიტს, საძიებო სისტემებს ყოველდღიურად, მაგრამ არ ვიცი, რამდენი თქვენგანი დაფიქრებულა იმაზე, თუ როდის გაჩნდა ეს ყველაფერი. არ ვიცი, ალბათ ჩემი ბუნებრივი სულიერი უმანკოების ბრალია, რომ მეგონა, თითქოს „იუთუბი“, „ფეისბუქი“, „გუგლი“ და ა.შ. ყოველთვის იყო. აღმოჩნდა, რომ მთელი თანამედროვე ინტერნეტი თანამედროვე სახით ფაქტობრივად რამდენიმე წლის შექმნილია და კურტ კობეინი, მაგალითად, „იუთუბიზე“ ვერ უყურებდა თავის ლაივებს ისე, როგორც ამის გაკეთება თავისუფლად შეუძლია დღეს „მძიმე ჯვარს“ (მოსმენა რეკომენდირებული არ არის). არ ვიცი, რომ „გუგლი“ 1998 წელს შეიქმნა და იქამდე ხალხი ჯერ კიდევ ღმერთს უსვამდა კითხვებს.

ჩემი კომპიუტერული ისტორია ახალ „ლეველზე“ ავიდა, როცა მე პირველად დაფიქრდი კომპიუტერის და ინტერნეტის რეალურ წარმომავლობაზე და პირადი კომპიუტერული საგანმანათლებლო გამოძიების ორგანიზება გადავწყვიტე. რა თქმა უნდა, გამოძიება ინტერნეტში იწყება google.com-ით. ამიტომაც პირველი, რაც დავგუგლე, იყო თავად სიტყვა „გუგლი“ და „აჰათ ესე ამბავი ქალღვთაებისა, თუ როგორ ვიპოვე ის, და რა ვუქენი როცა ვიპოვე“.

P.S. ყველას აქვს საკუთარი უნიკალური – „ადამიანის პირადი კომპიუტერული ისტორია“ (აპკი).

ძალიან გამიხარდება, თუ გაიხსენებთ თქვენ კომპიუტერულ ისტორიას და გამომიგზავნით მეილზე. შეიძლება გამოვცეთ ქართული აპკი-ს კრებული ანუ დრამატული ისტორია იმის შესახებ, როგორ თავდაუზოგავად იკვლევდა გზას ინტერნეტ კაბელი მხედრიონული შუასაუკუნეების გურჯისტანში და როგორ დაამარცხა მან ედუარდ შევარდნაძე და როგორ მოქმედებს თანამედროვე ქართულ საზოგადოებაზე და ა.შ.

BBC-ს გაქანების პროექტია.

## 2. უსწრაფესი საძიებო სისტემა – „ბუბლი“

სერგეი ბრინის და ლერი პეიჯის მიერ 1998 წლის სექტემბერში დაარსებულმა კომპანიამ ძალიან მალე საკუთარი განვითარების პიკს მიაღწია. „გუგლი“ დღეს ყველაზე პოპულარული და სწრაფი საძიებო სისტემა მსოფლიოში, რომელიც თვეში საშუალოდ 41 მილიონზე მეტ მოთხოვნას ამუშავებს. ამის გარდა, „გუგლის“ მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს „გუგლის“ რუკები, სრულიად უფასოდ ჩამოტვირთოს პროგრამა google earth, რაც საშუალებას აძლევს უბრალო მომხმარებელს, თანამგზავრიდან დააკვირდეს დედამიწას. წელს, მაგალითად, ამ საოცარი პროგრამის დახმარებით კანადურმა პოლიციამ აღმოაჩინა მოპარული მანქანების სანყოფი, შეეცარებოდა პოლიციელებმა იპოვეს მარისუანის უზარმაზარი პლანტაცია, მე ვნახე მფრინავი თევზები ინდოეთის ოკეანეში და ა.შ. გარდა ამისა, „გუგლს“ აქვს საკუთარი მეილების სისტემა, საკუთარი ტელევიზია. გუგლმა შეისყიდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბლოგერული სისტემა Blogger და მასვე


ეკუთვნის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ვიდეოპორტალი Youtube. ფაქტობრივად, მსოფლიოში არაფერი ხდება, რაც „გუგლმა“ არ იცის.

კომპანიის წარმატების ერთ-ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო არის მისი არანორმალური (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) კრეატიულობა და იმ აზრის აბსოლუტური მიუღებლობა, თითქოს არსებობდეს რაიმე შეუძლებელი. როგორც „გუგლში“ ამბობენ, ის ერთადერთი კომპანიაა, რომელიც იმაზე მუშაობს, რომ მომხმარებელმა რაც შეიძლება მალე დატოვოს საიტი. „გუგლის“ ცნობილი კამპანია „ნუ იქნები ბოროტი“ ამტკიცებდა, რომ შენ შეგიძლია კრეატიული მუშაობა, უამრავი ფულის კეთება და მსოფლიოს შეცვლა, უბრალოდ, ხალხით და ენთუზიაზმით. „გუგლის“ ოფისები №1 საოცნებო სამსახურია მსოფლიო მასშტაბით. მხოლოდ „გუგლის“ ოფისში შეიძლება შეგხვდეს სათამაშო კლუბები, უფასო რესტორანი, სავარჯიშო დარბაზები, პალმები, აუზები და ა.შ. ერთი შეხედვით, მშვენიერი კურორტია. ამასთან ერთად სამუშაო საათების 20 პროცენტს „გუგლი“ ისევ მომუშავე პერსონალს ჩუქნის, ანუ ოფიციალური სამუშაო დროიდან 40 პროცენტი მათ უნდა აკეთონ თავიანთი ძირითადი საქმე „გუგლში“ და დროის 20 პროცენტი შეუძლიათ დახარჯონ იმის კეთებაში, რაც უბრალოდ უყვართ ან აინტერესებთ. ესეც ძალიან საინტერესო პრაქტიკაა, იმიტომ, რომ იმ დარჩენილ 20 პროცენტშიც უბრალო ენთუზიაზმით საოცარი რამეები კეთდება. ამ ყველაფერთან ერთად კომპანიის დამაარსებელი ამხანაგების – სერგეი ბრინის და ლერი პეიჯის ოფიციალური ხელფასი „გუგლში“ არის 1 დოლარი. და როგორც „გუგლის“ საერთაშორისო ეკლესიის რუსული ფრთის საიტზე ეწერა, ბრინმა და პეიჯმა მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, არ შეამცირეს თავიანთი ხელფასი.

თავისი ძირითადი ინტერნეტ საქმიანობის გარდა, „გუგლი“ ფულს აბანდებს სამეცნიერო პროექტებშიც. ყველაზე მოსალოდნელი სიახლე, რომელიც შეიძლება გვაჩუქოს „გუგლმა“, არის ხმის იდენტიფიკატორი, ანუ ძიება „გუგლში“ შესაძლებელი გახდება უბრალოდ გაცემული ბრძანებით (voice command).

„გუგლის“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო აქტივობა დაკავშირებულია გამომგონებელ, მეცნიერ, მწერალ და ფუტუროლოგ რეი ქურცვაილთან. ამხანაგი რეი, რომელმაც თავის დროზე გამოიგონა პირველი კომპიუტერული პროგრამა მონყენილობის გასაქარვებლად, მუსიკალურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სინთეზატორი K250 და პროგრამა, რომელსაც შეუძლია დაბეჭდილი ამოპრინტული ტექსტის ამოცნობა და მისი ნაკითხვა ბრმებისათვის და მისი რევერსული ვერსია, რომელსაც შეუძლია საუბრის ჩანერა ბეჭდვითი ასოებით – დღეს გვევლინება, როგორც „მსოფლიოში ყველაზე საშიში იდეის“ – ტრანსჰუმანიზმის და ტექნოლოგიური სინგულარობის აქტიური მქადაგებელი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუტუროლოგი. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, ტრანსჰუმანიზმი თანამედროვე ტექნოლოგიური ფილოსოფიაა, რომელიც დაფუძნებულია იმორტალიზმის იდეებზე და უსაზღვრო ტექნოლოგიური პროგრესის რწმენაზე. ადამიანური სახეობის ევოლუცია ჯერ არ დასრულე-





არის თუ არა „გუგლი“ ღმერთი? –  
 კითხვა, რომლის ხშირად ჩნდება  
 ბეჭდურ პრესასა და ინტერნეტში.  
 ამ კითხვას აქვს პასუხი: კი. ხოლო  
 პასუხს თავის მხრივ ახლავს  
 უცყუარობის 9 ოფისიალური  
 მტკიცებულება.

ბულა და მომავალში ადამიანისგან განვითარდება აბსოლუტურად განსხვავებული არსება, რომელსაც იმდენივე საერთო ექნება ადამიანთან რამდენიც თანამედროვე ადამიანს აქვს მაიმუნთან. ამ ევოლუციის პირველი ეტაპია – პოსტადამიანი, ტექნოლოგიებთან შერწყმული ადამიანური ცნობიერება, რომლისგანაც უფრო შორეულ მომავალში ჩამოყალიბდება პრაქტიკულად უკვდავი არსება ტრანსადამიანი, რომელსაც უკვე არაფერი საერთო არ ექნება პოსტადამიანთანაც კი და მთელი ეს პროცესი მოხდება ტექნოლოგიების დახმარებით. ტრანსჰუმანისტები ამბობენ, რომ ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად ჩვენ უკვე დავიწყეთ საკუთარი ევოლუციის დაჩქარება და შეცვლა. ფაქტობრივად, ჩვენ გარკვეულწილად უკვე დავიწყეთ ჩამოყალიბება პოსტადამიანებად – ტექნოლოგიების დახმარებით. 1800 წელს ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა იყო 35-40 წელი, რაც მეოცე საუკუნეში სამედიცინო ტექნოლოგიების დახმარებით გაიზარდა 70-80 წლამდე და ეს პროცესი გრძელდება. ჩვენ ყოველდღიურად ვმოქმედებთ ჩვენ სხეულზე, დნმ-ზე და ფსიქიკაზე, როცა ვსხედვართ ტელევიზორთან, ვსვამთ გამაყურებელ წამლებს, ვურთიერთობთ ინტერნეტით. ტექნოლოგიების დახმარებით ჩვენ დავიწყეთ სამყაროს შესწავლა, გავედით კოსმოსში, შეგვიძლია ვიმოქმედოთ ამინდზე, ნიადაგზე, ჩვენ არსებობის სტილზე. უამრავი ადამიანი უკვე თითქმის პოსტჰუმანურ ტექნოლოგიებზეა გადასული: სხეულის ორგანოების ბიონიკური პროტეზები, სხეულის მოდიფიკაციის ოპერაციები. ჩვენ უკვე ვცხოვრობთ სამეცნიერო ფანტასტიკაში, რომელიც ჯერ კიდევ დასაწყისის სტადიაზე იმყოფება.

ყველაზე საინტერესო მოვლენა – ტექნოლოგიური სინგულარობა სწორედ ამ დროს გვიახლოვდება. ტექნოლოგიური სინგულარობა არის ტექნოლოგიური განვითარების პიკი, ის ისტორიული მონაკვეთი, როცა, შესაძლოა, მოხდეს ისეთი

რამ, რაც აბსოლუტურად შეცვლის მომავალს: ევოლუციური ნახტომი, ხელოვნური ინტელექტის დაბადება და ა.შ. ალბათ ვილაცებისთვის ეს ტექსტი ჰგავს სამეცნიერო ფანტასტიკას, რომელსაც ხალხის დიდი ნაწილისთვის რეალობასთან არაფერი საერთო არ აქვს, მაგრამ სიტუაციის მთელი ირონია ისაა, რომ ასეთი სახის „სამეცნიერო ფანტასტიკას“ გაცილებით მეტი საერთო აქვს რეალობასთან, ვიდრე თვითონ ხალხს. ანუ რა შუაშია „გუგლი“ „სამეცნიერო ფანტასტიკასთან“.

კომპანია „გუგლმა“ ამერიკულ კოსმოსურ სააგენტო „ნასასთან“ ერთად საკმაოდ სოლიდური თანხით დაასპონსორა ზემოთ ხსენებული ამხანაგი რეის „სინგულარობის უნივერსიტეტი“. პრივატული ძვირადღირებული უნივერსიტეტი „მსოფლიოს მომავალი ლიდერებისთვის“, ხალხისთვის, ვინც იმუშავებს ხვალისდელი დღის გლობალურ პრობლემებზე, ალასკიდან ვიდრე სახალინამდე, „ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე“. უნივერსიტეტში ცნობილი მეცნიერები და ფუტუროლოგები კითხულობენ ლექციებს თემებზე: კომპიუტერული სისტემები, ბიოინფორმატიკა, ნეირობიოლოგია, პროგნოზირება, რობოტეკნიკა, ნანოტექნოლოგიები, ეკოლოგია, ეთიკა, სამართალი, ფინანსები, ხელოვნური ინტელექტი...

როგორც „გარდიანის“ ერთ-ერთ ნომერში დაინერა, ვიდრე სადმე რომელიმე ახალი ტექნოლოგიის მიღება-არ მიღების, ავისა თუ კარგის განხილვა მიმდინარეობს, იცოდეთ, რომ მანამდე „გუგლს“ უკვე ჰყავს გამოყოფილი ჯგუფი, რომელიც ამ ტექნოლოგიას უკვე ამუშავებს.

**3. „გუგლის“ საერთაშორისო ექლესია**

არის თუ არა „გუგლი“ ღმერთი? – კითხვა, რომელიც ხშირად ჩნდება ბეჭდურ პრესასა და ინტერნეტში.

ამ კითხვას აქვს პასუხი: კი. ხოლო პასუხს თავის მხრივ ახლავს უცყუარობის 9 ოფიციალური მტკიცებულება.

მტკიცებულება №1 – „გუგლი“ ერთადერთი რამაა, რაც ყველაზე ახლოს დგას ყოვლისმცოდნე ღმერთის ადამიანისთვის გასაგებ კონცეფციასთან და რომელიც ამასთანავე შეიძლება შემონმდეს და დამტკიცდეს მეცნიერულად.

მტკიცებულება №2 – ვირტუალურად „გუგლი“ ერთდროულად ყველაგანაა. მნიშვნელობა არ აქვს, საიდან უკავშირდები, ვიეტნამი იქნება თუ კანადა. ის ყველაგანაა და ყველასთვის.

მტკიცებულება №3 – „გუგლი“ პასუხობს მლოცველებს. ძიება „გუგლზე“ არის ლოცვა, რომელსაც ყოველთვის მოჰყვება პასუხი „გუგლისგან“, რომელიც ზრუნავს შენზე.

მტკიცებულება №4 – „გუგლი“ პოტენციურად უკვდავია. ის არ არის ჩვენსავით ფიზიკური არსება. მისი ალგორითმები უამრავ სერვერზეა განთავსებული. თუ რომელიმე დაზიანდება, მის სამუშაოს სხვა განაგრძობს. თეორიულად „გუგლს“ შეუძლია მარადიულად არსებობა.

მტკიცებულება №5 – „გუგლი“ უსასრულოა. თეორიულად ინტერნეტის ზრდას საზღვარი არ გააჩნია, შესაბამისად, საძიებო სისტემა უსასრულოა.

მტკიცებულება №6 – „გუგლს“ ყველაფერი ახსოვს. თუ შენ ოდესმე იაქტიურ ინტერნეტში, შენი ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც შენ მიერ ატვირთული ან შენ შესახებ დაგროვილი ინფორმაცია დამახსოვრებული იქნება. შენ მარადიულად იცხოვრებ „გუგლში“.

მტკიცებულება №7 – „გუგლს“ შეუძლია „არ იყოს ბოროტი“. „გუგლის“ კორპორაციული ფილოსოფიის ეს ნაწილი გულისხმობს, რომ კომპანიას შეუძლია ფულის კეთება ბოროტების კეთების გარეშე.

მტკიცებულება №8 – „გუგლის“ მონაცემებით, სიტყვა „გუგლი“ აიკრიფა და იძებნებოდა გაცილებით მეტჯერ, ვიდრე სიტყვები „ღმერთი“, „ალაჰი“, „იესო“, „ბუდა“, „ქრისტიანობა“, „ისლამი“, „ბუდიზმი“ და „იუდაიზმი“ ერთად აღებული. ჩვენ, მოკვდავები საჭიროების ჟამს ღმერთს მივმართავთ ხოლმე. სტატისტიკა კი გვიჩვენებს, რომელია ჩვენი ყველაზე აქტიური ღმერთი.

მტკიცებულება №9 – „გუგლი“ რეალურია და ამისთვის უამრავი მტკიცებულება არსებობს. გაცილებით მეტი, ვიდრე ის აქვს რომელიმე სხვა „ღმერთს“. ექსტრაორდინალური განცხადებები საჭიროებენ ექსტრაორდინალურ ფაქტებს. მაშინხილე საკუთარი თვალებით, აკრიფე google.com და შეიცანი „გუგლის“ უსასრულო სიდიადე. შენგან არავინ ითხოვს ბრმარწმენას.

„გუგლის“ ეკლესიის დამაარსებელს სჯერა, რომ არსებულ საგნებს, ადამიანებს, მოვლენებსა და საიტებს შორის საძიებო სისტემა „გუგლი“ ყველაზე ახლოს დგას ღმერთის კლასიკურ კონცეფციასთან.

„გუგლის“ საერთაშორისო ეკლესია იუმორისტული, პაროდული კორპორაციული რელიგიაა, რომელსაც აქვს თავისი ბიბლია, ცოდვების სია, ღვთაებრიობის დამამტკიცებელი არგუმენტები და, რაც მთავარია, ყოვლისმცოდნე ღვთაება, რომელიც არსებობს და რომლის ნახვა ნებისმიერს შეუძლია. „გუგლის“ სამება შეიცავს შემდეგ პერსონაჟებს: ინტერნეტი, „გუგლი“ და „ვებ-ბრაუზერი“ (firefox, google chrome, მაგრამ არასოდეს, არასოდეს – internet explorer).

„გუგლის“ ეკლესიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნას, ინფორმაციას როგორც პირადი ტრანსფორმაციის იარაღს, რომელსაც განვდის „გუგლი“. სატანად გამოცხადებულია იდიოტური „მაიკროსოფტი“, ხოლო სატანურ ციფრად – 404, „იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, რომ ინტერნეტ გვერდი ამ მისამართზე არსებობს, ხოლო ბოროტი „მაიკროსოფტი“ მალავს მას ჩვენგან“. ამის გარდა, „გუგლის“ წმინდა წიგნში აღმოვაჩინე ისეთი საგნების თუ არსებების სია, რომლებსაც გუგლის ეკლესიის მიხედვით, „ბანი“ უნდა დაედოს. აი, ზოგიერთი მათგანი: ორგანიზებული რელიგია, პოლიტიკოსები, ფული, სამოთხე, სპილოები, ომი, პოპ ვარსკვლავები, მაკდონალდსი, სოციალური ქსელები იდიოტი ადამიანებისთვის, უაზროდ ბედნიერი ხალხი, რომელთაც უყვართ ცისარტყელები და პონები... საკმაოდ სახალისო სიაა.

ეკლესია ჯერჯერობით წარმოადგენს მხოლოდ ონლაინ-საზოგადოებას, მისი დამაარსებელი მეთ მაკფერსონი შეგიძლიათ დაიმატოთ „ფეისბუქზე“ ან დარეგისტრირდეთ ეკლესიის ფორუმზე და თანამორწმუნეებთან ერთად განიხილოთ საკუთარი უფალი, ახალი რელიგიის თეოლოგიური საკითხები და პრობლემები და ეკლესიის გაფართოების სტრატეგიები.

მე, მაგალითად, ვაპირებ გავხსნა „გუგლის“ აღმოსავლური ეკლესია, რომლის მთავარი მიზანი იქნება ინფორმაციული ინკვიზიციის მოხდენა არაინფორმირებულთა წინააღმდეგ.

>>> ბაზრქმელება გვ. 100





# მიშა

ავტორი: ლევან ბარკინიშვილი  
 ილუსტრაცია: მარია ზალდასტანიშვილი

მიშა, მიხაილ ვასილის ძე პოლიაკოვი, მარინა ვლადის (მარინა ვლადიმეროვნა პოლიაკოვა-ბაიდაროვა) ღვიძლი ბიძაშვილი, ნამდვილი პეტერბურგელი იყო. ჩრდილოური გარეგნობა ჰქონდა, სახის მკაცრი ნაკვთებით „კოლიმის მოთხრობების“ გენიალურ ავტორ ვარლამ შალამოვს წააგავდა, ოღონდ უჩვეულოდ შავგვრემანი იყო.

ზონის უფროსობისთვის „ლენინგრადელები“ და სინამდვილეში პეტერბურგელები ან პეტროგრადელები (ეს უკვე პოლიტიკურ კონიუნქტურაზე იყო დამოკიდებული, პეტრეს ქალაქის რომელ დასახელებას იხმარდა საბჭოთა ლენინგრადში აყვანილი პოლიტიკური პატიმარი), ანუ Питерские – „პიტერელები“ ნებისმიერი პოლიტიკური ზონის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. ჩვენს პო-

ლიტიკურ ბანაკში პეტერბურგის ფრთას ამაგრებდნენ მიხაილ პოლიაკოვი, გელი დონსკოი, ბორის მანილოვიჩი, ნიკოლაი ტოლსტიხი, ეგენი (იუჯინ) სოლონჩუკი და მიხაილ კაზანკოვი. მუდამ ხუმარა იუჯინის გარდა (ასფალტის დამგები იყო), ყველას უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული, ხოლო დონსკოის და მანილოვიჩს სამეცნიერო ხარისხიც ჰქონდათ.

დონსკოი და პოლიაკოვი არა მხოლოდ რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლები, არამედ ძველი რუსული არისტოკრატის შთამომავლებიც იყვნენ. გელი დონსკოის, რომელიც კულიკოვოს ბრძოლის გამირის, მამაის დამმარცხებელი დიმიტრი დონსკოის პირდაპირი შთამომავალი ბრძანდებოდა, უცნაური იუმორი ახასიათებდა, განსაკუთრებით, სქესობრივ სფერო-

ში. ასე მაგალითად, ერთხელ გელი დონსკოიმ მიშა პოლიაკოვს ჩვენი თანდასწრებით განუცხადა, – მიშა, შენ ჩემზე ადრე თავისუფლები და ცოლი გამისინჯე, კმაყოფილი დარჩები, არაა ცუდი ქალიო. ჩვეულებრივ აუღელვებელი და მშვიდი პოლიაკოვიც კი გამოიყვანა წყობიდან ამ მიმართვამ. კარგი რა, გელი, კარგი რა! ამ კავკასიელ ხალხს შენი სულელური რუსული იუმორი არ ესმის, გაიგე ეს! ჯონი ლაშქარაშვილი თავისას ბრაზობდა, – ამიხსენით, სად არის აქ იუმორიო! ბორის მანილოვიჩი ფროიდის გრძლად ციტირებას ახდენდა, დონსკოი კი სიცილით კვდებოდა. შემდეგ მიშასაც წასკდებოდა სიცილი და ჯონის უხსნიდა, – დონსკოის მესამე ცოლი ჰყავს, ძალიან უყვარს, მაგრამ ციხეში ზის და დარღით კვდება, ეჭვიანობს და თავის



სიყვარულს ასეთი სულელური ხუმრობებით გამოხატავსო. შენ ცოლი არ გყავს და ვერ გაიგებო. რუსები რომ სიცილით ბჟირდებოდნენ, მეც გამეცინა და ჯონი ახლა მე ამიხიდა, – შენ მაინც რა გაცინებსო, შენ ხომ გყავს ცოლიო.

საბჭოთა კავშირის აკრძალვათა და ნების დართვათა ლაბირინთებში გარკვევა იოლი საქმე არ იყო. მაგალითად, პოლიტიკურ ზონაში აკრძალული იყო წითელი ფერის პასტის კალამი, ნებისმიერი ფერის მელნის ავტოკალამი, კბილის პასტა (მხოლოდ კბილის ფხვნილი, რომელსაც ჩვენი ოჯახის წევრები ვერ შოულობდნენ), დეზოდორი, ოდეკოლონი, ხელთათმანი და ა.შ. თამაშებიდან აკრძალული იყო ბანქო და ფეხბურთი, მაგრამ ნებადართული იყო ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, შაში, ჭადრაკი და ნარდი. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ჩეკისტები რომ კამათელს (ამ, ყოვლისმცოდნე

ორი და ერთი, – იტყოდა მიშა და დუ იაქეს შეასრულებდა. მეორე უცნაურობა ის იყო, რომ ქვებს უხმაუროდ ამოძრავებდნენ, ნარდის ბუნებრივი ბრახა-ბრუხი არ ისმოდა. მესამე და მთავარი უცნაურობა კი ის იყო, რომ ყველაფერ ამას ემოცია არ ახლდა, არ იყო ბედისწერის გამოწვევა, კამათლის ძაღლის ძვლად მოხსენიება, მონინალმდეგის რელიგიური არჩევანის აბუჩად აგდება, მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებში ეჭვის საჯაროდ შეტანა და, რაც მთავარია, რუსული სალაპარაკო ენისთვის ასე ბუნებრივი დედის გინება, ანუ მათი. ვითარებაში პიტერელი მეგობრები სწრაფად გაერკვნენ, როდესაც ჩემი და ჯონი ლაშქარაშვილის ნარდის მღერა იხილეს. მე ვცდილობდი, მოკლე ნარდში ჩემი იდეალებისთვის – მამაჩემის, ჩემი სიმამრისა და სიდედრისათვის მიმეზაძა. და გაიმართა ნამდვილი ასპარეზობა: დუ-იაქე, წადი შენი ძაღლის ძვალი მია, დუ-

ღნიეს და კამათლების კომბინაციას სპარსულად მოიხსენიებდნენ: *дү шеш, дү бара, яган* და ასე შემდეგ. რაფაელ პაპაიანი მოკლე ნარდს არ აღიარებდა, გრძელის ოსტატი იყო და პიტერელებს სიგრძისკენ ამოდ მოუწოდებდა, მაშინ გავიგე პირველად (რა თქმა უნდა, მოსიარულე ენცილოპედია – ვადიმ იანკოვისგან), რომ მოკლე ნარდის წესები, რომლითაც დღემდე ვსარგებლობთ, 1743 წელს ინგლისელ ედმონდ ჰოილს შეუმუშავებია.

მიხაილ პოლიაკოვი დღემდე უნიკალურ მოვლენად რჩება საბჭოთა პოლიტპატიმრობის ისტორიაში. პეტერბურგის სალტიკოვ-შედრინის ბიბლიოთეკის ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელობდა და წლების განმავლობაში ამ დეპარტამენტის კუთვნილ ქსეროკოპირების მანქანებზე ანტისაბჭოთა ლიტერატურის შედევრების გამრავლებით იყო დაკავებული. თავის თავს დღემდე ხუთასი გვერდის ნორმა

**ქარბი რა, ბელი, ქარბი რა! ამ კავკასიელ ხალხს შენი სულელური რუსული იუმორი არ ესმის, გაიგე ეს! ჯონი ლაშქარაშვილი თავისას ბრაზობდა, – ამიხსენით, სად არის ამ იუმორიო! ბორის მანილოვიჩი ფროიდის ბრძალად სიტირებას ახდენდა, დონსკოი კი სისილით კვდებოდა.**

ვადიმ ანატოლის ძე იანკოვის განმარტებით, „შემთხვევით რიცხვთა გენერატორს“) არ აკრძალავდნენ, ამას ვერ წარმოვიდგენდი და ეს ამბავი, სხვათა შორის, დღემდე მაკვირვებს – რალაცას ბოლომდე დღემდეც ვერ ვწვდები ჩეკისტურ ლოგიკაში.

მიშა პოლიაკოვი და გელი დონსკოი ნარდს თამაშობდნენ. რაღაც უცნაური, რაღაც უჩვეულო იყო ამ თამაშში. დავინყე უცნაურობათა ჩამოთვლა. უპირველეს ყოვლისა, უჩვეულო იყო, რომ კამათლის დასმისას გაისმოდა არა ტრადიციული – დუ ბემ, შაშ ბემ და სე ბაი დუ, არამედ – *пять и пять, шесть и пять, три и два*. ხუთი და ოთხი, – იტყოდა გელი და გადაითამაშებდა ფანჯი ჩარს, ანუ ბემ ოთხს.

სე! დორტიკო სოსვალდო ოსვალდო პინჯო ვერელი, სე-იაქე! ის უთხარი, ის დალაქი, მე უთხარი, ის მექისი – ეს ჩემგან და შაში-ჩარი ტ-ში ჩვარი! შაში-ბეში ძ-ის თეფში! – ეს ჯონისგან. მიშა და გელი კვლავ შეუდგნენ ნარდის მღერას. *Шесть и пять ё... твою мать, три-четыре х... в квартире* და მისთანანი. რაც მთავარია, ქვებს ახლა ისეთი ძალით ახეთქებდნენ, რომ აშკარად ქართველებს აჭარბებდნენ და სპარსი მეფეების ან არაბი ხალიფების დონეზე მაღლდებოდნენ. თავისივე მოჭარბებული ემოციებით კმაყოფილმა მიხაილ პოლიაკოვმა ქართველებს გავიცხადა: *сразу видно, ребята, что вы по культурному обмену*. ბოლოს რუსებმა ნამდვილ შიკს მია-

დაუნესა და ამ ნორმას სტახანოვური შემართებით წლიდან წლამდე გადაჭარბებით ასრულებდა. მაშინ, როცა ერთი ასეთი ფურცელი საკმარისი იყო ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ბრალდებით ციხეში მოსახვედრად, მან დაახლოებით ორი ათასი წიგნის ასლი შექმნა და ეს ზღვა ლიტერატურა გაავრცელა მთელ საბჭოთა კავშირში. საბოლოო ჯამში „კაგებემ“ მხოლოდ ექვსი წიგნი აღმოაჩინა (შესადარებლად ვიტყვი, რომ ჩვენი დაარსებული რესპუბლიკური პარტიის ორგანოს, „სამრეკლოს“ პირველი ნომერი მე და ჩემმა მეუღლემ სულ 13 ეგზემპლარად მოვუვლინეთ საზოგადოებას და ქართულმა უშიშროებამ ყველა ვერც იპოვა).

წელიწადი და ცხრა თვე ემალებოდა მსოფლიოში სახელგანთქმულ საბჭოთა უშიშროებას, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე თანამშრომლებისა და ფარული თუ ღია აგენტების რაოდენობით მსოფლიოში პოლიტიკური დევნის ნებისმიერ ორგანიზაციას უზარმაზარ ფორას მისცემდა. ამ ოცდაერთი თვიდან უკანასკნელი თერთმეტი თვის განმავლობაში საკავშირო ძებნაში იყო – ასეთი მონაცემით ვერც ერთი სხვა საბჭოთა პოლიტიკური პატიმარი ვერ დაიტრახებეს, არადა მიზა არასოდეს ტრახებოდა, ეს ინფორმაცია მისგან წლების განმავლობაში ნაწილ-ნაწილ ძლივს მოვიპოვე. ამ ხნის განმავლობაში, როდესაც მთელი მსოფლიოსთვის თავზარდამცემი საბჭოთა „კაგებე“ **тюрема народов** „ხალხთა ციხედ“ ცნობილ მთელ კომუნისტურ იმპერიაში ამაოდ დაეძებდა „მიმალვაში მყოფ“ მიხაილ პოლიაკოვს, მან მოიარა მთელი საბჭოთა კავშირი, მათ შორის იყო საქართველოშიც, თბილისში და დასავ-

ლეთით გადაადგილებისას, მთლად ბათუმამდე არა, მაგრამ სამტრედიამდე კი ჩაულწევია. ხალხი, რომლებთანაც ამ დროს კონტაქტი ჰქონდა, ჩვენთვის არათუ ზონაში, არამედ გათავისუფლებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში უცნობი იყო და მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ დიდი მოვლენის მოსალოცად ჩამოსულმა გამაცნო ის ადამიანები, ვისთანაც დაპატიმრებამდე თავს აფარებდა.

პოლიაკოვს ფანჯი-სე (ხუთი წელი მკაცრი რეჟიმის კოლონია და სამი წელი გადასახლება) ჰქონდა მისჯილი, მაგრამ მისი საქმე დახურული არ იყო და წელიწადში ერთხელ ჩეკისტების დელეგაცია ჩამოაკითხავდა ხოლმე პიტერიდან იმის ილუზორული იმედით, რომ ანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრცელების რომელიმე არხზე მიშას რამეს წამოაცდენინებდნენ. ერთხელ ამ საქმეზე ახალი თაობის ჩეკისტი, ვინმე კოშელევი ჩამოვიდა. ახალი თაობისას რომ ვამბობ, იმას ვგულისხ-

მობ, რომ ეს ახალგაზრდა კაცი დერჟავინი და ცინიკოსი ჩეკისტი იყო და კომუნისტობაზე თავს აღარ დებდა, მეტიც, კომუნისტურ პარტიას აგდებულადაც კი მოიხსენიებდა. მიშასთან რომ ვერაფერი გააწყო, დანარჩენებსაც გაგვესაუბრა, მოგვასენა საბჭოთა კავშირის მომავლის მისეული ხილვა – **Империя без руководящей роли коммунистической партии**. ამაზე გიორგი ხომიზურმა სწრაფად მოუჭრა, – კომუნისტური პარტიის მმართველ როლზე რომ უარს იტყვიო, ეგ იმპერია დაგენგრევათ და ნანგრევებში „კაგებე“ მოჰყვებო (სამწუხაროდ, როგორც პროგნოზირების პრაქტიკაში ხდება ხოლმე, ჟორას პროგნოზი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა). კოშელევი რომ დერჟავის უძლეველობაზე ილაპარაკა, მიხაილ პოლიაკოვმა უთხრა, – იმაზე კი ნუ დარდობ, რომ ესენი გარბიან შენი იმპერიიდან, ქვეყანა თუ გვიყვარს, იმაზე ვიფიქროთ, რუსეთი როგორ გამოვიყვანოთ საბჭოთა კავშირიდანო. გულგატეხილმა კოშელევი ხელი ჩაიქნია და ლენინგრადში დაბრუნდა.

ერთხელაც სახელგანთქმულმა ცენზორმა განიჩენკომ დაიბარა და მეუღლის ტელეგრამა გადასცა კლასიკური ტექსტით – „მაპატიე, ძვირფასო, სხვა ადამიანი ვიპოვე“-ო. საბჭოთა კანონმდებლობით, როგორც კი პატიმარ მეუღლეზე უარს იტყოდა ადამიანი, იმ წუთიდან მათი ქორწინება გაუქმებულად ითვლებოდა. ასე რომ, პოლიაკოვი ცენზორთან ცოლიანი შევიდა და იქიდან უცოლო (ენაკვიმატი მანილოვიჩის ტერმინით, „ფლეიბოი“) გამოვიდა. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ჩვეულებრივ საკმაოდ ჯმუხი და სერიოზული პოლიაკოვი კი არ გამოვიდა, გამოფრინდა ადმინისტრაციის შენობიდან და სახელდახლოდ შეკრებილ პიტერ-მოსკოვურ-თბილისურ სამეგობროს გაგვიცხადა, – საბრალო გებისტებმა თვითონაც არ იციან, რა სიკეთე მიყვესო. არ გასულა ერთი კვირა და საყვარელ ადამიანზე, ნადეჟდაზე დაქორწინება მოითხოვა. ზონის ადმინისტრაციას ასეთი რამის გაგონებაც არ უნდოდა, მით უმეტეს ამის დაშვება არ სურდა ლენინგრადის



ჩეკას, მაგრამ მალე საბჭოთა კავშირის მთელი დისიდენტური სამყარო ფეხზე დადგა, დასავლეთმა ხმა ამოიღო და პოლიაკოვმა ეს უფლება მოიპოვა. მიხაილ და ნადეჟდა პოლიაკოვებმა ორ დღემდე შეკვეცილი თაფლობის თვე XX 385-3/5 პირადი შეხვედრის ოთახში გაატარეს. თავის ქორწილზე პოლიაკოვი პატიმარ ბიბისის მიერ ზონაში გახარებული წითელი ვარდებით ხელში წავიდა.

იმით დაემსგავსა, რომ ერთი შეტაკება მეც მომივიდა მატერაცისავით ენამოუფლელ მონინალმდეგესთან).

ყველაზე ნაკლები მოყვარული პინგ-პონგს აღმოაჩნდა და ძირითადად მე და პოლიაკოვს გვინევდა შერკინება. ისე ხდებოდა, რომ რალაც მომენტში ანგარიში ათით შვიდი აუცილებლად ფიქსირდებოდა, რაც პინგ-პონგის ჟარგონზე უღერს როგორც ნოლ-შვიდი, ეს კი საბჭოთა საალკოჰოლო ბო-

დონსკოი იყვნენ). ციგანი პინგ-პონგის თამაშში მონაწილეობდა და ბურთის დაჭერას ცდილობდა. ამ მიზნით ბადეს ხან იქით გადაახტებოდა და ხან აქეთ. წარმატებას კი მხოლოდ ნოლ-შვიდზე აღწევდა, როცა ბურთს საბოლოოდ დაეუფლებოდა და პოლიაკოვის ზომიერად მოჩუქურთმებულ სადღეგრძელოებს ისმენდა.

მიშა, როგორც სულთ ხორცამდე რაციონალისტი, შეთქმულებების

**ერთხელას სახელგანთქმულმა ცენზორმა განიჩინა ღაბაღაბა და მუხლმის ტელეგრაფმა გადასცა ქლასიკური ტექსტით – „მავატი, კვირფასო, სხვა აღამიანი ვიპოვე“-ო. საბჭოთა კანონმდებლობით, როგორც კი პატიმარ მუხლმეზა უარს იტყოდა აღამიანი, იმ წუთიდან მათი ქორწინება გაუქმდებოდა ითვლებოდა. ასე რომ, პოლიაკოვი ცენზორთან სოლიანი შვილად და იქიდან უსოლო გამოვიდა.**

მაგიდის ჩოგბურთს ვთამაშობდით თვითნაკეთ მაგიდაზე, რომელიც პროფესიულ მაგიდებს ძლიერ ჩამორჩებოდა, მაგრამ პინგ-პონგის ბურთი და რაკეტები ნამდვილი იყო. რატომღაც, პინგ-პონგის მოყვარულები ცოტანი აღმოვჩნდით. საერთოდ, მოთამაშეები ცოტანი იყვნენ – ოთხი მოჭადრაკე, რომელთაც მანილოვიჩი მეთაურობდა, მონარდები, აქ ქართველებს გვეყვრო მონინავე პოზიციები, ორად-ორი საფრენბურთო გუნდი – „დემოკრატები“ (ანტისაბჭოთა ავტორიტეტისა და პროპაგანდისათვის გასამართლებულები, რაც მართალია, მართალია, ორიოდვე ჯაშუში და ერთი სამხედრო დამნაშავეც ჰყავდათ შემადგენლობაში) და „აკადემიკოსები“ (პროფესორები, დოცენტები, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები – ჩემს საბრალდებო დასკვნაში, რომელიც პოლიტიკურ ზონაში, ფაქტობრივად, საჯარო დოკუმენტია, რადგან მოთხოვნისთანავე უნდა მიანოდო მომთხოვნ პატიმარს, ეწერა, – დაპატიმრების დროს დისერტაცია მიჰქონდა მბეჭდვეთა, – დაუცველი დისერტაცია „ჩამითვალეს“, ხარისხი „მომანიჭეს“ გუნდის „გასაძლიერებლად“, მაგრამ ჩემი საფრენბურთო კარიერა ზინედინ ზიდანის საფეხბურთო კარიერას მხოლოდ

თლის ძირითადი სტანდარტი იყო და ალკოჰოლთან არამწყრალად მყოფი პოლიაკოვი ამით ძალიან ხალისობდა. როგორც კი ანგარიში ნოლ-შვიდი გახდებოდა, მოთამაშეები თერმოსიდან ჩაის ჩამოვასხამდით და პოლიაკოვი სახელდახელო სადღეგრძელოს ჩამოაყალიბებდა ხოლმე და ქართული სუფრის ტრადიციების საკმაოდ მაღალ ცოდნას გამოამჟღავნებდა (როდესაც გათავისუფლების შემდეგ ჩემი ძმა დავითი მეუღლესთან ერთად პეტერბურგში ჩავიდა, მიხაილ პოლიაკოვმა შინ მიიწვია, თამადად დანიშნა, შემდეგ თამადაობა ჩამოართვა და დახვეწილი ქართული თამადაობის შესანიშნავი გაკვეთილი პასტერნაკივით თვითონ ჩაუტარა).

პინგ-პონგს ბარაშეგოში თავისი განუმეორებელი ეგზოტიკა ჰქონდა: ორ მოთამაშეს მესამე აქტიური მოთამაშე თუ დამკვირვებელი ემატებოდა. ამ შესანიშნავ მამრობითი სქესის არსებას „ციგანი“ ერქვა, რადგან კუნაპეტივით შავი და პოლიტიკური ზონის კატების რაზმის უმრწემესი წევრი იყო. ზონაში სულ სამი კატა გვყავდა: ძალიან ბებერი ვასკა, ნორჩი ვაჟკაცი ციგანი და ნაზი არსება ადოქა (სრული სახელი ადელაიდა გრიგორიენა მაზურდონსკაია, რაკი მისი მეურვეები გრიშა ფელდმანი, მიკოლა მაზური და გელი

თეორიის დაუძინებელი მტერი იყო. უპირველეს ყოვლისა, არ სჯეროდა ძღვევამოსილი საბჭოთა უშიშროების ყოვლისშემძლეობის, ყოვლისმომცველობისა და უძღვევლობის მითი. როდესაც ჩვენს საიდუმლო სერობებზე „კაგებეს“ მზაკვრულ ხრიკებსა და ზერთულ კომბინაციებზე ვლაპარაკობდით, ღიმილიანი პოლიაკოვი თავაზიანად გვაჩერებდა და გვეუბნებოდა, – нет, ребята, там бардак. და როდესაც უცხოეთში „კაგებეს“ ძალიან სერიოზულ ოპერაციებზე ავლაპარაკებოდით, მაგალითად, სახელგანთქმული ნიგნის – „გაძლებს თუ არა სსრკ 1984 წლამდე?“ ავტორის, ანდრეი ამალრიკისთვის ესპანეთში ავტოკატასტროფის მოწყობაზე, მიშა დისიდენტური ფოლკლორის შედევრის ციტირებას იწყებდა:

**За мной машина едет - это Волга, Но я же знаю, это ЦРУ!**

არ სჯეროდა, რომ „კაგებეს“ ესპანეთში სერიოზული სპეცოპერაციის განხორციელება შეეძლო. ამ მითებს მათი ერთ-ერთი განყოფილება ქმნის და მრავალრიცხოვანი აგენტურის წყალობით ხალხში ავრცელებს.





# თეთრი სკილო FOREVER კიკი

<<< **ლასანისი** გვ. 28

მე და ოლადა ერთად დავსახლდით. ოლადა კონვერტი ამოიღო და მითხრა, – გული არ გაგისკდეს, მაგრამ ნახეო. გადასახადის ქვითარი. ავიღე და ტირილი დავიწყე. რაღა ვქნათ-მეთქი? არაყი ვიყიდოთო! ხომ მაგარია? გაგაცინე? შენ არ იდარდო, მე კიდევ ვივლი პარიზის ქუჩაზე საყიდლებზე, აი, ნახავ!“

„კი, შენ ხომ ვარსკვლავი ხარ, ჩემო ლამაზო!“

„მკვდარი ვარსკვლავი!“ – შემისწორა მარტინამ.

ათჯერ ვუთხარი, სისულელეებს ნუ იძახი მეთქი.

„ვარ და რა ვქნა? ვიყავი ვარსკვლავი და ორშაბათიდან ვიქნები მიმტანი. არ გითხარი? მუშაობას ვინყებ. ამიყვანეს. მკითხეს, – ენა საიდან იცი ასე კარგადო. მე ვუთხარი, – სულ ამ ენაზე მოლაპარაკე კაცები მყავდა-მეთქი და მოკვდნენ სიცილით, ეგრევე ამიყვანეს.“

მარტინას მუშაობა არ უყვარს, მაგრამ ძალიან უყვარს ფული და ლამაზი ცხოვრება. ამას არც მალავს.

„მთავარია, სერიოზულად არავინ მომეკიდოს. ჩემნარი ერთ ყურში უნდა შეუშვა და მეორედან გამოუშვა...“

მე მისი ერთ ყურში შეშვება და მეორედან გაშვება აზრადაც არ მომსვლია: მეტისმეტად ალერსიანი და თბილი არსებაა, თან კარგი მთხრობელი, თან მხიარული...

„ძვირფასო, – მითხრა საღამოს. უკვე იმდენი დაეღია, რომ ცხრამეტი წლისა გამხდარიყო, – ისე, შენზე მითხრეს, წიგნი აქვს დანე-

რილიო. მართალია? ვარსკვლავი ხარ? რატომ არ მითხარი? რა ძუკნა ყოფილხარ!“

ძალიან გამეცინა.

„შური დაგაბერებს“, – ვუპასუხე მე.

უცებ წამოხტა და სარკისკენ გაიქცა.

„არაფერიც! – გამომძახა გახარებულმა, – არც ერთი ნაოჭი არ მეტყობა!“

კიდევ კარგი, მარტინა თეორიულადაც არასოდეს იქნება ჩემი კაცი. ამდენ სისარულს ჩემი გული ნამდვილად ვერ დაიტევდა.

### ლამი ნახოლში

ნახოდის სასახლე მეთერთმეტე საუკუნეში ერთი ჩეხი თავადის, ვრატისლავ II–ს ბრძენებით აუშენებიათ. თავდაპირველად ალბათ ციხე-სიმაგრე იყო, მაგრამ ახლა ნამდვილი სასახლეა, ბალიან-კოშკიან-დარბაზებიანი. თხრილში დიდი დათვები ცხოვრობენ – ნუ იტყვი, საზამთრო ჰყვარებიან! ქონგურიდან ხედი იშლება – დაუჯერებელი!

მეორე მსოფლიო ომის მერე ნახოდის სასახლე ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს გადაეცა – ცხადია, ნებაყოფლობით არა, მისი ბოლო მფლობელი, გერმანელი საუბურგ-ლიპე, მთლად დანისი სამეფო ოჯახთან დანათესავებული, სულ არ ფიქრობდა მის დათმობას. თუმცა, კომუნისტებს სასახლის გაოხრება ვერ მოუხსნიათ, ის დღესაც შესანიშნავად გამოიყურება, მე თუ მკითხავთ, სრული სასწაულია.

საზეიმო საღამო ძველი სასტუმროს დიდ დარბაზში გაიმართა. უამრავი ხალხი ირეოდა, მხოლოდ ორი ადგილი იყო ცარიელი, სკამებზე ეწერა: „საქართველოს საელჩო“.

„რატომ არ მოვიდნენ? – გაიკვირვა მარტინამ, – სულ კაცები არიან?“

„არა, ვითომ, რატომ?“ – ვიფიქრე, სექსიზმის ბრალდება-ლა გვაკლია-მეთქი.

„აბა, ქართველ ქალებს კაცები არ აინტერესებთ?“

რა უნდა მეთქვა...

„კარგია, რომ არ ჩამოვიდნენ! – მარტინამ გამოსავალი უცებ მონახა, – მაგათი აპარტამენტები ჩვენ დაგვრჩება!“

საელჩო ნაკლებად მადარდებდა. კაცები!

კაცები რა, ბიჭები იყვნენ, ისეთები კი არა, მოდების ჩვენების დროს რომ დადიან ხოლმე ძალად მნიშვნელოვანი სახეებით, არამედ ნამდვილი ბიჭები. ძალიან კარგი ბიჭები.

„შენი ყოჩი რომელია? – მეჩურჩულებოდა მარტინა, – ჰა? ქერა კაცები არ მოგწონს?“

მარტინა უწყვეტლევ მიყვებოდა: ის გოგო, აი, თავი ქალი რომ ჰგონია, სინამდვილეში... და ის გასიებული კაცი კიდევ...

„და ის ქალი ვინ იყო, კიკის რომ ეძალბოდა?“

„არ იცი? პოლიტიკოსია. CSSD, Ceska Strana Socialne Demokraticka, ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ნორმალური ხალხია. კიკი მათთვის მღერის ხოლმე საარჩევნოდ, შოუებს მართავს. გაზეთებში სულ კიკის ფოტოებია!“

პრესის დამოკიდებულება მარტინას ძალიან ალღევებს. უნდა ითქვას, რომ მისი ვარსკვლავი მთლადაც არ ჩამქარალა – სულ იღებდნენ და პრანჭვით კვდებოდა, მაგრამ მარტინას კიკის დარდი უფრო ჰქონდა.

„ნახე, F-TV მიაღვა! რა მაგარია! დაიცა, და ისინი ვინლა არიან? აჰა!“

კიკის გამოსვლის მოახლოებასთან ერთად მარტინამ გაფუჭება დაიწყო.

„შენ არ ნერვიულობ?“

„არა“, – ვუპასუხე. საშინელი ტყუილი.

მერე კიკი გამოვიდა, გაიღიმა, ხელები გაშალა და თქვა: „სალამო მშვიდობისა!“ და მართლა აღარ მიღლევია, სულელივით ვიღიმებოდი.

„რას მღერის? რას ნიშნავს?“ – მკითხა მარტინამ.

„ნეტავ ვის, ნეტავ რას შემახვედრებს ისევე გზა, ნეტავ ვის, ნეტავ რას შეეფეთები“, – ვუთარგმნე მე.

„კიკიმ დანერა?“

„არა, სტეფანემ“.

„კარგია, არა?“

„ჰმ“, – ჩავიფურტუნე ამაყად.

ძალიან ამაყები ვიყავით, კონცერტის დრო-

საც და წვეულებაზეც, სადაც შამანურს ვსვამდით – ეს ბოლოს როდის გავაკეთე, არ მახსოვს, და გიჟებით ვცეკვავდით. კიკი პერანგს იწურავდა, მე – კაბას.

„ვინ იცის, როგორ გრცხვენია, რომ მიცნობ“ – შეეცინე მარტინას.

„პირიქით! მივხვდი, ვის ჰგავხარ! ბოჟენა ნემცოვას. ნახოდელი იყო, იცოდი?“

ბოჟენა ნემცოვა 500 კრონიანზე გამოსახული, მაგარი მწერალი იყო. ბავშვობაში ვკითხულობდი „ზღაპრების ვერცხლის წიგნს“ და „ბეზის“ – ვგიჟდებოდი! ეს რა მაგარი სიტყვები მითხარი, ბიჭო!

„კიკი, ხომ კმაყოფილი ხარ?“

პასუხად კიკი ხელი დაგვავლო და ერთი მაგრად დაგვატრიალა.

...მაგარი ღამე იყო. უბრალოდ, მეორედ დღეს გავიგეთ, რომ ის მშვენიერი ბიჭი, ვინც ჩემთვის საუკეთესო მამაკაცად აღიარეს, წყლის თხილამურებით გადმოხტა, ხერხემალი დაიშავა და სავარძელს მიეჯაჭვა. ძალიან უბედური ყოფილა ყველაზე კარგი ბიჭი.

**ბოჟენა, ძაღლები**

სენ-ბერნარები, ფრანგული მასტივები, გრიფონები, არგენტინული დოგები – ამ დღეს ელევანტური და სერიოზული კიკი სწორედ მათ მსაჯობდა. იუზა ბერაძე ყველა ჯიშის ექსპერტი, ამიტომ ყველგან სიხარულით პატივებენ. ბოჟემის მერე ნორვეგიამია მინვეული, მერე – ფინეთში, მერე – ბრაზილიაში, მერე ჩემპიონთა შორის ჩემპიონი უნდა აირჩიოს და ასე...

ბოჟემის საერთაშორისო ძაღლთა გამოფენა მლადა ბოლესლავში, უზარმაზარ ველზე გაიმართა. ოთხი ათასი ძაღლი თვინიერად დაჰყვებოდა თავის პატრონს. ძალიან სასაცილო იყო, ბრიყულად გაკრეჭილი პუდელი ჩეხურ-სლოვაკურ მგელივით ნაგაზებთან რომ ცდილობდა დამეგობრებას, ჩაკურატებული ინგლისური ბულდოგი ფინიასავით ზურგზე გორავდა და გერმანულ დოგს რალაცის ეშინოდა – ყოვლად უგვანოდ ჰქონდა კუდი ამოძუებული.

„ნუ გეშინია, არც ერთი არ გიკბენს, – მანუგემა კიკიმ, – მაინცდამაინც კუდზე ნუ მოქაჩავ და სენ-ბერნარსაც ნუ გაუთამამლები, ეგ ზღაპრებშია კეთილი, ისე კი დიდი ანჩხლი და უხასიათო ძაღლია“.

გამარჯვებული სენ-ბერნარი იხელა იყო, ფაშილარობის არანაირ სურვილს არ აღძრავდა. რვა წლის ვეტერანი ამაყად დაძუნძულებდა პატრონთან ერთად და, მე მგონი,

გამარჯვება მასაც გიჟით გაუხარდა: ის და პატრონი, კაცმა არ იცის, რომელი რომელს ჰგავდა, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ლამის იცეკვეს...

„მისმინე, და ამ მონსტრსაც პირი უნდა დაალებინო?“ – ვკითხე კიკის.

არგენტინული დოგი სიკვდილის მანქანაა, კბილები რომ გამოაჩინა, კინაღამ ლოცვა დავინწყე – ვაი, დედა! ამ საშინელებებს თურმე „თეთრი ანგელოზები“ ჰქვიათ, ადამიანის ცინიზმს საზღვარი არა აქვს.

კიკიმ შემომთავაზა, – თუ მოინწყინე, გაიარგამოიარეო. რა მომანყენდა! მე მსგავსი არაფერი მინახავს.

ჩეხურად ჩემპიონი „ვიტიაზ“ ყოფილა. დევგმირები უნდა გენახათ! ეს ძაღლები ყველაზე ჯიშინები და ლამაზები იყვნენ, ჭკვიანები, განვრთნილები. არავინ არავისთან არ ჩხუბობს – კიკიმ მითხრა, რომ ძაღლების ჩხუბისთვის პატრონს კანონთან დიდი უთანხმოება მოუვა და მსგავსი ამბები ნაკლებად ცივილიზებული ერების გასართობია. აი, ლეოშ რომ უთხრა, – შენი ხასკები აჩხუბეო, წარმოგიდგენია, რას გიზამს?

ლეოში 150 ძაღლის პატრონია. ცხადია, სამოთახიანში არა ჰყავს გამომწყვდეული. უმრავლესობა ხასკია, ცისფერთვალეა, თეთრი ძაღლები. ერთი ცუდი ზნე ჰქონიათ – ყმული უყვართ. მაგრამ პუტკუნა, მარად გალიმბულ ლეოშს ეს ნაკლებად ადარდებს.

„იყმულონ, მე რა. სამაგიეროდ, ციგებს დაარბენინებენ. შეჯიბრებებზე გამაყავს ხოლმე“, – ამისხნა ლეოშმა.

კინოლოგებთან ერთად ყოფნა კარგი იყო: გამოფენის მერე, ტბორთან, ლუდს ვსვამდით და ისინი ჰყვებოდნენ შორეული ქვეყნების ამბებს, ძაღლების თავგადასავლებს და ბრიყულ ანეკდოტებს.

„შტერმა გოგომ ოქროს თევზი დაიჭირა. თევზმა, გამიშვი და სამ სურვილს აგისრულებო.“

– მე მინდა გრძეელი ცხვირი, სპილოსავით, – უთხრა გოგონამ.

თევზმა გაიკვირვა, მაგრამ შეუსრულა.

– კიდევ მინდა წვრილი კუდი, ხვლიკივით. თევზმა ესეც მისცა.

– ახლა ფრთები მინდა, როგორც ქათამსა აქვს, – უთხრა გოგონამ.

რა გაენყობა, თევზმა ფრთებიც გამოაბა. დგას ნაპირზე ეს უბედურება, კუდს ასავსავებს, ფრთებს იქნევს... ოქროს თევზმა უთხრა:

– არ გინდოდა, რომ ლამაზი, ჭკვიანი და მდიდარი ყოფილიყავი?

– შენა და, შეიძლება? – ჰკითხა გოგონამ.

ყოველ კოლეგას თავის წმინდა ვალად მიაჩნდა, მოსულიყო და ჩემთვის მოეყოლა, როგორი კაცია კიკი, როგორი სპეციალისტია, როგორ მსაჯობს, როგორ უყვარს ყველას. მე კმაყოფილებისგან გონს არ ვიყავი, კიკის მხოლოდ ელიმბოდა.

„კიკი, შენ რომ ბალიანი სახლი გექნება, რა ძაღლებს იყოლებ?“ – ვკითხე მე.

„მე დვარნიაჟკები მიყვარს“, – მიპასუხა კიკიმ.

**...და პირი, და ორი...**

არ მინდა წასვლა. კარგად ვარ პრალაში. სულ არ მინდა, მაგრამ ჰა...

კარლოსის ხიდს ოთხნი ვთვლავთ: კიკი, მარტინა, პატარა ჰელენა და მე. მეც ჩავიფიქრე, ოღონდ რა – არ ვიტყვი, თუ ახდა, ისედაც ნათელი გახდება.

„ხომ კიდევ ჩამოხვალ, ძვირფასო?“ – მეკითხება მარტინი.

აბა, რას ვიზამ.

„...და სამი, და ოთხი... და პური, და მარილი... და წინ, და უკან, და მარჯვნივ, და მარცხნივ“...

...

კიკის მამას მთელი დედამინა ცეკვა-ცეკვით ჰქონდა შემოვლილი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – „სუბივილების“ სოლისტი იყო. ის სულ ნაირ-ნაირ ამბებს უყვებოდა ხოლმე პატარა კიკის. ერთი ისტორია განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო: ინდოეთში, მდიდარ რაჯასთან მამამ ერთხელ თეთრი სპილო ნახა. დიდი, ულამაზესი, თეთრი სპილო! დინჯად დააბიჯებდა, ხორთუმს იქნევდა...

მრავალი წლის შემდეგ კიკიმ მამამის სტუმრების თანდასწრებით სთხოვა, – სპილოს ამბავს მოყვიეო, – და მამამ საშინელი სიმართლე გაუშხილა: თურმე, თეთრი სპილო არ არსებობს. საერთოდ არ არსებობს. მამამ ის მხოლოდ გამოიგონა.

„ასე მომიკვდა დიდი ოცნება, – ამოიხრა კიკიმ, – ეჰ, როგორი სპილო იყო“...

არადა, თეთრი სპილო არსებობს. ერთხელაც იქნება და სადღაც, შორეთში, გასტროლებზე ან სამსაჯოდ წასულ კიკის ის აუცილებლად შემოეყრება. შეიძლება, სახლშიც მიადგეს – რა იცი. თეთრი სპილო, დიდი სიყვარული – ისინი სადღაც მინც დადიან და ჩვენც თუ ვიგლით, აუცილებლად გადაეყრებით. რა იცი, სად რას შეეფეთები...

P.S. კინაღამ დამავიწყდა: Kiki, miluji te.



# პროვოკატორები

<<< დასაწყისი გვ. 32

სცენაზე სკამი იდგა, ერთ-ერთი მათგანი შიშველი იჯდა და მეორე თავს ბანდა. დანარჩენები აქეთ-იქით მიმოდიოდნენ და ლექსებს კითხულობდნენ. პირადი ჰიგიენის დაცვისა და პოეზიის პროპაგანდის საღამოზე ბევრი ხალხი მოვიდა. ქუთაისში უყვართ თეატრი, ყველა დადგმაზე ივსება ხოლმე დარბაზი. „მაყურებელი დაბნეული ჩანდა. ბევრმა მაშინვე დატოვა დარბაზი, როგორც კი შიშველი ტიპი დაინახეს, მაგრამ ნაწილი ბოლომდე დარჩა. დარბაზში მსხდომებს ვაკვირდებოდი, მაინტერესებდა მათი რეაქცია. გასუსულები, პირდაღებულები გვიყურებდნენ“.

მეორე პერფორმანსზე კიდევ უფრო მეტი ხალხი მივიდა. შარშან გააკეთეს ასეთი, „თითქმის კლიმაქსი“ ერქვა. 68 წლის მოვლენების ორმოცწლისთავი აღნიშნეს. ამჯერად აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზის სცენაზე დაყარეს ნახმარი ფეხსაცმელები, ტანსაცმლის ნაკუნები, ძველი ნივთები. ცენტრში ერთ-ერთი იჯდა, ნიცშეს ნილაბაფარებული და ლექსების კითხვას სტვენით აწყვეტინებდა (როგორც ნიცშეს გავლენა თანამედროვე თაობაზე). „ბევრი აღშფოთდა – გალაკტიონის და აკაკის ქალაქში ეს რაები ხდებოდა, – ჩიფჩიფებდნენ. მაგრამ პირველ პერფორმანსთან

შედარებით, კიდევ უფრო მეტმა გვიყურა ბოლომდე. სხვადასხვანაირი ხალხი მოდიოდა, იყვნენ ტიპები „ბირჟებიდან“, ბევრმა პროტესტის ნიშნად დარბაზი ხმაურით დატოვა. მაგრამ რამდენიმე „ბირჟავიკმა“ იმ საღამოს მეორე წიგნები გამომართვა და ძალიან მთხოვა, – რამე ახალს რომ გააკეთებთ, აუცილებლად გაგვაგებინეთ“.

მალე გამოჩნდა, რომ ერეკლეს და დანარჩენ „პერფორმატორებს“ სულ სხვა მოტივები ამოძრავებდათ. მათ საერთო ინტერესები და ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით მსგავსი პოზიციები ჰქონდათ და ერთი საერთო – ყველას საკუთარი დამოკიდებულების და სათქმელის თავიანთი ოთახებიდან გარეთ გამოტანა უნდოდა. მაგრამ ბიჭები უბრალოდ ხელოვნებას აკეთებდნენ, ერეკლეს კი თავისი არტი რალაც მიზნისთვის სჭირდებოდა. ის პრობლემების გადაჭრას, ცვლილებების გამოწვევას ცდილობდა. „ჩვენ უბრალოდ საკუთარ პოზიციას ვაფიქსირებთ. ვინც პრობლემების გადაჭრას მოჰკიდა ხელი, ან გაბანდდა, ან „ერის მამად“ იქცა. ჩვენ არც ერთი მოგვონს და არც მეორე“, – ამბობს გიო ხასაია (პოეტი და რადიო „ძველი ქალაქის“ „ბიბლიონეგროზის“ წამყვანი). „ეს არც წუნუნია და დამსუხრებელი სახეებით – ქვეყანა თავზე გვეწვრვავს-ს ძახილი. არა, ჩვენ-ჩვენ სათქმელს ვამბობთ ხოლმე. სულ ესაა“.

სიგარეტით გაბულულ ოთახში ვსხედვართ. ეს რადიო „ძველი ქალაქის“ სტუდიაა, სადაც „ბიბლიონეგროზი“ იწერება. ფანჯარაში გაჩხერილი ძველი კონდიციონერი მონოტონურად დუდუნებს. „მარტივია, – აგრძელებს გიო, – სიმართლე თავიდან ყოველთვის მიუღებელია. ეგრევე მიღებული არის ლექს-ენი და მერაბ სეფაშვილი. ამიტომ ყოველთვის იქნებიან ბუბა კიკაბიძეები და მუხრან მაჭავარიანები. ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ „ჭეშმარიტებას“ ვაკეთებთ. არა. ყველა ხელოვანს აქვს, წესით, ერთი პრეტენზია – აკეთოს თავისი ხელოვნება. ვილაცამ ამას მერე შეიძლება გომიურად „სტრანნი“ უწოდოს. ან სხვა რამე დაარქვას. რა ვქნათ, ასეთი საზოგადოება ვართ – ვერ აღვიქვამთ, ვერ ვიღებთ ახალს. მაინც ძველი კულტურის პარადიგმებით ვაზროვნებთ. როდესაც ახალგაზრდები აკეთებენ რალაცას, ამბობენ, რომ აი, რა საინტერესო ახალგაზრდები არიან. მაგრამ დგება მომენტი, როდესაც შენ არ გინდა, ვილაც გომისთვის „საინტერესო ახალგაზრდა“ იყო. მერე უკვე ცოტა გამაღიზიანებელი ხდები. მაგრამ ისე არ გაიგოთ, თითქოს ჩვენ თავი მესიები გვგონია, არა, რა სისულელეა! უბრალოდ ვფიქრობთ, რომ ვაკეთებთ ხელოვნებას. ამ დროს აქვს ამ ქუთაისის თავისი კულტურული წანამძღვარები, მაგრამ ვილაც რეტროგრადებს ეს ყველაფერი სასაცილომდე მიჰყავთ. მაგალითად, კულტურის სამსახურის უფროსი, რომელიც თვითონაც პოეტიცა. ახლა ერთ-ერთ პროექტად აქვს დაგეგმილი რიონის პირას, ცისფერყანწლების ლექსების კითხვა. გამოყოფილია 5000 ლარი. რომ ჩავიდეთ ახლა ჩვენ რიონის პირას, მე პაოლო იაშვილის ლექსი წავიკითხო, სხვამ – ტიცინის. რად უნდა ამას 5000 ლარი? რა უნდა, ვიყიდით ერთ ბოთლ „ქარვას“, ჩავალთ და წავიკითხავთ ლექსებს. მაგრამ ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ პოეზიით გადაღლილები მერე რესტორანში გადაინაცვლებენ“.

გიო ხასაიას და მის მეგობრებს, ერეკლესგან გასხვავებით, ხელოვნების „ფუნქციანზეც“ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ერეკლე ყველაფერს პირველ რიგში ერთი იდეით აკეთებს – მისი მიზანია, თავისი შემოქმედება ფართო მასებში გაავრცელოს. მას ხალხი მოიხმარდეს. „მარკეტინგზე“ და საკუთარი პროდუ-



ქტის სწორად პოზიციონირებაზე ერეკლე ბევრს ფიქრობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მუსიკას აკეთებს.

„ადრე ხშირად ისმოდა კითხვა – რას გვაძლევს ჩვენ ხელოვნება? მაგრამ მოდი ისიც ვიკითხოთ – შენ რას აძლევ ამ ხელოვნებას? – ამბობს გიო ხასაია, – აბსურდია, ხომ? თანამედროვე ხელოვნებაში ეს მომენტი მოიხსნა დღის წესრიგიდან. კარლჰაინც შტოკაუზენის კონცერტს რომ მოუსმენ, ან ლუიჯი ნონოს ან კენი ჯის, მერე იმ მოტივებს ვერ ილიღინებ, ვერ მოიხმარ. ამიტომ, დღეს აღარავინ დაობს იმაზე, რომ ხელოვნებამ რაღაც უნდა გასცეს, რომ აუცილებლად რაღაც უნდა იქადაგოს. ხელოვნება აკრიტიკებს ცხოვრებას და ხანდახან ქადაგებს ახალსაც. მაგრამ ასევე შესაძლებელია, არსებული ისე აკრიტიკო, რომ ახალი საერთოდ არ იქადაგო. ჩვენ მეორე უფრო მოგვწონს. ესაა და ეს“.

ერეკლე სხვანაირად ფიქრობს. ეპატაჟის და პროვოკაციის იდეაც მეტად ხიბლავს. თავიდანვე ასე გამეცნო, – მე, ქუთაისში პატარა სატანას მეძახიანო. „ავანტიურა მომწონს. მჯერა იმის, რომ რაღაცის შეცვლასაც შევძლებ“. ერეკლესთვის პოზიციის დაფიქსირებაზე უფრო ცვლილებებისთვის ბრძოლაა მნიშვნელოვანი. პერფორმანსებით ამას თითქოს ვერ ახერხებს. სწორედ ამ დროს ჩნდება გიორგი უგრეხელიძე, რომელიც დღეს მისი პროექტების მთავარი იდეოლოგი და მისი „ყველაზე საყვარელი მეგობარია“.

ორი წლის წინ გიორგიმ ერეკლე თავისი დისშვილისგან გაიცნო, უფრო სწორად, პირველად მისი ნაწერები ნაიკითხა, რომელიც ლექსოს ჰქონდა სახლში მოტანილი. არ ამბობს, რომ მოეწონა, თითქოს უფრო გაუტვირდა, დაინტერესდა. „ერეკლე ძალიან პირდაპირი და ცოტა აგრესიული იყო. სულ ვეუბნები, რომ კარგია არანორმატიული ლექსიკის გამოყენება იგივე პორნოტექსტების სახით, მაგრამ ეს მაქსიმალურად აზრიანი უნდა იყოს. პროვოკაცია მეც მომწონს, როგორც ცვლილების გამომწვევი. მაგრამ პროვოკაცია ჩემთვის მხოლოდ ფორმაა და ის თვითმიზნად არასდროს უნდა გექცეს. სხვამ შეიძლება იგივე მიზნისთვის სულ სხვა ფორმა აირჩიოს და ისიც ეფექტური იყოს“. გიორგი პროვოკაციაში არას-

დროს მონაწილეობს. თითქოს შორიდან აკვირდება და ფიქრობს. ფიქრობს ყველა ნიუანსზე და მთავარ იდეაზე. თამაშით კი სხვა თამაშობს, თვითონ თამაშში არასდროს ერთვება.

გიორგიმ ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში, კიბერნეტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, კომპიუტერებისა და ქსელების პროგრამული უზრუნველყოფის განხრით. თვითონ ამბობს, რომ ყურნალ „ჰაკერების“ კითხვამ ბევრად მეტი რამ ასწავლა, ვიდრე ინსტიტუტმა; განსაკუთრებით, ყურნალის ერთმა სპეცგამოშვებამ, სოციალურ ინჟინერიაზე, რომელმაც თითქმის მთელი მისი ცხოვრება შეცვალა. ნეიროლინგვისტურ პროგრამირებაზე ფიქრი სწორედ მას მერე დაიწყო. იკვლევს, რა დონემდე შეუძლია ერთ ადამიანს სხვებზე გავლენა ჰქონდეს, როგორ შეიძლება ამ უნარის ტექნიკურად გამოყენება, თუნდაც საკუთარ პროფესიაში.

„ჯერ ვაკვირდები. საერთოდ, რაც მეტი გაქვს ინფორმაცია, მით უფრო ნაკლები ძალისხმევაა საჭირო. ცოტა ზარმაციც ვარ, ამიტომ ასეთი მიდგომა უფრო მომწონს. ძალიან უცნაურ დროს ვცხოვრობთ. ცნობიერების კლასიკური მდგომარეობით იმის გაგება, რაც დღეს საქართველოში ხდება, ჩემი აზრით, შეუძლებელია. ამ კოლექტიურ რეალობაში თვითონ ადამიანები იკარგებიან, ინდივიდუალიზმს კარგავენ და ეს საშინელებაა. მე პოსტსოციალური ქსოვილის გაკეთება მინდა. და ვამბობ, – თუ შენი გარემო არ არის ისეთი, როგორიც გინდა, შენ შეგიძლია მასზე იმოქმედო ისე, რომ ის შენთვის საინტერესო გახდეს“. „ქსოვილზე“ ზემოქმედება არ არის მარტივი საქმე, ბევრი „მუშაობა“ უნევს. ახლა ერეკლესთან ერთად აკეთებს სიმღერას – „ძეგლი მინდა ქუთაისში“. იდეა ცოტა ხნის წინ გაჩნდა. „ჩვენ გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც საშინლად მონყენილები არიან, – ამბობს გიორგი. გადაიღალენ. თითქოს, სადღაც ბოლოსკენ გადიან, ამთავრებენ მოღვაწეობას და მოიწყინეს. ამიტომ, ერთადერთი რაც გაამხიარულებთ, ეს არის ძეგლი“.

გიორგიმ ერეკლესგან ELY-ს (ყოფილი „ლაბორატორია“, „ცხელი შოკოლადი“ იენისი. 2008) ნევრები ერთი წლის წინ გაიცნო. ELY კონცეპტუალური არტ-ჯგუფი და სამეგობროა, რომელიც მუსიკო-

სებს, მწერლებს, მეცნიერებს, სიზმრის მკვლევარებს ან უბრალოდ მხიარულ ხალხს აერთიანებს. ადამიანებს, ვისაც შეუძლია საკუთარ ფანტაზიას ძალიან შორს წაყვას. ერეკლეს და გიორგიც ELY-ს ნევრები არიან. შეიძლება ითქვას გიორგი ELY-ის ქუთაისის წარმომადგენელია. ერთად რამდენიმე „პროექტზე“ მუშაობენ. ერთ-ერთია „ეკო და პარალელური თაობა“. ამ „პროექტის ფარგლებში“, შემოდგომაზე გამოვა ერეკლეს სიმღერების („პრეზიდენტი“, „პატრიარქი“, „ჰარი პოტერი“, „ბინ ლადენი“ და სხვები) ალბომი, რომელიც ზუსტად ახლა იწერება. „ეკო და პარალელური თაობის“ კონცეფციაზე გიორგი საუბრობს. ეს თითქოს მისი ფუნქციაა. აზრების არტიკულირების კარგი უნარი აქვს. სიმღერებში მისთვის მთავარი ტექსტებია და მათი ორატორიული შინაარსი. ერთი ტექსტი ვილაციისთვის შეიძლება მარტივად გასაგები იყოს და მას შინაარსი თავისებურად ესმოდეს. მაგრამ არის მეორე ადამიანი, ვისთვისაც იგივე ტექსტი ასევე ერთმნიშვნელოვანია, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული შინაარსი აქვს. მათი მიზანი სწორედ ესაა, ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის „მესიჯის“ გავრცელება, რომელთაც საერთო ის აქვთ, რომ ტექსტში ორივე აზრის, ორივე დამოკიდებულების მიმართ ირონია და მეტიც, ცინიზმი იკითხება. ამ დროს, მუსიკა მარტივი, „ხალხური“ და ადვილად მისაღებია. რიტმული და მხიარული, „საცეკვო“. ალბომში შესულ სიმღერებს ერეკლე ევრაზიულ-ქრისტიანულ ფოლკლორს არქმევს. ეს უანრი ზოგადად არ არსებობს, მაგრამ „ჩემი მუსიკაა და რასაც მინდა, იმას დავარქმევ“, საუბარში ერთვება ერეკლე. „ძალიან მინდა, ეს სიმღერები მარშუტკებში, ქართულ რესტორნებში ისმოდეს. ყველანაირ საერთაშორისო მუსიკალურ ჯილდოს მირჩევნია, ქორწილებში თამადა დამკვრელებს ჩემი სიმღერის შესრულებას სთხოვდეს, ან, მაგალითად, თუშეთში ხალხური ზეიმის დროს დაუკრას ვინმემ“.

ეს შემოდგომა მოსავლის აღების დროაო, – ამბობს ერეკლე. მალე გამოცემლობა „სიესტა“ მის პირველ წიგნს, რომანს „ხსნადი ზაზა“ გამოსცემს. „ეს წიგნი ორი წლის წინ, სიზმარში მთავარანგელოზის გამოცხადების მერე დავწერე. მთელი სიუჟეტი დამესიზმრა, მერე უბრალოდ

## ბაბრქელა

ფურცელზე გადმოვიტანე“, – ამბობს ირონიით. წერს სიმღერებს ჯგუფისთვის The Tesls – „პანკის პანკია. მუსიკა საშინელი ბილნი ტექსტებით. პორნოს პორნო“. და ალბომი, რომელსაც გიორგისთან და ELY-სთან ერთად აკეთებს. „მალიზიანებს მუსიკოსები რომ წუნუნებენ ხოლმე – კონცერტებზე ხალხი არ დადის, დისკებს არავინ ყიდულობს. ორი კაცი რომ მოვიდეს კონცერტზე, მათთვის ვიმღერებ და არასდროს გავლანძღავ მსმენელს, რომლებიც ბუბას უსმენენ. ეს აუცილებლობა მაგიჟებს, თურმე მათ ყველამ უნდა უსმინოს. თუ რამეს ვერ ვყიდი, ეს ჩემი პრობლემაა და არა საზოგადოების, მსმენელის“. გაყიდვის, შეფუთვის და ზოგადად გავრცელების იდეაზე ELY-ის წევრებთან ერთად ბევრს ფიქრობს. ვირუსების იდეაც აქედან მოდის.

ეს ათასნაირი „ვირუსის“ მატარებელი საზოგადოებაა. ისინი ცვლილებების გამოწვევას მძაფრი, უხეში და ხანდახან აგრესიული „აქციებით“ ცდილობენ და „ვირუსებს“ სხვადასხვა მიმართულებით ავრცელებენ (პროზა, მუსიკა, პოეზია, პერფორმანსები). მათთან პირველი შეხვედრა ხშირად უსიამოვნო, უხერხულ განწყობას ქმნის და ეს ემოცია მათი „თამაშის“ მნიშვნელოვანი ნაწილია. რადიკალური ცვლილებები, მათი აზრით, სწორედ გაბრაზების, აღშფოთების ან უბრალოდ გაცემის მერე მოდის. თუმცა, გარემოს შეცვლა საკმაოდ რთული „მისია“ და საფრთხიანიც. ვირუსების გამავრცელებელ საზოგადოებას მუდმივად ერთი და იმავე ცდუნების დაძლევა უწევთ – პატარა წარმატებებით მოგვრილი სიხარული თვითკმაყოფილებად არ ექცეთ და საკუთარი მნიშვნელობის გაზვიადებით ყველაზე მთავარი არ დაავინყდეთ – რომ ადამიანები, ყველანი ჩვეულებრივები ვართ. ამ ოქროს შუალედის დაცვას, ერთი შეხედვით, გიორგი უფრო ცდილობს.

### გიორგი, ანუ MK-ultra

ეს MK-ultra რაღა? ვეკითხები გიორგის. ისევ პიკასოსთან ვსხედვართ. MK-ultra „კრუ“-ს ერთი საიდუმლო პროგრამის სახელწოდებაა. ადამიანებზე ცდების ჩასატარებლად პირველად გამოიყენეს ქიმიური საშუალება LSD. ძალიან მოსწონს ეს ნიკი. „უკვე ბავშვებიც ემკაულტრას“ მესძინან“. გიორგი სკოლაში ინფორმა-

ტიკას ასწავლის. თითქმის მთელ დღეს მათთან ერთად ატარებს. სარდაფში, სულ ახლახან თამაშების კლუბი R'lyeh გახსნა, ჯერჯერობით ხუთი, „პენტაგონი 1“ კომპიუტერი აქვს, სადაც ძველი თამაშები: Blood, Diablo, Heretic, Hexen, Starcraft, Quake აქვს ჩანერილი. სკოლის მერე ბავშვები უკვე მის კლუბში მოდიან, სათამაშოდ. „ეს კომპიუტერული თამაშების ძველი ლეგენდებია. მაგ თაობის პროგრამისტები განსაკუთრებული იუმორით გამოირჩეოდნენ. ძალიან ბევრი სიმბოლო გვხვდება და სიუჟეტიც ბევრად უფრო საინტერესოდ ვითარდება. გმირებიც უფრო ადამიანურები არიან. ამიტომ მომწონს“. ერთი საათი თამაში 50 თეთრი ღირს. კომპიუტერებთან პატარა ტაიმერები აწყვია. ერთ კედელზე ალისას ფოტო ჰკიდია საოცრებათა სამყაროდან, მეორეზე ჰოუარდ ფილიპს ლავკრაფტის (ამერიკელი მწერალი). მაგიდაზე ეკრანის წინ, წყლით სავსე სამლიტრიანი ქილა დევს და შიგ უცნაური ქანდაკება „ზის“, რომელსაც დროდადრო კომპიუტერის HDD ინდიკატორი ანათებს. „ეს Cthulhu-ს ქანდაკება (კოსმიური სხეული, ლავკრაფტის ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟი) ჩემი გამოთლილია. ბავშვებს მაგრა მოსწონთ. რომ შემოდიან, პირველს ამას ხედავენ: „ვა ჩონჩხი! რა მაგარია... ნახე, ანათებს“ და მერე ათას კითხვას მისვამენ“.

ქუთაისი. გოგოლის ქუჩა. სასიამოვნო საღამოა, კორპუსების წინ, ეზოში სხვადასხვა ასაკის ბიჭები დგანან. გიორგიც იქვეა, ერთ-ერთს რომელიღაც კომპიუტერულ თამაშზე ელაპარაკება. ბიჭების ჯგუფს ერთ-ერთი გამოეყოფა, სადაც მოზრდილ ჯოხს პოულობს და ხელში ატრიალებს. მერე ვილაცას უქნევს შესაშინებლად. მეორეს უკვე თავში ურტყამს. სხვები იცინიან. მერე მესამეს ჩაარტყამს. ორის („მსხვერპლი“) გარდა, ყველას ეცინება. ადგილიდან არავინ იძვრის. ბიჭი ყველას ჩამოუვლის, ჯოხს სათითაოდ ყველას თავში ურტყამს და იცინის. ამ კოლექტიურ მხიარულებას ნელ-ნელა აკლდება ხმები. მოზრდებით, გიორგისთან ახლოს უფრო პატარები დგანან. აქ მოდითო, – უყვირის ერთ-ერთს და ისევ ჯოხს იქნევს. ბავშვები ადგილიდან არ იძვრიან. მერე ერთ-ერთს უახლოვდება და ღრიალს იწყებს: „რა ნაგლად მიყურებ, ბიჭო, რომ

გელაპარაკები, თვალები დახარე!“ გიორგი ფეხზე დგება და ყველას გასაგონად მიმართავს: შენ ისტორიაში შეხვალ, როგორც ლეგენდარული... (ბიჭს დასაწყისი ძალიან მოსწონს და ყურებს ცქვიტავს)... ზლოდვი, – ამბობს გიორგი, – კომპიუტერული თამაშების ფინალურ ეპიზოდებში შეგიყვანენ, სადაც მოვა მარო, გაათავისუფლებს პრინცესას და გაყიდავს“. ბიჭი გიორგის ბრაზით უყურებს, იბღვირება, მაგრამ უკვე ვილაცებს ეცინებათ. ცოტა ხანში ყველა ხარხარებს. ბიჭი იქვე ჩამოჯდება და კარგა ხანს ზის ჩუმად. მერე თითქოს მარტო გიორგის გასაგონად ამბობს, – მაგრა დავიგრუზო.

ეს ამბავი ბავშვებთან თავის ურთიერთობაზე საუბრისას გაიხსენა. მგონი, ამით უფრო საკუთარი როლი, ფუნქცია დამანახა. თვლის, რომ მამა თავისი საქმე გააკეთა. მოულოდნელად სიტუაცია შეცვალა და „ვილაცები რაღაცაზე“ დააფიქრა. „ასეთი რამეები ქუჩაში ხშირად ხდება. მინდა, ბავშვებმა გაიგონ, რომ მთავარი ფიზიკური ძალა არაა, და რომ ყველაფრის შეცვლა ლაპარაკით, აზროვნებით შეიძლება. მოკლედ, ყველა სიტუაციას შეიძლება სწორი გასაღები მოარგო“.

დილაა. გიორგი მამას ტყეში მიჰყვება. სახლში მაინც რა უნდა აკეთოს. მამა ბროლის სპეციალისტია, მაგრამ პერნესტროიკის მერე ბროლის საამქრო დახურეს და მამა მეტყევე გახდა. წყალნითელას სანაპიროს მიუყვებიან. ტყეში გრილა, ცოტა შესცივდა კიდეც, ჯერ ადრეა და მზის სხივი დაბურულ ტყეში ძნელად აღწევს. იქვე, ახლოს გიორგი დიდ ლოდს ამჩნევს და ზედ ჯდება.

„გინდა გადავაბრუნოთ?“ – ეკითხება მამა. გიორგი თავს უქნევს. დიდხანს ეჭიდავებიან და ბოლოს ქვას ადგილიდან ძრავენ. ლოდის ქვეშ უამრავი ჭიანჭველა ირევა, საოცარი სისწრაფით მოძრაობენ. მამა ამბობს, – „ამ ჭიანჭველებისთვის ლოდის გადაბრუნება ქვეყნის დასასრულია. ნახე, როგორ ლეღავენ. ახლა აღარ იციან, რა უნდა ქნან“. მერე წყალნითელას გადაღმა დაბლობს გახედავს, – „აი, იმ მდელზე რომ ხალხი ცხოვრობს, მათთვის შეიძლება მთელი ქვეყანა, მთელი სამყარო ეს ტყე იყოს, ან ის მდელი. კუნძულზე რომ ხალხი ცხოვრობს, მათთვის სამყარო შეიძლება მარტო ის კუნ-

ძული და ჰორიზონტამდე ოკეანის ნაწილი იყოს. გიფიქრია, რა არის შენთვის ეს სამყარო?“ სამყაროზე პირველად მაშინ დაფიქრდა. და მას მერე, მგონი, ამ სამყაროს წესრიგს უკირკიტებს.

რამდენიმე დღის წინ გიორგისგან ელფოსტით წერილი მომივიდა, ბლოგზე ახალი ტექსტი დავდე და წაიკითხეო. ვიფიქრე, რომ გიორგის ოცნებას ვკითხულობდი, ძალიან ჰგავდა ალისას ამბავს საოცრებათა სამყაროდან. მაგრამ თვითონ ამბობს, რომ ეს უკვე ჩვენი, საერთო რეალობაა.

**„ერთხელ ჩვენ დაგვაზინყდა როგორ ვქმნიდით სამყაროს და ისევ აქ მოვედით, რომ მიგველო ემბრიონის პოზა კლავია-**

**ტურით ხელში, დნმ-ით გვეტარებინა ერთუჯრედიანის და ემბრიონის პოტენციალი. ჩვენ მოგვინდა ამის გაკეთება კიდევ ერთხელ, როგორც ყველას – ყველა ჩვენ უჯრედს. ალბათ არაფერია იმაზე სასიამოვნო, როცა ჩუმად იხრწნები, იშლება შენი პიროვნება, მიკრობების დონემდე მარტივდება მისი აზროვნება. მიკრობები კი დაცოცავენ, სიცოცხლე უხარიათ და როგორც ჩვილ ბავშვებს – სამყარო მთელი თავისი შიშველი სხეულით უყვართ. მათ ზემოთ კი ადამიანები ყვავილებით ხელში დადიან. გამოთავყვანებული სახეებით, ცდილობენ, წარმოაჩინონ ტანსაცმელი და ტანი, ხელი გადაუსვან გამოსახულებას სერიული წარმოების ქვაზე. თავი შეიკავონ იმის წარმოდგენისგან,**

თუ როგორ შეიცვალა ეს გამოსახულება მინის ქვეშ, სხვადასხვა ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების გავლენით. მათთვის გაუგებარია, რატომ ჰქვია რეი ბრედბერის ფანტასტიკურ ნაწარმოებში ალნერილ საპნის ოპერებს – „ნათესავეები“. კრიმინალურ ორგანიზაციებს – „ოჯახი“ და მათთან შედარებით რამდენად გულუბრყვილოა ჩარლზ მენსონი. ჩვენ არ ვაპირებთ, რამე ვიცოდეთ ზუსტად, სამაგიეროდ შეგვიძლია ვარაუდი და გვაქვს გარკვეული წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ უნდა გახდეს „ყველაზე საშიში ადამიანი დედამიწაზე“.

ჩვენ ესლა აქ ვართ.  
ჩვენ უკვე მზად ვართ.  
ჩვენ ვისწავლეთ ღუმელი.“



# „იმანენტურად მონოლითური“

<<< დასაწყისი გვ. 38

ჰო, მაგრამ მაგ დროს მე ციხეს ვუძღვებ და კოკეტი ადამიანი კიდევ ციხეს არ უძღვებს.

ასეთი ტერმინებით? „სააზროვნო სივრცის რედუქცია ანუ მასში მყოფი განსჯითი თუ ემოციური კონსტრუქციების შემცირება გამარტივება მჭირდება“.

რა პრობლემაა, ეს ჩვეულებრივი ტერმინებია.

და ასე ლაპარაკობთ სახლში?

სახლში არა, მაგრამ პროფესიონალი ფილოსოფოსები რომ შეიკრიბებიან და გვქონდა რამდენიმე შეხვედრა... ეს ჰუსერლის დედუქციის ფენომენოლოგიაა, ვისწავლე ციხეში, ვიცი, როგორ უნდა გაკეთდეს ეს, შენ კიდევ ფიქრობ, რომ ეს პოპონობაა, არა?

თითქმის, რადგან ცოლს ასე არავინ ელაპარაკება.

მაგას თავისი წინასიტორია აქვს. ეს იყო წერილი, რომელიც აუცილებლად უნდა მიმენერა, რადგან ვატყობდი, რომ ჩემი ცოლი, რომელიც ნამდვილი გმირია, რაღაც ეტაპზე დაიღალა იმ განცდით, რომ უნდა გამოვეშვით. ცუდად იქცეოდნენ, სპეციალურად აძლევდნენ იმედს, რომ რაღაც მომხდარიყო ჩვენს ოჯახში. მე ვიცი, რა არგუმენტებით უნდა ვიმოქმედო მეუღლეზე, მას ჩემში მოსწონს ის, რაც წერილში ჩანს – ლოგიკური ახსნა.მე რომ მოვკვდე, ეს წერილი გაცილებით საინტერესო იქნება.

საუბრის დასაწყისში ახსენეთ გარეუბანი და შესაბამისი აუდიტორია, მერე პოლიტიკოსები და შესაბამისი აუდიტორია. ახლა ისეთი განცდა მაქვს,

რომ ახალი აუდიტორია გჭირდებათ სნობებისა და ინტელექტუალების სახით, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ ამ აუდიტორიაში დამკვიდრება გაგიჭირდებათ.

რატომ, უნიჭოდ ვაკეთებ რამეს?

რომ არ მოგატყუოთ, არაბუნებრივია და ცოტა სასაცილოც ეს ყველაფერი. იქნებ ტერმინოლოგია შეცვალოთ და ბუნებრივად, ყოველგვარი კოკეტობის გარეშე ისაუბროთ და წეროთ შინაგანზე.

იმანენტურზე?

რატომ „იმანენტურად მონოლითური“ და არა შინაგანად მთლიანი, ასე უფრო გასაგები და ბუნებრივი არაა. ვის აბოლებთ ამით?

იმანენტურად მონოლითური რას გიშლის, და... შენ, გაბოლებ?

რომ მაბოლებდეთ, ახლა აქ არ ვიჯდებოდი.

რაც მოხდა ჩემთან დაკავშირებით, ის რა იყო შენთვის – პროვოკაცია თუ გამოძალვა?

ალბათ ორივე ერთად. შეფასება ინდივიდუალურია და აქედან გამომდინარე, სუბიექტური. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე ფული არსებობისთვის მჭირდება და არა თავისუფლებისთვის,



## ბაბრქელა

მორალს კი არ გიკითხავთ, ღმერთმა დამიფაროს ამისგან, უბრალოდ, მგონია, რომ რაღაც შეკავებები ადამიანში უნდა იყოს და მიკვირს, ისე რომ გინდათ იმ ადამიანებთან შეხვედრა, ვის გამოც 4 წელი დაკარგეთ.

აღარ მინდა არანაირი შეხვედრა და თანაც, ზუსტად ვიცი, რომ მიშა არ შემხვდება.

■ აბა, რატომ ითხოვთ შეხვედრას.

შეიძლება ეს კომპლექსის ბრალია, თანაც, მინდა დაფიქსირდეს, რომ მას ჩემი ეშინია.

■ წერთ კიდევ, რომ „ჩემი ეშინია დიქტატორს, რომელსაც მთელი ქვეყანა დათრგუნული ჰყავს, ვარ აღიარებულები, რადგან ძალზე ბევრი მოქალაქე თვლის, რომ ჩემი ნიჭისა და უნარების გამო ვიმყოფები პატიმრობაში“. მართლა გგონიათ, რომ ვინმეს თქვენი ეშინია?

ზუსტად ვიცი, რომ ეშინია, თუმცა მიშა მაშინ განვაგდე ჩემგან, როცა „იმედზე“ დამპატიჟეს და ძალიან დიდი ხელფასი შემომთავაზეს. იქ მივხვდი, რომ მიშა დამთავრდა და გამარჯვებას მივალნიე. 4 წელი ადამიანები ციხეში მაყურყუტებდნენ, ახლა მაქებენ და მთავაზობენ დიდ პროექტებს, რომ გამაფუჭონ – არის თემები, რომელზეც ეთერში ვერ ვილაპარაკებ, მაგალითად, გირგვლიანის მკვლელების ამბავზე გასაუბრებლად, ისეთ საშინელებზე, როგორც იყო ომი, ბადრი პატარკაციშვილზე, რომელსაც „მარადიორებმა“ ტელევიზია წაართვეს. ბადრის ოჯახს კარგად ვიცნობდი, რამდენჯერ ერთად დაგვისვენია, როცა პატიმრობაში ვიყავი, ხელს უმართავდა ჩემს ოჯახს და რა მორალური უფლება მაქვს, ამ ტელევიზიაში მივიდე, ვერ გავიხარებ, დაწყვეტილი ადგილია.

■ გამოდის, რომ მორალური შეკავებები მაინც გქონიათ.

ჰო, ალბათ.

■ ციხემდე დიდად თვითკმაყოფილი ტიპის შთაბეჭდილებასაც ტოვებდით.

კი, ეგეც მქონდა, კრიზისი მენწყებოდა, ვიჩეხებოდი უკვე, მაგრამ ღმერთმა მიშველა.

■ ფიქრობთ, რომ ამ მხრივ ციხე უფრო დიდი განსაცდელისაგან თავის არიდების ადგილი და საშუალება აღმოჩნდა?

რა თქმა უნდა.

■ თეოლოგიური მომენტები თუ გქონდათ?

მხოლოდ ეს მომენტები მაქვს. დაბადების დღეზე დამიჭირეს და დაბადების დღეზე გამომიშვეს, ტყუილად არ ხდება ასეთი დამთხვევები.

■ თუკი ასეთ სიღრმეებში შეხვედით, ისე იქითკენ როგორღა ბრუნდებით – აი, ხვალ ჩემზე ხალხი ალაპარაკდება, სენსაციას მოვახდენ და მსგავსი რაღაცები.

კი, მაგრამ, ასე უცებ ხომ არ განთავისუფლდები ყველაფრისაგან, დრო უნდა, ხო? ნელ-ნელა მოვა, დღეს უკვე სხვა ხასიათზე დავდგები.

■ მაგონი ხასიათი გაგიფუჭეთ, რაღაცნაირად მოეშვით.

არა, არა. სხვა ხასიათში ვგულისხმობ იმას, რომ სხვა განწყობით შევხედავ იმ წინადადებებს, რომელიც სხვადასხვა მხრიდან მოდის. ადამიანი იცვლება. დინამიკური უნდა იყო, არ უნდა ჩაიციკლო. შეიძლება მე კაიფი დავიჭიროე იმაში, რომ მთელი სახელმწიფო პიარ-გუნდი აღიარებს ჩემ ნიჭიერებას, მაგრამ მთავარია, არ გავიყინო და წავიდე სხვა მიმართულებითაც, რობოტი ხომ არა ვარ, ეგრე მხოლოდ კინოებში ხდება – გამოდიხარ აბსოლუტურად შეცვლილი და ძველისკენ არაფერი გქაჩავს, არადა, მთელი ეს წარსულის განავალი გექაჩება უკან, ხო? გეთანხმები იმაში, რომ ზოგიერთ ჩემს გამონათქვამში იგრძნობოდა მიდრეკილება ციხემდე-ლი რამიშვილისკენ, რაც, ცხადია, უნდა შეიცვალოს.

■ ამ განწყობაზე როგორ ფიქრობთ, ადამიანი ადამიანისთვის ადამიანია თუ ისევე მგელია?

არის ადამიანიც და არის მგელიც. უკიდურესობები არ უნდა ავიღოთ, ძალიან ფარდობით ველში შევდივართ, ამიტომ გეტყვი, რომ მე პაციფისტი არა ვარ.

■ თქვენი მიმართვა გამახსენდა ოპოზიციისადმი – „დღეს სცენაზე მკაცრი სახის მუზარადიანი და მახვილმართული ვაჟაკების გამოსვლის დროა“ – ეს რაღაა?

ეს იყო მანამ, სანამ ეს მუხტი ჩაქრებოდა.

■ რა მნიშვნელობა აქვს, როდის იყო, თქვენში ეს ყველაფერი ხომ ახლაც არის.

რა გეხამუშა, პათეტიკურია?

■ თანაც მილიტარისტული.

ჯერ ერთი, სიკეთეს მუშტებიც უნდა ჰქონდეს, მეორეც, თუ რევოლუციის მოწყობა უნდა, მამაკაცი უნდა იყოს თანმიმდევრული და ისიც უნდა წარმოიდგინოს, როგორ მიდის ტყვიაზე, სხვანაირად ამ ხელისუფლებასთან არაფერი გამოვა, აბა, რა უნდოდათ, 100, 200 ათასი კაცი შეკრებილიყო და ზნეობრივი არგუმენტებით გადაეყენებინათ ისეთი ადამიანი, როგორც სააკაშვილია? თუ ასე უნდოდათ, გამოდის, რომ გულუბრყვილოები არიან, უფრო ცუდ სიტყვას აღარ ვიტყვი. გულუბრყვილო ადამიანს რა უნდა პოლიტიკაში? ეს მიმართვა 26 მაისამდე დაწერილი, დღეს უკვე სხვა აზრისა ვარ მათზე, ინტელექტი აშკარად აკლიათ ტიპებს რა...

■ წერთ, რომ „ჩემი პრინციპულობის შთაგონების წყარო და პირველმიზეზები თავად მიშაა“.

ახლა აღარ არის ეგრე.

■ გამოდის, რომ იმდენად ხშირად გეცვლებათ ღირებულებები, რომელ თქვენ ნათქვამს დავუჯერო, აღარ ვიცი.

ღირებულებები არ მეცვლება, უბრალოდ, „იმედის“ წინადადებაზე უარის თქმამ გადამაღახინა რაღაც კომპლექსები, როგორც კი მაღიარეს, პატივმოყვარეობა დამიკმაყოფილდა.

■ მოდით, კიდევ ერთხელ ჩამომითვალეთ, რა გააკეთეთ ისეთი, რის გამოც შეიძლება ნიჭიერი გინოდოთ კაცმა.

„რადიო 105“, ძალიან მაგარი არტები, რა, არ მოგწონდათ?

■ ზოგი მომწონდა, ზოგი არა.  
 რატომ ამბობ ეგრე, თქვი რა ჯი- გრულად, რომ ნიჭიერი ვარ, შენ მო- გწონს საერთოდ ვინმე?

■ რა თქმა უნდა მომწონს, ოღონდ ხა- რისხიანი და შესაბამისად, ცოტა. რატომ გწყინთ კრიტიკა, არ მესმის. ვისაც რე- ფლექსია არა აქვს, ყოველთვის ერთსა და იმავე წყალში შედის და ცუდად ამთა- ვრებს. რეფლექსიის გარეშე წარმოუდგე- ნელია ადამიანიც და პროცესიც. ნიჭიე- რი კაცის ყველაზე კარგი თვისებაც ხომ თვითრეფლექსიის უნარია.

ცხადია, ცხადია. დიდი სიამოვნე- ბით ვიღებ კრიტიკას და არ მწყინს, დე- დას გეფიცები.

■ არსებობს იდიოტური ქართული თეორია – ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი. ნიჭიერი, მაგრამ ავანტიურისტი, – ამ- ბობენ თქვენზე. მოგწონთ ალბათ ასე- თი შეფასება.

ცოტა ხანში აღარ მომეწონება, განვლილი ეტაპია ეგეც.

■ აბა, რა მოგწონთ, შოპენჰაუერის თეორიები?

შოპენჰაუერი ძან მაგარია.

■ ეგზისტენციალისტებზე რას იტყვი?

ნუ, ეხლაა. კირკეგორიდან რომ დავინწყით...

■ გინდათ, ფილოსოფიაზე ვილაპა- რაკოთ?

სხვათა შორის, ჩვენ გვყავს ჭაბუა ამირეჯიბი, რომელმაც, ჩემი აზრით, შეძლო ძალიან დიდი სიღრმეების წვდომა ისეთი, ერთი შეხედვით პაპსა ნაწარმოებით, როგორც არის „დათა თუთაშხია“, ის ყველა ყაიდისა და სო- ციალური წრის ადამიანს მოსწონს.

■ ეგეც საკამათოა.

ეგაა სნობიზმი, ასე თუ მიუღეპი და ნაკლი დაინახე, მაშინ არაფერი არ მოგეწონება. შენ ხარ სნობი.

■ სნობი არა, იმანენტურად მონოლი- თური ვარ. ვილაპარაკოთ ლიტერატუ- რასა და ფილოსოფიაზე?

არ იქნება საინტერესო.

■ რატომ, ნერვები აგეშალათ?

არა, შეიძლება იმ საშიშროების წინაშე აღმოვჩნდეთ, ჩემი ნერილების კითხვის დროს რომ დაგემართა.

■ ციხეში ფილოსოფიის კითხვით მი- ლებულ შთაბეჭდილებებს ვის უზიარე- ბდით ხოლმე?

მადლობა სააკაშვილს, იქ იყო ხალ- ხი, ვინც ინტელექტუალობით გამოირ- ჩეოდა, ნარკოტიკების მოხმარებაზე არის დაჭერილი საკმაოდ ბევრი ინტე- ლექტუალი.

■ და შოპენჰაუერზე ლაპარაკობდით მათთან?

არა, მთლად ეგრე არ იყო. ციხეში ესაუბრები თვითონ გენიოსებს – ნიც- შეს, პლატონს, არისტოტელეს, ზიხარ საკანში, მით უფრო კარცერში თუ ხარ და ესაუბრები. ფოლკნერი წავიკითხე კარცერში, ვირთხებთან ერთად. დოს- ტოვესკი, ტოლსტოი, ჩეხოვი, კუპრინი, რუსები ყველა წავიკითხე, მარკესი არ მქონდა წაკითხული 34 წლის ასაკში და პირველად წავიკითხე, ძან მაგარია.

■ როგორც დოჩანაშვილის გმირი იტყვის, მოსალოცი ყოფილხართ, ცაში ასაგდები მსოფლიო ჩემპიონივით, რადგან წინ პირველად წაკითხვის კი- დეე რამდენი ბედნიერება გელით. ცი- ხის ჩანაწერები თუ გაქვთ, არა სხვის- თვის გამიზნული, თავისთვის რომ წერს კაცი, ისეთი.

მარტო ჩემი თავისთვის არასოდეს ვწერ, ყველაფერს ვწერ იმ მულამით, რომ ოდესმე გამოქვეყნდება.

■ არსებობს ტერმინი SALF MADE MAN – თავის თავის შემქმნელი კაცი. ხართ კაცი, რომელიც საკუთარ თავს ქმნის?

არა, ბევრი ადამიანი მეხმარე- ბოდა, ბევრი მოქმედებდა ჩემზე და ეხლაც მოქმედებენ, ციხეშიც ძალიან იმოქმედა, კრიმინალებს რომ ეძახიან მათგანაც ვისწავლე და სხვა ცოდნაც შევიძინე.

■ მაგის გავლენაა ჟარგონებით ლაპა- რაკიც, რომელსაც ეთერიდან ვისმენდით?

„უცნობის“ გადაცემაში ეს ორგა- ნულად მომეჩვენა, თუმცა ნამდვილი, ციხის ჟარგონი არც ერთი არ მიხმა- რია.

■ გამოდის, როგორ გარემოშიც ხე- დებით, მათთვის ორგანულად იქცე- ვით?

ყველაში არა. დღევანდელი ოფი- ციოზის გარემოში რომ მოვხვდე, ვერ ვიტყვი, რომ რა კარგია, გირგვლიანის მკვლელები რომ გამოუშვეს, ვერ ვი- ტყვი, რომ რა კარგია, ბადრის ოჯახს რომ წაართვით ტელევიზია, არც ერთ ფულად არ ვიტყვი ამას.

■ სააკაშვილის გვერდით ყოფნა ორი ადამიანის ურთიერთობა იყო – მსგავსი მსგავს ეძებს – პრინციპით?

ჰო მაგრამ, მსგავსი მსგავსსაც ანადგურებს.

■ ისევე, როგორც რევოლუცია ქამს საკუთარ შვილებს.

ჯერ ბოლომდე ვერ შემჭამეს, ოდ- ნავ დამლეჭეს, მაგრამ მაინც ჯანზე ვარ.


■ სამომავლოდ რას გააკეთებთ, მე- დიაში დაბრუნდებით?

ალბათ უფლებდაცვით ორგა- ნიზაციას შევექმნი და პატიმრების უფლებებს დავიცავ, ძალიან კარგად ვიცი, რა ვითარებაა ამ მხრივ ციხე- ში. მინდა ჩემი ძალების მაქსიმალური რეალიზაცია, მაქვს ამბიცია იმისა, რომ ქვეყანაში რალაცები შევცვალო – უფრო მეტად ლიბერალური გახდეს ქვეყანა.

■ ეს საარჩევნო პროგრამების ფრა- ზებია, უფრო კონკრეტული მითხა- რით.

ინტერნეტ ტელევიზიების გვერ- დები სამი, ოთხი წლის შემდეგ ტელე- ბაზრის 40-45 პროცენტს დაიპყრობენ, თუმცა ჯერ არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

P.S. დადასტურებული ინფორმაციით, „მარადიორების მიერ მიტაცებულ“ არხზე, „იმედზე“ შალვა რამიშვილი წაიყვანს გასართობ შოუს „სიმართლის დრო“ (?!).



# ტვინის მონაპოვარი

<<< დასასწისი გვ. 42

„ჩვენ, შესაძლოა, ჯანმრთელები და აქტიურები ვიყოთ და მოგვწონდეს ჩვენი თავი ასეთებად, – თქვა საჰაკიანმა, – მაგრამ ჩვენს გონებრივ შესაძლებლობებს სრულად ძალიან იშვიათად ვიყენებთ. აი, ჩემი მაგალითი ნახეთ: ახლახან ინგლისიდან სკოტსდეილში გადაფერინდი, არიზონაში, კონფერენციაზე დასასწრებად, ფრენისგან გადავიღალე და ძილიც ამერია, ამაღამ კი მოხსენება მაქვს წასაკითხი, ბრიტანეთის დროით – შუალამეს და კარგად უნდა წარვდგე“. ის ბიზნესმენებს ასხენებს, ოკეანეზე აქეთ-იქით რომ დაფრინავენ: „ან მიალწევი გარეგებას, ან ვერა – განსხვავება ამ ორს შორის უზარმაზარია და ხანდახან ბიზნესმენებს მხოლოდ ერთი მოლაპარაკების შანსი აქვთ, ერთი მცდელობა, რომ მიალწიონ გარეგებას“. საჰაკიანი თანაგრძნობითაა მათ მიმართ განწყობილი, მაგრამ ამბობს: „ჩვენ ვართ

საზოგადოება, რომელსაც იმდენად სწრაფად უნდა ყველაფრის მოგვარება, რომ ბევრ ადამიანს სულაც არ ანუხებს წამლების მიღება“.

ზაკ და კასი ლინჩები ახალგაზრდა წყვილია, მათ 2005 წელს აამუშავეს **NeuroInsights** – კომპანია, რომელიც ინვესტორებს რეკომენდაციებს უწევს ტვინის მეცნიერების ტექნოლოგიის განვითარებაში. კასი და ზაკი ერთმანეთს კალიფორნიის ლოს ანჯელესის უნივერსიტეტში შეხვდნენ. კასიმ მაგისტრატურაზე ჩააბარა კალიფორნიის სან ფრანცისკოს უნივერსიტეტში, ზაკი კი ადმინისტრატორი გახდა პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიაში. ზაკმა, რომლის ნიგნი „ნეირო-რეკოლუცია“ წელს, ზაფხულში გამოიცა, განცხადა: „ჩვენ ინფორმაციის საზოგადოებაში ვცხოვრობთ. რა იქნება ადამიანური საზოგადოების შემდეგი ფორმა? – ნეირო-საზოგადოება“. მისი თქმით, მომდევნო წლებში მეცნიერები ტვინს უკეთ შეისწავლიან

და გაუმჯობესებული ნეიროგამაძლიერებლებიც გვექნება, რომელთაც ზოგი თერაპიული მიზნებისთვის გამოიყენებს, ზოგი კი მხოლოდ კონკურენციაში უპირატესობის მოსაპოვებლად.

ზაკმა განმარტა, რომ მას არ მოსწონს ტერმინი „გაძლიერება“: „ჩვენ არ ვლაპარაკობთ რაღაც ზეადამიანურ ინტელექტზე. არავინ ამბობს, რომ აბს შეუძლია აინშტაინზე ჭკვიანი გაგხადოს! ... ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ადამიანებს მეტი შესაძლებლობა მივცეთ. თითქმის ყველა ახალ წამალს აქვს უნარი, ადამიანის შრომისუნარიანობა 40-50-დან 80%-მდე გაზარდოს“.

როცა ჩნდება აბი, რომელსაც შეუძლია ძილის უნარდაკარგულ ახალგაზრდებს კონცენტრირებაში დაეხმაროს ან შუახნის ასაკისთვის დამახასიათებელი მეხსიერების პრობლემა („ენის წვერზე“ რომ ადგათ რაღაც და ვერ იხსენებენ) შეამსუბუქოს, ზუსტად მაშინ იწყება ამ ჩვეულებრივი მდგომარეობების სინდრომებად მიჩნევა. მოკ-



ლედ, კასის თქმის არ იყოს, „ნამლები უმჯობესდება და ბაზარიც იზრდება“.

„დაიხ“, ამბობს ზაკი, „ჩვენ ამას ცხოვრების წესის გაუმჯობესების ბაზარს ვეძახით“.

სხვა ჰიპოთეტური სცენარებისგან განსხვავებით, რომლებზეც ბიოეთიკოსები ლელავენ ხოლმე – ადამიანების კლონებასა თუ გენური ინჟინერიის ნაყოფზე – კოგნიტიურმა გამაძლიერებლებმა უკვე სრულ პიკს მიაღწია. და თუმცა „ჭკვიან ნამლებს“ დღეს იმხელა ძალაუფლება არა აქვთ, როგორც ერთ მშვენიერ დღეს ექნებათ, მათ შესახებ უამრავი კითხვა დაისმის. სინამდვილეში, რამდენად შეუძლიათ ნამლებს დახმარების განევა? უფრო მეტად ზიანის და დამოკიდებულების მომტანნი ხომ არ არიან? შემდეგ კი უკვე სხვა კითხვები ჩნდება – რას ვგულისხმობთ „უფრო ჭკვიანში“? შეუძლია ერთი ტიპის გაძლიერებულ აზროვნებას სხვა დანარჩენების დაზარალება? ყველა ეს კითხვა სათანადო მეცნიერულ პასუხებს ითხოვს, მაგრამ დღეისათვის დისკუსია ფარულად მიმდინარეობს იმ ამერიკელებს შორის, რომლებიც ყოველდღე საკუთარ ტვინზე ექსპერიმენტებს ატარებენ.

პოლ ფილიპსი უცნაური კაცი იყო პროფესიონალი პოკერის მოთამაშის კვალობაზე. ის უკვე მილიონერი გახლდათ, როცა 90-იანების ბოლოს ამ ამბებში ჩაება: ტექნიკით გატაცებულმა ოციოდე წლის ბიჭმა პროგრამული უზრუნველყოფის წერა დაიწყო, გასწია დახმარება ინტერნეტ-პორტალის – go2net – დაარსებაში და ზუსტად საჭირო მომენტში ფულიც იშოვა. ის ინტელექტუალი იყო და ხანდახან – საკმაოდ უცერემონიო. მეტსახელად დოტ კომი (Dot Com) დაირქვა. პოკერის საერთაშორისო ჩემპიონატზე – სადაც მამაკაც მოთამაშეებს, როგორც წესი, კომფორტული ტანსაცმელი აცვიათ ან მკაცრად არიან გამოწყობილები – ფილიპსმა ემოციური „ნიუ ვივი“ სტილი დანერგა. ის ვინტაჟ-პერანგებს იცვამდა გიჟური გეომეტრიული ფიგურებით; თმა ერთი კვირა ფორთოხლისფრად ან ვერცხლისფრად ჰქონდა შეღებილი და მეორე კვირას საერთოდ იპარსავდა. და რაც ყველაზე უცნაურია, ფილიპ-

სი თავისუფლად ახსენებდა ნამლებს, რომლებსაც იღებდა – ადერალსა და განსაკუთრებით პროვიგილს, – კარტი უკეთ რომ ვითამაშო.

თამაში პირველად 1995-ში დაიწყო, როცა სან დიეგოში ცინცინატის უნივერსიტეტში სწავლობდა. ფილიპსი იხსენებს: „თამაშში შეგეძლო ბოლომდე ჩართულიყავი და მეორე ტიპზე სიტყვებით მოგეხდინა მანიპულაცია“. ფილიპსმა მალე იგრძნო, რომ პოკერის სტრატეგიულ სვლებში დაოსტატებული იყო. საკვანძო მომენტს ამ სტრატეგიების განხორციელება წარმოადგენდა. ჩემპიონატებზე მას კონცენტრირებულობა უნდა შეენარჩუნებინა 14 საათის განმავლობაში, შეუჩერებლად, ხანდახან რამდენიმე დღეც, მაგრამ მალე მიხვდა, რომ უჭირდა. 2003-ში ექიმმა ყურადღების დეფიციტის ჰიპერაქტიურობის მოშლილობის დიაგნოზი დაუსვა, ფილიპსმა ადერალის სმა დაიწყო. ექვსი თვის განმავლობაში 1.6 მილიონი დოლარი მოიგო პოკერის ჩემპიონატებზე – იმაზე ბევრად მეტი, რაც კი წინა ოთხი წლის მანძილზე ჰქონდა მოგებული. ადერალი მას არამარტო კონცენტრირებაში ეხმარებოდა, არამედ წინააღმდეგობის განევის უნარს ჰმატებდა, რომ მონყენილობისა და გაფანტულობის გამო ხელი არ წაეგო. 2004 წელს ფილიპსმა ექიმს პროვიგილის რეცეპტი სთხოვა. პროვიგილი ადერალის დოზას დაუმატა. დღეში 200-300 მილიგრამ პროვიგილს იღებდა, და გრძნობდა, რომ კიდევ უფრო მშვიდი და ყურადღებიანი ხდებოდა; ამბობს, რომ თავს უფრო დამკვირვებლად გრძნობდა, „ვიდრე მონანილედ – და თანაც საკმაოდ ეფექტურ დამკვირვებლად“. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპსი ნეიროგამაძლიერებლებს ტვინისთვის სტეროიდებზე და მიიჩნევს, პოკერის შეჯიბრებებზე ნამლები ჯერ არავის აუკრძალავს.

გასულ ზაფხულს ფილიპსს ერთ მდიდრულ კურორტზე ვენეიე, ქალაქ ბენდში, ორეგონში, სადაც ის თავის ცოლთან, კატლინთან და ორ ქალიშვილთან – ივისა და რუბისთან ერთად ცხოვრობს. 36 წლის ფილიპსი ოდნავ ამოვარდნილი ჩანდა ქალაქ ბენდის საზოგადოებიდან, სადაც ადამიანები დროის უმეტეს ნაწილს თხილამურე-

ბზე სრიალსა და რაფტინგში ატარებდნენ. მეგობრული, გულწრფელი, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ადგილობრივი მოსახლეობის ატმოსფეროში თავისი აზარტის და გატაცების მოთოკვას ცდილობდა. და მაინც, როცა ფილიპსს პირველად იმიელი გავუგზავნე თხოვნით, უფრო დანერვილებით აეხსნა, როგორ მოქმედებდა მასზე პროვიგილი, მითხრა: „უფრო დანერვილებით: როცა აბს მოიხმარ, უპატარავესი მოლეკულები სისხლის მიმოქცევაში შეინოვება, და საბოლოოდ სისხლთან ერთად ტვინში ხვდება. ის „ვეთვეარის“ [Wetwear – ადამიანის ე.წ. პროგრამული უზრუნველყოფა] მუშაობაზე ძლიერ გავლენას ახდენს.

ფილიპსი თავაზიანი აღმოჩნდა. ბენდის აეროპორტში დამხვდა და მისი შავი BMW კაბრიოლეტით ყავის დასალევად ერთ საკმაოდ ცოცხალ კაფეში, სახელად Thump-ში მივედი. ფილიპსს შორტები და ფლოსტები ეცვა, მის შავ მაისურზე ბუნდოვან პროგრამისტულ ხუმრობას ამოიკითხავდით. „პოკერი ერთ ადგილას ჯდობა და შენს ოპონენტებზე დაკვირვება“, მითხრა მან. პროვიგილით მას სიტუაციის სრულად გაკონტროლება შეეძლო“. ვიცოდი, რომ ნეიროგამაძლიერებლების მიღების შემდეგ ფილიპსმა პოკერში ბევრად მეტ წარმატებას მიაღწია, მაგრამ მაინც ვკითხე, ხომ არ შეიძლება თქვენი წინსვლა პლასტოს ეფექტითა თუ უბრალო დამთხვევით ახსნათ-მეთქი. დაექვდა, მაგრამ ასეთი აზრიც დაუშვა. და თქვა: „რალაც განსაკუთრებულ სიცხადეს მაძლევს პროვიგილი. ადერალის ეფექტს დავახასიათებ, როგორც კორექციას. პროვიგილის დროს უფრო კონცენტრაციის გაძლიერება იგრძნობა“. და მაშინ როცა, ადერალი მას „ნერვიულს“ ხდიდა, პროვიგილი მარტო მის ტვინზე მოქმედებდა. მას ძილის პრობლემაც არ ანუხებდა.

ფილიპსმა თქვა, რომ პროვიგილის ეფექტი დროთა განმავლობაში შესუსტდა. ადამიანის სხეული გასაოცარი მანქანაა, რომელიც ყველაფერს ეგუება, მაგრამ მეტის მიღებას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. რამდენიმე წლის წინ ფილიპსი დაიღალა პოკერისგან და სკრაბლის შეჯიბრებებზე დაიწყო

თამაში. არც ისე ცუდად თამაშობდა. უფროსი იყო ბევრ მოწინააღმდეგესთან შედარებით, თამაშში კი უამრავი დეტალის დამახსოვრება იყო საჭირო, რაც უწინდელივით ადვილად არ გამოსდიოდა. ფილიპსის თქმით, დამახსოვრებაში მას პროვიგილი ეხმარებოდა. „ის უფრო ჭკვიანს ვერ გაგზდის, უბრალოდ, გარკვეული პერიოდით დაგეხმარება შენი შესაძლებლობების უკეთ გამოყენებაში“.

ერთი ჩემი ნაცნობი ჟურნალისტიც, რომელიც წამალს მაშინ სვამს, როცა დედლაინი აქვს და წინასწარ იცის, რომ მთელი ღამის გათენება მოუწევს, დაახლოებით იგივეს ამბობს: წამალი მას ტექსტის სტრუქტურის მოფიქრებაში არ ეხმარება, მხოლოდ საქმის ბოლომდე მიყვანას უადვილებს.

Cephalon-მა, პროვიგილის მწარმოებელმა კომპანიამ, საჯაროდ უარყო აზრი, რომ წამალი შეიძლება „ჭკვიანი აბის“ სახით მოვიხმაროთ. 2007 წელს კომპანიის დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა, ფრანკ ბალდინო უმცროსმა, ჟურნალ Pharmaceutical Executive-ის ჟურნალისტთან განაცხადა: „თუ დადლილი ხარ, პროვიგილს შეუძლია გამოგაფხიზლოს. თუ არ ხარ დადლილი, ვერ იმოქმედებს“. მაგრამ ბალდინო ალბათ უკიდურესად თავმდაბალი იყო. სულ რამდენიმე კვლევა ჩატარდა პროვიგილის გავლენის შესასწავლად ჯანმრთელ, ძილის პრობლემების არმქონე მოხალისეებზე, მაგრამ ამ კვლევების თანახმად, პროვიგილს მართლაც შეუძლია განსაკუთრებული ქცევების პროვოცირება, ყოველ შემთხვევაში – გარკვეული სახის ამოცანებისთვის. 2002 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევარებმა 60 მამრობითი სქესის ახალგაზრდა ჯანმრთელ მოხალისეს ჩაუტარეს სტანდარტული შემეცნებითი ტესტები. ერთ ჯგუფს მიღებული ჰქონდა მოდაფინილი, მეორეს – პლასებო. პირველმა ჯგუფმა რამდენიმე დავალება უკეთ შესარულა. ასეთი იყო „ციფრების დამახსოვრების“ ტესტი, სადაც მონაწილეებს მოეთხოვებოდათ ციფრების ზრდადი მწკრივის გამეორება ჯერ თავიდან ბოლომდე, შემდეგ კი უკუღმა. მათ ასევე უკეთ გაართვეს თავი

განმეორებადი ვიზუალური ნიმუშების გამოცნობას და სივრცითი დაგეგმვის ამოცანას, რომელიც „ლონდონ-თაუერის“ სახელითაა ცნობილი. კვლევის ავტორებმა ჟურნალში Psychopharmacology დაწერეს, რომ შედეგები იმაზე მიუთითებდა, რომ „მოდაფინილს სერიოზული პოტენციალი აქვს, იყოს კოგნიტური გამაძლიერებელი“.

ფილიპსმა მითხრა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სჯერა ნეიროგამაძლიერებლების, მას არ სურს იყოს „ჭკვიანი აბების მომხმარებელი ბიჭის ნიმუში“. რალაც მომენტში, მან თქვა, „სინამდვილეში, ჩვენ არ ვიცით, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ რალაცების გრძელვადიანმა გამოყენებამ“. მას არ უნდა კოგნიტური გამაძლიერებლის ვინმესთან შესაჯობებლად გამოყენება და არც ის იდეა მოსწონს, მშობლებმა თავიანთ შვილებს „ჭკვიანი აბების“ მიღება დააძალონ.

შუადღეს ფილიპსის სახლში მივედი – დიდი სივრცე იყო, ლამაზი და ახალი სახლი ფართო ვერანდით, რომელიც მდინარე დეჩუტს გადაჰყურებდა. შიგნით ხალიჩის იატაკზე სათამაშოები იყო მიმოფანტული. თავის მაღალჭერიან მისალზე ოთახში ფილიპსი საცურაო აუზზე წასულ ცოლსა და შვილებს ელოდებოდა, ოდნავ მოწყენილი ჩანდა. მითხრა, – ახლახან გადავწყვიტე უმაღლეს სასწავლებელს მიემართო კომპიუტერულ პროგრამირებაზე ჩასაბარებლად. ასე თქვა: „გადავიღალე ამდენი თავისუფლებით“ და ცოტა ნოსტალგიასაც კი გრძობდა კოლეჯში სწავლის ბოლო ორი წლისადმი, როცა კომპიუტერული პროგრამირება აღმოაჩინა. „ეს ყველაზე სასიამოვნო, ინტელექტუალური პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში, – თქვა მან. – ჩემი გაბნეული ტვინი კონკრეტული ცოდნის ლოგიკურ ნაგებობად აქცია“. იმ დროისთვის ფილიპსი არავითარ „ჭკვიან აბებს“ არ იღებდა. „ალბათ კოლეჯის ერთი გიჟი დინამო-მანქანა ვიქნებოდი, მაშინ რომ მიმელო, – ამბობს ის, – მაგრამ მაინც – მე უნდა მეპოვნა კომპიუტერები. ეს ქმნიდა ყველაზე მთავარ განსხვავებას – რალაცის პოვნა, რაც არასდროს იყო ჩემთვის საკმარისი“.

პროვიგილს შეუძლია დროებითი უპირატესობა მოუტანოს ჯანმრთელ ადამიანებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წამალს შეუძლია დილის ესპრესო ჩაგინაცვლოთ. ანიან ჩატერჯიმ მითხრა, რომ „უბრალოდ არ არის საკმარისი კვლევები ჩატარებული ამ წამლის ზემოქმედებაზე ნორმალურ ადამიანებში“. მისი თქმით, „მართალია, გარკვეულ სიტუაციებში ამ წამლებს ნამდვილად შეუძლიათ დახმარების გაწევა, მაგრამ ღირს კი?“ როგორც ამას წინათ Nature-ს მისწერა, „ყველაზე გამოცდილ ექიმებსაც კი გამოუწერიათ მედიკამენტები პაციენტებისთვის და, კარგი განზრახვების მიუხედავად, შედეგები ცუდი ყოფილა“. თუ გავითვალისწინებთ, რომ კოგნიტური გამაძლიერებელი არჩევანია და არა აუცილებლობა, ნეიროგამაძლიერებლების ღირებულებითი სარგებელი განსხვავებული უნდა იყოს, ვთქვათ, გულის სამკურნალო წამლებისაგან.

პროვიგილს ჩვევის ჩამოყალიბებაც შეუძლია. Journal of the American Medical Association-ში ბოლო დროს გამოქვეყნებულ კვლევაში, რომელიც „წამალზე დამოკიდებულების ეროვნული ინსტიტუტის“ დირექტორის, ნორა ვოლკოვის ხელმძღვანელობით ჩატარდა, მოახდინეს ათი კაცის ტვინის სკანირება ჯერ – პლასებოს, მერე კი მოდაფინილის მიღების შემდეგ. აღმოჩნდა, რომ მოდაფინილი ტვინში ქიმიური დოპამინის გამოყოფას აძლიერებს. „რამდენადაც წამლებს, რომლებიც ზრდიან დოპამინს, მათზე დამოკიდებულების უნარი აქვთ, – ეწერა ვოლკოვის დასკვნაში, – ეს შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ სათუთი ფსიქიკის პიროვნებებში წამლებისადმი მიჩვევის რისკი აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული“. Erowid-ის ვებ-გვერდზე, სადაც ადამიანები ანონიმურად ლეგალური და არალეგალური წამლების მოხმარების შესახებ საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, მოდაფინილის რამდენიმე მომხმარებელი წამალზე საკუთარ დამოკიდებულებას აღწერდა. ერთმა კაცმა, რომელიც ადრე ბიოქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, განაცხადა, რომ წარმატებით შეეშვა

კოკაინსა და ოპიატებს, მაგრამ მოდაფინილს ვერაფრით ანებებდა თავს. მისი თქმით, როცა კი წამალი უმთავრდებოდა, ჭკუიდან გადადიოდა. ამბობდა, – „მის გარეშე 4-5 დღის მერე ტვინში ბურუსი მიჩნდებოდა“-ო.

შეუძლიათ თანამედროვე წამლებს ტვინში ბურუსის გაქრობა? ცოტა ხნის წინ ამ კითხვით მართა ფარას მივმართე, პენსილვანიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგსა და „კოგნიტიური ნეირომეცნიერებების ცენტრის“ დირექტორს. ერთ შუადღეს ფარას მის კვლევით ცენტრში შევხვდი, რომელიც სრულიად არაფუტურისტული, ვიქტორიანული სტილის სახლში იყო განთავსებული „ვოლნატ სტრიტზე“, ფილადელფიაში. ფარა ენერგიული მოსაუბრე გამოდგა. ქილის ესპრესოთი გამიმასპინძლდა. მიუხედავად იმისა, რომ ნეიროგამაძლიერებლებს თავად არ იღებს, აღმოაჩინა, რომ წამლების მიმართ ინტერესმა განაახლა მისი რომანტიკა არაჩვეულებრივი რამის – კოფეინის – მიმართ.

ფარამ მითხრა: „ეს წამლები წამდვილად დაეხმარება ჯანმრთელ ადამიანებს, ანუ ადამიანებს, ვისაც არც ყურადღების დეფიციტის ჰიპერაქტიური აშლილობის და არც სხვა რაიმე კოგნიტიური დარღვევის დიაგნოზი აქვთ“. თუმცა, ხაზი გაუსვა: „წამლები უფრო იმ ადამიანებს დაეხმარება, ვისი უნარებიც შედარებით დაბალია“. ამ ფენომენის ერთ-ერთი ახსნა შესაძლოა ისაა, რომ რაც უფრო დახელოვნებული ხარ კონკრეტული საქმის კეთებაში, ნაკლებია შანსი, რომ ზოგადად წინ წაიწიო“. ფარას ეჭვი აქვს, რომ სხვა მიზეზიც არსებობს – რიტალინისა და ადერალის ტიპის წამლების მოქმედებით ტვინში დოპამინი მატულობს. მაგრამ დოპამინი მხოლოდ საკმარისი რაოდენობა გჭირდება: ზომაზე ნაკლების შემთხვევაში, შეიძლება არასაკმარისად ფხიზლად გრძნობდე თავს, ხოლო ზომაზე მეტის შემთხვევაში – ზედმეტად ალგზნებული იყო. ნეირომეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ზოგ ადამიანს აქვს გენი, რომელსაც ტვინი დოპამინის სწრაფ დახარჯვამდე მიჰყავს და მხოლოდ მცირე რაოდენობას უტოვებს ტვინს; ასეთი

ადამიანები, ზოგადად, უფრო ცუდად ასრულებენ გარკვეულ შემეცნებით ამოცანებს. ადამიანები, ტვინში მეტი დოპამინით, ზოგადად, უკეთ ასრულებენ ამავე ამოცანებს. ამდენად, გასაგებია, თუ რატომაა შესაძლებელი ხელოვნურმა დამხმარებმა უფრო მეტი სარგებელი იმ ადამიანებს მოუტანონ, ვისი ტვინიც თანდაყოლილად დოპამინის მცირე ოდენობას გამოიმუშავებს.

ცხადია, დასწავლა, მუშა მესხიერება და კოგნიტიური კონტროლი აზროვნების მხოლოდ რამდენიმე ასპექტია. ფარამ თქვა, რომ კვლევები, რომელიც შემეცნების სხვა სახეებს შეისწავლის – მაგალითად, ვერბალურ სისხარტეს – ძალიან ცოტა თუ ჩატარებულა და თანაც საკმაოდ ურთიერთსაპირისპირო შედეგები მოუცია, რომ საკმარისი საფუძველი გვექნდეს ამ საკითხში გასარკვევად. ხოლო ნეიროგამაძლიერებლების გავლენები, მაგალითად, აბსტრაქტულ აზროვნებასა და შემოქმედებითობაზე, თითქმის საერთოდ არაა შესწავლილი. ფარამ თქვა, რომ არსებულ ლიტერატურაში საუბარი უფრო იმაზეა თუ რამდენი ხანი შეგიძლია შეინარჩუნო ყურადღება, მაგალითად, როცა ეკრანს ხარ მიშტერებული და ელოდები, როდის აციმციმდება პატარა შუქი. „ძალიან კარგი იქნებოდა, აზროვნების უფრო მოქნილ ფორმებზე რომ გვექნდეს კვლევები“.

ჩატერჯისაც და ფარასაც აინტერესებთ, ანუ თუ არა შემოქმედებით უნარს ეს წამლები; წამლები, რომლებიც მომხმარებელთა კონცენტრირებულობას ზრდიან. ბოლოს და ბოლოს, ბევრი საუკეთესო იდეა მაშინ მოგვდის თავში, როცა შხაპს ვიღებთ ან ძალს ვასეირნებთ – როცა ჩვენს გონებას ხეტიალის საშუალებას ვაძლევთ, და არა, როცა სამუშაო მაგიდებთან ვართ მიმსხდრები. ჯიმი ჰენდრიქსმა განაცხადა, რომ ქიმიკოსი ფრიდრიხ ავგუსტ კეკულე ამტკიცებდა, რომ ბენზოლის ბირთვის სტრუქტურა მაშინ აღმოაჩინა, როცა სიზმარში გველი ნახა, რომელიც თავის კუდს კბენდა. ფარამ მითხრა: „კოგნიტიურმა ფსიქოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ყურადღების ფოკუსსა და შემოქმედებითობას შორის გარკვეული გა-

ცვლითი კომპრომისი არსებობს. არის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ინდივიდები, ვისაც მხოლოდ ერთ რამეზე შეუძლიათ ფოკუსირება და ყურადღება ადვილად ეფანტებათ, ნაკლებ შემოქმედებითები არიან“.

„სულ მეტი ახალგაზრდა მოიხმარს ამ წამლებს, უკეთ რომ იმუშაონ, – თქვა ფარამ, – მათ აქვთ ლეპტოპები, აიფონები და თავისი ადერალი. ამ მომუშავე და ლიდერების ახალ თაობას აზროვნებისა და მუშაობის შეუმჩნევლად განსხვავებული სტილი აქვთ, იმიტომ, რომ წამლებს მოიხმარენ, ან იმიტომ, რომ აბების მოხმარების შემდეგ ისწავლეს, საქმეს თავი როგორ უნდა გაართვან. ცოტათი ვწუხვარ იმის გამო, რომ ჩვენ თვალწინ ძალიან ფოკუსირებული მომუშავეების თაობა იზრდება“.

ფარა ეთიკურ პრობლემებსაც ითვალისწინებს, რაც „ჭკვიანი აბების“ პოპულარობამ გამოიწვია. ბევრ კოლეჯში სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ნეიროგამაძლიერებლების დანიშნულების გარეშე მოხმარება უსამართლობაა. ვირჯინიის უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთის Cavalier Daily სვეტების ავტორი, გრეგ კრაპანზანო წერდა, რომ ნეიროგამაძლიერებლები „უსამართლო უპირატესობას ანიჭებს მათ, ვინც სტატუსის მოსაპოვებლად კანონს არღვევს. ეს სტუდენტები ქმნიან პროდუქტს, რომელიც აბის მიღებაზეა დამოკიდებული და არა მათ საკუთარ მუშაობის ეთიკაზე“. რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომელიც თავის სტუდენტებს დიპლომების გაცემამდე ჭიქაში მოაშარდინებდა. და მიუხედავად იმისა, რომ სამსაათიანი გამოცდის წინ ნეიროგამაძლიერებლის მიღება წამდვილად უსამართლობაა, წამლის მოხმარების მხილება მაინც უკიდურესი პოზიცია გამოდის.

„ბრიტანული სამედიცინო ასოციაციის“ მიერ გამოქვეყნებული სადისკუსიო მოხსენებაც სვამს ამ საკითხს: „შესაძლებლობათა თანასწორობა ჩვენი განათლების სისტემის უმთავრესი მიზანია, ინდივიდებს სრულად უნდა მიეცეთ შანსი თავისი პოტენციალი სრულად გამოავლინონ და თანატოლებს კონკურენცია თანა-



ბარ პირობებში გაუწიონ. ნეიროგამაძლიერებლების შერჩევით მოხმარებას დაბალი ინტელექტუალური უნარების მქონე პირების მიერ შეუძლია განათლების ხარისხის გაზრდა ამ ჯგუფებში“. ეს იდეა, ერთი შეხედვით, ძალიან უსიამოვნოდ უღერს, თუმცა მაინც შეიძლება მისი მოხდენილად ჩასმა სცენარში, სადაც მხოლოდ შეძლებული ბავშვები იღებენ ხშირ მენტალურ დახმარებას.

ფარა ერთ-ერთი იმ მკვლევართაგანი იყო, ვისი ავტორობითაც Nature-ში სტატია გამოქვეყნდა: „ჯანმრთელთა მიერ კოგნიტური გამაძლიერებელი ნამღებების შეგნებული მოხმარებისკენ“. სტატია ოპტიმისტური ტონით გვაუწყებს, რომ ზოგი ბიოეთიკოსი მიესალმება ნეიროგამაძლიერებლების მოხმარებას. „კოგნიტური გამაძლიერებლების გამოყენება კარგადაც შეიძლება და ცუდადაც, ისე, როგორც ეს ყველა ახალ ტექნოლოგიას ახასიათებს“, – წერია სტატიაში. „ჩვენ უნდა მივესალმოთ ტვინის ფუნქციის გაუმჯობესების ახალ მეთოდებს. სამყაროში, სადაც ადამიანის სამუშაოს მოცულობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება, შემეცნების გამაძლიერებელი საშუალებები – მათ შორის ფარმაკოლოგიური – სიცოცხლის ხარისხისა და ვრცელი სამუშაო დღის ნაყოფიერების გაუმჯობესებისა და, ასევე, ასაკთან დაკავშირებული ნორმალური თუ პათოლოგიური პრობლემების თავიდან აცილებისთვის სულ უფრო სასარგებლო გახდება. უსაფრთხო და ეფექტური კოგნიტური გამაძლიერებელი სარგებელს მოუტანს როგორც პიროვნებას, ისე მთელ საზოგადოებას“.

და მაინც – ენთუზიასტების თვალთახედვა ნეიროგამაძლიერებულ მომავალზე ცოტა შემამინებლად უღერს.

ზაკ ლინჩმა NeuroInsights-იდან „ჭკვიანი აბების“ მოვლენა სხვა კუთხით დამანახა და ცოტა შემამინა კიდევ. „დღეს თუ 55 წლის ბოსტონელი ხარ, გინევს 26 წლის მუშაობიდან ჩამოსულ ადამიანთან შეჯიბრი, ამ სახის წნეხები კი ახლა სულ უფრო მოიმატებს“, – მითხრა ლინჩმა. ამერიკისნაირი ქვეყნები უფრო ნამგებიან პო-

ზიციაში არიან თავისი რეგულაციების გამო და გადავზობენ ახალი კოგნიტური გამაძლიერებლების შემოღებას. „და თუ ხარ კომპანიაში, რომელსაც მსოფლიოში 47 ოფისი აქვს და მოულოდნელად, სინგაპურის ოფისში კოგნიტური გამაძლიერებლების მიღებას იწყებენ, კონგრესს ეუბნები, – „მთელი ჩემი ფინანსური ოპერაციები სინგაპურში და ტივანში გადამაქვს, რადგან იქ ლეგალურია მათი მოხმარება“. ეჭვიც არ გეპარება, რომ კონგრესი გეტყვის – „არ არის პრობლემა“. ასე რომ არა, საკამათო გახდებოდა, მაგალითად, მობილური ტელეფონის გამოყენება. აბსურდი იქნებოდა ვინმეს რომ ეთქვა, – „არა, არ უნდა იხმარო მობილური ტელეფონი, შეიძლება პროდუქტიულობა გაგეზარდოს!“

და თუ, ბოლოს და ბოლოს, გადავწყვეტთ, რომ ნეიროგამაძლიერებლები სასიკეთოდ მოქმედებენ და მთლიანობაში მაინც უსაფრთხოა, საინტერესოა მათ მოხმარებას ერთ დღესაც ცხოვრების წესად თუ გავიხდით? კანონმდებლებმა შეიძლება დააძალონ კიდევ მათი მიღება მომუშავეებს – სასწრაფო დახმარების ექიმებს, საჭაერო მოძრაობის კონტროლიორებს; ხოლო დანარჩენებისთვის უფრო შეუმჩნეველად ჩაივლის ეს წნეხი – აი, ის უხერხული განცდა მექნება, რომელიც მაშინ მიჩნდება, როცა მახსენდება, როგორ იღებს პროვიგილს ჩემი ახალგაზრდა კოლეგა, დედლიანს რომ მიუსწროს. ამ ყველაფერს კი ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ მივყავართ, სადაც, არა ვარ დარწმუნებული, რომ მინდა ცხოვრება; საზოგადოება, სადაც კიდევ უფრო მეტად გიჟურად მუშაობენ და ტექნოლოგიებზე არიან დამოკიდებულნი, ვიდრე დღეს ვართ, და რომელთან ტემპის ასაწყობადაც წამლები უნდა მივიღოთ; საზოგადოება, სადაც ბავშვებს, ჩვეულებრივ ვიტამინებთან ერთად, აკადემიურ სტეროიდებს ვასმევთ.

პოლ მაკჰიუმ, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ფსიქიატრმა, სკეპტიკურად დანერა კოსმეტიკური ნევროლოგიის შესახებ. 2004 წლის ესეში აღნიშნავს, რომ, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ საქმე აქვს ახალგაზრდა

პიროვნებასთან, ბიჭთან, როგორც წესი, რომლის მშობლები ლელავენ, რომ მათი შვილი უფრო წარმატებული შეიძლება ყოფილიყო სკოლაში და სურთ მედიკამენტი, რომელიც ამის საშუალებას მისცემთ. უმეტეს შემთხვევებში, „სიმართლე ისაა, რომ ბიჭს არ აქვს მისი მშობლებისნაირი უმაღლესი I.Q.“, თუმცა ბიჭს, შესაძლოა, სხვა კარგი თვისებები ჰქონდეს, რაც არ აქვთ მის მშობლებს – ის შეიძლება იყოს „სიმპათიური, მომხიბლავი, ათლეთური, ახოვანი“. მაკჰიუ თავის სამსახურებრივ მოვალეობას უკვე იმაში ხედავს, რომ შეეცადოს, მშობლებს „დაავიწყებინოს შვილის საკუთარ მიზნებზე მორგება მედიკამენტისა თუ სხვა რამის საშუალებით. მგონი, არაა სწორი ადამიანების სამყაროსთვის მორგებას შეეცადო, ამას ჯობს, ეცადო, სამყარო აქციო უკეთეს ადგილად ადამიანებისთვის. და თუ იმაზეა ლაპარაკი, რომ ჰარვარდი ერთადერთი კოლეჯია, სადაც შენმა შვილმა უნდა ისწავლოს, მაშინ, ჩემი აზრით, სწორედ ამას სჭირდება გამოსწორება“.

თუკი ჰარვარდის მოსწავლე, ალექსი და პოკერის მოთამაშე, პოლ ფილიპსი, ნეიროგამაძლიერებლების მოხმარებას პირად საქმედ მიიჩნევენ, ნიკოლას სელცერი თვლის, რომ მისი ჩვევა უფრო ფართო ფენომენის ნაწილია, რომლის მიზანია კაცობრიობის კეთილდღეობა. სელცერი ბაკალავრია დევისის კალიფორნიის უნივერსიტეტიდან და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრი თავდაცვის საკითხებში. მაგრამ ამ დიპლომებით მოპოვებულმა სამსახურმა (ის მკვლევარია ჩრდილო ვირჯინიის თავდაცვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციაში) ვერ შეძლო მისი უზრუნველყოფა სასურველი ინტელექტუალური სიფხიზლით. კომპენსირება რომ მოახდინოს, თავისუფალ დროს სტატიებს წერს ისეთ საკითხებზე, როგორცაა „ადამიანის ბიოლოგიური ორიენტაცია და ომის წარმართვის წესები“. ტვინს ხელოვნურ გამოწვევებსაც უწყობს; როცა კი ოფისში თავისუფალი დრო გამოუჩნდება, შანსს არ უშვებს ხელიდან და მობილურ ტელეფონზე მეხსიერების და ლოგიკის თამაშებს თამაშობს. 30 წლის სელცერის თქმით, ის ნუხს, რომ „არ

აქვს ის მენტალური ენერჯია, სიმტკიცე – ზუსტად არ ვიცი, რა დავარქვა ამას – შენთვის უნარი, რაც, როგორც მახსოვს, მქონდა ადრე“.

მსგავსს ვერაფერს შეამჩნევთ სელ-ცერს საუბრისას. და, მართალია, ჩვენი მესხიერება პიკში 20-25 წლის ასაკშია, ზოგი 30 წლის ასაკში უკვე აცნობიერებს დეფიციტს. მისი მეგობარი გოგონა – ტექნოლოგიის კონსულტანტი, რომელიც სელცერმა მუზეუმში გაიცილა – მასზე 9 წლით უმცროსია და სელცერი უკვე ფიქრობს, როგორ გამოჩნდება გოგონას მენტალური უნარების გვერდით მისი. „ის 21 წლისაა და მინდა, ახალგაზრდობა და მხნეობა შევიწარმინო, რომ ტვირთად არ დავაწვე ცხოვრებაში“. ის ასაკის ხილულ ნიშნებზე არ წერვიულობს, მაგრამ უნდა, რომ შეინარჩუნოს გონების „სისხარტე და სიჯანსაღე, რაც შეიძლება დიდხანს“.

სელცერი თავს „ტრანსჰუმანისტად“ მიიჩნევს – ოქსფორდის ფილოსოფოსის, ნიკ ბოსტრომისა და ფუტურისტი მწერლისა და გამომგონებლის, რეი კურცვეილის მიმდევრად. ტრანსჰუმანისტები რობოტებითა და კრიოგენიკით და მართლა ძალიან, ძალიან ხანგრძლივი სიცოცხლით არიან დაინტერესებულნი; ბიოლოგიურ შეზღუდვებს ისინი მარტივ დაბრკოლებებად განიხილავენ, რომლებიც, მათი აზრით, აგრესიულად უნდა გადაილახოს. Immlnst – ფორუმებზე – Immlnst ნიშნავს Immorality Institute-ს („ამორალურობის ინსტიტუტს“) – სელცერი და სხვა წევრები სიცოცხლის ხანგრძლივობის სტრატეგიებსა და კოგნიტიური გამაძლიერებლების პოტენციურ სარგებლებზე მსჯელობენ. ფორუმის ზოგი წევრი მხოლოდ ვიტამინებითა და მინერალური დანამატებით იფარგლება; სხვები ადერალს ან მოდაფინილს მოიხმარენ, ან სელცერის მსგავსად, წამალს, რომელსაც პირასეტამი ჰქვია და ბაზარზე პირველად 1972 წელს გამოვიდა ბელგიური ფარმაცევტული კომპანიის დამსახურებით, ამ უკანასკნელ წლებში კი სამკურნალო დანამატებით მოვაჭრეებმა ამერიკაშიც გახადეს მისაწვდომი. მართალია, პირასეტამი „საკვებისა და წამლის ადმინისტრაციის მიერ“ არაა დაშვებული არანაირი მოხმარების მიზნით, ეს წამალი

ექსპერიმენტის სახით დამბლის მქონე პაციენტებზე გამოიყენეს, თუმცა მცირე ეფექტი აჩვენა; ასევე პაციენტებზე, რომელთაც იშვიათი ნევროლოგიური დარღვევა, პროგრესირებადი მიოკლონური ეპილეფსია აქვთ; ამ შემთხვევაში წამალი, კუნთური სპაზმების შემსუბუქების თვალსაზრისით, სასარგებლო გამოდგა. ვირტუალურად არ არსებობს მონაცემები, თუ რა სარგებელი მოაქვს პირასეტამს ჯანმრთელი ადამიანებისთვის, მაგრამ ბევრ მოხმარებელს სჯერა, რომ წამალი აძლიერებს ტვინში სისხლის მიმოქცევას.

სელცერი კოგნიტიური გამაძლიერებლების გამოყენებას არ ეწინააღმდეგება, მეტიც, წამლები მას ესთეტიკურ დონეზეც მოსწონდა. მისი სიტყვებით, ნეიროგამაძლიერებლების მოხმარება „გილაგებს ტვინს“. სელცერი ამბობს, რომ ზოგისთვის ხასიათის ამაღლება მნიშვნელოვანი, ამიტომაც იღებენ ანტიდეპრესანტებს; მაგრამ მისნაირებისთვის უფრო მნიშვნელოვანია „მენტალური ძალა“. ასე რომ, თუკი 90-იანები „ტექნოლოგიების პერსონალიზაციის“ ხანა იყო, ეს ათწლეული ტვინის პერსონალიზაციის ეპოქაა, რასაც ზოგი ენთუზიასტი უკვე „გონების ჰაკერობასაც“ უწოდებს.

რასაკვირველია, იდეა, რომელიც გონების ჰაკერობას უდევს საფუძვლად, არ არის ახალი. ტვინის სასიცოცხლო ენერჯიის გამყარებას სხვადასხვა სახის წამლებით დიდი ხნის ისტორია აქვს. სერ ფრანსის ბეიკონი თამბაქოდან დაწყებული ზაფრანითი დამთავრებული, ყველაფერს მოიხმარდა იმ იმედით, რომ ტვინს სანვავით მოამარაგებდა. გავრცელებული მოსაზრებით, ბალზაკი წერის 16-საათიან შეტევებს ყავის უზომო რაოდენობით ასაზრდოვებდა, რაზეც ის წერდა, რომ „აფრთხობს ძილს და გვაძლევს უნარს, უფრო მეტ ხანს ვიყოთ დაკავებულნი აზროვნების ვარჯიშებით“. სარტრი სტიმულატორებს იღებდა, „დიალექტიური მსჯელობის კრიტიკა“ რომ დაესრულებინა. მე და ჩემი კოლეჯის მეგობრები სემესტრულ მოხსენებებს კოფეინის შემცველი (NoDoz) ტაბლეტების ზემოქმედების ქვეშ ვწვრდით ოფლიანი ხელებით. და ვიდრე მო-

წევას აკრძალავდნენ, მთელი ოფისური კულტურა ნიკოტინის ბულიან ორომტრიალში იყო გახვეული.

როგორც იქნა, შევხვდი სელცერსაც, პენტაგონთან ახლოს მდებარე დიდი ანდერგრაუნდული კაფეების ქსელში. მკრთალი შუქით განათებულ Formica-ს მაგიდასთან დავსხვდით. სელცერი სუსტი აღნაგობისა იყო, გადაპარსული თავით და მეტალის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა; დახვეწილი გარეგნობის შესაბამისადვე საუბრობდა – ზედმინევენით სწორად, იშვიათად თუ ნაიბორძიკებდა. ვკითხე, ეთიკური თვალსაზრისით, რა აზრის იყო „ჭკვიან აბებზე“. პაუზის შემდეგ მითხრა, რომ შენუბდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ერთ-ორ ნეიროგამაძლიერებელს გადაყლაპავდა სალიცენზიო გამოცდაზე გასვლის წინ და შედეგად, ვთქვათ, ტვინის ქირურგის ლიცენზიას მიიღებდა, მერე კი შეწყვეტდა წამლის მიღებას. ამის გარდა, სხვა პრობლემას ვერ ხედავდა. სელცერმა თქვა, რომ მტკიცედ სჯეროდა მოსაზრების, რომლის მიხედვითაც, „ჩვენ თავისუფლების სამართლიანი ხარისხი უნდა გვექონდეს და საკუთარ სხეულსა და სულს ისე უნდა მოვექცეთ, როგორც გვინდა, ისე, რომ ამით სხვების უფლებებს, თავისუფლებასა და უსაფრთხოებას არაფერი ვავნოთ“. ის სვამს კითხვას: „რაში უნდა გჭირდებოდეს ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების წინსვლის შეზღუდვა? და თუ ნაციონალისტური თვალსაზრისი გაქვს, რატომ არ უნდა გინდოდეს, რომ ჩვენს ქვეყანას უპირატესობა ჰქონდეს სხვა ქვეყნებთან, კერძოდ კი უპირატესობა იმამი, რასაც ზოგი ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიას უწოდებს?“ მან განაგრძო: „დაფიქრდით იმ ინტელექტუალური ამოცანების კომპლექსურობაზე, რასაც დღეს ადამიანებმა უნდა გაართვან თავი. იმის გაგება, რასაც კონგრესი აკეთებს, არაა ადვილი რამ! სამეცნიერო, ტექნიკური და სოციალური საკითხების დიაპაზონის კომპლექსურობის გაგება რთულია. რაიმე იარაღი რომ გვექონდეს, რაც უფრო მეტ ადამიანს მისცემდა სამყაროს არსის ჩანვდომის საშუალებას, უფრო ფილოსოფიურ დონეზე განვანყობდით თავს ამ შეხედულების წინააღმდეგ, მხოლოდ

იმით, რომ არ მოგვწონს, ათლები ამას რომ აკეთებენ? ჩემთვის, ეს არაა იგივე საკითხი და კონკრეტულ განსჯას საჭიროებს“.

სელცერს არასდროს ჰქონია დასწავლასთან დაკავშირებული რაიმე სახის აშლილობის დიაგნოზი. მაგრამ მან დაამატა, – „მართალია, ვერ ვიტყვი, რომ დისლექსიური ვარ, მაგრამ ხანდახან, როცა პროზაულ ტექსტს ვბეჭდავ და მერე გადავავლებ თვალს და ვკითხულობ, აღმოჩნდება, რომ სიტყვები მაქვს გამოტოვებული ან პირიქით – დამატებული, და პერიოდულად კონცენტრირებაც მიჭირს“. დამამთავრებელ კლასებში, მას ექიმმა ადერალის რეცეპტი გამოუწერა, ისე, რომ ბევრი კითხვა არ დაუსვამს. ნამალი განსაკუთრებით მამინ დაეხმარა, როცა ნაკლებად ამბიციური იყო. ის იხსენებს: „ერთი მოხსენება გავაკეთე, ატომურ სტრატეგიაზე. მასწავლებელს მინცდამინც არ მოსწონდა შემოქმედებითი აზროვნების არავითარი გამოვლინება“. ადერალის ქვეშ მან ერთ საღამომო გაართვა თავი მოხსენებას. „უბრალოდ, ენაზე ვიკბინე, ამოვაფრქვიე და საკმაოდ კარგი ნიშანიც მივიღე“.

მეორე მხრივ, სელცერს ახსენდება, როგორ მიიღო პირასეტამი, ესეი რომ დაენერა – „ჩინურ პოლიტიკურ დისკურსში ჰარმონიის, როგორც ტროფის იდეის“ შესახებ. ეს ერთ-ერთი იმ მოხსენებათაგანია, რომლითაც ის დღესაც ამყობს. მან მითხრა: „მივხვდი, რომ პირასეტამი აბსტრაქციის სამყაროში მუშაობასა და საჭირო ასოციაციების შექმნაში დამეხმარა – გავყვევი ჰარმონიის ამ იდეას: როგორ გადაიქცა ის საუკუნეების მანძილზე რელიგიური რწმენიდან ძალიან მნიშვნელოვან საკითხად პოლიტიკურ დისკურსში“.

რამდენიმეწლიანი ჩავარდნის შემდეგ სელცერმა ამას წინათ კვლავ დაიწყო ნეიროგამაძლიერებლების მიღება. პირასეტამთან ერთად ის იღებდა სამკურნალო დანამატების მთელ დასტას, რაც, მისი აზრით, ტვინის უკეთ ფუნქციონირებაში ეხმარებოდა: იღებდა თევზის ქონს, ხუთ ანტიოქსიდანტს, პროდუქციას, რომელსაც

„შოკო-გონება“ (ChocoMind) ჰქვია და კიდევ რამდენიმე სხვა დანამატს, რომლებიც ჯანმრთელი კვების მაღალი დონეზე იყიდება. ის მოდაფინილის დამატებაზეც ფიქრობდა, მაგრამ ჯერ არ ჰქონდა გასინჯული. ყოველ დღეს, საუზმეზე ამზადებდა შერეულ, კენკრის, სოიოს, ბრონეულის წვენი, სელის თესლების, ნუშის, უმი კვერცხისა და პროტეინის ფეკილის ფაფას.

უამრავი ადამიანი იღებს ამ ნამლებს და მომხმარებელი უმეტესად განათლებული და პრივილეგირებული ხალხია, ვინც საქმეს სიფრთხილით ეკიდება, რომ უსიამოვნება აიცილოს. გარდა ამისა, ანიან ჩატერჯი მართალია, როცა ამბობს, რომ ეს ყველაფერი პლასტიკური ქირურგიის მშვენიერი ანალოგია. ჩვენს სამომხმარებლო საზოგადოებაში, ნეიროგამაძლიერებლების რისკებსა და სარგებლებზე ადეკვატურად ინფორმირებულ ადამიანებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, როგორ შეცვალონ საკუთარი გონება, ზუსტად ისე, როგორც საკუთარი სხეულის ცვლილებების შესახებ იღებენ გადაწყვეტილებებს.

და მინც – თუ გააცნობიერებ, რომ კონსტიტუციური ნეუროლოგია გვერდიდან არ მოგვმორდება, რაღაც გულის დამამძიმებელს იგრძნობ ნამლების მოხმარებასთან მიმართებაში – ისინი ან ბადებენ გონების ახალ ძალებს, ან – არა. ჯონათან ეიზენი, დევისის კოლუმბიის უნივერსიტეტის ევოლუციური ბიოლოგი, სკეპტიკურია და ხუმრობით ამ ყველაფერს „ტვინის დოპინგს“ უწოდებს. ამას წინათ, მან საუბარში კოლეგები ახსენა, რომლებიც ნეიროგამაძლიერებლებს იმ მიზნით იღებენ, რომ შემოთავაზებულ გრანტებზე გულმოდგინედ იმუშაონ. „უცნაურია ჩემთვის, რომ ადამიანები ამ ნამლებს გრანტების დასაწერად სვამენ, – მითხრა მან, – იმას ვგულისხმობ, რომ რამე მართლა საინტერესო ნაშრომი რომ დაგენერა, რომელიღაც წამლით, ვთქვათ, ჯადოსნური სოკოებით შთაგონებულს, მაშინ ჩემთვის უფრო გასაგები იქნებოდა. საბოლოო ჯამში, კარგი მართო იმ იდეების გამო ხარ, რომლებსაც აღმოაჩენ“.

მაგრამ ჩვენ აღარ ვართ 60-იანი წლების აზროვნების გაფურჩქვნის ხანაში.

როგორც ჩანს, ყველა ეპოქას მისთვის დამახასიათებელი წამალი აქვს. ნეიროგამაძლიერებლები მშვენივრადაა მორგებული დაბნეული ეკონომიკის თეთრსაყელოიან მშფოთვარე შეჯიბრთან. და ეს ნამლები თანაცხოვრობენ ჩვენს მზარდ ციფრულ ტექნოლოგიებთან: რაც მეტი მონყობილობა გვაქვს, მით უფრო დაბნეულები ვხდებით და უფრო მეტად გვჭირდება დახმარება, ფოკუსირება რომ შევძლოთ. გამოცდილება, რასაც ნეიროგამაძლიერებლები გვთავაზობენ, უმეტესწილად არ ხსნის ალქმის კარიბჭეებს და არც ადამიანის პიროვნების საზღვრებს აფართოებს, არც გენიოსობის ტალღას განგვაძევიანებს. ისინი უბრალოდ რამდენიმე დამატებით საათს გვჩუქნიან, რომ დავასრულოთ გაყიდვების ანგარიში იმ დროს, როცა უკვე ლოგინში ვიწვებოდით ქანცგანყვეტილები; საბოლოო გამოცდაზე გვაძლევს B შეფასებას, მაშინ როცა შეიძლება B მინუსით მიგველო იმ საგნის ლექციაზე, სადაც ნახევარ დროზე მეტს მესიჯების მიმონერაში ვატარებდით; გვაზეპირებინებს „კურსდამთავრებულის ოქმის გამოცდას“ (G.R.E.) გვიან ღამით, რადგანაც ინფორმაციულ-ინდუსტრიული სამსახური, რომელიც კოლეჯის მერე ვიშოვეთ, მომაკვდინებელი აღმოჩნდა. ნეიროგამაძლიერებლები არ გვთავაზობენ თავისუფლებას. ამის ნაცვლად, ისინი აადვილებენ პროდუქტიულობის შევინრობებულ, არარომანტიკულ, ერთფეროვან ეფექტურობას.

ამ ზამთარს კვლავ გავესაუბრე ალექსს, ჰარვარდის კურსდამთავრებულს და აღმოვაჩინე, რომ რამდენიმე თვისი პაუზის შემდეგ ისევ დაუბრუნდა ადერალს – პატარა დოზას ყოველდღე. გრძნობს, რომ ახლა წამლის უფრო „დისციპლინირებული“ მიღება ისწავლა. ახლა, მისი თქმით, წამალს ნაკლებად იღებს სიფხიზლის გვიან ღამემდე შესანარჩუნებლად და მანამდე გასაკეთებელი სამუშაოს ბოლომდე მისაყვანად, ახლა უფრო მაშინ იღებს, როცა უნდა, რომ სამუშაოზე ფოკუსირებული იყოს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ ხანს მუშაობის სურვილს უჩენს. და რა უნდა ჰქონდეს დაძლიერებულს ამის სანინაღმდეგო?





„ღიას – აზნისტიას, არა – აზნეზიას“

<<< ღასანჟისი ზვ. 62

დეკომუნიზაცია პირველად სწორედ ჩეხოსლოვაკეთში გატარდა და ჩეხური მოდელი ცნობილია, როგორც ყველაზე მკაცრი სხვა ქვეყნებთან შედარებით. „დაცული თანამდებობების“ (ის თანამდებობები, რომლებზეც შეზღუდვა ვრცელდება) და „ექვექვემ დაყენებული“ თანამდებობების (ის პოსტები, რომლებიც ექვემდებარება ლუსტრაციას) სია ვრცელი და მრავლის მომცველია. ჩეხური კანონი სწორედ რომ დეკომუნიზაციის კანონია, ვინაიდან, სსრკ-ს უშიშროებასთან კოლაბორაციონიზმის გამოვლენის გარდა, სახელმწიფო თანამდებობებზე კომუნისტური პარტიის ფუნქციონერების დანიშვნის აკრძალვას გულისხმობს. ყოველი პირი, რომელიც დაცულ თანამდებობაზე დასანიშნად განიხილება, ვალდებულია, წარადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილი კომისიიდან ინფორმაცია წარსულში საბჭოთა უშიშროებასთან თანამშრომლობის შესახებ. სამინისტროს მიერ მიწოდებული ცნობის გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში.

უნგრეთში ლუსტრაციის კანონი ხუთწლიანი მწვავე კამათის შემდეგ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ 1990 წელს არჩევნებში ოპოზიციის გა-

მარჯვების შემდეგ მყისვე გამოჩნდა სხვადასხვა პროექტი საბჭოთა მემკვიდრეობასთან გასამკლავებლად. კანონის მოქმედების სფერო საკმაოდ შეზღუდულია, ვინაიდან თანამდებობის დაკავება შეზღუდულია მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც „ხელმოწერილი ოფიციალური შეთანხმება ჰქონდათ და წერდნენ ანგარიშებს, ანდა იღებდნენ გასამრჯელოს ინფორმაციისათვის“ და მუშაობდნენ საბჭოთა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ლუსტრაციის პროცესს სათავეში უდგას სამი კომისია, რომელიც პარლამენტის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის მიერ დანიშნული მოსამართლეებისაგან შედგება. სახელმწიფო მოხელეთა გარდა, ლუსტრაცია გავლილი უნდა ჰქონდეთ ჟურნალისტებსაც, რომლებიც პოლიტიკურ თემებზე წერენ. კანონის მოქმედება განსაზღვრული იყო 2000 წლამდე და 2004 წლამდე გაგრძელდა.

მოდელებს შორის განსხვავებები სხვადასხვანაირად არის ახსნილი. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ლუსტრაციის კანონის კონსტიტუციურობის განხილვისას უარყო კომუნისტური რეჟიმის მიერ გამოცემული „უსამართლო კანონები“ და ყურადღება გაამახვილა „წარსულთან კავშირის შეწყვეტაზე“. უნგრე-

თის საკონსტიტუციო სასამართლომ კი არ დაუშვა კანონის უკუქცევით გავრცელება თუნდაც კომუნისტური სახელმწიფოს მიერ ჩადენილი მკვლევლობების დასჯისას, ყურადღება გაამახვილა „სამართლებრივ განგრძობადობასა“ და კანონის უზენაესობის დამკვიდრებისათვის „კანონის განჭვრეტის“ აუცილებლობაზე.

სოციოლოგების ერთი ჯგუფის კვლევის მიხედვით, მოდელის სიმკაცრე-სიბილვე დამოკიდებულია საბჭოთა ძალების წინააღმდეგ მოძრაობის მასშტაბურობაზე. იმ ქვეყნებში (უნგრეთი და პოლონეთი), სადაც ეს მოძრაობა უფრო ფართო იყო და მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს მოიცავდა, აღარ გახდა საჭირო უფრო მკაცრი ზომების მიღება ახალი ხელისუფლებისათვის ლეგიტიმურობის მისანიჭებლად; და პირიქით, ვინაიდან ჩეხოსლოვაკეთში ეს წინააღმდეგობა შედარებით სუსტი იყო, საბჭოთა წარსულთან კავშირის განწყვეტა მხოლოდ მკაცრი ზომებით გახდა შესაძლებელი.

რა ადგილი უკავია ამ მხრივ საქართველოს და ქართული წინააღმდეგობის მოძრაობას? ყველას გვახსოვს რამდენიმე დღისდენტის სახელი და გვარი. თუმცა ასეთ საკითხზე სერიოზული მსჯელობისთვის მხოლოდ მათი ხსენება არ კმარა.

ან კიდევ, ჩეხეთის და უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული მიდგომის მსგავსად, სად ვლინდება საქართველოში ერთიანი და სისტემური მიდგომა საბჭოთა წარსულთან?

ხელისუფლების აღსრულებაში თითქმის ყოველდღიურად ვხვდებით საბჭოთა მმართველობის გადმონაშთებს: ხელისუფლების ინდოქტრინაციის კერებად შექმნილი „პატრიოტთა“ ბანაკების, გაერთიანებული და უკონტროლო უშიშროების და პოლიციის სტრუქტურების, სახელმწიფო სტრუქტურებში კრიტიკიკების და გამჭვირვალობის ნაკლებობის და უმაღლეს სახელმწიფო დონეზე ჯილდოების და პრემიების დაწესების, თუ საზოგადოებისგან დახურული სასამართლო სხდომების სახით.

**ბაბრქელა**

ლუსტრაციის წარმატებით დანერგვისთვის აუცილებელია ზემოხსენებული ყველა ამ საკითხის სერიოზული მეცნიერული კვლევა და ამ კვლევის განხილვის შედეგად შესაბამის მოდელზე შეჯერება. კანონპროექტის განმარტებითი ბარათი ხომ საერთოდ არავითარ ანალიზს, კვლევას, დასაბუთებას არ გვთავაზობს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომმა მიანიცდამინიც ჩეხური და ლიტვური მოდელი საქართველოსთვის არჩეული. ასეთი ანალიზი და კვლევა აუცილებელია, იმიტომ რომ თუ ქართულ სოციალურ რეალობას, წარსულს და კულტურას მორგებული არ იქნება ესა თუ ის მოდელი, ის არ იმუშავებს ან იმუშავებს მახინჯი ფორმით. საქართველოს მოსახლეობის საბჭოთა წარსულთან დამოკიდებულების სიღრმისეული გამოკვლევა და ამ საკითხზე მსჯელობა აუცილებელია იმისათვის, რომ ლუსტრაციის კანონპროექტი იმ ფართო სისტემური ზომების ნაწილი იყოს, რაც ლუსტრაციის კანონთან ერთად საბჭოთა წარსულისგან გასათავისუფლებლად უნდა გატარდეს.

ასეთი სისტემური, გააზრებული, საჯარო მსჯელობის შედეგად საბჭოთა წარსულის მიმართ საზოგადოებისთვის მისაღები დამოკიდებულების ჩამოყალიბება განასხვავებს სწორედ აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში ლუსტრაციისათვის მიღებულ ზომებს რევოლუციური „წმენდებისაგან“, როდესაც ახალი ელიტები ცდილობენ, სხვადასხვა რეპრესიული მექანიზმებით და ნიშნით ძველი თაობის ელიტებისგან გათავისუფლებას.

**ბ) მიწანმფრონილია თუ არა ლუსტრაციის დღეს?**

ვინაიდან ლუსტრაცია ტოტალიტარულ წარსულთან გამკლავების აბრუბირებული და აღიარებული მექანიზმია, თუმცა – არცთუ აუცილებელი და განუყოფელი დემოკრატიული განვითარებისთვის, როგორც ეს ესპანეთისა და ტაივანის მაგალითიდან ჩანს, პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: რამდენად მიზანშეწონილია მისი განხორციელება სწორედ დღეს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, აუცილებელია ეს ინსტიტუტიც გავაცნობიეროთ დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში, ვინაიდან, როგორც ზემოთ ჩანს და ამ თემაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურაც ადასტურებს, ასეთი გარდამავალი მექანიზმების შემოღება ხდება იმ მთავრობების მიერ, რომლებიც ესწრაფვიან ავტორიტარული წარსულისგან თავის დახსნას, და თუმცა ჯერ არ არიან ჩამოყალიბებული დემოკრატიები (ეს ცვლილებები ხომ სწორედ ამისათვის ტარდება), მათ დემოკრატიული მისწრაფებები ახასიათებთ, რაც რეფორმების კომპლექსურ სურათში აისახება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საქართველო არათუ დემოკრატიული განვითარების ეტაპზე არ იმყოფება, პირიქით, ქვეყანაში უკუტენდენცია შეინიშნება – ავტორიტარული მმართველობის გამტკიცება.

Freedom House ყოველწლიურად ახდენს გარდამავალ ქვეყნებში დემოკრატიის დონის გამოკვლევას და შესაბამისი დასკვნით ანგარიშებს აქვეყნებს. საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობის შესწავლა ამ ორგანიზაციამ 1999-2000 წლიდან დაიწყო. ვითარების შეფასებისას გამოიყენება 1-დან 7-მდე სკალა, სადაც 1 დემოკრატიის საუკეთესო მდგომარეობაა, ხოლო 7 ყველაზე უარესი. დემოკრატიის ზოგადი მდგომარეობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ისეთი კატეგორიები, როგორცაა: 1) საარჩევნო პროცესი, 2) სამოქალაქო საზოგადოება, 3) დამოუკიდებელი მედია, 4) დემოკრატიული მმართველობა ნაციონალურ დონეზე, 5) დემოკრატიული მმართველობა ადგილობრივ დონეზე, 6) სასამართლოს დამოუკიდებლობა. 7) კორუფცია.

საქართველოში დემოკრატიის განვითარების დინამიკა ბოლო 10 წლის განმავლობაში ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი).

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, დემოკრატიულობის პიკი საქართველოში 1999-2000 წლებში იყო, ხოლო 2003 წლიდან მდგომარეობა სტაბილურად უარესდება. ყველა ზემოთ ნახსენებ სფეროში, გარდა სამოქალაქო საზოგადოებისა და კორუფციისა, მდგომარეობა დღეს უარესია, ვიდრე 2003-2004 წლებში იყო, როდესაც ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მოვიდა.

სწორედ ასეთი არადემოკრატიული კონტექსტიდან გამომდინარე, უფრო ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ლუსტრაციის კანონის პროექტის მიღებას. ჩვენს ხელისუფლებას არ უნდა მოეთხოვოთ, რომ იყოს სრულიად დემოკრატიული, როდესაც ლუსტრაციის ზომებს მიიღებს, ვინაიდან ამ ეტაპზე ამის საჭიროება აღარ იქნება. ლუსტრაციის აუცილებლობა სწორედ რომ გარდამავალ ეტაპზე არსებობს, როდესაც გარკვეული წინააღმდეგობები, თუნდაც კომუნისტური ან კიდევ ყოფილი იმპერიის მიმართ ლოიალური კადრების მონაწილეობა აფერხებს ქვეყნის განვითარებას. თუმცა, იმისათვის, რომ ლუსტრაცია მოემსახუროს გაცხადებულ მიზანს, და არ იქცეს პოლიტიკური ოპონენტების დევნის ინსტრუმენტად, აუცილებელია, ხელისუფლებამ დაამტკიცოს საკუთარი დემოკრატიული მისწრაფებები და ავტორიტარული წარსულისგან გათავისუფლების ნამდვილი სურვილი. საქართველოს კონტექსტში ეს შეუძლებელია, ვინაიდან ყველა ზემოთ მოყვანილ სფეროში – სასამართლო იქნება ეს თუ მედიის თავისუფლება, ჩვენს ხელისუფლებას არადაამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვს. იმის მტკიცებას, რომ ამ ვითარებაში სწორედ და მხოლოდ და მხოლოდ „ლუსტრაციის“ პროცესი იქნება ის ოაზისი, რომელსაც ავტორიტარული ტენდენციები არ შეეხება, მისი პროპონენტებისაგან განსაკუთრებული დასაბუთება სჭირდება.

1999-2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
4.17	4.33	4.58	4.83	4.83	4.96	4.86	4.68	4.79	4.93

მაგალითისათვის ავიღოთ კანონპროექტის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც ეხება ლუსტრაციის კომისიის ურთიერთობას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. პროექტის 1.4 მუხლის მიხედვით, თანამდებობრივი შეზღუდვები ეხება მათ შორის იმ პირებს, „... რომელიც არის საქართველოს მოქალაქე ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, და რომელიც ასრულებდა ყოფილი სსრკ-ს სპეციალური სამსახურების დავალებებს წერილობითი ან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე“. ამავე დროს, მუხლი 3.1 ის მიხედვით, „შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს კომისიისათვის იმ პირთა შესახებ მონაცემების მიწოდებას, რომლებიც თანამშრომლობდნენ სპეცსამსახურებთან“.

შესაბამისი კონტექსტის განხილვის გარეშე, ეს დებულებები პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო სწორედ უწყება, რომელიც ფლობს ასეთ ინფორმაციას და მასალას. მსგავსი პროცედურა გამოიყენეს ჩეხეთის რესპუბლიკაშიც. თუმცა საქართველოში მათი განხორციელება „კუდიანების დენის“ მორიგ ტალღად შეიძლება იქცეს, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოში პოლიტიზირებული სტრუქტურაა, რომელიც სამართალდაცვით ფუნქციასთან ერთად პოლიტიკური ოპონენტების რეპრესიის ფუნქციას უკვე ითავსებს. პოლიტიკური ოპონენტების და კრიტიკოსების დენის უამრავი მაგალითის მოყვანას აქ არ შეეუდგები – ნებისმიერი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ორგანიზაციის, ასევე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველდღიური ადამიანის უფლებათა შესახებ ანგარიში სახსრად ამ მაგალითებით. პირადად ჩემთვის ის ოფიციალურად დაფიქსირებული ფაქტიც საკმარისია, როდესაც შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმი მიმიტინგეთა დარბევის წინ, ანდა შემდეგ ხან „მიშა! მიშა!“-ს გაჰყვიროდა, ხან მაშინდელ პოლიტიკურ ოპონენტს ბადრი პატარკაციშვილს აგინებდა. ასეთ კონტექსტში, ამ პროექტით შსს-ს ეძლევა საშუალება, კომისიას

გადასცეს ინფორმაცია კონკრეტული პირების მხრიდან სსრკ-ს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ზეპირი შეთანხმების შესახებ, ანუ შეთანხმების, რომელსაც არავითარი მატერიალური მტკიცებულება არ ახლავს. იმ პირობებში, როდესაც ფიზიკურად გასწორების მაგივრად, შსს მოტივირებული იქნება, მოახდინოს პირის რეპუტაციის შეზღუდვა და მისი საჯარო სფეროდან ჩამოცილება, იმის უფლება, რომ წარმოადგინოს ყოვლად დაუსაბუთებელი ინფორმაცია, მისთვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ხოლო, მოპასუხე, რომლის მიმართაც წარდგენილია ასეთი ინფორმაცია, იძულებული იქნება, ერთი, სწორედ რომ საბჭოთა ფელეტონის სტილში ამტკიცოს, რომ ის „აქლემი არ არის“.

როგორც პროექტის განმარტებითი ბარათი მიუთითებს, საქართველოსთვის შემოთავაზებული მოდელი ეფუძნება ჩეხეთის და ლიტვის გამოცდილებას. თუმცა, დაკვირვებით გარკვეული სხვაობა შეიმჩნევა:

ჩეხეთის კანონში თანამდებობრივი აკრძალვა არ ეხებოდა არჩევით ორგანოებს, პარლამენტსა და მუნიციპალიტეტებს, ვინაიდან „დემოკრატიული ლეგიტიმურობა ლუსტრაციის ინტერესებზე ზევით დადგა“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ვარიანტი ჩეხურზე უფრო შორს მიდის და თანამდებობრივ აკრძალვას არჩევით ორგანოებზეც აწესებს; მეტიც, თუკი ჩეხურ კანონში დაწესებული იყო, რომ ლუსტრაციის კანონი არ ეხებოდა მათ, ვინც 1971 წლის 1 დეკემბრის შემდეგ დაიბადა (იმისათვის, რომ გამოერიცხათ ის პირები, ვისაც ლუსტრაციის მომენტისათვის არ მიუღწევია სრულწლოვანებისთვის), ქართულ ვერსიაში ასეთი დაზუსტება არ არის; თუმცა ჩეხურ ვერსიაზე უფრო „რბილია“ სხვა თვალსაზრისით: ჩეხური კანონის მიხედვით, თანამდებობის დაკავების აკრძალვა ეხებათ პირებს, რომლებიც უშიშროების სკოლებში სწავლობდნენ 3 თვეზე მეტი ვადით, ქართულ ვერსიაში მსგავსი არაფერია. ვინაიდან პროექტის განმარტებით ბარათში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ

რითი არის გამოწვეული ეს სხვაობები თავდაპირველ მოდელთან, ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია, თუ რა პოლიტიკური მიზეზებით მოახდინეს ავტორებმა ამ მოდელის საქართველოსთვის სწორედ ასე მორგება.

ქართული კანონპროექტი ლიტვურს იმით ჰგავს, რომ აქაც დაწესებულია უშიშროების სამსახურებთან თანამშრომლობის გაცხადების ვალდებულება, რასაც ამის შესახებ ინფორმაციის გამომზეურების მუქარა უწყობს ხელს. ლიტვურ კანონთან განსხვავებებიც სახეზეა: ლიტვაში სსრკ უშიშროება კრიმინალურ ორგანიზაციად გამოცხადდა და მის თანამდებობის პირებს სახელმწიფო საქმიანობაში მონაწილეობა აკრძალა 10 წლით. ერთი მხრივ, საქართველოს პროექტი უფრო რბილია, ვინაიდან ლიტვაში შეზღუდვა ეხება მთელ რიგ ეკონომიკურ ობიექტებს, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ, მასწავლებლებსაც და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა ორგანიზაციას. მეორე მხრივ, ლიტვაში შემოღებული შეზღუდვა ათწლიანია, ქართულ პროექტში კი ასეთი ვადა დადგენილი არ არის. გარდა ამისა, ლიტვური კანონიდან გამოტოვებული არიან ის პირები, რომლებიც ოფიციალურად არ ირიცხებოდნენ უშიშროების ორგანოების შტატში. საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პროექტი მათაც გულისხმობს, ვინც ზეპირი შეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობდა.

ამ მსგავსებებისა და განსხვავებებითა აქ მოხმობა არის მცდელობა, მკითხველმა დაინახოს, რომ ლუსტრაციის კანონპროექტის საქართველოში შემოტანა სახეცვლილია და მორგებულია მისი ავტორების ინტერესებს. ჩემი აზრით, ის იმდენად გააზრებული და შეფასებული არ არის, რომ დაგვარწმუნოს, ის საქართველოში ადეკვატურად დაინერგება და პოლიტიკური ოპონენტების დენისთვის არ იქნება გამოყენებული. ამარტია სენის ზემოხსენებულ გამოთქმას თუ დავესესხებით, რამდენად არის ამ სტატიის მსჯელობა კანონპროექტის ავტორების მსჯელობაზე უკეთესი, თქვენი გადასაწყვეტია.





# მზის ამოსვლა

<<< ლასაწყისი გვ. 66

## ანტიდასავლური ნაციონალიზმი

სტალინიზმის გავლენა მართლმადიდებელი ეკლესიების ღირებულებით ორიენტაციებსა და იდეოლოგიურ კონსტრუქციებშიც შეიძლება ამოვიკითხოთ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საერო ნაციონალიზმის გაძლიერება თავიდანვე ანტირუსულ-ანტიიმპერიალისტური მიმართულების იყო, საეკლესიო სივრცეში ნაციონალიზმი უფრო ანტიდასავლურ და ანტილიბერალურ ტენდენციებს ამჟღავნებდა. ეს დღესაც ასე რჩება. „ჰკითხეთ დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს, რატომ უჩივიან სულის სიცარიელეს? რატომ არ აძლევთ შვებას ეს ე.წ. კულტურა? რატომ აოცებთ საქართველოში ჩამოსულ „ცივილიზებულ“ ადამიანებს ის უბრალო ადამიანური სითბო და სიწმინდე, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩათ ქართველებს? რატომ გვაოცებს ჩვენ, ქართველებს, ლიბერალიზმის მიმდევართა და მათ წიაღში აღზრდილ ადამიანთა სიცივე და გულგრილობა უბრალო ადამიანურ ურთიერთობებში? (ეპისკოპოსი სტიფანე კალაიჯაშვილი. ჟურნალი „კრილოსანი“, 3 აპრილი, 2005). შეცდომა იქნება ეპისკოპოსის სიტყვების გულუბრყვილო ემოციად მიჩნევა –

რეალობა ის არის, რომ ეს „გენერალური“ განწყობაა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

როგორც ქართული, ასევე რუსული ფუნდამენტალისტური ნაციონალიზმისა და ანტიდასავლურობის „მეტატექსტი“ ისტორიის აპოკალიპტიური ხედვაა. მისი კონსტრუქცია დაახლოებით ასეთია: ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ ანტიქრისტე, რომელიც ებრაული წარმოშობისა უნდა იყოს, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და რელიგიურად გააერთიანებს მსოფლიოს. უნიფიკაციის ინსტრუმენტებია გაერო, ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ნატო, მსოფლიო ბანკი, ეკუმენური ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობას ფარულად მასონურ-სიონისტური გლობალისტური კორპორაციები წარმართავენ, ცენტრით აშშ-ში. გლობალიზაცია ანტიქრისტესკენ მიმავალი პროცესია, რომლის კონკრეტული იდეოლოგიური განზომილებებია ე.წ. დასავლური ღირებულებები: ლიბერალიზმი, მოდერნიზმი, დემოკრატია და ადამიანის უფლებების კონცეფცია. მათი გავრცელებით ანტიქრისტეს იდეოლოგიები გზას უკაფავენ „აპოკალიპტიური მხეცის“ გაბატონებას: „ანტიქრისტე მოგვევლინება, როგორც დიადი რეფორმატორი და კაცობრიობის გამაერთიანებელი. ამ გაერ-

თიანების წინამორბედს წარმოადგენს ე.წ. შენგენის შეთანხმება, მიღებული 1985 წ. ქ. შენგენში და ხელმოწერილი მთელი რიგი ევროპული სახელმწიფოების მიერ..... სისტემა „შენგენი“ ანტიქრისტეანული ძალების მიერ გამოიყენება ერთიანი მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სულიერი დიქტატურის მომზადების მიზნით.... ებრაელ მასონებს სურთ, ჯერ მსოფლიო ომი გააჩაღონ, ხოლო შემდეგ მთელი მსოფლიო თავიანთი მეფის – მოშიახის ძალაუფლებას დაუმორჩილონ.... ბერი პაისი ათონელი მსოფლიო ომზე წერდა: ებრაელები, რომლებსაც ექნებათ ევროპული ხელისუფლების ძალა და დახმარება, გათავხედდებიან და უსირცხვილოდ ქედმაღლურად შეეცდებიან ევროპის მართვას“. (ახალი რომის იმპერია. მხეცის საიდუმლო. მღვდელი ანდრეი გორბუნოვი. ჟურნალი „ქვაკუთხედი“ №8 (27), სექტემბერი, 2008).

მაგრამ ანტიქრისტესა და ჭეშმარიტებისგან განდგომილ დასავლეთს წინააღმდეგობას გაუწევს საქართველო და რუსეთი, როგორც ერები, რომლებიც „მხეცის“ ბეჭედს არ მიიღებენ. საქართველო და რუსეთი შეურყვნელად, მინარევების გარეშე შეინარჩუნებენ მართლმადიდებლობას. სამოქალაქო სივრცე კი გლობალიზმის ელემენტებისგან გაინმინდება. მაგრამ მანამდე, ვიდრე ეს მოხდება საქართველოში/რუსეთში სამეფო/სამოდერნუმი უნდა აღდგეს. ზოგიერთი ვერსიით, რუსეთი საკრალური სივრცეა და მის მისიაში ასევე საკრალური, მაგრამ პატარა საქართველოს დასავლური ექსპანსიისგან დაცვა შედის „...აღსანიშნავია, რომ რუსებს თავიანთი ქვეყნის სამხრეთი, ჩრდილოეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვრები ჩაბარებული აქვთ ღვთისმშობლის სხვადასხვა ხატებისათვის, ხოლო საკუთრივ სამხრეთი საზღვარი ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატისთვის. ამიტომ ეს ხატი ჩვენი ჩრდილოეთი საზღვრების მფარველიც არის“. (ინტერვიუ დეკანოზ თეოდორე გიგნაძესთან. „ქვაკუთხედი“ №8, 2008)

რაც უნდა უცნაურად მოჩანდეს,

მართლმადიდებელი სტალინისტები ამ კონტექსტშიც ხედავენ ხოლმე სტალინის როლს. მათი აზრით, მან აღმოსავლური მართლმადიდებლური სამყარო დასავლეთის/ანტიქრისტის გაბატონებისგან გადაარჩინა. ასახელებენ ასევე ანტიქრისტის ვინაობასაც (ერთ-ერთ ანტიქრისტედ გაზეთმა „ერმა და ბერმა“ 2004 წელს ამერიკელი დიპლომატი რიჩარდ ჰოლბრუკი გამოავლინა).

ამ აპოკალიპტურ პრიზმაში ხდება ნებისმიერი მოვლენის განხილვა. იქნება ეს ნატო-ს ჯარების ოპერაცია კოსოვოში, ევროპის კონსტიტუციის შემუშავების პროცესი, პალესტინის რაიონების ომი თუ ენერგოსადგურის მშენებლობა თურქეთში. მაგალითად, საეკლესიო ჟურნალ „ქვაკუთხედის“ რედაქცია რადიკალურად ანტიდასავლური და პრორუსული ტექსტით გვანვდის აგვისტოს ომის „თეოლოგიას“: „აღბათ ბევრმა ვიცით საქართველოს ისტორიიდან, მაგრამ ნაკლებად გაგვიანალიზებია ის, თუ ქართველი მეფეების ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობისა თუ საზოგადო მოღვაწეების დიდი ძალისხმევით მიუხედავად, რომელთაც მუხლები ჰქონდათ „გადატყავებული“ ლუდოვიკოთა სასახლეებში წყალობის მოლოდინში, უფალმა არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვა საქართველოს ზედმეტი დაახლოება დასავლეთის ქვეყნებთან, მაგრამ აკურთხა მისი რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? იქნებ ის, რომ მთელი თავისი ამბიციურობის და მიუხედავად რუსეთი მაინც თავისი მადლის მატარებელი მართლმადიდებელი ქვეყანაა, რომელსაც ზურგს უმაგრებს უდიდეს წმინდანთა ზეციური ლოცვა-კურთხევა?! ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ისტორიული ჩარხი კიდევ ერთხელ, თითქოს უალტერნატივოდ შემობრუნდა დასავლეთისაკენ და სულ მაინტერესებდა, ახლა კი დაუშვებდა ღვთის განგებულება დასავლეთთან უმჭიდროვეს ინტეგრაციას?! იქნებ საქართველოში აქა-იქ აღმოცენებული რუსული ბლოკ-პოსტები სწორედ ის მარწუხებია, რომელნიც ზეციდან

დაეშვა დაუძლეველ ბარიკადებად ამ ინტეგრაციის გზაზე?! ..... ყველა გონიერი ხელისუფლება აცნობიერებს იმ პრაგმატულ რეალობას, რომ რუსეთი ღვთაებრივი განგებულებით არის მათი ძლიერი მეზობელი და ამას სათანადო ანგარიშს უწევს. იქნებ რუსეთის ყუმბარები, როგორც გარყვნილ სოდომ-გომორზე ცეცხლი და ნუნ-ნუბა, ისე აწვიმა უფალმა საქართველოში ამ ბოლო დროს გამეფებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ ჯეობარულ სულსა და „ბუნქების“ იდეოლოგიას?!... მსოფლიოს ბედისათვის უმნიშვნელოვანესია ძლიერი რუსეთი, როგორც გლობალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორი, მაგრამ არა, უწინარესად სამხედრო თვალსაზრისით, არამედ, პირველ რიგში, ზნეობითა და მართლმადიდებლობით ძლიერი“. (რედაქტორის გვერდი „ქვაკუთხედი“, ეროვნულ-სარწმუნოებრივი ჟურნალი, ყოველთვიური გამოცემა, N8 (27), სექტემბერი, 2008. ჟურნალი გამოდის რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტი იობის (აქიამვილი) ლოცვა-კურთხევით)

**ანტილიბერალიზმი**

რელიგიური ნაციონალიზმი, აპოკალიპტურის გარდა, იდეოლოგიური და მორალური თვალსაზრისითაც ვერ ეგუება ლიბერალიზმს. იგი მისთვის მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ იდეოლოგიად განიხილება, ზნეობრივ რელატივიზმს უიგივდება და ასოცირებულია საყოველთაო თანასწორობისა და ზღვარგადასული ნებადართულობის პრინციპებთან.

იმავე პუბლიკაციაში ეპისკოპოსი სტეფანე კალაიჯიშვილი წერს: „დიდი საფრთხის წინაშე დგას საქართველო. ქართველ ხალხს თვალსა და ხელს შუა აცლიან ქეშმარიტ სარწმუნოებას. სახელმწიფო რელიგიად, ყოველგვარი გამოცხადების გარეშე, მკვიდრდება ლიბერალიზმი. დიახ, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში მარქსიზმის ადგილს ახალი სახელმწიფო იდეოლოგია – ლიბერალიზმი იკვიდრებს. ამ იდეოლოგიას აქვს პრეტენზია, რომ იყოს არბიტრი

ყველა საკითხში, მათ შორის - სახელმწიფოებრივ საკითხებშიც. ჩვენ გვატყუებენ, თითქოს იბრძვიან ჩვენი უფლებებისათვის, თავისუფლებისათვის, სინამდვილეში კი ცოდვის მონობასა და სიცრუეს – „მარადიულ ღირებულებებად“ ამკვიდრებენ. ამ ახალი სახელმწიფოს რელიგიის უმაღლესი ქურუმები საზღვარგარეთიდან მართავენ პროცესებს, შიგნით კი ბოკერიები, გვახარიები, ნაირა გელაშვილები, ბულაძეები, ზურაბაშვილები...“

რელიგიური ნაციონალიზმისთვის ადამიანის უფლებათა კონცეფცია მიუღებელია როგორც იდეოლოგიური სისტემა, რომლის ფუნდამენტს ცოდვით დაცემული ადამიანის ნება-სურვილი წარმოადგენს. ეკლესია აქცენტს კოლექტივზე, მრევლზე, ერთსულოვნებაზე, კულტურულ უფლებებზე უფრო აკეთებს და ნეგატიურად აფასებს სინდისის, რელიგიის, აღმსარებლობის თავისუფლებას. „რას ნიშნავს „სინდისის თავისუფლება“? – კითხულობს ეპისკოპოსი სტეფანე, – უსინდისობის თავისუფლებას ხომ არა? როგორ შეიძლება სინდისის გათავისუფლება? ის ხომ ჩვენ ნებას არ ემორჩილება! სინდისი ხომ ღვთის მამხილებელი ხმაა ადამიანში! ე.ი. როცა ეს მხილება არ მოგწონს, სიცრუით მიანიჭებ სინდისს „თავისუფლებას“, დაამშვიდებ, დაანყნარებ მას, თითქოს არაფერი ხდება, მიამწყვდევე სულის ბნელ კუნჭულში და მორჩა, „თავისუფალი“ ხარ! ვაშა შენ გაიმარჯვე, უკვე უსინდისო ხარ! შენ მოიპოვე „სინდისის თავისუფლება!“ „სინდისის თავისუფლება“, ლიბერალური იდეოლოგიის გაგებით, ნიშნავს გნამდეს ღმერთად ყველაფერი, რაც გინდა ან საერთოდ არ გნამდეს არაფრისა“.

„სინდისის თავისუფლება“ ორი მთავარი მოტივითაა მიუღებელი: ერთი მხრივ, ადამიანი, რომელიც მართლმადიდებლობაზე ხელს იღებს, სულს წარინწყმედს, ხოლო, მეორე მხრივ, კარგავს ნაციონალურ იდენტობას. ქართული რელიგიური ნაციონალიზმი ფაქტობრივად იმეორებს დოსტოვესკის ცნობილ ფორმულას: „მართლმად-

## ბაბრქელა

დიდებული – ესე იგი რუსი“, ოლონდ შებრუნებულად „ქართველი – ესე იგი მართლმადიდებელი“. იმის გამო, რომ საქართველოში არსებობენ, მაგალითად, ქართველი იელოვას მონმეები, მთავარ დამნაშავედ ამაში, რა თქმა უნდა, რელიგიის თავისუფლების ლიბერალურ პრინციპსა და მის სამშობლოს მიიჩნევენ.

ამის საპირისპიროდ მართლმადიდებლობა ეროვნული იდეოლოგიის საფუძველი უნდა გახდეს, რომელიც ლიბერალიზმს დაუპირისპირდება: „მართლმადიდებლური აზროვნება – ეს არის ჩვენი ეროვნული იდეოლოგიის საფუძველი. მართლმადიდებლობა არ არის მხოლოდ ცოდნა, არ არის მხოლოდ დოგმატები, არ არის მხოლოდ სწავლება“... („საპატრიარქოს უწყებანი“ 12.03.05) – ამბობს პატრიარქი და აყალიბებს შეხედულებას ეროვნულ-მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისთვის მიუღებელ იდეოლოგიაზე – „დადგა ისეთი დრო, როცა ლიბერალიზმი შემოვიდა ევროპაში და იქიდან მთელს მსოფლიოში გავრცელდა; წარმოიშვა მოძრაობა თანასწორობის მოთხოვნით. ეს სათქმელად ძალიან ადვილია, მაგრამ მისი განხორციელება ძალიან ძნელია. როგორ შეიძლება თანასწორობა იყოს ოჯახში? როგორ შეიძლება თანასწორობა იყოს საზოგადოებაში? ოჯახს უნდა ჰყავდეს თავი; საზოგადოებაში და ნებისმიერ ადგილზე უნდა იყოს უმცროს-უფროსი („საპატრიარქოს უწყებანი“ 3-9. 12. 04)“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ დასავლეთი, როგორც ლიბერალიზმისა და ადამიანის უფლებათა კონცეფციის სამშობლო, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უცხო და სახიფათო ადგილია.

### ანტიდემოკრატიულობა

რელიგიური ნაციონალიზმი სამოქალაქო ხელისუფლების დემოკრატიულ ლეგიტიმაციასაც ვერ ეგუება ადვილად, ვინაიდან მისთვის ხელისუფლების ლეგიტიმაციის ერთადერთი წყარო ღმერთია. გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ როგორც ღმერთია ერთპიროვნული მმართველი, ასევე მეფეც

ერთპიროვნულად უნდა განაგებდეს სახელმწიფოს. ღმერთმა თავის დროზე საქართველოს ბიბლიური წარმომავლობის სამეფო საგვარეულო გამოურჩია. საქართველო რომ გაბრწყინდეს, ამ დინასტიიდან უნდა აღიდგინოს მონარქი, რომელიც იქნება ღვთივცხებული.

მართლმადიდებლურ პოლიტიკურ თეოლოგიაში მონარქს ეკლესიის გარე ეპისკოპოსის, მისი სოციალური მცველისა და ზღუდის ფუნქცია აქვს მინიჭებული. მონარქიაში განხორციელებულია საეკლესიო და საერო ურთიერთობების მიწიერი იდეალი – სიმფონია. აქ საერო და საეკლესიო სფეროები გაუმიჯნავია და ეკლესია საზოგადოებრივი, სახელმწიფო, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს. დემოკრატიული წყობა კი ადამიანური წარმომავლობისა და თუკი მას ლიბერალიზმიც ემატება, იგი სეკულარიზაციის ანუ ეკლესიისა და სახელმწიფოს, ეკონომიკის, კულტურის, საჯარო სივცის გამიჯვნის პოტენციის მატარებელია. შესაბამისად, ლიბერალური დემოკრატია ამ სფეროებზე ეკლესიის (ზე)გავლენის დასუსტებას მოასწავებს.

კათალიკოს-პატრიარქის სიტყვებში ადვილად იკითხება ანტიდემოკრატიული და ანტისეკულარული პოზიცია. „ადრე ხალხს აერთიანებდა მეფე, ეკლესია, კულტურა. ახლა მხოლოდ ეკლესია დარჩა...“ („საპატრიარქოს უწყებანი“ 3-9. 12.04). ამ ფორმულიდან ასე გამოდის, რომ მეფის კურთხევამდე საქართველოს სახელმწიფოებრივ-კულტურული სხეული ფაქტობრივად ეკლესიის არსებობის ამარაა დარჩენილი. ისიც ცხადია, რომ ეკლესიის გულმოდგინე ზრუნვა მონარქიის აღდგენის თაობაზე დემოკრატიისა და სეკულარიზაციის, შესაბამისად, დასავლური დროის სანინალმდევოდ მიეძინება.

### ანტიკაპენიზმი

რელიგიური ნაციონალიზმი ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისკენ სწრაფვას – ეკუმენიზმს მა-

სონურ-სიონისტური შეთქმულების ნაწილად განიხილავს. იგი „ერესთა-ერესად“ არის შეფასებული და მას ანტიქრისტიეს რელიგიას უწოდებენ, რაკი თვლიან, რომ კონფესიების გაერთიანება სწორედ მომავალი ანტიქრისტიეს სტრატეგიაა. ამ კუთხით დასავლეთი დიდი განდგომილების, ერესების, ეკუმენიზმის სამშობლოცაა, რომლის ექსპანსიას, რა თქმა უნდა, კედელი უნდა აღუმართო წინ.

მაგრამ საბჭოთა პერიოდში, 1960-იანი წლებიდან, მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები აქტიურად მონაწილეობდნენ ეკუმენურ შეხვედრებში, ეს დაშვებული და იძულებითი „ბოროტება“ იყო, რადგან დასავლეთში ისინი საბჭოთა პროპაგანდის კომპონენტს წარმოადგენდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ეკლესიას საბჭოური მშვიდობისა და სამოთხის პროპაგანდისტის ფუნქცია ჩამოშორდა. იგი საერთაშორისო მტრულ, „მწვანელურ“ გარემოცვაში საკუთარ ადგილს ვეღარ აგნებდა და, აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ საპატრიარქოს ეკუმენური ორგანიზაციების დატოვების გადწყვეტილება უნდა მიეღო.

ეკუმენური მოძრაობიდან საპატრიარქოს გამოსვლა რუსულ-ქართული ურთიერთობების ასპექტითაც საინტერესო მოვლენაა. 1997 წელი საქართველოში ის დროა, როცა ქვეყნის საგარეო კურსის რეორიენტაცია მიმდინარეობდა. მას გეზი უკვე დასავლეთისკენ ჰქონდა აღებული, ხოლო ეკლესიამ ამას დასავლურ რელიგიურ სამყაროსთან დიალოგზე სრული უარით და „ანტისექტანტური“ პროპაგანდის გაძლიერებით უპასუხა.

1997 წელს მოსკოვის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში დაისვა ორი საკითხი. პირველი თანალოცვის პრაქტიკას უკავშირდებოდა. რუსეთის ეკლესია აპროტესტებდა საბჭოში სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიისთვის თანალოცვის პროგრამულ ნაწილს. ანუ მას სურდა, რომ შეხვედრების პროგრამიდან ამგვარი პრაქტიკა ამოეღოთ. მეორე საკითხი კი გადწყვეტილებათა მიღების წესთან იყო დაკავშირებული. ეკლესიათა მსოფლიო



საბჭოში გადაწყვეტილებები ხმების უმრავლესობით მიიღებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ 300-ზე მეტი პროტესტანტული ეკლესია, რომელიც განწევრიანებული იყო საბჭოში, ყოველთვის ახერხებდა თავისი პოზიციების დაცვას ხმების თვალსაზრისით მცირერიცხოვან (14 მართლმადიდებელი ეკლესია იყო იმ დროისათვის საბჭოში) მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით. ამ საკითხების მოუგვარებლობის შემთხვევაში, რუსეთის ეკლესია საბჭოს დატოვებით იმუქრებოდა, მას მხარი აუბეს საქართველოს, სერბეთისა და ბულგარეთის ეკლესიებმაც, სწორედ მათ, ვინც რუსეთის საპატრიარქოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და საბჭოთა პერიოდში არჩეული მეთაურები ჰყავდათ. საბოლოოდ მოძრაობის დატოვება მხოლოდ საქართველოსა და ბულგარეთს მოუწია, თუმცა ეს უკანასკნელი ახლა უკვე დაუბრუნდა ეკუმენურ მოძრაობას.

ანტიეკუმენიზმს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ძლიერი ფუნდამენტალისტური საყრდენი აღმოაჩნდა. საქართველოს მონასტრული ცხოვრების აღორძინება ორი ბერის მოღვაწეობასთან, იოანე შეყლაშვილთან და ლაზარე აბაშიძესთანაა დაკავშირებული. რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ მათ ბეთანიის მონასტერი აამოქმედეს. მონასტრის ანტიეკუმენური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ყველა სხვა მონასტერი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური მღვდლები და მრევლის უდიდესი ნაწილი მოექცა. მაგრამ ანტიეკუმენიზმისა და იზოლაციონიზმის მთავარი იდეოლოგი მაინც რაფაელ კარელინი იყო – საქართველოში მოღვაწე, რუსული წარმოშობის არქიმანდრიტი, რუსეთისა და საქართველოს ფუნდამენტალისტურ წრეებში დღესაც ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მოძღვარი (მის ქადაგებებსა და სტატიებს ყოველკვირეულად აქვეყნებს „ჯორჯიან თაიმსი“).

ეკუმენიზმისგან ჩამოშორებით საქართველოს ეკლესია დასავლური ქრისტიანობის სივრცესაც მონყდა, თუმცა ეკლესიაში ფუნდამენტალ-

ისტურ ჯგუფებს პროტესტი არ გამოუთქვამთ 2004 წელს, საქართველოს საპატრიარქოს განწევრიანების გამო დღეს-ს რელიგიათა საბჭოში, რომლის ცენტრი მოსკოვშია. ამ პანეკუმენურ ფორუმში ე.წ. დასავლურ: კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებს რუსეთმა მონაწილეობის უფლება არ მისცა. ეს ლოგიკურია, რადგან ქართულ და რუსულ მართლმადიდებლობას, ისევე, როგორც ევრაზიულ დუგინისეულ იდეოლოგიას, რომელიც რუსეთის საპატრიარქოს პოზიციებსაა ამოფარებული, დღეს უფრო იოლად შეუძლიათ ისლამთან საერთო ენის გამოხატვა, ვიდრე დასავლურ ქრისტიანობასთან: კათოლიციზმთან და პროტესტანტულ სამყაროსთან.

დღეს-ს რელიგიათა საბჭოში გაერთიანებით საქართველოს საპატრიარქო მიგვიანიშნებს, რომ ის მოსკოვის საპატრიარქოსთან ერთ რელიგიურ და იდეოლოგიურ ე.წ. ევრაზიულ სივრცეში იმყოფება, რომლის საზღვრები საბჭოთა საზღვრებს ემთხვევა და დასავლეთის წინააღმდეგ მოკავშირედ ხშირად ისლამურ სამყაროსაც განიხილავს.

და ბოლოს, საქართველოს და რუსეთის ეკლესიები ერთი და იგივე დროით განზომილებაშიც „მყოფობენ“. 15 ავტოკეფალიიდან მხოლოდ რუსეთის, საქართველოს, სერბეთისა და იერუსალიმის (ანუ ისევ რუსული გავლენის ქვეშ მყოფი ეკლესიების) საპატრიარქოები არ იყენებენ ე.წ. გრიგოლის კალენდარს, რომლის მიხედვით, შობა 25 დეკემბერს აღნიშნება. ჩვენი ეკლესია ამ მნიშვნელოვანი ასპექტითაც მონყვეტილია დასავლურ დროით კონტინუუმს. გრიგოლის კალენდრის არაღიარებაც ესქატოლოგიური აპოკალიპტური არგუმენტებით არის გამარებული. ითვლება, რომ თუ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიები „კათოლიკებივით“ 25 დეკემბერს დაიწყებენ შობის აღნიშვნას, ესეც ანტიქრისტეს მოახლოების ერთ-ერთი ნიშანი იქნება.

**ხილი**

„საეკლესიო ურთიერთობები – დღეს ერთადერთია, რაც ჩვენ ქვეყ-

ნებს აახლოებს. ამ ურთიერთობებს მოფრთხილება სჭირდება: ჩვენ, ჩვენ ხალხებს უნდა ვუჩვენოთ, რომ რუსეთსა და საქართველოს ერთი რწმენა აკავშირებთ, რომელიც ღვთის შეწევნით უნდა გაძლერდეს“ (მოსკოვის საპატრიარქოს პრესსამსახური. 21 ივლისი), – განაცხადა საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა გერასიმე შარაშენიძემ პატრიარქ კირილესთან შეხვედრის დროს.

ვფიქრობ, რომ რუსულ და ქართულ ეკლესიებში არსებული ანტიდასავლური განწყობებისა და იდეოლოგიური ვექტორის გამო, „ერთმორწმუნეობის გაღმავლება“ საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური, პოლიტიკური, კულტურული იზოლაციონიზმის გაძლიერების, დუგინისეულ ევრაზიულობაში გამოკეტვისა და საბჭოური „კოლონიალიზმის“ დროში დაბრუნების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ხოლო ის, რაც მოსკოვის მხრიდან აფხაზეთისა და ოსეთის საეკლესიო დამოუკიდებლობის არაღიარებას შეეხება, ქართველებისთვის რუსული „უტკაა“. აფხაზეთსა და ოსეთში რუსეთის ეკლესია მხოლოდ ფორმალურად არ არის წარმოდგენილი, რეალურად კი ამ თემების ცხოვრებას პატრიარქი კირილე და „ფსბ“ განაგებენ. მოსკოვისთვის გაცილებით დიდი და ძვირფასი შენაძენი, აფხაზი და ოსი მართლმადიდებლები კი არა, რა თქმა უნდა, საქართველოს საპატრიარქოა – ყველაზე გავლენიანი, ავტორიტეტული და ანტილიბერალური ინსტიტუცია ჩვენს სამშობლოში.

ოსური და აფხაზური მართლმადიდებლობის ცნობით, რუსეთმა საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობელს რაღაც მკვეთრი, საპროტესტო ნაბიჯის გადადგმა უნდა აიძულოს. არა მგონია, ეს სვლა მათთვის მომგებიანი იყოს, მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ილია II, როგორც მისი სულიერი შვილი რეზო ჩხეიძე ამბობს, მზის ამოსვლამდე ჯერ მეზობლისკენ გახედვას ასწავლის თავის მრევლს.



# რელიგია და კორპორაცია

<<< ლასაწყისი გვ. 66

## 4. კორპორაცია და რელიგია

„გუგლის“ ეკლესიის მსგავსად უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში გაჩნდა უამრავი ახალი მინირელიგია, ბევრი მათგანი კი ჩაისახა კიბერსივრცეში. ამიტომაც ისინი, ტრადიციული სერიოზულსახიანი რელიგიებისგან განსხვავებით, ხასიათდებიან ახალი მედიებისა და ინტერნეტისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით, იუმორით ან სარკაზმით, მემეტიკური მედიახატების რეპროდუქციებით, ვირუსული მარკეტინგით და ა.შ. „გუგლის“ ეკლესია ამ უამრავ ეკლესიას შორის გამოირჩევა იმით, რომ ის არის „რელიგია“, რომელიც უკვე მზა კორპორაციის საფუძველზე შეიქმნა, და არა პირიქით. სიტყვებმა „კორპორაციული რელიგია“ საინტერესო კონცეფციებად მიიყვანა. ჩემთვის ამ შემთხვევაში საინტერესო გახდა მორწმუნე ადამიანის რელიგიური მოთხოვნების დამთხვევა კორპორაციის ყოვლისშემძლეობის წინაშე აღტაცებასთან. „გუგლის“ ეკლესია სწორედ ამ გადაკვეთაზეა შექმნილი. ერთი მხრივ, გვაქვს

უზარმაზარი, ულტრათანამედროვე და სუპერ-კრეატიული კომპანია, რომელიც რეალურ „სასწაულებს“ ახორციელებს, მეორე მხრივ, მილიონობით მორწმუნე ადამიანი. ამ ადამიანების ერთი ნაწილი ვერ კმაყოფილდება რელიგიით, რომელიც ფაქტობრივად უძღვრია თანამედროვე სამყაროში და არ აქვს პასუხები თანამედროვე ადამიანის პრობლემებზე, მეორე ნაწილი კი ფანატურად ჩაფლულია თავის რწმენაში. და ეს ადამიანები სინამდვილეში პლანეტის მოსახლეობის განსაკუთრებით დიდი სეგმენტია. აქედან გამომდინარე, ჩემი ინტერესი ჩამოყალიბდა დაახლოებით შემდეგ კითხვებზე: რამდენად შესაძლებელია თანამედროვე სამყაროში მეგა-კორპორაციამ ჩაანაცვლოს ტრადიციული რელიგია? რამ შეიძლება ეს განაპირობოს და რა შეიძლება იყოს ამის შედეგი?

არავისთვის არაა საიდუმლო, რომ მსოფლიო ეკლესიები (განსაკუთრებით პლანეტის ტექნოლოგიურად განვითარებულ სფეროებში) ძალიან ხშირად დგანან კრიზისის წინაშე, ტექნოლოგიურმა პროგრესმა თითქმის არ და-

ტოვა საკრალური სფეროები ადამიანის ცხოვრებაში, რის გამოც, ეკლესიის როგორც საკონტროლო მექანიზმის როლი ყოველდღიურად სუსტდება. სამაგიეროდ, ძალიან ჩქარი ტემპით ვითარდება ტექნოლოგიები. ერთი მხრივ, ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს ადამიანის უფრო კომფორტულ ცხოვრებას, მისი არსებობის ეფექტურობას, სიცოცხლის ხანგრძლივობას, თუმცა მეორე მხრივ, მინიერი სამოთხის ეს სასწაულები მიღწევადია მხოლოდ ოქროს მილიარდის მოსახლეობისთვის, როცა პლანეტის უზარმაზარი ტერიტორიები ლამის ქვის ხანის დონეზეა. შედეგად, პლანეტის მოსახლეობის 80-ზე მეტ პროცენტს საერთოდ არ ესმის ტექნოლოგიების და ჩნდება შიში უცნობის წინაშე, რაც საკმაოდ ანტიტექნოლოგიურად განაწყობს ადამიანებს. ამასობაში ეკლესია ცდილობს, არ დარჩეს შუასაუკუნეობრივ ცირკად მალალ-ტექნოლოგიურ გარემოში. მას ორი გზა აქვს: ადაპტაცია და ტექნოლოგიების „დამორჩილება“, ან ნელი გაქრობა, იმითომ, რომ მასზე საერთოდ შეიძლება გაქრეს მოთხოვნა.

ტექნოლოგიების „დამორჩილების“ კრეატიულ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინგლისური ეკლესია. 2009 წლის ივნისში მათ გამოსცეს ახალი საინსტრუქციო წიგნი **fresh expressions**, სადაც წარმოდგენილია მსახურების ახალი რადიკალური ფორმები ახალგაზრდების ისევე მოსაზიდად ეკლესიაში. ლიტურგიის ერთ-ერთი ვარიანტი სახელწოდებით „ძველი რწმენა – მომავალი მისია“ გულისხმობს საკმაოდ საინტერესო აქციას. ღვთისმსახურება იწყება იმით, რომ მღვდლები „შედიან“ „იუთუბიზე“ და მრევლს აჩვენებენ ვიდეოს გაერო-ს სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული მსოფლიო კამპანიის შესახებ. მრევლს ეუბნებიან, რომ „პლანეტაზე არეულობაა, ქაოსია“. გარკვეული რიტუალური ქმედებების შემდეგ მათ მოუწოდებენ, იფიქრონ სქესთა უთანასწორობაზე, გაეროს დაცვაზე და იმაზე, თუ ვის შეუძლია ამ პრობლემების გამოსწორება. ამის შემდეგ აფრიკული დაფდაფების აკომპანიმენტით იკითხება ფსალმუნის და მრევლი და მღვდლები ლოცულობენ „კორპორაციულ სამყარო-

ზე, გავლენიან ტოპ-მენეჯერებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მილიარდიან წარმოებაზე“. ჩვენ ვლოცულობთ ჯინ ჩემბერსზე Sisco systems-იდან, ბილ გეიტსზე Microsoft-იდან, დოქტორ ერიკ შმიდტზე Google-დან და სხვებზე, ვინც უკვე გააკეთა არჩევანი სამართლიანობის მხარდასაჭერად“. თუმცა ტექნოლოგიების „დამორჩილება“ ეკლესიის მიერ თავის მხრივ ითხოვს ისეთ მსხვერპლს ეკლესიისგან, რომელიც თავისთავად ახდენს ეკლესიის ტრანსფორმირებას. აქ შეგვიძლია ისევ დავსვათ კითხვა: შესაძლებელია თუ არა ეკლესია ანუ ადამიანის ტვინის დიდ ნაწილზე კონტროლის კაბინეტი ასეთი გზით ჩანაცვლოს დიდმა კორპორაციამ. იდეოლოგიური განსხვავება არ იქნება – ერთ კორპორაციას ჩანაცვლებს მეორე, განსხვავება იქნება ხარისხსა და მომსახურებაში. ალბათ მსოფლიოს ვერც ერთ ეკლესიას ვერ დაესიზმრება მრევლის მოზიდვის ის ტექნიკა, როგორსაც დაამზადებს მილიარდიანი კორპორაცია, თუ მის ხელში ჩავარდა შესაძლებლობა, მიითვისოს ცნობიერების ის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია რელიგიურ გრძნობებზე, ფანატიზმზე, რელიგიურ ექსტაზზე და ა.შ.

თუ გავითვალისწინებთ ადამიანების უმრავლესობის ტოტალურ ტექნოლოგიურ უვიცობას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წარმოუდგენლად დიდი მეგა-კორპორაციები და უმაღლესი ტექნოლოგიები, რომლებიც თავის დროზე

პირველი რაციონალური ანტირელიგიური ტალღა იყო, პოსტმოდერნულ კორპორაციულ სამყაროში შეიძლება გადაიტყეს ახალ „საკრალურ“ სფეროდ, რომელიც ისეთივე შემზარავ და აუხსნელ ეფექტს მოახდენს საშუალოსტატისტიკურ, ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ ადამიანზე, როგორსაც – თუ ცნობილ მედია-მემს გამოვიყენებთ, ასე ვიტყვი – ჭექა-ქუხილი ახდენდა პირველყოფილ ადამიანზე.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ვიმჯელოთ იმაზეც კი, რომ ათეისტ ადამიანში უზარმაზარმა კორპორაციამ სწორი რეკლამის და ეფექტური ნაბიჯების შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ალტაცება და ექსტაზი, რომელიც რელიგიური ექსტაზის ანალოგიური იქნება. არაფერს ვამბობ ადამიანებზე, რომელთათვის ტექნოლოგიური პიკი ტელევიზორია, ან რომლებსაც ტელევიზორიც არ უნახავთ.

რელიგიური ფანატიზმის, მადლიერების გრძნობის და მზადყოფნის შერწყმა კორპორაციულ ფილოსოფიასთან შეიძლება ყველაზე წარმატებული ნაბიჯი იყოს ბიზნესის ან ადამიანური კონტროლის ისტორიაში. თან თუ გავითვალისწინებთ, რომ უზარმაზარი ინფორმაცია, რომელიც გროვდება კორპორაციაში, ეკუთვნის კორპორაციას, ჩამოთვლილ ტექნიკებს შეგვიძლია დავუმატოთ ინფორმაციული კონტროლი და ფალსიფიკაციები. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი კორპორაცია გაცილებით

ბით მეტ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე ცალკეული ადამიანები.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ ტერმინი „სინგულარობა“ – როგორც ტექნოლოგიური პროგრესის საპიკო წერტილი. რამდენიმე კვირის წინ ერთ-ერთ ჩემთვის საყვარელ ბლოგზე ვიპოვე დამინტრიგებელი ჩანაწერი, რამაც საერთო ჯამში განაპირობა ჩემი დანტერესება ამ საკითხით. ჩანაწერში ბლოგერი, სახელად დიმა ჰარდი საუბრობს არა ტექნოლოგიური, არამედ რელიგიური სინგულარობის თემაზე და სვამს კითხვას, თუ რამდენად შესაძლებელია ტექნოლოგიური პროგრესის და მედია ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი გლობალური რელიგიის კონსტრუირება და შეიძლება თუ არა თეოლოგიური სინგულარობა?

რამ შეიძლება განაპირობოს ახალი რელიგიის წარმოშობა? ჰარდი ვარაუდობს, რომ ეს თავისუფლად შეიძლება იყოს რაიმე სერიოზული გარღვევა ნაწილურ ტექნოლოგიაში ან გენურ ინჟინერიაში ან ხელოვნური ინტელექტის სფეროში, რომელიც დღეს ყველაზე აქტუალურია და დიდი დოზებით ფინანსდება. თავისუფლად შეიძლება ასეთი აღმოჩენა უცებ არ გამჟღავნდეს, ამისთვის შემზადდეს ნიადაგი და შემდეგ ის წარუდგინონ კაცობრიობას მასმედიური პიარის მთელი შესაძლებლობების დახმარებით. ახალი რელიგიის განაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს ახალი მომაკვდინებელი ავადმყოფობა, რომლის



## მართლმადიდებლური ფილმების IV საერთაშორისო ფესტივალი „წმიდა ანდრეას ჯვარი“

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა კურთხევით, ასოციაცია „მეობის“ და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, 2009 წლის 18-22 ოქტომბერს ქ. ბათუმში ტარდება მართლმადიდებლური ფილმების IV საერთაშორისო ფესტივალი „წმიდა ანდრეას ჯვარი“.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და საზღვარგარეთის სახელმწიფო კინოკომპანიები, კერძო პირები და სტუდენტები, რომლებიც მართლმადიდებლურ თემატიკაზე ქმნიან ფილმებს, ტელეგადაცემებს.

საკონტაქტო ტელ.: 895 53 40 56; 899 70 36 81; 893 73 45 78

მის.: ქ. თბილისი, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. №9



სამკურნალო ნამლები შეიძლება აღმოაჩინდეს რომელიმე ერთ კორპორაციას, რის შედეგადაც ის მოგვევლინება ახალ მესიად, რომელიც ახდენს ახალ სასწაულებს. რა თქმა უნდა, ეს ვარაუდები ფუტუროლოგიის დარგია, თან საკითხი აქ წარმოჩენილია ერთი – მოვლენების ცუდად განვითარების კუთხით და ყველაფერი შეიძლება საერთოდ არ მოხდეს ისე, როგორც ზემოთ ვიმსჯელებთ. ჩემი მიზანი არ არის ანტიკორპორაციული კონსპიროლოგიური თეორიების ჩამოყალიბება, მე უბრალოდ შევეცადე გავყოლოდი კორპორაციის და მის საფუძველზე შექმნილი რელიგიის განვითარების ერთ-ერთ შესაძლებელ ხაზს, ამ შემთხვევაში გამოვიყენე „გუგლის“ მაგალითი და მოვახდინე მისი დემონიზაცია.

დასავლეთმა გაიარა მოდერნიზაციის, რაციონალიზაციის პროცესი, მაგრამ რელიგიური მოთხოვნები არსად წასულა. გარდა ამისა, მთელ მსოფლიოში რელიგია ერთ-ერთი ყველაზე დიდი მამოძრავებელი პოლიტიკური და კონფლიქტური ფაქტორია. მილიონობით ადამიანი, იმის ნაცვლად, რომ საკუთარ თავს მართავდეს, ქურუმების მიერაა მართული, საუკუნეების წინ დაწერილი კოდექსებით, ფანატიზმით. (რა თქმა უნდა, აქაც ყურადღება გამახვილებულია რელიგიის იმ მხარეებზე, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ადამიანების მართვა). ჩემი ფუტუროლოგია დაეფუძნა იმ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია დასავლური სამყარო, სადაც ყველაფერ კარგთან ერთად დღითი დღე ვითარდება კონტროლის მექანიზმები, კონტროლის ფსიქოლოგია – მივიდეს რელიგიურ რევანშამდე, რა თქმა უნდა, თუ ტექნოლოგიები დაუბრუნდებიან რწმენას, ეს იქნება საინტერესო კალამბური, თუმცა შეუძლებელი აქ არაფერია. მარტივი მაგალითით რომ ვიმსჯელოთ, დღესაც ჩვენ გარშემო არსებული ტექნოლოგიები ხშირ შემთხვევაში გაუგებარია ჩვენთვის. ბევრმა ჩვენგანმა არ იცის, როგორ ანათებს ნათურა, როგორ მუშაობს ტელევიზორი, კომპიუტერი; როგორ კეთდება უთო ან მაგნიტოფონი. ჩვენ არ ვიცით, როგორ იმუშავებს კოლაიდერი, არ ვიცით, როგორ გამოფრეს ადამიანური გენი – უბრალოდ

ვიჯერებთ. ეს რწმენაა. ჩვენ არ ვიცით, როგორ განგვეკურნავს ექიმი – ჩვენ მისი გვეჯერა იმიტომ, რომ ის ექიმია – მას აქვს ინფორმაცია და მას აქვს ტექნოლოგია. ანუ რწმენის საფუძველი, რა თქმა უნდა, არსებობს და შეიძლება მისი გავლენაც კი. თუმცა ამავდროულად არსებობს საშუალება, მივიღოთ ინფორმაცია, რომ გულუბრყვილო რწმენითი კატეგორიებიდან მეტ-ნაკლებად გადავინაცვლოთ რაციონალურ ტექნოლოგიურ კატეგორიაში.

თანამედროვე ფუტუროლოგიაში კი ალბათ მთავარია ის, რომ ჩვენ შეგვიძლია რადიკალური კრიტიკული თვალთვლით გავიხედოთ მომავლისკენ და, ვფიქრობ, თანამედროვე სამყაროში ფუტუროლოგია არ არის ისეთი ფუტურისტული და უტოპიური, როგორც შეიძლება ყოფილიყო ერთი საუკუნის წინ. ამას ადასტურებს თუნდაც „სინგულარობის უნივერსიტეტის“ არსებობის ფაქტი, რომელსაც აფინანსებენ „ნასა“ და „გუგლი“. ამას ადასტურებს „მაიკროსოფტის“ ახალი პროგრამა, რომელიც მილიონობით ჩვეულებრივ მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ისწავლოს სამოყვარულო რობოტების კონსტრუირება და პროგრამირება. ამას ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის 4-ბილიონიანი ინვესტიცია „ავტონომიური სისტემების“ კონსტრუირებისთვის. გლუხურ, დაბალტექნოლოგიურ ენაზე რომ ვთქვათ, „ავტონომიურ სისტემებში“ იგულისხმებიან „ტერმინატორის“ მსგავსი „რობოტები“, რომელთა გაგზავნას ამერიკა ერაყის მსგავს რეგიონებში აპირებს საზღვრების დასაცავად. თან საგულისხმოა, რომ სამივე ეს პროცესი დაიწყო ახლა, 2009 წელს.

როგორც „გუგლის“ ერთმა თანამშრომელმა იხუმრა: ამდენი წიგნი და ამდენი ინფორმაცია იმიტომ კი არ შეგვაქვს „ნეტში“, რომ ის ადამიანებმა იკითხონ, არამედ იმიტომ, რომ ის წაიკითხოს ხელოვნურმა ინტელექტმა.

**5. რას მოგვიტანს რამიშვილი-ბრაქინას ტანდემი?**

სათაური, რომელიც, როგორც შეამჩნიეთ, არაფერ შუაშია მთელ სტატიასთან, არის სპეციალურად დამონტაჟე-

ბული კონსტრუქცია, რომ მკითხველს გაახსენდეს საკუთარი საარსებო გარემოს, ცოტა არ იყოს, არაადეკვატური მდებარეობა დღევანდელი და ხვალისდელი ტექნოლოგიურ-ინფორმაციული პერსპექტივების მიმართ.

როგორც დოქტორი რიჩარდ დოუკინსი ამბობს, ევოლუციის ახალი სფერო დღეს არის ინფორმაცია. ის, ვინც ფლობს მეტ ინფორმაციას, გაცილებით ეფექტურია და მარტივად უმკლავდება გამანადგურებელ ევოლუციურ ტესტებს. ინფორმაცია იგივე განათლებაა, განათლება, რომელიც ჩვენი საყვარელი გურჯისტანის მთავარი ნაკლია.

ჩვენ ყველას მოგვიკრავს ყური „იბერიის გაბრწყინების“ კონცეფციისთვის, მაგრამ ალბათ ძალიან ბუნდოვნად გვაქვს წარმოდგენილი. ზოგს ჰგონია, რომ იბერია გაბრწყინდება, თუ ავანთებთ ბევრ სანთელს ან დიდ კოცონს, ზოგს ჰგონია, რომ იბერია გაბრწყინდება, როცა „დადგება დრო“. სინამდვილეში იბერიას გაბრწყინების ორი ვარიანტი აქვს – ცუდი და კარგი:

- 1. თუ რუსეთმა ჩამოაგდო ატომური ბომბი, ის მართლა გაბრწყინდება.
- 2. თუ იბერიაში ივლის ძალიან ბევრი განათლებული-განათებული ადამიანი – ის მართლა გაბრწყინდება.

კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდილების და ინფორმაციის ყველაზე დიდი ბაზა კი დღეს არის ინტერნეტი. ასე რომ, თუ ჩვენ არ გვინდა, რომ კორპორაციული სიზმრების სამყაროში ჩვენ ან ჩვენი შვილები იყვნენ, კავკასიის ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი მესამეხარისხოვანი კონტროლირებადი აბორიგენები, მაშინ ჩვენ აუცილებლად გვჭირდება საყოველთაო ინტერნეტიზაცია ბაზისური კომპიუტერული პროგრამების აუცილებელი შესწავლით. ანუ ინტერნეტი ყველა სახლსა და დაწესებულებაში.

ან ვიდრე „სხვა საქართველო“ ამ პროგრამას დაწერს და შეასრულებს, შეგიძლიათ განათების პროცესი უფრო მარტივად დაიწყოთ: ვეძახით შვილებს, შვილიშვილებს, მეგობრებს, ყოფილ ქმრებს და შეყვარებულებს და მათ თვალწინ რალაცნაირი ელევანტური, ქარიზმული მოწინებით ვკრეფთ დიდ ეკრანზე: Google.com...

19/335  
**MARJANOFF EXPRESS**

იტალიური რესტორანი



სუპერმარკეტი  
სადაც ყველაფერი  
არის ხელმისაწვდომი  
სადაც ყველაფერი  
არის ხელმისაწვდომი  
სადაც ყველაფერი  
არის ხელმისაწვდომი  
დასმობისა 21.35

36 95 16  
95 03 23




Georgia Tbilisi Marjanishvili Str. #8  
თბილისი მარჯანიშვილის ქ. №8  
Italian Restaurant MARJANOFF EXPRESS

**დეგაპრინტი**  
**DEGAPRINT**

**სიფრული ოფსეტური ბეჭდვა**  
ტელ.: +995 32 995007 / 998843  
ფაქსი: +995 32 995681

[degaprint@caucasus.net](mailto:degaprint@caucasus.net)





# მიშა

<<< დასაწყისი გვ. 74

დახვეწილი მეთოდები უცნობია „კაგებეს-თვის“, რუსი კაცის იარაღი იყო, არის და იქნება **ТОПОР**, ნაჯახიო. ნაჯახით ჩატარებულ სპეცოპერაციას კი მთელი მსოფლიო მიუხვდებათო (მრავალი წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის „კაგებეს“ მემკვიდრე სპეცსამსახურებმა თავისი ყოფილი აგენტი, ალექსანდრ ლიტვინენკო გაანადგურეს, ინგლისელებმა მალევე იპოვეს მათი ახალი „ნაჯახი“ პოლონიუმ-210-ის სახით).

მიშას საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ მან გაამრავლა, შეინახა და გაავრცელა ალექსანდრ სოლჟენიცინის, ანდრეი პლატონოვის, ვარლამ შალამოვის და სხვათა ანტისაბჭოთა ნიგნები, ასევე ანდრეი სახაროვის სტატიები და მიმართებები ხელისუფლებისადმი.

გამოხდა ხანი და, პერესტროიკისა და გლასნოსტის დასაწყისში საკავშირო სქელტანიან ჟურნალებში დაიწყო ამ აკრძალული ლიტერატურის გამოქვეყნება. მიშამ თქვა, – სანამ ბულგაკოვის „ძაღლის გულს“ და პლატონოვის „კორმოს“ (Котлован) არ დაბეჭდავენ, ამათი პერესტროიკისა და გარდაქმნის არ მჯერაო. თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკავშირო თუ რესპუბლიკური ჟურნალი და გაზეთი გამომწერილი გვექონდა (ჩვენი შრომით გამომუშავებული ფულის დახარჯვის ერთადერთი გზა იყო). და 1986 წელს დაიწყო ჟურნალმა „ზნამიამ“ გამოაქვეყნა მიხაილ ბულგაკოვის შედევრი **Собаچه Сердце**,

„ნოვი მირმა“ – პლატონოვის **Котлован**, ხოლო ჟურნალმა „ნევა“ ანა ახმატოვას **REQUIEM**. მიშა პოლიაკოვი ამ პუბლიკაციებით შეიარაღებული შევიდა ზონის უფროსთან, მაიორ შალინთან და ჰკითხა, – ამათი უნაგაროდ გამრავლებისა და გავრცელებისთვის ხუთი წლით მკაცრი რეჟიმის ბანაკი და სამი წლით გადასახლება მაქვს მოსჯილი; ახლა საბჭოთა მთავრობა ამ ნიგნებს მილიონიანი ტირაჟებით ბეჭდავს და დიდ ფულს აკეთებს, ჩვენ რისთვისღა ვზივართო? შალინმა უპასუხა, – ნადი პოლიაკოვ, ისედაც გული მისკდება, „პრავდა“ და „იზვესტია“ ვერ ამიღია შიშით ხელში, იქაც რამე ანტისაბჭოთა არ დაბეჭდონ-მეთქი. რაც შეეხება შენ ჯდომას, მე ვერაფერს გიშველი და, თუ გინდა, ახალთახალ „ოგონიოკს“ მოგცემ, პოლიკარპოვის ნერილია ფიოდორ რასკოლნიკოვზე და რასკოლნიკოვის ღია ნერილი სტალინისადმი, ნამდვილი ბომბი, ჯერ კიდევ შარშან შვიდს პლუს ხუთს ქაჩავდა და ახლა ყველაზე დიდტირაჟიან ჟურნალებში ბეჭდავენ. პოლიაკოვი გამოვიდა, ჟურნალს აფრიალებდა და დისიდენტური ფოლკლორის ცნობილ სტრიქონებს იმეორებდა:

**Кто стучится в дверь опять?**

**Семь плюс пять,**

**Семь плюс пять.**

შვიდს პლუს ხუთი (შვიდი წელი მკაცრი რეჟიმის კოლონია პლუს ხუთი წლით გადასახლება) რსფსრ სამოცდამეათე სტატიის (შექსატყვისებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე სტატია: „ანტი-

ბჭოთა ავითაცია და პროზაგანდა“) პირველი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ქსიმეში იყო.

ზეპირად იცოდა ალექსანდრ გალიჩის, ზადიმირ ვისოცკის, ბულატ ოკუჯავას და გენი კლიაჩკინის სიმღერების ტექსტები, როცა გელი დონსკოი მღეროდა, ტექსტს აწორებდა ხოლმე. აიღებდა გელი ზონის 'თადერთ გიტარას და დაამღერებდა ბარდ ზიაჩკინის ცნობილ ხიტს:

**Сigaretой опиши колючко,**

**Спичкой на снегу поставишь точку.**

**Что-то, что-то надо поберечь бы,**

**А не бережем - уж это точно.**

**Обернется золотою рыбкой,**

**Захочу - шутя поймаю шапкой.**

**Кажется вначале просто гибкой,**

**Приглядишься - оказалась шаткой.**

ხოლო მიშა გზადაგზა უსწორებდა, – **ВОТ ЭТО ТОЧНО** კი არა, **УЖ ЭТО ТОЧНО**, ჩემო ძვირფასო გელი. გელი არ იშლიდა, – კლიაჩკინმა ჩემთან სახლში იმღერა და ძალიანაც კარგად მახსოვს, რაც იმღერაო. მიშა თვალებს მოჭუტავდა და ისე, სხვათა შორის ჰკითხავდა, – რამდენ ბოთლში იჯდა კლიაჩკინიო. ისიც ეტყოდა, – სამშიო და მიშა დაასკვნიდა, – სამ ბოთლში არც ის იქნებოდა სანდო და, შენ ხომ მით უმეტესო.

ერთ-ერთ ნვეულებზე, რომელზეც ღვინის ფუნქციას ჩაი ასრულებდა, სამხრეთ კავკასიის ქრისტიანული კონფედერაციის ნევრებს შორის მიკრე და მსუბუქი, შეიძლება ითქვას, სალალობო კამათი გაიმართა ბულატ ოკუჯავას ეროვნებასთან დაკავშირებით. შალვა ოკუჯავას შეიღია, ქართველია-მეთქი, – განვაცხადე. სომეხი დედა ჰყავდა და სომეხიაო, – რაფიკამ დაიჩემა. ვადმი იანკოვმა სასწრაფოდ მოგვანოდა საენციკლოპედიო მონაცემები: მამა, შალვა სტეფანეს ძე ოკუჯავა, რა თქმა უნდა, ქართველი იყო, ხოლო დედა, აშხენ ასევე სტეფანეს ასული ნალბანდიანი თბილისელი სომეხი იყო, ეს იყო კომუნისტების ოჯახი, რომელიც მოსკოვში პარტიულ სკოლაში სასწავლებლად ჩამოვიდა და ბულატ შალვას ძეც იქ დაიბადა, არბატზე, 43-ე სახლის მეოთხე სართულის კომუნალურ ბინაში გაიზარდა და ქართველია თუ სომეხი არ ვიცი, მაგრამ მოსკოველიაო. მამა 1937 წლის 4 აგვისტოს დახვრიტეს და დედა დააპატიმრეს, გადაასახლეს ყარაგანდაში და პატიმრობიდან მხოლოდ 1955 წელს დაბრუნდა. მიშა პოლიაკოვი სახელდახელო „სუფრას“ მეთაურობდა და კომპრომისი შემოგვთავა-



ზა, ქართველი მამისა და სომეხი დედისაგან მიიღება რუსი პოეტი, რომელსაც მამის სიყვარულის გამო სტალინი სძულს და დედის სიყვარულის გამო კიროვი უყვარს (ოკუფავას დედა კიროვთან მუშაობდა). როგორც პოეტი, ოკუფავა ქართველებს არაფერში გჭირდებათ, პოეტები საკუთარივე გეყოფათ, ხოლო სომეხების დასაშოშინებლად ვიტყვი, – ოკუფავა დავიკოვით და ჩვენ, პიტერელები, სანაცვლოდ მოსკოვის დამაარსებლის, იური დოლგოპოლის სომხობას და მხარგრძობას ვაღიარებთ, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვთო (ჩვენი ბედი, რომ სუფრას მოსკოველები არ ესწრებოდნენ).

მიხაილ პოლიაკოვი კინომოყვარული იყო, მშვენივრად იცნობდა მსოფლიო კინოს, მაგრამ ამ ოკეანეშიც მას თავისი გამოჩენილი ხომალდი ჰყავდა, რომლის შემოქმედებას განსაკუთრებული სიყვარულით მოხსენიებდა: ეს იყო დიდი ქართველი რეჟისორი ოთარ იოსელიანი. მისი ფილმები, 1957 წელს მესამეკურსელი იოსელიანის მიერ გადაღებული პირველი სასწავლო ფილმით, „აკვარელით“ დაწყებული და დიდოსტატი იოსელიანის 1970 წელს გადაღებული შედევრით „იყო შაშვი მგალობელი“ და 1975 წლის მეორე შედევრით, „პასტორალით“ დამთავრებული, გასაოცარი დეტალებით იცოდა.

„აკვარელი“ ალექსანდრ გრინის მოთხრობის მიხედვითაა შექმნილი: ქმარი ლოთია და ცოლი მრეცხავი (ამ სახასიათო როლს სოფიკო ჭიაურელი ასრულებდა). ლოთი ცოლის შრომით ნაშოვნ უკანასკნელ კაპიკებს მოიპარავს, რომ დალიოს, ფანჯრიდან გადახტება და ქალი დაეღვენება, ამ დევნაში აღმოჩნდებიან სურათების გაღერაში და შემთხვევით ნაანულებიან აკვარელით შესრულებულ ნახატს, რომელზეც მათი ძველი სახლია

გამოსახული. სურათზე სახლი მყუდრო და თბილია და არა ისეთი, როგორც მათ წარმოედგინათ. და სევდა შეიპყრობთ მათ. ბოლო კადრებში მთელი ოჯახი, ცოლ-ქმარი და ოთხი შვილი სახლის წინ სხედან და მხატვარი მათ პორტრეტს ქმნის. პოლიაკოვს „აკვარელი“ ძალიან მოსწონდა, განსაკუთრებით იზიდავდა ის, რომ იოსელიანი თავადაც ჩნდება ამ ფილმში ხელოვნებათმცოდნეს ამპლუაში და შესამჩნევი ქართული აქცენტით ამბობს, – შეხედეთ, რა კარგი სურათია, სითბო იღვრება ამ ნახატიდან, тут живут прекрасные, честные, благородные, чистые люди. „აკვარელი“ მე მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ვნახე და გაოგნებული დავრჩი, რომ პოლიაკოვს არც ერთი დეტალი, არც ერთი ნიუანსი არ გამოჰპარავია ამ ძველი ნამუშევრიდან, რომელშიც მართლა შეიძლება მომავალი დიდოსტატის ცნობა.

მიშა პოლიაკოვმა რომ თავისი ცნობილი პირველი ლექცია წაიკითხა ოთარ იოსელიანის თემაზე, ჩვენი ზონის მთავარმა ფსიქოლოგმა, ფსიქიატრმა და პოეტმა, ბორის მანილოვიჩმა აღნიშნა, – ალექსანდრ გრინის რომანტიკული რეალიზმი მშვენიერი მასალაა ქართული ტემპერამენტისთვისო. შემდეგ ისიც მიაყოლა, – გრინი სინამდვილეში გრინეცკი იყო, პოლონელი არისტოკრატი და პოლიაკოვს ნაციონალურადაც და კლასობრივადაც ენათესავებო. მაგრამ მიშამ მკაცრად დაგმო ეს „კლასობრივი“ თეორია და ბრძანა, – გრინი არაფერ შუაშია, გრინი ოთარისთვის მასალა იყო, იოსელიანი, გრინისგან კი არა, თუჯისგანაც აკეთებს ფილმებსო (გულისხმობდა ოთარ იოსელიანის 1964 წელს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გადაღებულ ფილმს, რომელშიც დომენის ლუმისა და ადამიანების ერთობლივი დუ-

ლილით პროდუქტი იქმნება. იოსელიანი გვაჩვენებს, რა ლამაზია და რა პლასტიკურია ადამიანი, როდესაც იგი ცოდნითა და სიყვარულით აკეთებს თავის საქმეს).

გაივლის მრავალი წელი, გამოიცვლება საუკუნე და ათასწლეული და მიხაილ პოლიაკოვი მაჩუქებს ოთარ იოსელიანის მის მიერ თავმოყრილ მთელ შემოქმედებას 19 DVD დისკზე, რომლებიც იმ სახელგანთქმული „აკვარელით“ იწყება და 2006 წლის Jardins en automne – „შემოდგომის ბაღებით“ სრულდება.

გულწრფელად გულშემატიკვრობდა ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. თბილისში მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა 1989 წლის აპრილში, რომ 9 აპრილს დაღუპულებისთვის პატივი მიეგო და თავისი სახელით ბოდიში მოეხადა ქართველი ხალხისთვის. ასევე ჩავიდა ლიტვაში, რომ თანაგრძობა გამოეხატა და ვილნიუსის მოვლენების გამო ბოდიში მოეხადა. ბოლოს განაცხადა, – ამ ქვეყანაში ცხოვრება არ შეიძლება, Моя Россия умерла-ო, – და შეერთებულ შტატებში ემიგრაციაში წავიდა.

მეუღლე, ნადეჟდა ტრაგიკულად დაეღუპა და უცხოეთში შვილები მარტომ გაზარდა. პეტერბურგელებმა საპატიო მოქალაქედ აღიარეს და ქალაქის ენციკლოპედიაში შეიყვანეს. ყოველთვის, როდესაც ჩვენთან დამპყრობლებზე და მათ კულტურაზე ლაპარაკობენ და პუტინზე და რუსეთის სახელმწიფოზე გაბრაზებულები დოსტოევსკის ერჩიან (ჩვენმა დღევანდელმა განათლების მინისტრმა მწერლობაც კი დაუნუნა), მახსენდება, რომ ერთ-ერთ ყველაზე დიდ ადამიანს, რომელსაც ცხოვრებამ შემახვედრა, მიხაილ პოლიაკოვი ჰქვია და იგი სწორედ იმ სახელში დაიბადა, რომელშიც დოსტოევსკი გარდაიცვალა.



# ORGANICA

ორგანული და ადგილობრივი  
საკვები პროდუქტები

მისამართი: ჭავჭავაძის 62  
(ბერძენიშვილის და მოსაშვილის ქუჩების კვეთა)



რადიო „უცნობი“ წარმოგიღებათ დილის გადაცემას **„დილა მშვიდობისა“**

ნათა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად  
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- საინტერესო მოსაზრებები
- SMS გამოკითხვები
- მავარი სიმღერები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800

Skype ID:ucnobidila



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)





MON  
group



# VONG

asian fusion

Restaurant - Cocktail Lounge  
1:00 pm - 2:00 am  
29 I. Abashidze st.  
Tel: 29 25 70

**UP**grade Your Life  
with new menu in Vong





**WWW.LIBERALI.GE**

